ბერძნული მითების სამყარო

# ასპარეზზე გამოდიან გმირები

თხრობა და კომენტარები
ნანა ტონიასი
(თავები 8-19)
და
მანანა ღარიბაშვილისა
(თავები 1-7)

მეოთხე გამოცემა

დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ
დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
მოსწავლეთათვის

პროგრამა "ლოგოსი"

სერიის სარედაქციო კოლეგია

რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი)
ლაშა ბერაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ვალერი ასათიანი
ნანა ტონია
მანანა ფხაკაძე
მანანა ლარიბაშვილი
რუსუდან ცანავა
გიორგი ხომერიკი

სერიის წიგნები გამოდის პროგრამის ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში ფინანსური ხელშეწყობით

© პროგრამა „ლოგოსი", 2007

ISBN 978-99940-31-23-8
ISBN 978-99928-65-11-8 (სერია)

პროგრამა „ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13
(თსუ VIII კორპ.), ოთ. 14, 0179 თბილისი
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81
ელ.ფოსტა greekstudies@caucasus.net

გარეკანზე: ლომის ტყავით მოსილი ჰერაკლე აპოლონის ტაძრიდან იტაცებს წმინდა სამფეხს. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ვურცბურგი. მარტინ ფონ ვაგნერის მუზეუმი.

# შინაარსი

1. ლაკონიელი და მესენიელი გმირები 9

ტინდარეოსი და მისი მოდგმა *(9)*, დიოსკურები *(10)*

2. მინოსი 13

მინოსი და მისი სამეფო *(13)*, მინოსის მოდგმა. მინოსისა და პასიფაეს შვილები *(14)*, გლავკოსი *(14)*, ანდროგეოსი *(16)*, არიადნე *(16)*, მინოსის ძალაუფლება *(19)*, დედალოსი და იკაროსი *(21)*

3. კორინთოელი გმირები 24

სისიფოსი (სიზიფე) *(24)*, გლავკოსი *(28)*, ბელეროფონი *(29)*

4. არგოსელი გმირები 33

ინაქოსი, დანაოსი და დანაიდები *(33)*, ამიმონე *(36)*

5. პერსევსი 37

აკრისიოსი და პროიტოსი. დანაე. პერსევსის დაბადება *(37)*, პერსევსი სერიფოსზე *(38)*, პერსევსი და გორგო მედუზა *(39)*, პერსევსი და ატლასი *(42)*, პერსევსი და ანდრომედა *(43)*, პერსევსი და ფინევსი *(45)*, პერსევსის დაბრუნება სერიფოსზე. აკრისიოსის სიკვდილი *(47)*, მელეაგროსი. კალიდონის ნადირობა *(48)*

6. ᲐᲢᲘᲙᲔᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ *52*

ათენის პირველი მეფეები: კეკროფსი, ერიხთონიოსი, ერეხთევსი *(52)*, იონი *(56)*, ბორეასი და ორითიია *(57)*, პროკნე და ფილომელა *(58)*

7. ᲗᲔᲡᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ *61*

კენტავრთა და ლაპითთა ბრძოლა *(61)*

ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔ *63*

8. ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲔ *65*

ზევსი და ალკმენე *(65)*, ბავშვობის ხანა *(68)*, ჰერაკლეს დაბრუნება თებეში *(71)*, შეშლილი ჰერაკლე *(72)*

9. ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲡ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ *73*

გმირობა პირველი: ნემეას ლომი *(73)*, გმირობა მეორე: ლერნეს ჰიდრა *(75)*, გმირობა მესამე: ერიმანთოსის ტახი *(76)*, გმირობა მეოთხე: კერინიის ირემი *(78)*, გმირობა მეხუთე: სტიმფალიური ფრინველები *(79)*, გმირობა მეექვსე: ავგიასის თავლები *(80)*, გმირობა მეშვიდე: კრეტის ხარი *(81)*, გმირობა მერვე: დიომედესის ცხენები *(82)*, გმირობა მეცხრე: ჰიპოლიტეს სარტყელი *(86)*, გმირობა მეათე: გერიონის ძროხები *(89)*, გმირობა მეთერთმეტე: ჰესპერიდების ვაშლები *(94)*, გმირობა მეთორმეტე: კერბეროსი *(98)*

10. ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ *100*

ევრიტოსი *(101)*, იფიტოსი *(101)*, აპოლონთან შებმა *(103)*, ჰერაკლე ომფალეს კარზე *(104)*, კეკროპები *(105)*, ლაშქრობა ტროაში *(107)*, ჰერაკლე კუნძულ კოსზე *(109)*, ელისის აღება *(110)*, ოლიმპიურ დღესასწაულთა დაწესება *(111)*, ლაშქრობა

პილოსში (*112*), ლაშქრობა სპარტაში (*113*), ჰერაკლე და დეიანირა (*114*), ჰერაკლე ტრაქისში (*117*), კიკნოსი (*117*), იოლე (*119*)

11. ჰერაკლეს აპოთეოზი *119*

12. ჰერაკლიდები *123*

თესევსი *127*

13. ეგევსის ძე თუ პოსეიდონის? *129*

14. გზა ათენისკენ. თესევსის გმირობანი *131*

პერიფეტესი (*132*), სინისი (*132*), სკირონი (*133*), კერკიონი (*134*), პროკრუსტე (*134*)

15. თესევსი ათენში *135*

მედეას მზაკვრობა (*135*), პალანტიდები (*136*), მარათონის ხარი (*137*)

16. თესევსი კრეტაზე *138*

მინოტავროსი (*138*)

17. ათენის ტახტზე აღზევება *141*

ატიკის გაერთიანება (*142*), თესევსი და ამორძალები (*143*), თესევსი, ფედრა, ჰიპოლიტოსი (*144*), პირითოოსთან დამეგობრება (*146*)

18. თესევსი ჰადესში *147*

19. თესევსის აღსასრული *149*

კომენტარები *151*

სახელთა საძიებელი *241*

# ❶ ლაკონიელი და მესენიელი გმირები

## ტინდარეოსი და მისი მოდგმა

სახელგანთქმული გმირი ტინდარეოსი თავისი სამეფოდან, სპარტიდან, გამოაძევა საკუთარმა ძმამ, ჰიპოკოონმა. დიდხანს, დიდხანს დაეხეტებოდა ტინდარეოსი და თავშესაფარს ეძებდა. ბოლოს ეტოლიაში ჩავიდა, სადაც ქვეყნის მეფემ, ფესტიოსმა შეიფარა. ტინდარეოსი დაეხმარა ეტოლიის მეფეს მეზობლებთან ბრძოლაში. მან ისე შეაყვარა ხელმწიფეს თავი, რომ მალე ფესტიოსმა თავისი უმშვენიერესი ქალი ლედა ცოლად შერთო.

ზევსმა თვალი დაადგა ულამაზეს ლედას და ერთხელ, თეთრ გედად ქცეული, მდინარე ევროტის ნაპირებზე შეერთო მას. როგორც მითის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი მოგვითხრობს, გარკვეული დროის შემდეგ ლედამ კვერცხი დადო და ამ კვერცხიდან გამოიჩეკნენ ზევსის შვილები: მშვენიერი ელენე და პოლიდევკესი, ხოლო ტინდარეოსისგან ლედას ეყოლა კიდევ ორი შვილი – კლიტემნესტრა და კასტორი.

როცა უძლეველმა ჰერაკლემ ჰიპოკოონი და მისი ვაჟები დაამარცხა (ეს ამბავი უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება მოთხრობილი), ტინდარეოსი დიდი სიხარულით დაუბრუნდა სამ-

კვიდროს თავის ცოლთან ერთად და იქ ბედნიერი ცხოვრება იწყო. იგი კეთილად და მორჭმულად განაგებდა სპარტის სამეფოს.

## დიოსკურები

დიოსკურებს უწოდებენ ძმებს – პოლიდევკესსა და კასტორს, რომლებსაც გასაოცარი სიყვარულით უყვართ ერთმანეთი და უერთმანეთოდ წუთსაც ვერ ძლებენ, მუდამ ერთად არიან.

მიუხედავად იმისა, რომ კასტორი და პოლიდევკესი სხვადასხვა მამის შვილები იყვნენ, მაინც ტყუპ ძმებად იწოდებიან; ისინი საოცრად ჰგავანან ერთმანეთს, ერთნაირად იცვამენ, ორივეს თავზე კვერცხის ფორმის მუზარადი ხურავს, ვარსკვლავებით შემკული. ორივეს შუბი უპყრია და თეთრ ტაიჭზეა ამხედრებული. ზოგის აზრით, ეს ცხენები პოსეიდონმა უბოძა მათ, ზოგი ირწმუნება, რომ პოლიდევკესს თესალიური ულაყი ჰერმესმა უსახსოვრა.

კასტორი და პოლიდევკესი მთელ საბერძნეთში იყვნენ სახელგანთქმულნი. კასტორი იყო უბადლო მხედარი და ცხენთა დამაურვებელი, ხოლო პოლიდევკესი – უზადო მოკრივე. დიოსკურებს მრავალი საგმირო საქმე მიეწერებათ: მონაწილეობდნენ არგონავტთა ლაშქრობაში, უკან გამოიტაცეს და შინ დააბრუნეს თავიანთი და, მშვენიერი ელენე, რომელიც თესევსს ჰყავდა გადამალული...

მათ ეტოქებოდა მეორე წყვილი ტყუპი ძმებისა – იდასი და ლინკევსი, რომლებიც მესენიის მეფის, აფარევსის, ვაჟები იყვნენ. ისინი, ყმაწვილური ჟინით ანთებულნი, ხშირად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იდასსა და ლინკევსსაც ძალზე უყვარდათ ერთმანეთი და მუდამ ერთად იყვნენ. მათ საცოლეებად დანიშნული ჰყავდათ თავიანთი ბიძაშვილები – ლევკიპიდები, რომლებიც ერთხელ კასტორმა და პოლიდევკესმა მოიტაცეს. ამის შემდეგ დიოსკურები დიდი საბოძვრით ეახლნენ ლევკიპიდების მამას და მიიმხრეს, და მანაც მათ სიძეობას დაუჭირა მხარი. ამ შემთხვევამ აფარეტიდები და დიოსკურები კარგა

ხნით გადაამტერა ერთმანეთს, მაგრამ მერე უთანხმოება ჩაცხრა.

ერთხელ დიოსკურებმა და აფარეტიდებმა არკადიიდან ხარების ჯოგი გაიტაცეს და გადაწყვიტეს, გაეყოთ ნადავლი. წილი ყარეს და ნადავლის განაწილება იდასს დაეკისრა. მას კი გულის გულში სურდა, რომ მთელ ჯოგს ძმასთან ერთად თვითონ დაპატრონებოდა, ამიტომაც ეშმაკობას მიმართა. მან ერთი ხარი ოთხ თანაბარ ნაწილად გაყო და განაცხადა, რომ ვინც თავის წილს ყველაზე სწრაფად შეჭამდა, ჯოგის ნახევარი იმას ერგებოდა, ჯოგის მეორე ნახევარი კი იმას – ვინც მეორე იქნებოდა ამ საქმეში. ჯერ შეჯიბრი ხეირიანად დაწყებული არც ჰქონდათ, რომ გოლიათი იდასი ეცა და სასწრაფოდ გადასანსლა თავისი წილი, მერე კი ძმასაც წაეშველა. გამარჯვებულმა იდასმა და ლინკევსმა ხარების მთელი ჯოგი თავიანთას წაასხეს. კასტორი და პოლიდევკესი ბრაზით აივსნენ, მშვენივრად მიხვდნენ, თუ როგორ მოალორეს ისინი ბიძაშვილებმა და მაშინვე გადაწყვიტეს, სამაგიერო გადაეხადათ მათთვის. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლინკევსი და იდასი შინ არ იყვნენ, დიოსკურებმა წამოასხეს მოტყუებით წაყვანილი ხარების ჯოგი და თან სხვაც მიაყოლეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ძმები ამ საქციელს არ აპატიებდნენ და გადაწყვიტეს, ერთი დიდი ხის ფუღუროში დამალულიყვნენ, რადგან გოლიათ იდასთან პირისპირ შებმას ერიდებოდნენ, იდასთან, რომელიც თავად უკვდავ აპოლონსაც კი არ შეუშინდა და საბრძოლველად გაიწია, როცა იგი საცოლის წართმევას უპირებდა. ამიტომაც დამალვა არჩიეს დიოსკურებმა, სურდათ, მოულოდნელად დასხმოდნენ თავს ბიძაშვილებს. მაგრამ, ვაი რომ ეს ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს, რადგან ლინკევსის მახვილ მზერას ვერსად დაემალნენ; მიწის წიაღში რა იდო, იმის დანახვაც კი შეეძლო მის გამჭოლ თვალს. მან ხის ფუღუროში მიაგნო მათ და სანამ ძმები საფრიდან გამოვიდოდნენ, იდასმა სტყორცნა თავისი შუბი, ის ხე შუაზე გაააპო და კასტორსაც გული შუაზე გაუგმირა. პოლიდევკესი მათ მარტო შეებრძოლა. აფარეტიდები ერთხანს შემართულნი იბრძოდ-

ნენ, მაგრამ მერე გაქცევა ამჯობინეს. პოლიდევკესი იდასსა და ლინკევსს თავიანთი მამის, აფარევსის საფლავთან დაეწია და ლინკევსი შუბით განგმირა. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა იდასსა და პოლიდევკესს შორის, მაგრამ ზევსი ჩაერია საქმეში და მათი ორთაბრძოლა შეწყვიტა, იგი შემწედ მოევლინა შვილს და თავისი მეხით დამეხა იდასი. პოლიდევკესი სასიკვდილოდ დაჭრილ ძმას მიეჭრა, ჯერ კიდევ ფეთქავდა სულთმობრძავს და გული უკვდებოდა, რომ მალე სამუდამოდ უნდა განშორებოდა. ხელები ზეცად აღაპყრო და მამა-ზევსს შეევედრა, რომ ძმასთან ერთად ისიც მოეკლა, რადგან კასტორთან განშორებას სიკვდილი ერჩია. გამოეცხადა ზევსი საყვარელ შვილს და შეახსენა, რომ უკვდავი იყო და შეეძლო ოლიმპიელ ღმერთებთან ერთად განცხრომით ეცხოვრა, მაგრამ თუკი არ სურდა განშორება თავის მოკვდავ ძმასთან, მაშინ ისიც ნახევრადმოკვდავი უნდა გამხდარიყო და მისი ბედის თანამოზიარე: ერთი დღე ძმასთან ერთად ჰადესში უნდა გაეტარებინა, მეორე დღეს კი ერთად ამოვიდოდნენ მაღალ ოლიმპოსზე და ასე გაგრძელდებოდა სამარადისოდ. მართლაც, მას მერე პოლიდევკესი კასტორის ბედს ინაწილებს. ისინი ტყუპ თანავარსკვლავედად განაბრწყინა ზეცაზე ზევსმა.

პოსეიდონმა დიოსკურები მეზღვაურთა შემწეებად აქცია და მისცა უფლება, საჭიროების შემთხვევაში ხომალდებს ზურგქარი გაუგზავნონ. ასეთი იყო ძველ მეზღვაურთა რწმენა: საკმარისია, ხიფათის ჟამს დიოსკურებს გემის კიჩოზე თეთრი კრავი შესწირონ მსხვერპლად და ისინიც უმალ გამოემართებიან ხომალდის საშველად თეთრ ბედაურათა გუნდის თანხლებით. მაგრამ არა მხოლოდ მეზღვაურებს ეხმარებიან სწრაფი მხედრები, დაქრიან ჰაერში და უმალ იქ გაჩნდებიან, სადაც კაცს საფრთხე ელოდება. ისინი ბრძოლაში მეომართა შემწენიც არიან, მოგზაურს კი გზაზე ხიფათს არიდებენ. ერთი სიტყვით, გაჭირვებულ კაცს მფარველად ევლინებიან. ამას გარდა, დიოსკურები სპარტაში შეჯიბრება-თამაშობებსაც ხელმძღვანელობენ.

# ❷ მინოსი

## მინოსი და მისი სამეფო

მშვენიერ ევროპეს ზევსისგან სამი შვილი შეეძინა: მინოსი, რადამანთისი და სარპედონი. შემდეგ იგი გაჰყვა მეფე ასტერიონს, რომელიც უშვილო იყო. მან იშვილა ევროპეს ვაჟები და თავის მემკვიდრეებად დაადგინა. ასტერიონის სიკვდილის შემდეგ მინოსმა განიზრახა კრეტაზე გამეფებულიყო, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ მან განაცხადა, რომ მეფობა ღმერთებისგან ებოძა, და ამის დასტურად ისიც დასძინა, რომ ღმერთები ყველაფერს შეუსრულებდნენ, რაც უნდა ეთხოვა. მან პოსეიდონს სამსხვერპლო აღუმართა, მსხვერპლი მიართვა და შეევედრა: დიდებულო პოსეიდონ! თუ ჩემი გამეფება სამართლიანად მიგაჩნია, თუ მართლა მოწყალე თვალით მიყურებ, დასტურად ზღვიდან შესაწირავი თეთრი ხარი ამოვიდესო. მან პოსეიდონს ისიც აღუთქვა, რომ ამ ხარს მას მსხვერპლად შესწირავდა. არ გასულა ხანი და ნაპირს მართლაც მშვენიერი თეთრი ხარი მოადგა. ისეთი სანახავი იყო, რომ მინოსს შეენანა დასაკლავად და თავის იალაღზე გაუშვა, პოსეიდონს კი სხვა ხარი შესწირა.

მინოსმა მიიღო მეფობა, იგი ზღვასაც დაეუფლა და თავისი ძალაუფლება თითქმის ყველა კუნძულზე განავრცო, მაგრამ პოსეიდონი მასზე განრისხებული იყო, რადგან აღთქმული მსხვერპლი გადაუმალეს და ეს წყენა მინოსს ვერ დაუვიწყა. როცა მან ცოლად შეირთო ულამაზესი პასიფაე – მზის ღმერთის, ჰელიოსის ასული, მათი ბედნიერება მალე პოსეიდონმა დაარღვია. მან პასიფაეს თეთრი ხარის მიმართ საშინელი ვნება აღუძრა. ხარზე შეყვარებულმა დედოფალმა შემწედ დედალოსი იხმო, სახელოვანი ათენელი ოსტატი და ხელოვანი, რომელიც იმჟამად მინოსის კარზე ცხოვრობდა. დედალოსმა პასიფაეს დახმარება აღუთქვა. ოსტატი ხშირად ართობდა მინოსსა და მის სახლეულთ თავისი ხელით გამოთლილი მშვენიერი ხის თოჯინებით.

ჰოდა, რახან ეს გამოცდილება ჰქონდა, მან სასწრაფოდ გამოუთალა პასიფაეს დიდი ხის ძროხა, რომელსაც ნამდვილი ძროხის ტყავი შემოაკრა, გორგოლაჭებზე შეაყენა და მუხნარში შეაგორა, სადაც პოსეიდონის მშვენიერი თეთრი ხარი ბალახობდა. დედალოსმა პასიფაე ძროხის შიგნით, ღრუში, მოხერხებულად ჩასვა, თვად კი იქაურობას გაშორდა. ცოტა ხანში თეთრი ხარი ძროხას მიეჭრა და პასიფაემ შეძლო თავისი ვნებების დაცხრობა. ამ კავშირის შედეგად პასიფაეს შეეძინა ურჩხული, რომელსაც მინოტავროსი დაერქვა. მას ხარის თავი და კაცის ტანი ჰქონდა. მინოსმა მძიმედ განიცადა ცოლის სამარცხვინო საქციელი; იგი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა, როგორ გადაემალა ადამიანების თვალთაგან, რაც შეიძლება შორს, მისი შემარცხვენელი. მან სამისნოშიც იკითხა რჩევა და პასუხად კი, აი, რა მიიღო: „დაავალე დედალოსს, ააგოს კნოსოსის სასახლეში თავშესაფარი“. მართლაც, დედალოსმა ისეთი რამ ააგო, ისეთი მიხვეულ-მოხვეულ ტალანებიანი ნაგებობა, რომ იქ გზის გაგნება და, მით უფრო, იქიდან გამოღწევა მეტად საძნელო საქმე გახლდათ. ეს იყო ლაბირინთი. ამ ლაბირინთის შუაგულში გადამალა მინოსმა მინოტავროსი.

## მინოსის მოდგმა. მინოსისა და პასიფაეს შვილები

მინოსს პასიფაესგან ექვსი შვილი ჰყავდა: არიადნე, ფედრა, გლავკოსი, ანდროგეოსი, კატრევსი და აკაკალისი.

## გლავკოსი

პატარა გლავკოსი მამის სასახლეში ერთხელ თაგვს მისდევდა, უეცრად სადღაც გაქრა და ვეღარც მკვდარი ნახეს და ვეღარც ცოცხალი. უშედეგო ძებნის შემდეგ თავზარდაცემულმა მამამ დელფოს სამისნოს მიაშურა. ორაკულმა მას ასეთი პასუხი გასცა: „ვინც ყველაზე მარჯვე შედარებას მოუნახავს იმ გასაოცარ არსებას, კრეტაზე რომ ახლახანს დაიბადა, დაკარ-

გულ ბავშვსაც ის იპოვის". მინოსმა არაფერი იცოდა სამეფოში დაბადებული გასაოცარი არსების შესახებ, და როცა გამოიკითხა, უთხრეს, რომ, მართლაც, მის ჯოგში საოცარი უშობელი დაბადებულიყო, რომლის ბადალი ქვეყნად არ მოიძებნებოდა. იგი თურმე დღეში სამჯერ იცვლიდა ფერს. ჯერ თეთრი იყო, მერე წითელი და ბოლოს შავი. მეფემ, რაც კი სასახლეში მისნები და ბრძენკაცები ჰყავდა, ყველა მოიხმო, მაგრამ ვერავინ შეძლო, ეს საოცარი არსება რაიმესთვის შეედარებინა; მხოლოდ ერთმა არგოსელმა, სახელად პოლიიდოსმა მოახერხა და ეს უშობელი მწიფობაში შემავალ მაყვალს შეადარა – დილით რომ თეთრი იყო, შუადღისას – წითელი და ნაშუადღევს – შავი. მინოსი აღტაცებული დარჩა ამ პასუხით და თავისი დაკარგული შვილის მოძებნა პოლიიდოსს დაავალა.

პოლიიდოსი დიდხანს დაეხეტებოდა სასახლის ბნელ ტალანებში. ერთხელაც ბუს გადააწყდა, რომელიც სარდაფის შესასვლელთან ჩამომჯდარიყო და აქეთ-იქიდან მომწყდარ ფუტკრებს იგერიებდა. მას კეთილად ენიშნა ეს ამბავი, იქაურობა კარგად მიათვალიერ-მოათვალიერა, სარდაფში შევიდა და იპოვა გლავკოსი, თაფლის უზარმაზარ ქილაში ჩავარდნილი და დამხრჩვალი. მინოსმა, კურეტების რჩევით, მას უბრძანა – რაკი შენ იპოვე, გაცოცხლებაც შეგეძლებაო. პოლიიდოსი უარობდა, ასკლეპიოსი კი არა ვარ, მკვდარი გავაცოცხლოო. მინოსს არაფრის გაგონება არ სურდა. მან ბრძანა, მისანი ბავშვის ცხედართან ერთად ბნელ აკლდამაში ჩაეგდოთ და მანამ არ გამოეშვათ, სანამ მკვდარ ბიჭუნას არ გააცოცხლებდა. დიდხანს იჯდა ასე პოლიიდოსი აკლდამაში. ერთხელაც შეამჩნია, როგორ გამოცოცდა გველი და მისრიალდა მკვდარ ბიჭუნასთან; პოლიიდოსმა სასწრაფოდ იძრო მახვილი და განგმირა იგი. ცოტა ხანში იმავე ხვრელიდან მეორე გველი გამოსრიალდა და როცა შუაზე გაწყვეტილი თანამოძმე დაინახა, უკან გაბრუნდა. მალე ისევ გამოჩნდა, პირით რაღაც ბალახი მოჰქონდა. ეს ბალახი მოკლულს მიუსვ-მოუსვა და წამსვე გააცოცხლა. გაოცებული პოლიიდო-

სი ადგილზე გაშეშდა, მერე გახარებულმა ხელი სტაცა ჯადობალახს, ბიჭუნას შეახო და გააცოცხლა.

მინოსმა რომ თავისი შვილი კვლავ ცოცხალი იხილა, სიხარულით ცას ეწია და პოლიიდოსი გულუხვად დაასაჩუქრა. თუმცა, როცა მისანმა თავის სამშობლოში დაბრუნება დააპირა, მინოსი მის სურვილს წინ აღუდგა და განუცხადა, რომ იქამდე არ მისცემდა შინ წასვლის უფლებას, სანამ გლავკოსს მისნობის ხელოვნებას არ შეასწავლიდა. მასაც სხვა რა გზა ჰქონდა, მინოსის ნებას დაჰყვა, სასახლეში დარჩა და ბიჭს მისნობა შეასწავლა; მაგრამ არგოლისში გამგზავრების წინ, გამომშვიდობების ჟამს, უბრძანა მოწაფეს, რომ მისთვის სახეში შეეფურთხებინა; შეგირდმაც შეასრულა მასწავლებლის ბრძანება და რაც კი მისგან ესწავლა, წამსვე დაავიწყდა.

## ანდროგეოსი

მინოსის ვაჟი ანდროგეოსი მარათონის ხართან ბრძოლაში დაიღუპა მსგავსად სხვა მამაცი და მშვენიერი ჭაბუკებისა, რომლებიც დიდი შემართებით მიდიოდნენ ხართან საბრძოლველად, მაგრამ ცოცხალი მერე ველარავინ ბრუნდებოდა შინ. ანდროგეოსის დაღუპვა ათენის მეფის ეგევსის ბრალი იყო. უცხო ქვეყნის უფლისწული სწორედ მან გაგზავნა ხარის მოსაკლავად. მინოსს მაშინ შეატყობინეს ვაჟის დაღუპვის ამბავი, როცა იგი კუნძულ პაროსზე ქარიტებს მსხვერპლს სწირავდა; შვილის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, ხელიდან გაუვარდა ყვავილწნულები და ფლეიტისტებს უბრძანა, დაკვრა შეეწყვიტათ; მაგრამ მსხვერპლშეწირვის რიტუალი მაინც ბოლომდე აღასრულა. როგორც ამბობენ, მას მერე კუნძულ პაროსზე მსხვერპლშეწირვა ყვავილებისა და მუსიკის გარეშე ხდება.

## არიადნე

არიადნე მინოსის მშვენიერი ასული იყო. უფრო ქვემოთ ჩვენი წიგნის ფურცლებზე თქვენ გაეცნობით თესევსის საგმირო ამ-

ბებს ვრცლად და ამომწურავად, ამიტომ აქ აღარ შევუდგებით იმის მოყოლას, თუ როგორ გაუმიჯნურდა კრეტაზე ჩასულ თესევსს არიადნე, ან როგორ მოკლა თესევსმა საშინელი მინოტავროსი.

მინოტავროსის მოკვლის შემდეგ კი შეყვარებულები – თესევსი და არიადნე ხომალდში ჩასხდნენ და ერთად გაეშურნენ ათენისაკენ; მაგრამ ერთ დილას, არავინ იცის ზუსტად რატომ ან რისთვის, თესევსმა ბრძანება გასცა, რომ მძინარე არიადნე ხომალდიდან უკაცრიელ კუნძულზე გადაეყვანათ და მარტო დაეტოვებინათ. ეს იყო კუნძული ნაქსოსი.

დილის ნიავმა და გარიჟრაჟის სუსხმა მძინარე ქალი უსიამოდ გამოაღვიძა. როცა ირგვლივ მიმოიხედა, ეუცხოვა, მის გვერდით არავინ იყო; მარტო, სულ მარტოდმარტო იწვა სადღაც, არკი იცოდა – სად. ელდამ და შიშმა ადგილიდან წამოაგდო, თურმე ზღვის ნაპირზე იყო, ყვირილი მორთო: „თესევს, საყვარელო, სად ხარ?“ არავინ გამოხმაურებია, მხოლოდ შორიდან მთები გამოსცემდნენ ექოს, ყრუდ იმეორებდნენ ძვირფას სახელს: „თესევს! თესევს!“ მერე ზღვის სილურჯეში უეცრად დალანდა ნაცნობი ხომალდის აფრები, თავშალი მოიძრო და დიდხანს, დიდხანს იქნევდა, თან ულონო ხმით იმეორებდა საყვარელ სახელს. მისი ხმა არავის გაუგონია. ერთადერთი იმედი – ხომალდის მოფრიალე აფრაც თვალს მიეფარა. დიდხანს ტიროდა და მოთქვამდა, ხან ხელებს ისევ ზღვისკენ იწვდიდა, თითქოსდა შეყვარებულს დაბრუნებას ეხვეწებოდა. ბოლოს ხელები ულონოდ ჩამოუვარდა და უგონოდ ჩაიკეცა. როცა გონს მოვიდა, ირგვლივ მოცეკვავე მენადები და სატირები დაინახა. ულამაზესი ჭაბუკი მის თავთან დახრილიყო და რაღაცას ეჩურჩულებოდა, ცოლად გაყოლას სთხოვდა. ეს იყო დიდი დიონისე, ღვინისა და ვენახთა ღვთაება, რომელიც თავისი მხლებლებით თავზე დასდგომოდა გაოგნებულ არიადნეს. ქალს ვერ გაეგო, ცხადი იყო ყოველივე თუ სიზმარი. მალე სატირებმა და მენადებმა იგი ეტლში ჩასვეს, რომელშიაც ვეფხვები იყვნენ შებმულნი.

თესევსის მიერ მიტოვებული, სათაყვანო ღმერთის, დიონისეს ცოლი გახდა. ქორწილი კუნძულ ნაქსოსზე გადაიხადეს. როგორც ამბობენ, ამ კუნძულს ყურძნის ფორმა ჰქონდა.

როდესაც თესევსს პირველი ცოლი, ამორძალთა დედოფალი ანტიოპე მოუკვდა, მან, უკვე ხანში შესულმა, ხელმეორედ იქორწინა და ცოლად მინოსის ასული ფედრა შეირთო. ჩვენ აღარ შევუდგებით ფედრას სასიყვარულო ისტორიის თხრობას; ფედრას, ჰიპოლიტოსისა და თესევსის ამბავს თქვენ დაწვრილებით წაიკითხავთ ჩვენი წიგნის იმ თავში, სადაც თესევსის საგმირო თავგადასავლებია გადმოცემული.

მინოსის დანარჩენ ორ შვილზე — კატრევსსა და აკაკალისზე ბევრი არაფერი ვიცით. მითის მიხედვით, კატრევსი მამის სიკვდილის შემდგომ კრეტაზე გამეფდა. მას უწინასწარმეტყველეს, რომ ერთ-ერთი შვილის ხელით სიკვდილი ეწერა. ამას რომ ასცდენოდა, თავისი ორი ქალიშვილი კრეტიდან გაირიდა, ხოლო მესამე ქალიშვილმა და ვაჟმა ალტემენოსმა თავიანთი ნებით დატოვეს კრეტა და საცხოვრებლად კუნძულ როდოსზე გადასახლდნენ. ერთხელ ღრმა სიბერეს მიწევნილ კატრევსს ვაჟიშვილი უზომოდ მოენატრა და ყველასათვის მოულოდნელად მის სანახავად კუნძულ როდოსზე გაემგზავრა. იქაურმა მწყემსებმა ნაპირს მომდგარი უცნობი ხომალდი რომ დაინახეს, სამეკობროდ მოსული ეგონათ და იქიდან გადმოსულთ ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ალტემენოსიც იქ გაჩნდა, რათა მწყემსებს მეკობრეებთან ბრძოლაში მიხმარებოდა. მან ვერ იცნო მამა და ჰოროლით განგმირა მოხუცი. როცა გაირკვა, თუ ვინ იყო მოკლული, შეძრწუნებულმა ღმერთებს შეჰღაღადა — მიწამ მიყოს პირიო. მართლაც, გადაიხსნა მიწა და მამისმკვლელი თან ჩაიტანა.

აკაკალისი იყო პირველი მოკვდავი ქალი, რომელიც დიად აპოლონს შეუყვარდა. საზარელი პითონის მოკვდინების შემდეგ აპოლონი განსაწმენდად კრეტას ჩასულიყო. იქ მან ნახა აკაკალისი და ტრფიალებით აღეგზნო ქალის მიმართ. შეყვარებულმა ღმერთმა აცდუნა ქალწული და მასთან სასიყვარულო სარე-

ცელი გაიზიარა. მინოსმა ეს ამბავი რომ შეიტყო, სასტიკად განრისხდა და თავისი ქალიშვილი კრეტიდან ლიბიაში გააძევა.

## მინოსის ძალაუფლება

მინოსი მძლეთამძლე მბრძანებელი შეიქმნა. მან აღკვეთა ხმელთაშუა ზღვაზე მეკობრეთა თარეში და იქ თავისი ძალაუფლება დაამკვიდრა.

როცა მინოსმა შეიტყო, რომ მისი ვაჟი ანდროგეოსი ათენელებმა მოკლეს, შურისძიებით ანთებულმა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და ათენისკენ გაეშურა. იგი დიდი ფლოტით მიადგა ათენს, მაგრამ ქალაქი ვერ აიღო და გადაწყვიტა, ჯერ მისი მოკავშირე ქალაქები დაელაშქრა. მან დაიპყრო მეგარა, სადაც მეფობდა ნისოსი – ეგევსის ძმა. პანდიონის ამ ვაჟს თმაში ერთი მეწამული კულული ჰქონდა, რომელიც უკვდავებას ანიჭებდა. და სანამ ეს კულული თავზე ექნებოდა, მისი მშობლიური ქალაქი არ დაეცემოდა. ნისოსის მეფის ასული სკილა სიყვარულით აენთო მინოსის მიმართ, როგორც კი თვალი მოჰკრა მას. იგი მოხიბლა მინოსის ვაჟკაცურმა გარეგნობამ და მეომრულმა ძალმოსილებამ. სკილა ღამით ჩუმად მიეპარა მძინარე მამას და სასწაულებრივი კულული მოაკვეცა, თან ქალაქის კარიბჭის გასაღები ამოაცალა. მერე უკუნ ღამეში ქალაქიდან გაიპარა და ერთიცა და მეორეც მინოსს გადასცა. ამის სანაცვლოდ კი მინოსს სიყვარული მოსთხოვა. მეფე სიხარულით დაეთანხმა და იმ ღამესვე აიღო ქალაქი. ნისოსი ამ ბრძოლაში დაიღუპა. მინოსმა სკილას სიტყვა შეუსრულა და მასთან სარეცელი გაიზიარა, მაგრამ მამის მოღალატე ქალის შერთვა აღარ ისურვა. და როცა თავისი ხომალდებით დაპყრობილი ქალაქიდან მიემგზავრებოდა, ქალი ნაპირზე დატოვა, თან არ წაიყვანა. გაშმაგებული სკილა ზღვაში გადაეშვა და ცურვით დაედევნა, დაეწია მინოსის ხომალდს, კიჩოს მაგრად ჩაებღაუჭა და ხომალდზე

ასვლას ლამობდა; მაგრამ უეცრად არწივად ქცეული მამის სული დააცხრა, ბრჭყალები ჩაასო და კორტნა დაუწყო. სკილამ უნებურად ხელი უშვა ხომალდის კიჩოს და ზღვაში დაინთქა. მისი სული კი რომელიღაც უცნაურ ფრინველად — გულთეთრა და წითელფეხება ფრთოსნად გადაიქცა. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ეს იყო ჩიტი კირისი.

ამის შემდეგ მინოსი ათენისკენ გაიჭრა. დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა მინოსსა და ათენელებს შორის, დასასრული არ ჩანდა. მაშინ მინოსი გულმხურვალედ შეევედრა ზევსს, ნუ გაამარჯვებინებდა და აზეიმებდა ათენელებს, ნუ შეარჩენდა მათ მისი შვილის სიკვდილს, დაესაჯა ისინი და ქვეყანაზე სამართალი დაემყარებინა. ზევსმა შეისმინა მისი ვედრება და მთელ ელადას დიდი მიწისძვრა და საშინელი შიმშილობა თავს დაატეხა. ქალაქ-სახელმწიფოთა მესვეურებმა დელფოს სამისნოს მიაშურეს იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა დაეხსნათ თავი ამ უბედურებისგან. პასუხი ასეთი იყო: მთელი ელადის სახელით ეაკოსს ღმერთებისთვის ლოცვა-ვედრება უნდა აღევლინა; როგორც კეთილშობილ და სამართლიან მსაჯულს, უნდა ეთხოვა მათთვის, რისხვა დაეცხროთ და შეებრალებინათ ელადის მცხოვრებნი. როცა მან ეს აღასრულა, საბერძნეთის ყველა მხარეში, გარდა ატიკისა, შეწყდა მიწისძვრა; ატიკა კვლავ გმინავდა და ძრწოდა. სასოწარკვეთილმა ათენელებმა გადაწყვიტეს ქვესკნელის დედოფლისთვის — პერსეფონესთვის მსხვერპლად შეეწირათ ჰიაკინთოსის ქალიშვილები. ასეთი დიდი მსხვერპლის მიუხედავად მიწისძვრა მაინც არ წყდებოდა. დელფოს მისანმა ათენელებს განუცხადა, რომ ამ უბედურებას დასასრული მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუკი ისინი მინოსს დაუყოვნებლივ შეუსრულებდნენ, რასაც მოისურვებდა. მან კი მოითხოვა, ყოველ მეცხრე წელიწადს ხარკის სახით გაეგზავნათ კრეტაზე მინოტავროსისთვის შვიდი ჭაბუკი და შვიდი ქალწული; როცა იგი შინ დაბრუნდა, გამარჯვების სამადლობელად ჰეკატომბე (ასი ხარის შესაწირავი) მიუძღვნა ღმერთებს.

## დედალოსი და იკაროსი

დედალოსი — პირველი დიდი ხელოვანი, ერთსა და იმავე დროს იყო მხატვარიც, მოქანდაკეც, ხუროც, კვერითხუროც და ხურომოძღვარიც. მას მიეწერება მრავალი სამუშაო იარაღის გამოგონება, მათ შორის ცულისა და მოქანდაკის საჭრეთლისა. თეთრი მარმარილოსგან გამოთლილი მისი ქანდაკებები მნახველთა საოცარ აღტაცებას იწვევდა, ასე ეგონათ — სული უდგათ და ახლავ ამოძრავდებიანო.

დედალოსი ათენის მეფის, ერეხთევსის ჩამომავლად ითვლებოდა. მას ერთი ღირსეული შეგირდი ჰყავდა, თავისი დისწული ტალოსი. იგი ბავშვობიდანვე აოცებდა ყველას ნიჭიერებითა და გამომგონებლობის უნარით, ჯერ კიდევ თორმეტი წლისამ ხერხი და სახაზავი იარაღები გამოიგონა. სახელგანთქმულ და აღიარებულ ოსტატს გულის სიღრმეში შურდა თავისი შეგირდისა, შიში ჰქონდა — მალე მეც არ გადამამეტოსო და გადაწყვიტა დაეღუპა იგი.

ერთხელ დედალოსი და ტალოსი ათენის აკროპოლისზე იდგნენ და ქალაქს გადასცქეროდნენ. მოულოდნელად ოსტატმა ხელი ჰკრა შეგირდს და კლდიდან გადაჩეხა. დედალოსს ეგონა, რომ მისი შეცოდება დაუსჯელი დარჩებოდა, რადგან ირგვლივ არავინ იყო. ჩუმად ჩაიპარა ქვევით, რათა ტალოსის ცხედარი შეუმჩნევლად დაემარხა, მაგრამ ათენელებმა წაასწრეს იმ დროს, როცა იგი გამალებით თხრიდა საფლავს, და მისი ბოროტმოქმედება გამჟღავნდა. არეოპაგოსმა დედალოსს სიკვდილი მიუსაჯა, ხოლო მისმა დამ, როცა შვილის დაღუპვის ამბავი გაიგო, თავი ჩამოიხრჩო. დედალოსი სიკვდილის თავიდან ასაცილებლად ათენიდან გაიქცა და თავი კრეტას შეაფარა. ტალოსის გვამი კი იქვე დაკრძალეს. ამბობენ, ბიჭის სული სხეულიდან რომ გამოფრინდა, კაკბად იქცაო.

მეფე მინოსმა დიდი სიხარულით მიიღო სახელოვანი ოსტატი და სასახლეში დააბინავა. არაერთი განუმეორებელი ხელოვნების ქმნილება შეუქმნა მან კრეტის მძლეთამძლე განმგე-

ბელს. მასვე აუგო კრეტის ცნობილი ლაბირინთი მინოტავროსის გადასამალად.

ერთხანს მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობდა დედალოსი კრეტაზე, ვიდრე მინოსი შეიტყობდა, რომ თურმე ოსტატს თავისი ხელით გამოეთალა პასიფაესთვის ხის ძროხა, რომლის მეშვეობითაც ქალმა შეძლო თეთრ ხართან თავისი ვნებების დაცხრობა. პასიფაესთან თანამზრახველობა ძვირად დაუჯდა დედალოსს. მინოსმა იგი შეაპყრობინა და ბორკილები დაადებინა. მაგრამ, როგორც ამბობენ, პასიფაემ მოახერხა, აეხსნა მისთვის ბორკილები, თუმცა კრეტიდან გაქცევა ძალზე რთული აღმოჩნდა – ზღვასა და ხმელეთზე თანაბრად მეფობდა მინოსი. დიდხანს ფიქრობდა ოსტატი, როგორ დაეღწია თავი კრეტის მბრძანებლისთვის და ბოლოს მოიფიქრა: თუ იგი მას ხმელეთსა და ზღვაზე ვერ გაექცეოდა, ცა ხსნილი იყო მისთვის! დედალოსი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს, შეაგროვა ბუმბული, ერთმანეთს ცვილით მიამაგრა და ოთხი დიდი ფრთა დაამზადა. სანამ მუშაობდა, იკაროსიც იქვე იყო და დათამაშობდა – ხან დაიჭერდა ბუმბულს და ხანაც ხელს შეუშვებდა, ხან კიდევ პატარა ხელებით თვითონაც ზელდა ცვილს. როცა მამამ დაასრულა სამუშაო, თავისი ფრთები ზურგზე მიიმაგრა და ჰაერში აფრინდა. გაოცებული ბავშვი უყურებდა, თუ როგორ ნავარდობდა მამა ჰაერში, მერე დაეშვა ძირს და ვიდრე გაფრინდებოდნენ, იკაროსი დაარიგა: „ჩვენ ახლა დავტოვებთ მიწას და შორს გავფრინდებით! ფრენის დროს ფრთხილად უნდა იყო, ძალზე ახლოს ნუ იფრენ ზღვასთან, წყლის შხეფებმა რომ არ დაგისველონ ფრთები! მზესაც ერიდე, მოშორებით იფრინე! მზის მცხუნვარებამ ცვილი არ დაადნოს და ბუმბული არ შემოგეცალოს! ჩემს კვალდაკვალ იფრინე, ნუ ჩამომრჩები! მამა-შვილი მალე მსუბუქად აფრინდა ჰაერში. მწყემსებმა და მეთევზეებმა რომ თვალი მოჰკრეს, ღმერთებს მიამგვანეს, ეგონათ, ორი ღმერთი ცაში კამარას უვლისო. დედალოსი დროდადრო უკან იხედებოდა, რათა ენახა, როგორ მოფრინავდა იკაროსი. მათ გადაუფრინეს კუნძულებს – ნაქსოსს, პა-

როსსა და დელოსს და ერთხანს მშვიდად მიფრინავდნენ, მაგრამ იკაროსმა მალე დაივიწყა მამის დარიგება, ამ უცნაურმა მოგზაურობამ მეტად გაალაღა და გაახალისა. სულ უფრო მძლავრად და მძლავრად იქნევდა იგი ფრთებს და მაღლა-მაღლა მიფრინავდა. ცოტაც და ხელით შეეხებოდა მზეს, მაგრამ ამასობაში მზის მწველმა სხივებმა ცვილი დაადნეს, ფრთები დაიშალა, ბუმბული აქეთ-იქით დაიფანტა. ამაოდ იქნევდა ბიჭი ხელებს, უფრთო მკლავებმა ვეღარ ზიდეს სხეულის სიმძიმე. იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. როცა დედალოსმა უკან მოიხედა და ბიჭს დაუძახა, არავინ გამოპასუხებია. მაშინ უფრო ხმამაღლა უწყო ძახილი: „იკაროს, იკაროს, სად ხარ?“ – პასუხი არსაიდან. თვალი მოჰკრა მამამ ზღვის ტალღებზე მოფარფატე ბუმბულს და ყველაფერს მიხვდა. იკაროსის ცხედარს კი დიდხანს დააქანებდა წყალი აღმა-დაღმა, ბოლოს ნაპირზე გამორიყა. შვილის ცხედარი თავად მამამ დაკრძალა იქვე, კუნძულზე, რომელიც ახლა იკარიად იწოდება. იმ ზღვას კი იკაროსის ზღვა შეერქვა. ამბობენ, თურმე როცა დედალოსი შვილის საფლავთან მწუხარედ იჯდა, მახლობლად, მუხის ტოტზე, კაკაბი ჩამოჯდა და მხიარულად აკაკანდა.

დედალოსმა გზა ფრენით განაგრძო, დიდხანს იფრინა და ბოლოს სიცილიას რომ მიაღწია, ძირს დაეშვა. იქ დასახლდა მეფე კოკალოსის სამეფოში. მეფემ სიხარულით მისცა თავშესაფარი უბრწყინვალეს ხელოვანს, მისი ქალიშვილებიც აღტაცებით შეეგებნენ ოსტატს. მინოსმა კი ამასობაში დიდი ფლოტით გამოსწია დედალოსის საძებნელად. მას თან ტრიტონის ნიჟარა დაჰქონდა და სადაც მივიდოდა, რომელ სამეფოშიც შეჩერდებოდა, ყველას ამ ნიჟარას აჩვენებდა და დიდი გასამრჯელოს ფასად ითხოვდა, რომ მასში ძაფი გაეყარათ. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ დარწმუნებული იყო, ამ გზით დედალოსის კვალს უთუოდ მიაგნებდა, რადგან მხოლოდ დედალოსივით გონიერი ოსტატი თუ შეძლებდა ნიჟარაში ძაფის გაყრას. როცა კოკალოსის სამეფოში ჩავიდა, მან იქაურ მეფესაც იმავე თხოვნით მიმართა. მეფე კოკალოსმა

კი, რა თქმა უნდა, რჩევა დედალოსს ჰკითხა. ოსტატმა მოიფიქრა, თუ როგორ უნდა გაეყარა ნიჟარაში ძაფი და როცა მეფემ ძაფგაყრილი ნიჟარა მინოსს უჩვენა, კრეტის მძლეთამძლე მბრძანებელს ეჭვი აღარ შეჰპარვია, რომ მისგან გამოქცეული ოსტატი კოკალოსის კარზე იმყოფებოდა. მან მოსთხოვა მეფეს, მიეგვარა მისთვის ლტოლვილი ხელოვანი. მეფის ქალიშვილებს სასტიკად არ უნდოდათ დედალოსის სასახლიდან გაშვება. იგი ხომ მათ უმშვენიერესი ხის თოჯინებით დღენიადაგ ართობდა. და ამიტომაც ისინი დედალოსს მინოსის წინააღმდეგ შეეთქვნენ. ქალიშვილების რჩევით, მამამ კრეტის მბრძანებელს აღუთქვა, რომ ხელოვანს შინ გაატანდა და მინოსის პატივსაცემად სასახლეში დიდი წვეულება გამართა. გონიერმა ოსტატმა კი უცებ მოიფიქრა, როგორ უნდა მოეღო ბოლო მინოსისათვის. მან სახურავიდან სააბაზანოში მილი გაიყვანა და როცა მინოსი ბანაობდა, მილით მდუღარე გადაასხა და დამდუღრა. მინოსმა სული განუტევა, კოკალოსმა კი კრეტელებს განუცხადა, რომ მეფე უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, რადგან ბანაობის დროს შემთხვევით ფეხი დასცდენოდა და ადუღებული წყლით სავსე ქვაბში ჩავარდნილიყო. ასე იყო თუ ისე, მინოსი დიდი პატივით დაკრძალეს აფროდიტეს ტაძარში, შემდეგ კი მისი ცხედარი კრეტაზე გადაასვენეს. გადმოცემის თანახმად, დედალოსი დიდხანს ცხოვრობდა სიცილიაში, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ათენში დაბრუნების ნება მისცეს, და მან იქ დაუდო სათავე დიადი მხატვრების – დედალიდების მოდგმას.

# ❸ კორინთოელი გმირები

## სისიფოსი (სიზიფე)

სისიფოსი – ქართა მბრძანებლის, ეოლოსის შვილი – მორჭმულად და ბედნიერად მეფობდა კორინთოში, რომლის დამაარსებლადაც თავად ითვლებოდა. მას ცოლად მშვენიერი მეროპე

ჰყავდა, იგი პლეადების დად იწოდებოდა. სხვა პლეადები, ყველანი უკვდავი ღმერთების ცოლები იყვნენ, მხოლოდ მეროპე გაჰყვა მოკვდავ სისიფოსს, რადგან უზომოდ უყვარდა.

თავისი ჭკუა-გონებისა და მოხერხებულობის გამო სისიფოსი გამორჩეული იყო მოკვდავთა შორის. ამას ღმერთებიც ხედავდნენ და ხშირად პატიჟებდნენ ხოლმე თავიანთ ნადიმებზე; სისიფოსი მათ საიდუმლოებებსაც ისმენდა და, ასე განსაჯეთ, ხშირად ბრძნულ რჩევებსაც აძლევდა. ერთი სიტყვით, იგი ღმერთებს გამორჩეულად უყვარდათ და აფასებდნენ. აი, რას ჰყვებიან მისი მახვილგონიერების დასტურად: მას ჰყავდა მეზობელი ავტოლიკოსი, რომელიც ჰერმესის ძე გახლდათ. ჰერმესი, გარდა იმისა, რომ ღმერთების მაცნე და სულთა მეგზური იყო, ამავე დროს ქურდობის ღმერთადაც ითვლებოდა და თავის ვაჟს ამ საქმეში დიდი ნიჭი უბოძა. გასაოცარი სიმარჯვით შეეძლო ავტოლიკოსს ექურდა: შეუმჩნევლად, ყველასგან მოუხელთებლად ერთი საგანი მეორეთი შეეცვალა, შავი ცხოველი თეთრად ექცია, რქოსანი პირუტყვისთვის რქები გაექრო, რასაც ხელს შეახებდა, უხილავი გაეხადა.

ავტოლიკოსისა და სისიფოსის ნახირი ერთმანეთის გვერდიგვერდ ძოვდა. ხედავდა სისიფოსი, ნელ-ნელა როგორ თხელდებოდა მისი ჯოგი, როგორ აკლდებოდა ხარ-ძროხა და სამაგიეროდ როგორ იზრდებოდა მეზობლისა, ხედავდა, მაგრამ რა ექნა, შეუძლებელი იყო ჰერმესის ძის ქურდობაზე წასწრება. ერთხელაც გონება დაძაბა და მოიფიქრა: საქონლის ჩლიქებზე ამოკაწრა თავისი სახელის პირველი ასო, მაგრამ ავტოლიკოსმა ეს შეამჩნია და ასოები წაშალა. მაშინ მან ჩლიქის ძირზე ასოები უკუღმა ამოკვეთა და შიგ ტყვია ჩაასხა, რომელიც სიარულის დროს ნაფეხურებზე წარწერას ტოვებდა: „ავტოლიკოსმა მომიპარა“. ამ ხერხმა გაჭრა, ქურდობის დიდოსტატს საქმეში წაასწრეს. ავტოლიკოსი ისე აღფრთოვანდა თავისი მომრევისა და მჯობნელის ნახვით, რომ მეგობრობა შესთავაზა და შინაც შეიპატიჟა. მასთან სტუმრობის დროს სისიფოსი შეიპარა ავტო-

ლიკოსის ქალიშვილის, ანტიკლეას ოთახში და აცდუნა იგი. იმასაც ამბობენ, რომ სისიფოსის გამჭრიახობით აღტაცებულმა ავტოლიკოსმა თავად შესთავაზა მას თავისი ქალიშვილი, სისიფოსმაც სიამოვნებით გაიზიარა სარეცელი ანტიკლეასთან და ამ კავშირის შედეგად დაიბადა ყველაზე ეშმაკი და მოხერხებული კაცი ამქვეყნად – ოდისევსი.

ერთხელაც ზევსი შემოსწყრა სისიფოსს და პირვანდელი კეთილგანწყობილება რისხვით შეუცვალა. ამის მიზეზი კი აი, რა იყო: ზევსს შეუყვარდა მდინარის ღვთაების, ასოპოსის ქალიშვილი ეგინა და ყველასგან უჩუმრად მოიტაცა. სისიფოსი ზეაწვდილ კლდეებში ცხოვრობდა. ამ კლდეებიდან კარგად ჩანდა სარონიული ზღვა და ზღვის უბე, და სისიფოსმა ყოველივე კორინთოს აკროპოლისიდან თავისი თვალით იხილა, რადგან ზევსი ძვირფასი ნადავლით სწორედ იმ ზღვის უბისკენ მიემართებოდა. მამა დიდხანს დაეძებდა დაკარგულ ასულს, სად არ იყო, რა არ იღონა, მაგრამ მის კვალს ვერა და ვერ მიაგნო. იგი სისიფოსსაც ესტუმრა და ამბავი ჰკითხა. მან კი მიუგო, რომ მანამდე არაფერს ეტყოდა, სანამ ამ უწყლო მიდამოში, კლდეებიდან პირენეს მშვენიერ წყაროს არ გადმოადენდა. ასოპოსმა სასწრაფოდ შეუსრულა თხოვნა და სისიფოსმაც პირობა არ დაურღვია, უამბო თავისი თვალით ნანახი და გაამხილა ეგინას მომტაცებელი. მაგრამ უსიამო მზირმა ამით თავს ზევსის რისხვა დაიტეხა. ღმერთთა მეუფემ სიბრაზით თვალებიდან ცეცხლი ჰყარა და სისიფოსს სიკვდილი მიუსაჯა. მან გაუგზავნა სიკვდილის ღმერთი თანატოსი, რომელსაც იგი ჰადესში უნდა ჩაეყვანა. მაგრამ სისიფოსი რისი სისიფოსი იყო, რომ ბედს ასე იოლად დამორჩილებოდა. მან სიკვდილის ღმერთიც მოატყუა. მოატყუა და თავისთან ბორკილშესხმული და დატყვევებული ჰყავდა. ქვეყანაზე აღარავინ კვდებოდა, დაირღვა ზევსის მიერ დაწესებული წესრიგი, აირია ყველაფერი. მაშინ მამა-მეუფემ ომის მრისხანე ღმერთი არესი გაგზავნა თანატოსის გასათავისუფლებლად და სამყაროში

წესრიგის აღსადგენად, თან ისიც უბრძანა, სისიფოსი დაუყოვნებლივ ჰადესში ჩაეყვანა. არესმა შეასრულა ყოველივე: თანატოსი ბორკილთაგან გაათავისუფლა, სისიფოსი შეიპყრო და ქვესკნელის გზას გაუყენა. მაგრამ მან ამჯერადაც მოახერხა და მოაღორა ღმერთები. წასვლისას თავის ცოლს, მშვენიერ მეროპეს დაუბარა, მისი ცხედარი არ დაეკრძალა და არც მსხვერპლი შეეწირა მიწისქვეშეთის ღმერთებისთვის. მეროპემაც შეუსრულა თხოვნა ძვირფას მეუღლეს. დიდხანს ელოდნენ ჰადესი და პერსეფონე შესაწირავ მსხვერპლს, მაგრამ ამაოდ. მუდარით მიეჭრა მათ სისიფოსი და შესთხოვა, ცოტა ხნით აეშვათ სამზეოზე, რათა თავისი თავგასული ცოლი აელაგმა და ყველაფერი მოეწესრიგებინა: ცხედარი დაემარხვინებინა და მსხვერპლშეწირვა აღესრულებინა. ამის შემდეგ იგი გულდამშვიდებული მოკვდებოდა. მოტყუვდნენ ჰადესი და პერსეფონე, შეებრალათ პატივაყრილი მეფე და გაუშვეს ცოტა ხნით. მიმავალმა სისიფოსმა ქვესკნელის ღმერთებს და მათ შვილს, ძაგრევსს გამომშვიდობებისას ხელი დაუქნია, „ნახვამდის" ნაცვლად „აღარ ნახვამდის" დაუძახა და ისე გაეცალა იქაურობას. ცოტა ხნით გამოშვებულს აღარც უფიქრია უკან დაბრუნება. იჯდა და ილხენდა თავის დიდებულ დარბაზებში. სისიფოსმა იმდენ ხანს იცოცხლა, რომ ბოლოს სიბერისგან დაუძლურებული გარდაიცვალა. მხოლოდ ამ გზით მოხერხდა მისი ჰადესში გასტუმრება, როგორც იქნა იგი ჰერმესმა ჩააცილა საუკუნო სამყოფელში.

მძიმე სასჯელს იხდის სისიფოსი იმქვეყნად მთელი თავისი ნაეშმაკარისა და ცოდვებისათვის, რაც მან ამქვეყნად ჩაიდინა. მიცვალებულთა სამეფოს მსაჯულებმა ასეთი განაჩენი გამოუტანეს: მან უზარმაზარი ლოდი უნდა ააგოროს მთის მწვერვალზე (იმხელა ლოდი, რამხელადაც ზევსი გადაიქცა, როდესაც ასოპოსს დაემალა). დიდი ვაი-ვაგლახითა და ტანჯვა-წვალებით მიაგორებს იგი ამ ლოდს მთის მწვერვალისაკენ, მაგრამ, როცა უკვე თითქმის ასულია და მიზანიც თითქმის მიღწეულია, უეცრად მოწ-

ყდება ლოდი, გაუსხლტება ხელიდან და ქვევით, მთის ძირისკენ მიგორავს. სისიფოსიც უკანვე ჩადის ოხვრითა და ვაებით, რათა დაკისრებული საქმე თავიდან დაიწყოს. ეგებ ამ ჯერზე მაინც სრულქმნას, მაგრამ არა და არა! როგორც კი მიუახლოვდება მწვერვალს, ქვა ისევ ხელიდან უცურდება და ქვევით მიგორავს.

## გლავკოსი

სისიფოსს მეროპესგან ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად გლავკოსი. იგი თებეს მახლობლად, პოტნიაში ცხოვრობდა. გლავკოსმა საუკეთესო ცხენების დიდი რემა მოაშენა და მათ მოვლა-პატრონობაზე იყო გადაგებული. ერთხელ რჩეული ფაშატების რემა ცალკე გამოყო და მათზე ულაყთა მიშვება აკრძალა – რაკი აღარ დამაკდებიან, უფრო ფეხმალნი და მარდები შეიქმნებიან და ეტლთა შეჯიბრებაზე ყოველთვის გამარჯვებას მომიტანენო. ეს კი მისი ყველაზე სანუკვარი მიზანი იყო, მისი ყველაზე საყვარელი საქმე. არადა, ამ აკრძალვით მან აბუჩად აიგდო აფროდიტეს ძალმოსილება, შეურაცხყო სიყვარულის ქალღმერთი. ამასაც არ დასჯერდა, გამარჯვების წადილით ალტკინებულმა ყოველგვარ ზნეობას გადააბიჯა: იგი თავის ცხენებს კაცის ხორცით კვებავდა, რომ იქნებ მაგიური ძალით კაცის საზრიანობაც გადასცემოდათ.

აღშფოთებულმა აფროდიტემ ეს ამბავი ზევსს შესჩივლა. მამა-მეუფემ სამართლიანად მიიჩნია ქალღმერთის აღშფოთება და ნება დართო, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა, ისე დაესაჯა თავხედი. ღამით აფროდიტემ უჩუმრად გამოიყვანა გლავკოსის ცხენები და თავის წმინდა ჭალაში შერეკა დასარწყულებლად. წყლით რომ გული იჯერეს, ცხენები მადიანად მიაძღნენ იქვე, საძოვარზე მობიბინე ჰიპომანს, ეს იყო ცხენთა ასახურებელი და გასაშმაგებელი ბალახი. აფროდიტემ იცოდა, რომ მალე ზღვის პირას, იოლკოსის მახლობლად, იასონს უნდა გაემართა გარდაცვლილი პელიასის პატივსაცემად თამაშობა-შეჯიბრებანი. და როდესაც გლავკოსი შეჯიბრებაზე გამოვიდა,

გახელებულმა ფაშატებმა გადააყირავეს ეტლი, სადავეებში გახლართული გლავკოსი დიდხანს ათრიეს, შემდეგ კი საკუთარი პატრონის ხორცს დააცხრნენ და ცოცხლად შეჭამეს. ასე გადაუხადა აფროდიტემ სამაგიერო თავის შეურაცხმყოფელს.

ამბობენ, გლავკოსის სული, რომელსაც ტარაქსიპოსი („ცხენთა შემშინებელი") შეერქვა, ერთთავად კორინთოს ისთმოსში დაძრწის და ისთმოსური თამაშობების დროს ცხენებს აფრთხობს, რასაც ხშირად საბედისწერო შედეგი მოსდევს.

## ბელეროფონი

ბელეროფონი – სახელმოხვეჭილი გმირი და უმშვენიერესი მოკვდავთა შორის. მისი მამა გლავკოსი იყო, პაპა – სისიფოსი, დედად კი ევრინომეს ასახელებენ. მამამისი კორინთოს მბრძანებელი იყო, მაგრამ შვილს მშობლიური მხარის დატოვება მოუხდა, რადგან შემთხვევით ვინმე ბელეროსი შემოაკვდა და ეს მეტსახელიც ამიტომ შეერქვა (ბელეროფონი – ბელეროსის მკვლელი). ჭაბუკმა თავშესაფარი სთხოვა ტირინსის მეფეს, პროიტოსს, და მანაც კეთილად ისტუმრა იგი, შეიფარა და ცოდვათაგან განწმენდის წესისგებაც აღუსრულა. მასპინძლის ცოლი, დედოფალი ანტეა, უზომოდ მოიხიბლა სტუმრის მშვენიერებით და სიყვარულის გრძნობით განიმსჭვალა. მან თავისი გრძნობების დაფარვა ვერ შეძლო და გაუმჟღავნა ბელეროფონს. ჭაბუკმა უარყო პროიტოსის ცოლის სიყვარული და თავი შორს დაიჭირა ვნებით ატანილი ქალისგან. ანტეა შეურაცხყო და გააგულისა მისმა საქციელმა. მან ქმართან ცილი დასწამა ბელეროფონს, თითქოსდა იგი მასთან ტრფობას ესწრაფოდა და მის შეცდენას ლამობდა. მართალია, მეფე სასტიკად განარისხა ამ ამბავმა, მაგრამ სტუმრის მოკვლა მაინც ვერ გაბედა, ეშინოდა სტუმარმასპინძლობის მფარველი ზევსის რისხვისა და გადაწყვიტა მასთან თავშეფარებული ჭაბუკი სხვაგვარად მოეცილებინა თავიდან. მან იგი ლიკიაში გაგზავნა თავის სიმამრთან, მეფე იობატოსთან და თან წერილი გაატანა, სადაც ეწერა: „სასწრა-

ფოდ გამოასალმე ეს მუხანათი წუთისოფელს, რადგან მან შეურაცხყო ჩემი ცოლი – შენი ქალიშვილი, და სარეცლის გაზიარება მოიწადინა მასთან".

იობატოსმა დიდი პატივით მიიღო სიძის გამოგზავნილი სტუმარი და ცხრა დღის განმავლობაში ლხინი არ შეუწყვეტია. მეფემ ის წერილი მხოლოდ მეათე დღეს წაიკითხა, როცა უკვე შეთვისებოდა ბელეროფონს, ამას გარდა, სტუმარმასპინძლობის წესის დარღვევასაც მოერიდა. მეფე საგონებელში ჩავარდა, ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ქიმერას მოსაკლავად გაეგზავნა. ქიმერა უსაშინლესი ქალი-ურჩხული იყო, ტიფონისა და ექიდნას შვილი, მას ლომის თავი ება და სამი ხახიდან ერთდროულად ცეცხლს აფრქვევდა, სხეულის ზემო ნაწილი თხისა ჰქონდა, ქვემო კი – დრაკონისა. სანამ საქმეს შეუდგებოდა, ბელეროფონმა მისან პოლიიდოსს ჰკითხა რჩევა: ქიმერას დასამარცხებლად აუცილებელი იყო ფრთიანი რაში პეგასოსი ჩაეგდო ხელთ და მოეთვინიერებინა, რადგან უმისოდ ამ დავალებას ვერ შეასრულებდა. პეგასოსი ჰელიკონის მუზათა უსაყვარლესი რაში იყო. ეს საოცარი ცხენი ხშირად მიდიოდა ხოლმე კორინთოს აკროპოლისზე პირენეს წყაროს წყლის დასალევად. სწორედ იმ ადგილას ნახა ბელეროფონმა პეგასოსი, მაგრამ როგორც კი გმირმა მასთან მიახლოება დააპირა, ცხენმა თავისი ფრთები მძლავრად მოიქნია და ღრუბლებში აიჭრა. კიდევ ბევრჯერ შეეცადა ბელეროფონი პეგასოსის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ვერ იქნა და საწადელს ვერ ეწია. გამოსავალი ისევ მისანმა პოლიიდოსმა აპოვნინა: მისი რჩევით სწორედ იმ ადგილას დაწვა დასაძინებლად, სადაც პირველად პეგასოსი იხილა – ათენა პალასის სამსხვერპლოსთან. მისანს იმედი ჰქონდა, რომ გმირი ძილში ღმერთებისგან უთუოდ შეიტყობდა, თუ როგორ მოეხელთებინა მფრინავი რაში. მართლაც, მას ძილში ათენა გამოეცხადა, ოქროს ლაგამი გადასცა და უბრძანა, პოსეიდონისთვის მსხვერპლი შეეწირა. როცა ჭაბუკმა თვა-

ლი გაახილა და ძილიდან გამოერკვა, ნახა, რომ ოქროს ლაგამი მართლაც თავთით ედო. მალე კვლავ მოფრინდა პეგასოსი წყაროსთან წყლის დასალევად, მარჯვედ შეახტა ბელეროფონი მას ზურგზე და ათენას ნაჩუქარი ლაგამი ამოსდო. თავიდან არ ნებდებოდა პეგასოსი, საოცარი სისწრაფით დაქროდა და მხედრის გადმოგდებას ლამობდა. ბოლოს დაემორჩილა და მას აქეთ მეგობრები შეიქმნენ. ფრთოსან რაშზე ამხედრებული გაფრინდა ბელეროფონი ლიკიის მთებისკენ, იქ, სადაც საზარელი ქიმერა ბუდობდა. საშინელი სანახავი იყო სამივე ხახიდან ცეცხლის მფრქვეველი არსება. ბელეროფონი პეგასოსით ჰაერში აიჭრა და იქიდან ისრების სეტყვა დაუშინა. გაშმაგებული ქიმერა კლდეებს ეხეთქებოდა, მისი ცეცხლი ირგვლივ ყველაფერს ნთქავდა, მაგრამ ბელეროფონი არ შემდრკალა, ისარი შიგ გულში უსწორა. ქიმერამ ერთი ამოიგრგვინა და მიწაზე უსულოდ დაეცა. გამარჯვებული ბელეროფონი დაბრუნდა იობატოსთან და დავალების შესრულება ახარა, მაგრამ მეფემ მაშინვე მეორე დავალება შეაგება — უძლეველ სოლიმებთან საომრად გაგზავნა. ბევრი გმირისთვის დაებნელებინათ მზე ამ უბადლო მეომრებს, მაგრამ ბელეროფონმა ამჯერადაც იმარჯვა; შემდეგ იობატოსმა იგი ამორძალებს შეარკინა. გმირი თავისი ფრთიანი პეგასოსით კვლავ ჰაერში აიჭრა, იქიდან ხან ისრებს და ხან დიდდიდ ლოდებს უშენდა მათ, სანამ ძლეულნი არ უკუაქცია. მერე მეფემ იგი კარიელ მეკობრეებთან საბრძოლველად გაუშვა, რომელთაც თავზეხელაღებული და მოურეველი ქიმაროსი მეთაურობდა. მაგრამ მოურეველის მომრევიც აღმოჩნდა ბელეროფონი, მან ქიმაროსსაც სძლია. როცა იობატოსმა ნახა, ბელეროფონი ყველა სახიფათო დავალებას იოლად ასრულებდა, გადაწყვიტა, დაბრუნებულისათვის ლიკიის უძლიერესი მეომრები ჩაესაფრებინა. ისინი უეცრად გამოუხტნენ საფრიდან გულდამშვიდებით მომავალ ჭაბუკს და მისი მოკვლა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, მათაც აჯობა გმირ-

თაგმირმა. ახლა კი იეჭვა ბელეროფონმა, იობატოსს ნამდვილად ჩემი დაღუპვა უნდაო, და, როცა საბოლოოდ დარწმუნდა თავისი ეჭვის სისწორეში, მისი დასჯა განიზრახა. ბელეროფონმა პოსეიდონს შესთხოვა: მომეცი იმის ძალა, რომ როცა მომესურვება, ადიდებული წყალი უკან გავიყოლოო. უნდოდა ვერაგი მეფის სამეფო დაეტბორა. პოსეიდონმა ეს ძალა უბოძა და როცა აბობოქრებული ტალღების თანხლებით გასწია იობატოსისკენ და ქსანთოსის ველი გადატბორა, ხალხს შიშის ზარი დაეცა. ვერც ერთმა კაცმა ვერ გაბედა წინ გადასდგომოდა. მაშინ იქაურმა ქალებმა კაბები აიკეცეს და ასე დაიძრნენ მის შესახვედრად. ისინი ემუდარებოდნენ მას, რომ რისხვა დაეცხრო და სანაცვლოდ თავს სთავაზობდნენ. ჭაბუკი სირცხვილეული გაეცალა ქალებს და წყალიც უკუიქცა.

იობატოსმა სიმართლე გამოიკვლია და შეიტყო, რომ ანტეა ცილს სწამებდა გმირს. მან პატიება სთხოვა სტუმარს და კეთილგანწყობის ნიშნად თავისი უმცროსი ქალიშვილი შერთო ცოლად, მზითვად კი ნახევარი სამეფო უბოძა.

ერთხანს ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობდა ბელეროფონი ლიკიაში, როგორც მისებრ სახელგანთქმულ გმირს შეეფერებოდა, პატივითა და დიდებით გარემოსილი. მას იობატოსის უმცროსი ქალიშვილისგან ორი ვაჟი და ერთი ასული ეყოლა. მაგრამ გმირმა ცხოვრება მაინც უბედურად დაასრულა, რადგან მეტისმეტად გაამაყდა, მოიწადინა ღმერთებს გატოლებოდა და თავისი პეგასოსით ოლიმპოსზე აჭრილიყო. როცა ცხენზე ამხედრებული ღმერთთა სამყოფლისკენ მიფრინავდა, ზევსის ნებით, პეგასოსი ბორამ დანესტრა. ცხენი დაფეთდა და მხედარი ძირს გადმოაგდო. დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნილი ბელეროფონი ეკალბარდებში ჩავარდა და გადარჩენით კი გადარჩა, მაგრამ დაბრმავდა, დაკოჭლდა და გონება შეერყა. მარტოსული დიდხანს დაეხეტებოდა ტყე-ღრეში და მოკვდავთა ბედს დასტიროდა, სანამ სიკვდილმა თავისთან არ მიიხმო.

# ❹ არგოსელი გმირები

## ინაქოსი, დანაოსი და დანაიდები

არგოლისის ერთ-ერთ უმშვენიერეს მდინარეს და მის ღვთაებას ინაქოსი ჰქვია. ტიტან ოკეანოსს თავისი დისგან, ტეთისისაგან, რომელსაც იგი შეეუღლა, ურიცხვი მდინარე შეეძინა, მათ შორის ინაქოსი.

ინაქოსი იყო არგოსის სახელგანთქმული მეფე, მას ჰყავდა შვილები: ულამაზესი იო, რომელსაც ზევსი ეტრფოდა, ფორონევსი, რომელიც პირველი ადამიანი იყო პელოპონესოსზე და ასთვალა არგუსი, რომელიც ეჭვიანმა ჰერამ იოს მიუჩინა მეთვალყურედ.

თქმულების მიხედვით, პოსეიდონსა და ჰერას ცილობა ჰქონდათ არგოლისის მიწისთვის, დავის გადასაწყვეტად მათ მეფე ინაქოსი მოიწვიეს, რომელმაც დავა ჰერას სასარგებლოდ გადაწყვიტა და არგოლისის მხარის მეუფება მას არგუნა. განრისხებულმა პოსეიდონმა დააშრო მდინარე ინაქოსი და არგოლისის მხარის სხვა მდინარეებიც. მას შემდეგ ზღვის ღვთაება ყოველ წელს აშრობს მდინარე ინაქოსს, თუმც მერე იგი წვიმების წყლით კვლავ ძალას იკრებს და ივსება.

დანაოსი ინაქოსის შთამომავალი იყო, ბელოსის ძე და ეგვიპტოსის ტყუპისცალი. ბელოსმა ვაჟებს სიცოცხლეშივე დაუნაწილა სამკვიდრო, დანაოსს ლიბია ერგო, ეგვიპტოსს კი მის აღმოსავლეთით მდებარე მიწები. ეგვიპტოსმა მალე ის მხარეც დაიპყრო და შემოიერთა, სადაც წყალუხვი მდინარე ნილოსი მიედინება და თავისი სახელის მიხედვით ეგვიპტე უწოდა. მამის სიკვდილის შემდეგ ძმები მაინც აეშალნენ მემკვიდრეობის გამო ერთმანეთს და მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. ბოლოს ეგვიპტოსმა ძმას შერიგება და შერიგების ნიშნად დამოყვრება შესთავაზა. ეგვიპტოსს ორმოცდაათი ვაჟიშვილი ჰყავდა, დანაოსს – ამდენივე ქალიშვილი და ყველა ისინი უნდა შეუღლე-

ბოდნენ ერთმანეთს. დანაოსმა ეს წინადადება უარყო, რადგან არ ენდობოდა ძმას და გული ეუბნებოდა, რომ მას რაღაც ბოროტი საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული. აკი დელფოს ორაკულს კითხვითაც მიმართა და მანაც ეჭვი დაუდასტურა, რომ ეგვიპტოსს განზრახული ჰქონდა მისი ქალიშვილების დაღუპვა. დანაოსმა გადაწყვიტა თავის ქალიშვილებთან ერთად გასცლოდა იქაურობას. ქალღმერთ ათენას დახმარებით მან პირველმა ააგო ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდი და დანაიდებთან ერთად გაცურა. მათ დიდხანს იცურეს ასე ღმერთებსა და ბედს მინდობილებმა და ბოლოს არგოლისის ნაპირებს მიადგნენ. არგოლისი მათი დიდი დედა-წინაპრის, იოს სამშობლო იყო, იმჟამად იქ მეფე გელანორი მეუფებდა. დანაოსმა მას განუცხადა, რომ არგოლისის პირველი მეფის, ინაქოსის შთამომავალი იყო და ამიტომაც სამეფო ტახტი მას – დანაოსს ეკუთვნოდა. გელანორს აზრადაც არ მოსვლია თავისი ტახტი დანაოსისთვის ნებით დაეთმო, თუმცაღა ხალხი მაინც შეკრიბა და დანაოსის სურვილი განუცხადა. საქმე, ალბათ, გელანორის სასარგებლოდ გადაწყდებოდა, ხალხის ნების გამოცხადება მეორე დღისთვის რომ არ გადადებულიყო. ღამით ქალაქის გალავანგარეთ მძოვარ ნახირს მგელი დაეცა და ნახირის წინამძღოლი დიდი ხარი დაფლითა. ხალხმა ეს ზეგარდმო ნიშნად ჩათვალა; მათი აზრით, მგელი – დანაოსი ბრძოლითა და სისხლისღვრით ბოლოს მაინც ეწეოდა მიზანს, და გადაწყდა – მეფედ დანაოსი გამოეცხადებინათ, გელანორს კი ტახტზე ნებაყოფლობით უარი ათქმევინეს. ტახტზე ახლად ასული მეფე სავსებით დარწმუნებული იყო, რომ იმ მგლად თავად აპოლონი გარდაისახა მის გასამეფებლად და მან აპოლონ ლიკეოსს, ანუ მგლოვან აპოლონს მადლობის ნიშნად არგოსში ტაძარი აუგო.

სახელოვანი მეფე შეიქნა დანაოსი, მორჭმულად, კეთილად და ბედნიერად მეფობდა. ხალხს ისე შეუყვარდა, რომ საბერძნეთის ყველა პელასგი მისი პატივისცემით თავის თავს დანაელს უწოდებდა.

მშვიდად ცხოვრება დიდხანს არ დასცალდათ დანაოსსა და დანაიდებს. ეგვიპტოსის ვაჟები შემოიჭრნენ არგოლისში და ქალაქ არგოსს გარს შემოეწყვნენ. სამეფოში სიმშვიდე რომ აღედგინა, მეფე იძულებული შეიქნა, ეგვიპტოსის ვაჟებისთვის თანხმობა განეცხადებინა, მაგრამ გულში სხვა განზრახვა ედო.

ქორწილის ღამეს დანაიდებმა, მამის ბრძანებით, საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. დანაოსმა ყოველ მათგანს ჩუმად თითო-თითო ხანჯალი ჩამოურიგა, რათა ღამით მძინარე ქმრებისთვის გულში ჩაეცათ.

ორმოცდაცხრა დანაიდამ შეასრულა მამის ნათქვამი, მხ. ლოდ ერთი აღმოჩნდა მამის ურჩი – ჰიპერმნესტრა, რომელსაც უკვე მოესწრო და შეჰყვარებოდა თავისი ქმარი. ამიტომაც სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა. მან იგი ჩუმად გაალვიძა და არგოსიდან გააპარა. ლინკევსმა არგოსთან მდებარე ერთ პატარა ქალაქს შეაფარა თავი, იქ, მაღალ კოშკზე კოცონი დაანთო და ცოლს გადარჩენა აუწყა. ჰიპერმნესტრამაც ლარისის მაღალი ციხე-კოშკიდან საპასუხო ნიშანი შეაგება ქმარს. ამის სამახსოვროდ არგოსელები ყოველ წლისთავზე ჭიაკოკონებს ანთებდნენ.

დანაოსის ბრძანებით, ჰიპერმნესტრას ბორკილები დაადეს და დილეგში ჩააგდეს. შეიკრიბა არგოსელ უხუცესთა საბჭო, რათა მოყვარული ცოლისთვის მსჯავრი გამოეტანა. განრისხებული მამა ქალიშვილის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. მაგრამ საქმეში სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე ჩაერია, იგი თავად წარდგა სამსჯავროს წინაშე, დაიცვა ჰიპერმნესტრა და სიკვდილს გადაარჩინა.

ზევსის ბრძანებით, ბოროტმოქმედების ჩამდენი დანაიდები ათენამ და ჰერმესმა ცოდვებისაგან განწმინდეს. დანაოსმა კი დიდი თამაშობები მოაწყო და გამოაცხადა, რომ ამ შეჯიბრში გამარჯვებულებს იგი თავის ქალიშვილებს ცოლად მისცემდა. მართლაც, გაიმართა თამაშობები და გამარჯვებულებმა დანაოსის ქალიშვილები ცოლად შეირთეს.

დიდხანს და მორჭმულად განაგებდა დანაოსი არგოსს, მაგრამ ლინკევსმა ბოლოს მაინც მოახერხა, შური ეძია. როგორც გადმოგვცემენ, მან დანაოსი და მისი ქალიშვილები, ჰიპერმნესტრას გარდა, სიცოცხლეს გამოასალმა და არგოსში თავად გამეფდა.

სიკვდილის შემდეგ დანაიდები ისჯებიან იმ ცოდვისათვის, რაც ამქვეყნად ჩაიდინეს. მათ უნდა პირთამდე აავსონ დიდი კასრი, მაგრამ კასრი ძირგავარდნილია და ვერ ივსება. ისინი კი იძულებულნი არიან ისევ და ისევ აკეთონ თავიანთი ამაო საქმე.

## ამიმონე

პოსეიდონმა არგოლისის მხარის ყველა მდინარე ერთბაშად დააშრო, რადგან განრისხებული იყო ინაქოსზე, რომელმაც ამ მხარის მეუფება ჰერას მიაკუთვნა.

საშინელი უწყლობა ჩამოვარდა არგოსში. დანაოსმა გაგზავნა თავისი ქალიშვილები, იქნებ როგორმე პოსეიდონის გული მოელბოთ და სადმე წყალი ეშოვათ. დებიც გაემართნენ მამის დავალების შესასრულებლად. დანაიდები ქალურ საქმეებზე მეტად სავაჟკაცო საქმეებში იყვნენ გაწვრთნილნი, ისინი ჩინებულად ჯირითობდნენ, ნადირობდნენ უღრან ტყეებში, საბრძოლო ეტლებითაც ვარჯიშობდნენ. ერთ-ერთ დანაიდას, სახელად ამიმონეს, ტყეში შესვლამ ნადირობა მოასურვა და როცა ირმის მოსაკლავად ისარი გატყორცნა, შემთხვევით მძინარე სატირს მოახვედრა. მას კი გამოეღვიძა და შემკრთალი ზეზე წამოხტა, მაგრამ მის წინაშე მდგარი მშვენიერი ასული რომ იხილა, ვნებით აენთო და მასთან ტრფიალი მოიწადინა. ამიმონემ ყვირილი მორთო, შველას ითხოვდა და თან ვნებისგან გამძვინვარებულ სატირს იგერიებდა. მის საშველად თვით პოსეიდონი მოიჭრა. ზღვის ღმერთმა თავისი სამკბილა ესროლა სატირს, რომელმაც მოასწრო გარიდება და სამკბილა კლდეს ჩაესო. თავად პოსეიდონიც მოიხიბლა ქალის სილამაზით და მასთან სარეცლის გაზიარება ინდომა. ამიმონე დაჰყვა მის ნებას, იმ იმედით, რომ მამის დავალებას შეასრულებდა. მან პოსეიდონს

სთხოვა, წყალი მიეცა არგოსის მხარისთვის. ზღვის ღმერთმა სამკბილაზე მიუთითა და შესთავაზა, ქალს თავისი ხელით გამოეძრო იგი კლდიდან. ამიმონე ასეც მოიქცა და კლდიდან სამნაკადოვანმა წყარომ გადმოხეთქა. წყაროს ამიმონეს სახელი ეწოდა. ამ წყაროდან მშვენიერი მდინარე იღებს სათავეს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებშიც მჩქეფარედ მოედინება.

## ❺ პერსევსი

### აკრისიოსი და პროიტოსი. დანაე. პერსევსის დაბადება

არგოლისის მეფე აბასი ისეთი სახელგანთქმული და უებრო მეომარი იყო, რომ მისი ფარის დანახვაც კი მტერს შიშის ზარს სცემდა. მან ცოლად ითხოვა აგლაე და ტყუპი ვაჟი შეეძინა: აკრისიოსი და პროიტოსი, რომლებსაც შუღლი და უთანხმოება დედის მუცლიდანვე დაჰყოლოდათ. სანამ პატარები იყვნენ, ერთთავად კინკლაობდნენ, როცა წამოიზარდნენ, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები შეიქმნენ. აბასმა სიკვდილის წინ თავისი სამეფო ორივე შვილს ჩააბარა და დაუბარა – თანხმობით ეცხოვრათ და მონაცვლეობით ემართათ იგი. მაგრამ მათ არ შეასრულეს მამის დანაბარები. ძმებს შორის შუღლი უფრო გამწვავდა, როცა აკრისიოსმა შეიტყო, რომ პროიტოსს შეეცდინა მისი ქალიშვილი დანაე და მასთან სასიყვარულო სარეცელი გაეზიარებინა. ავის მქმნელმა ძმამ დატოვა არგოლისის მხარე და ლიკიაში გაიქცა, სადაც შეირთო იქაური მეფის, იობატოსის ქალიშვილი ანტეა. მერე ლიკიის ჯარს სათავეში ჩაუდგა და თავისი სამშობლოსკენ წამოუძღვა, რათა ძმას შებრძოლებოდა და მამისეულ ტახტს მარტო დაპატრონებოდა. სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ვერც ერთმა ძმამ ვერ მოიპოვა გამარჯვება. სხვა გზა რომ აღარ ჰქონდათ, შეთანხმდნენ, მამის სამეფო ორად გაეყოთ. აკრისიოსს არგოსი და მისი შე-

მოგარენი ერგო, პროიტოსს – ტირინსი, მიდია და არგოლისის სანაპიროები. შვიდი გოლიათი კიკლოპი გამოჰყვა ლიკიიდან პროიტოსს; ისინი მშენებელ-კალატოზები იყვნენ და ტირინსის გარშემო უშველებელი კედლები აღმართეს. ეს კედლები იმოდენა ლოდებით იყო ნაგები, რომ თითოეულის აკიდება რამდენიმე სახედარს გაუჭირდებოდა.

აკრისიოსს ასული ჰყავდა, ვაჟი და გვარის გამგრძელებელი კი – არა. იგი მისანთან მივიდა იმის საკითხავად, ეყოლებოდა თუ არა ოდესმე მემკვიდრე. ორაკულმა მიუგო, რომ – არა, თან ისიც დასძინა – მის ასულს, დანაეს გაუჩნდებოდა ვაჟი, რომლის ხელით აკრისიოსს სიკვდილი ეწერა. ეს საშინელი ხვედრი რომ თავიდან აეცილებინა, მან თავისი ერთადერთი ქალიშვილი სპილენძის მაღალ კოშკში გამოკეტა და ორი უშველებელი ნაგაზი დაუყენა დარაჯად. დანაესთან შეღწევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ყოვლისმპყრობელ ზევსს შეუყვარდა აკრისიოსის ასული და ოქროს წვიმის სახით შეაღწია კოშკში. დანაეს ზევსისგან ვაჟი ეყოლა და მას სახელად პერსევსი დაარქვა. როცა აკრისიოსმა ვაჟის დაბადება შეიტყო, შეძრწუნდა; შვილისა და შვილიშვილის სისხლი ცოდვად რომ არ დასდებოდა, მან ისინი დიდ ხის სკივრში ჩასვა და ზღვას მისცა. დიდხანს იცურა სკივრმა, ბოლოს კუნძულ სერიფოსთან მიცურდა და იქაური მეთევზის, დიქტისის, ბადეში გაიხლართა. მეთევზემ სკივრი ნაპირზე ამოათრია, თავი ახადა და იქიდან ცოცხალმკვდარი დანაე და პერსევსი გამოიყვანა; დედა-შვილი თავის ძმას, მეფე პოლიდექტესს მიჰგვარა, რომლის კარზეც გაიზარდა სიკვდილს გადარჩენილი პატარა პერსევსი.

## პერსევსი სერიფოსზე

პერსევსი მეფე პოლიდექტესის კარზე გაიზარდა და დავაჟკაცდა. ვერც ძალ-ღონითა და სიმამაცით, ვერც სიმარჯვითა და სიჩაუქით სწორებში ტოლს ვერავინ უდებდა.

მეფე პოლიდექტესს დანაე გულში ჩავარდნოდა და ცოლად შერთვა ეწადა, მაგრამ ქალმა უარყო მისი სიყვარული, რადგან არაფრად იზიდავდა პირქუში და უხეში მეფე. პოლიდექტესი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა, ჯიქურ ლამობდა მიზნის მიღწევას და, მართალია, ქალზე ძალას არ ხმარობდა, მაგრამ ყველა სხვა ხერხითა და საშუალებით ცდილობდა, სიცოცხლე გაემწარებინა, რომ მისთვის დასტური გამოეძალა. როცა პერსევსი წამოიზარდა და სახელოვანი ვაჟკაცი შეიქმნა, პოლიდექტესი მიხვდა, რომ მის განზრახვას შესრულება არ ეწერა, თუკი პერსევსს თავიდან არ მოიშორებდა. გამართა წვეულება, შეკრიბა ყველა ახლობელი და ყასიდი სიტყვა განუცხადა, რომ ამიერიდან დანაეზე ხელს იღებდა და ოინომაოსის ქალიშვილის, ჰიპოდამეას შერთვას აპირებდა. ხოლო საცოლის წინაშე საკადრისი ურვადით რომ წარმდგარიყო, თითოეული წვეულისაგან საქორწინო საჩუქრად თითო ცხენს ითხოვდა: „იქ, ალბათ, ბევრი მთხოვნელი მოიყრის თავს; ჩემი სერიფოსი ერთი პატარა კუნძულია და მე არ მსურს, მათ შორის მათხოვრად გამოვჩნდე“. სულ პირველად ამ თხოვნით პერსევსს მიმართა, რომ მისთვის როგორმე პირობა ჩამოერთმია. არაფრის მქონე პერსევსს, აბა, რა უნდა ეძლვნა მეფისთვის. ჰოდა, რაკი პირობას ვერ შეუსრულებდა, სირცხვილეული იძულებული შეიქნებოდა, კუნძულს ჩუმად გასცლოდა და საბრალო დანაე პოლიდექტესისთვის შეეტოვებინა. პერსევსს ჯერ სინანულით უარი აღმოხდა, მაგრამ მერე ჩაფიქრდა და ხელმწიფეს ასე უთხრა: „თუ შენ მართლა გადაწყვიტე, დაეხსნა დედაჩემს, თუ ჰიპოდამეას ცოლად შერთვას აპირებ, ცხენი კი არა, გორგო მედუზას მოკვეთილი თავი რომ მთხოვო, იმასაც გაგიჩენ!“ და მეფემაც, თითქოს სიტყვაზე დაიჭირა, ასე მიაგება: „ეს კი მართლაც ჩინებული საჩუქარი იქნება!“

## პერსევსი და გორგო მედუზა

განსაცდელით აღსავსე გზა ედო წინ პერსევსს. გორგო მედუზასთვის თავის მოკვეთა და მერე მისი წამოღება იოლი საქმე

არ იყო. ეს ურჩხული თავის დებთან, სთენოსა და ევრიალესთან ერთად ჰიპერბორეელთა შორეულ მხარეში ცხოვრობდა. სამივე და ამაზრზენი სანახავი იყო, თავზე თმის ნაცვლად გველები ესხათ, წაწვეტებულ, ავად დაღრჭენილ კბილებს შორის საზარელი გრძელი ენები გამოსჩროდათ, სპილენძის ვეება ხელები და ალესილი ჭანგები ერთ წამში გაფლეთას უქადდა ყველას, ვინც მათ გაეკარებოდა, კაცს მათ დანახვაზე სისხლი ეყინებოდა და ადგილზევე ქვავდებოდა, ქვად იქცეოდა.

ქალღმერთ ათენას უჩინრად მოესმინა პერსევსისა და მეფის საუბარი და გადაეწყვიტა, მფარველად მოვლენოდა ჭაბუკს. მით უმეტეს, რომ იგი თავად გორგო მედუზას დაუძინებელი მტერი იყო. თავდაპირველად მან პერსევსი კუნძულ სამოსზე წაიყვანა, სადაც სამივე დის გამოსახულება იდგა, რათა კარგად დაემახსოვრებინა მათი სახეები და გორგო მედუზა დებისგან გამოერჩია, რადგან დები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. ამას გარდა, ათენამ გააფრთხილა ჭაბუკი, რომ არამც და არამც პირდაპირ სახეში არ შეეხედა მედუზასთვის, თორემ იმწამსვე ქვად იქცეოდა და თავის დასაცავად აჩუქა თავისი სარკესავით მბზინავი ფარი, რომელიც ყოველივეს ირეკლავდა.

ჰერმესმა კი პერსევსს უძღვნა თავისი ანდამატის ნამგალი და ასწავლა, თუ როგორ უნდა შებრძოლებოდა ამით გორგო მედუზას. მაგრამ ამას გარდა, პერსევსს კიდევ ესაჭიროებოდა ფრთიანი სანდლები, უჩინმაჩინის ქუდი და ჯადოსნური აბგა, რომელშიც მედუზას მოკვეთილი თავი უნდა ჩაედო. ეს ყველაფერი ჰადესის საკუთრება იყო და მათ სტიქსელი ნიმფები ინახავდნენ. მაგრამ გმირს ნიმფების ადგილსამყოფელს ვერავინ მიასწავლიდა. ეს იცოდნენ მხოლოდ გორგონების დებმა – გრაიებმა. მათ სამივეს ერთი საზიარო თვალი ჰქონდა, რომელსაც რიგრიგობით ხმარობდნენ. ვისაც ხილული თვალი ეპყრა, იმას დაჰყავდა თავისი ორი უსინათლო და. შემდეგ იგი ამ თვალს მეორეს გადასცემდა, მეორე – მესამეს და ისევ თავიდან. ჰერმესმა პერსევსი იქვე ჩაასაფრა; იგი დებს სწორედ მაშინ მიეპარა,

როდესაც ერთ-ერთი და მეორეს თვალისჩინს გადასცემდა; ეს ის წამი იყო, როცა სამივე და დაბრმავებული იდგა და ვერაფერს ხედავდა. ჭაბუკმა სწორედ ამ წამით ისარგებლა, გამოხტა საფ-რიდან, მიეჭრა მათ და საუნჯე წარსტაცა. უმწეოდ აფართხა-ლებულმა და შეძრწუნებულმა გრაიებმა პერსევსს ვედრება დაუ-წყეს, დაებრუნებინა მათთვის თვალი, სამაგიეროდ კი რასაც ისურვებდა – ყველაფერს შეუსრულებდნენ. მაშინ ჭაბუკმა მოს-თხოვა მათ, ესწავლებინათ სტიქსელი ნიმფების ადგილსამყო-ფელი. მათაც სხვა რა გზა ჰქონდათ და, რა თქმა უნდა, ასწავ-ლეს. პერსევსი წამისუმალ იქ გაჩნდა და გამოართვა მედუზასთან შესაბრძოლებლად საჭირო ნივთები: ფრთიანი სანდლები, აბგა და უჩინმაჩინის ქუდი. მერე გაფრინდა ჰიპერბორეელთა ქვეყა-ნაში, სადაც სამუდამოდ გაქვავებული ადამიანები და ცხო-ველები გაუნძრევლად იდგნენ და გაყინული თვალებით სივრცეს მიშტერებოდნენ. მან იქ, კუნძულზე თვალი მოჰკრა სამ გორ-გოს, რომლებიც ძილად მიყრილიყვნენ და სპილენძის შემზარავი ხელები საზარლად დაკრუნჩხვოდათ. ისინი ისე ჰგავდნენ ერთ-მანეთს, რომ პერსევსი დაიბნა და მედუზა ვერ ამოიცნო, მაგ-რამ ჰერმესი აქაც შემწედ მოევლინა და მიანიშნა განაპირას მწოლარეზე. პერსევსმა ათენასეული ფარი იმგვარად მოიმარ-ჯვა, რომ გორგო მედუზას სახე ზედ არეკლილიყო, ურჩხული-სათვის პირდაპირ სახეში არ შეეხედა და სანამ იგი ძილიდან გამოერკვეოდა, ჰერმესის ნაჩუქარი ნამგალი მოუქნია და სი-ცოცხლეს გამოასალმა. შავმა სისხლმა გადმოხეთქა კლდეებზე. მედუზას თავწაჭრილი სხეულიდან ამოხტნენ ფრთიანი ცხენი პეგასოსი და ბუმბერაზი ქრისაორი. სწრაფად დაავლო პერსევ-სმა გორგო მედუზას მოკვეთილ თავს ხელი და აბგაში ჩააგდო. ამასობაში გამოეღვიძათ მედუზას დებსაც და როცა იგი მოკ-ლული იხილეს, წამოიმართნენ, აქეთ-იქით კლდეებს მიაწყდ-ნენ. თვალებიდან ცეცხლებს აფრქვევდნენ და დის მკვლელს გამ-წარებით დაეძებდნენ. მაგრამ პერსევსმა თავისი უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და უხილავი შეიქმნა, მერე ფრთიანი სანდლები

ფეხზე ამოიცვა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. როცა მან ლიბიას გადაუფრინა, მედუზას მოჭრილი თავიდან სისხლმა იწვეთა და უდაბნოს დიდ წითელ ლაქებად დააჩნდა. ამ სისხლის წვეთებიდან იშვნენ შხამიანი გველები, რომლებიც მაშინათვე ასისინდნენ და აფუთფუთდნენ სილაში. ყოველგვარმა ცოცხალმა არსებამ იმწამსვე დატოვა ის არემარე. ასე გადააქციეს გორგო მედუზას სისხლიდან აღმოცენებულმა გველებმა ლიბია უდაბნოდ.

## ᲞᲔᲠᲡᲔᲕᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲢᲚᲐᲡᲘ

ჰიპერბორეელთა შორეული მხარიდან წამოსულმა პერსევსმა მრავალ ქვეყანას გადაუფრინა და ბოლოს დაეშვა ტიტან იაპეტოსის ვაჟის, ატლასის საუფლოში. ეს მხარე დიდებული ბაღნარებითა და ხილნარებით იყო განთქმული. ამ დიდებულ ბაღნარებს ჩვენ ერთხელ უკვე შევხვდით ჩვენი სერიის წიგნში „ზღვა და მიწისქვეშეთი“. აქ ერთ-ერთ ბაღში, რომელსაც ჰესპერიდების ბაღი ერქვა, ოქროსფოთლებიანი და ოქროსტოტებიანი ხე იდგა, რომლის მსგავსი კაცის თვალს არაფერი ენახა. ეს ხე მხოლოდ ოქროს ვაშლებს ისხამდა და ატლასი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. მას შემდეგ კი, რაც ქალღმერთმა თემისმა უწინასწარმეტყველა, შენს ოქროს ვაშლებს ზევსის ერთ-ერთი ვაჟი დაისაკუთრებსო, ატლასმა ბაღს უზარმაზარი გალავანი შემოავლო და მცველად ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი დააყენა. იმ დღიდან იგი ყველა გამვლელს ეჭვის თვალით უყურებდა. ჰოდა, როცა მგზავრობით დაქანცული პერსევსი მასთან მივიდა და ღამის გასათევი სთხოვა, ატლასი შეაშფოთა უცნობი სტუმრის გამოჩენამ, ხოლო როდესაც პერსევსმა ისიც გაუმხილა, ზევსის ვაჟი ვარო, და თავისი გმირობის ამბავიც მოუთხრო, ატლასს უკვე ეჭვიც აღარ შეჰპარვია, რომ ეს ჭაბუკი მისი ვაშლების მოსატაცებლად იყო მისული. მან პერსევსს მასპინძლობაზე უკმეხად უთხრა უარი და ისიც არ დაუმალავს, რომ იცოდა მისი მოსვლის ნამდვილი მიზეზი. პერსევსმა წყენა არ შეიმჩნია და გაავებულ ატლასს ასე მიმართა: მარ-

თალია, მასპინძლობის წესი დაგვიწყებია, მაგრამ მე მაინც მოვიხდი სტუმრის ვალს და შენთვის მოტანილ ძღვენს გადმოგცემ. აი, მიიღე ჩემგან ეს საჩუქარი! – დაუძახა მან ატლასს, აბგიდან გორგო მედუზას მოკვეთილი თავი ამოიღო და სახეში მიაშვირა. იმწამსვე გოლიათი ატლასი უზარმაზარ მთად იქცა, თმაწვერი ხშირფოთლოვან ტყეებად გადაებურდა, ხელ-ფეხი ფრიალო კლდეებად ექცა, თავი – მთის მწვერვალად, რომელიც ცას მიებჯინა.

მას მერე ატლასს მზით, მთვარითა და ვარსკვლავებით მოოჭვილი ცის თაღი თავითა და მხრებით უჭირავს.

## პერსევსი და ანდრომედა

პერსევსმა გადაუფრინა ეთიოპიას, კეფევსის სამეფოს და ზღვისკენ გადმოწვდილ ერთ ქარაფზე მიჯაჭვული ნახევრადშიშველი ასული დაინახა, საბრალოდ რომ ტიროდა და ცრემლები დაპალუპით სცვიოდა. უცნობ ქალწულთან მისვლა მოუნდა, ფრენის გაგრძელება აღარ ისურვა. ეს იყო ანდრომედე, კეფევსისა და კასიოპეას ასული, რომელიც კლდეზე მიეჯაჭვათ და ზღვის ურჩხულის შესაჭმელად გაემეტებინათ. ანდრომედეს დედას, კასიოპეას დაექადნა, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ვარ და ზღვის მშვენიერ ნერეიდებსაც ვჯობივარო. განაწყენებულიყვნენ ნერეიდები და აღშფოთებულებს ზღვის მეუფე პოსეიდონისთვის შეეჩივლათ ეს ამბავი. პოსეიდონიც განრისხებულიყო და პირობა მიეცა მათთვის, რომ უთუოდ დასჯიდა გაამაყებულ ქალს და ანანებდა ამ გულზვიადობას. ზღვის ღვთაებას დაუყოვნებლივ ამოეშვა წყლიდან საშინელი ურჩხული, რომელიც ნთქავდა და ანადგურებდა ირგვლივ ყოველივეს. შეწუხებულიყო ხალხი, ირგვლივ მხოლოდ გოდება და მოთქმა-ვაება გაისმოდა, ურჩხულის შიშით გარეთ ველარავინ გამოდიოდა. შეწუხებულიყო მეფეც და მისნისთვის რჩევა ეკითხა. მას კი ასეთი პასუხი გაეცა: „მსხვერპლად შესწირე შენი მშვენიერი ასული ურჩხულს და მაშინლა დაიცხრობს ზღვის მეუფე რისხვას!" ეს

რომ ხალხს გაეგო, შევარდნილიყო მეფის სასახლეში, დაუკითხავად გამოეყვანა მისი ასული და კლდეზე მიეჯაჭვა ურჩხულის შესაჭმელად, რათა ქვეყანა გადარჩენილიყო. ქალი შიშით გაჰყურებდა ზღვას, საიდანაც საშინელი ცხოველი უნდა გამოსულიყო და იგი ემსხვერპლა. მას ეცოდებოდა საკუთარი თავი, ტიროდა და ცხარე ცრემლებს ღვრიდა, უმწეოდ იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს მხსნელს ეძებდა. მისი მშობლებიც იქვე იდგნენ და საბრალო ასულს ხელებს უკოცნიდნენ, მოთქვამდნენ და ეხვეოდნენ. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ პერსევსი და ამბავი ჰკითხა. და როცა გაიგო, რაც ხდებოდა, გული სიბრალულით აევსო. მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეხსნა საბრალო ასული, რომელიც ასე მწარედ ისჯებოდა დედის შეცოდების გამო. იგი მიუბრუნდა ანდრომედეს მშობლებს და თავი გააცნო, უთხრა, რომ იყო სახელოვანი გმირი პერსევსი, რომელსაც გორგო მედუზა მოეკლა და ახლა ურჩხულთან შებრძოლებას აპირებდა. მან კეფევსსა და კასიოპეას სიტყვა ჩამოართვა, რომ თუკი მათ ქალიშვილს სიკვდილისგან იხსნიდა, ცოლად უნდა მიეცათ. მართალია, ანდრომედეს მშობლებს ქალიშვილისთვის უკვე ჰყავდათ შერჩეული საქმრო, მაგრამ ამ წუთას მისი დარდი ვიღას ჰქონდა, ისინი თვალცრემლიანნი ფეხებზე ეხვეოდნენ პერსევსს და ემუდარებოდნენ, რომ ეხსნა მათი სასიკვდილოდ განწირული ასული, ჯილდოდ კი, ჯილდოდ, რა თქმა უნდა, მის ცოლობას ჰპირდებოდნენ.

ამ საუბარში იყვნენ, როცა ზღვიდან ხმაური მოესმათ, წყლის დგაფუნით მათკენ საზარელი არსება მოექანებოდა. პერსევსმა სასწრაფოდ ამოიცვა თავისი ფრთიანი სანდლები და ჰაერში აიჭრა. მან ყოველი შემთხვევისთვის გორგო მედუზას თავიც ამოიღო და იქვე, ზღვის მცენარეებსა და ფოთლებში ჩამალა, რომ გაჭირვების ჟამს გამოეყენებინა. ურჩხულმა უეცრად პერსევსის ვეება ჩრდილს მოჰკრა თვალი, რომელიც ნაპირს დაეცა, და იქითკენ გაექანა. გმირმა კი მოულოდნელად ზურგში სცა მახვილი. ხახადაღებული ურჩხული ქარაფებს მიაწყდა, მერე მოტრიალ-

და და, პერსევსი დაინახა თუ არა, პირდაპირ მისკენ გაქანდა. გმირი კი უფრო ზევით აიჭრა, რათა ურჩხული ვერ მისწვდომოდა, შემდეგ იმარჯვა და შიგ ხახაში ჩასცა მახვილი. ერთი საზარლად ამოიქშინა ურჩხულმა და სული გააფრთხო. პერსევსი მიწაზე დაეშვა და მაშინვე გორგო მედუზას თავს მიაშურა, რათა სასწრაფოდ ჩანთაში ჩაემალა, ეშინოდა, ვინმეს არ შეეხედა და ქვად არ ქცეულიყო. როცა მედუზას თავს დასწვდა, ნახა, რომ წყალმცენარეები და ფოთლები გახევებულიყვნენ, სიცოცხლე შეეწყვიტათ და ულამაზეს მარჯნის ტოტებად ქცეულიყვნენ. ირგვლივ ყიჟინა და ჟრიამული იდგა. სიხარულით ანთებული ანდრომედე მიეჭრა პერსევსს და გულში ჩაეკრა, მშობლებიც იქვე იდგნენ და ქებას ასხამდნენ უშიშარ ჭაბუკს, მათი ასულის მხსნელსა და შემწეს. პერსევსმა მადლობის ნიშნად სამსხვერპლოები აღუმართა ჰერმესს, ათენას და ზევსს. პირველ სამსხვერპლოზე – მოზვერი დაკლა, მეორეზე – ფური და მესამეზე – ხარი. შემდეგ კი სასახლისკენ გასწიეს, სადაც, პირობისამებრ, ქორწილი უნდა გამართულიყო და ანდრომედე პერსევსს ცოლად გაჰყოლოდა.

## პერსევსი და ფინევსი

დიდი ქორწილი გაიმართა კეფევსის სასახლეში. აანთეს სურნელოვანი საქორწინო კელაპტრები და ლხინს მისცეს თავი. ყველა ილხენდა, მხოლოდ კასიოპეა იყო უგუნებოდ, მას პერსევსის სიძეობა მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, თავისი ასული სხვა ვინმეზე ჰყავდა დაწინდული და სიძედაც ის სხვა ერჩია, მაგრამ ახლა რაღას გააწყობდა და ხმაგაკმენდილი იჯდა. უეცრად გარედან მეომართა ფეხის ხმა და იარაღის ჩხარუნი მოისმა; თურმე ფინევსს, ანდრომედეს უწინდელ საქმროს, გაეგო საცოლის გათხოვების ამბავი და საბრძოლველად შეჭურვილი რაზმის თანხლებით წამოსულიყო ქორწილის ჩასაშლელად. მან მუქარით მიმართა პერსევსს, რომ ვეღარაფერი უშველიდა, ვეღარც ფრთიანი სანდლები და ვერც ელვისმტყორცნელი ზევსი, რადგან მისი აღსასრულის დღე დამდგარიყო.

„დიახ, პერსევსი უნდა მოკვდეს!“ – დაიკივლა გამყინავი ხმით კასიოპეამ და ფინევსს გვერდით ამოუდგა. მეფე კი სხვაგვარად მოიქცა. მან შეაწყვეტინა ახლად შემოსულს სიტყვა და მრისხანედ მიმართა: „რა დროს ახლა მოსვლა იყო? მაშინ სად იყავი, როცა შენი საცოლე კლდეზე მიჯაჭვული სიკვდილის პირისპირ იდგა? მაშინ რატომ არ მოხვედი მის დასახსნელად? პერსევსმა სიცოცხლე აჩუქა მას! ანდრომედე მხოლოდ პერსევსს ეკუთვნის!“ ფინევსს პასუხად არაფერი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ იგი საქმის განსასჯელად არც იყო მისული, თვალებში ბრაზი და სიძულვილი უელავდა, დაიხარა და სიტყვის უთქმელად შუბი სტყორცნა პერსევსს, რომელმაც მარჯვედ აიცდინა ნასროლი. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. თავდაუზოგავად იბრძოდა პერსევსი და ფინევსის მრავალი მეომარი სიცოცხლეს გამოასალმა; მაგრამ ბრძოლა მაინც უთანასწორო იყო, რადგან ანდრომედეს უწინდელ საქმროს დიდი რაზმი წამოეყვანა მექორწილეებთან საომრად. ისინი ყოველი მხრიდან გარს შემოხვეოდნენ პერსევსს და ცდილობდნენ, საერთო ძალით მოეშთოთ იგი. ახლა კი მიხვდა გმირი, რომ უცილობელი დაღუპვისგან მხოლოდ გორგო მედუზას თავი იხსნიდა. „შეტრიალდეს ყველა, ვინც კი ჩემი მოკეთეა!“ – დაიყვირა მან და გორგო მედუზას თავი აბგიდან ამოიღო. ვინც კი მას თვალი მოჰკრა, უმალ მარმარილოს ქანდაკად იქცა, მეომრები ერთიმეორის მიყოლებით ჩალაგდნენ მარმარილოს მწკრივებად. როცა ფინევსმა ნახა, რაც ხდებოდა, შიშისგან აკანკალებული მუხლებზე დაემხო და ხელები პერსევსისკენ გაიწვდინა: „გემუდარები, ნუ მომკლავ და შენი მსახური ვიქნები სიკვდილის დღემდე!“ – ამოიგმინა მან. პერსევსმა კი ღიმილით მიუგო: „ნუ გეშინია, მახვილით არ შეგეხები, ამიერიდან ასე დაჩოქილი იქნები მუდამ!“ – და გორგო მედუზას თავი სახეში შეაფეთა.

ფინევსი წამსვე ქვად იქცა. პატივაყრილი და მონურად დაჩოქილი დგას იგი სამარადჟამოდ. მარმარილოს ქანდაკებამ მის თვალებში ჩაბუდებული შიშიც სამარადჟამოდ შემოინახა.

## პერსევსის დაბრუნება სერიფოსზე. აკრისიოსის სიკვდილი

პერსევსი იმ ავბედითი ქორწილის შემდეგ კეფევსის სამფლობელოში დიდხანს აღარ დარჩენილა, მან წამოიყვანა თავისი მშვენიერი ანდრომედე და სერიფოსზე დაბრუნდა. ხომალდიდან გადმოსვლისთანავე პირველად დედის ამბავი იკითხა და გაიგო, რომ თურმე პოლიდექტესს ჰიპოდამეას ცოლად შერთვა არც კი უფიქრია, და ისევ და ისევ დანაეს ხელში ჩაგდებას ლამობდა. ქალს თავის დასახსნელად სხვა გზა ველარ ენახა, თავი ზევსის ტაძრისთვის შეეფარებინა და გამოსვლას ველარ ბედავდა. პერსევსი სასტიკად აღაშფოთა ამ ამბავმა და პირდაპირ პოლიდექტესის სასახლისკენ გაეშურა. როცა დარბაზში შევიდა, ნახა, რომ მეფე თავის მეგობრებთან ერთად ინახად იჯდა და ღრეობდა: იდგა ერთი ხორხოცი და აურზაური, პერსევსის მისვლა არც კი შეუმჩნევიათ. მეფე პოლიდექტესს იგი დიდი ხნის მკვდარი ეგონა, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ გორგო მედუზას კლანჭებს შეიძლებოდა ვინმე დასხლტომოდა. როცა პერსევსი მას წარუდგა და მშვიდად მოახსენა, რომ მისი დავალება შეასრულა, მეფე ჯერ სახტად დარჩა, მაგრამ პირველი გაოცება დამცინავმა ღიმილმა შეცვალა: არა, ეჭვი არ იყო, პერსევსი ტყუოდა, რაღაც დაუჯერებელ ამბავს ჩმახავდა. მეფის მეგობრებმაც მისი მონაყოლი ტრაბახად მიიჩნიეს და სიცილი დააყარეს. ქილიკით ეკითხებოდნენ – ნიშანი რამ ხომ არ მოგიტანიაო. პერსევსი ისედაც გაცეცხლებული იყო, ასეთმა დახვედრამ კი რისხვა გაუათკეცა, იგი დასწვდა მედუზას თავს და მეფეს შესძახა: „რაკი არ გჯერა, აჰა, შენი თვალით დარწმუნდი!“ და როცა პოლიდექტესი ქანდაკად იქცა, მეფის თანამეინახეებს სიცილი პირზე შეაცივდათ და შიშით გაიტრუნენ, წამსვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა; მაგრამ აღარც ისინი დაინდო პერსევსმა და მათაც მეფის ბედი გაიზიარეს.

ჭაბუკმა სტიქსელ ნიმფებს დაუბრუნა ჰადესის ნივთები: უჩინმაჩინის ქუდი, ჯადოსნური აბგა და ფრთიანი სანდლები;

გორგო მედუზას თავი კი ათენას გადასცა, რომელმაც იგი თავის ეგისზე დაიმაგრა.

პერსევსმა სერიფოსის მმართველობა დიქტისს ჩააბარა, რომელმაც ის და დედამისი ოდესღაც სიკვდილისგან იხსნა, თავად კი ანდრომედესთან და დანაესთან ერთად არგოსისკენ გასწია. როგორც კი მისმა პაპამ, აკრისიოსმა შეიტყო, რომ შვილიშვილი სამშობლოში ბრუნდებოდა, გაახსენდა ავი ნამისნევი და არგოსიდან შორს გადაიხვეწა. პერსევსი კი არგოსის მეფე გახდა.

მართალია, აკრისიოსი განერიდა იმას, ვისი ხელითაც სიკვდილი ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები, მაგრამ თავის წერას მაინც ვერ ასცდა: ერთხელაც ტევტამიდოსმა, რომლის სამეფოსაც აკრისიოსმა თავი შეაფარა, გარდაცვლილი მამის პატივსაცემად თამაშობა-შეჯიბრებანი გამართა. მათში პერსევსიც მონაწილეობდა და მისგან გატყორცნილი დისკო შემთხვევით, თუ ღმერთების ნებით, მოხვდა პაპამისს და იმსხვერპლა. გმირი ძალზე დაალონა ამ ამბავმა. მან აკრისიოსი დიდი პატივით დაკრძალა ათენას ტაძარში, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ არგოსში ველარ გაჩერდა, წავიდა ტირინსში, სადაც მისი ნათესავი, პროიტოსის ძე მეგაპენთესი მეფობდა. მათ გადაწყვიტეს, სამეფოები გაეცვალათ ერთმანეთისთვის და იმ დღიდან პერსევსი ტირინსის მეფე შეიქნა, ხოლო მეგაპენთესი – არგოსის მბრძანებელი. პერსევსს მიეწერება ქალაქ მიკენის დაარსება, რომლის უშველებელი კედლები, ისევე როგორც ტირინსისა, გოლიათი კიკლოპების ხელითაა აღმართული.

## მელეაგროსი. კალიდონის ნადირობა

მელეაგროსი სახელოვანი გმირი და სწორუპოვარი მონადირე, კალიდონის მეფის ოინევსისა და ლედას დის, ალთეას ვაჟი იყო. მასზე მშობიარე ალთეას საწოლში მოირების სიმღერა ჩაესმა. ბედისწერის ქალღმერთები ჩუმად შესულიყვნენ მელოგინის ოთახში და, როგორც წესად ჰქონდათ, წყობილი სიტყვით ჩამოამღერეს ჩვილის მომავალი ხვედრი. კლოთომ მას შინაგანი



სახელგანთქმული თესალიელი გმირის, ტინდარეოსის ულამაზესი ასული ლედა. ივი აქ გამოსახულია იმ მომენტში, როცა მის კალთას თავს აფარებს არწივისგან შეშინებული თეთრი გედი. ზევსი, რომელიც მოიხიბლა მისი მშვენიერებით, თეთრ გედად იქცა, ლედას კალთას მიეთბო და ამ გზით თანაეყო ქალს. ამ ქანდაკზე ლედას ცალი თვალი არწივისკენა აქვს აპყრობილი, ხოლო თავის მოსასხამს ზევით სწევს, რათა გედი არწივის თვალს მოაფაროს. ლედას სახე, მარჯვენა მკლავი და გედის ყელი აღდგენილია. ეს არის საუკეთესო ასლი იმ ქანდაკებისა, რომელიც მოქანდაკე ტიმოთეოსს მიეწერება. დაახლ. ძვ.წ. 380 წ. რომი. კაპიტოლიუმის მუზეუმი.



ლედამ (ან ნემესისმა) დაბადა კვერცხი, საიდანაც იშვა მშვენიერი ელენე. სურათზე ტინდარეოსი, ლედა და დიოსკურები შეჰყურებენ კვერცხს, რომელიც სამსხვერპლოზეა მოთავსებული. მაღალ სვეტს ზევსის ქანდაკი ამშვენებს. ზევსს მარცხენა ხელში უპყრია კვერთხი, ხოლო მარჯვენაში – თასი მსხვერპლშეწირვისთვის. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 420 წ. ბონი.



დიოსკურთა მიერ ლევკიპიდების მოტაცების სცენა. კასტორი იტაცებს ერიფილეს. ახალგაზრდა ქალვაჟის სვლა ეტლისაკენ ცეკვის სახითაა გამოხატული. ამ სცენას თვალს ადევნებს აფროდიტე, რომელიც თავისი სამსხვერპლოს გვერდით ზის. თეთრფიგურული ჰიდრია. დაახლ. ძვ.წ. 410 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი



დიოსკურების – კასტორისა და პოლიდევკესის ლაშქრობიდან დაბრუნების სცენა. სურათის კიდეში ჩანს პოლიდევკესი, რომელიც დახრილა და ძაღლს ეფერება. კასტორს ცხენი მიჰყავს. პატარა მონის თანხლებით მათ ეგებებათ მამა – ტინდარეოსი. იგი ცხენს ალერსიანად უსვამს ხელს. ლედაც გახარებულია შვილების დაბრუნებით და კასტორს ყვავილს აწვდის. თავი ყველას გვირგვინითა აქვს შემკული. ამით მინიშნებულია, რომ უნდა გაიმართოს ღმერთთა სამადლობელი დღესასწაული. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 530 წ. რომი. ვატიკანის მუზეუმი.



მინოსი კვერთხით ხელში. ეს კვერთხი მას თავად ზევსმა უბოძა. აქ მინოსი გამოსახულია თავის ერთ-ერთ შვილთან, არიადნესთან ერთად. თეთრფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 470 წ. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



რადამანთისი, ეაკოსი და ტრიპტოლემოსი მსჯავრმდებლებად ჰადესში. რადამანთისს ხელი აუწევია, რითაც მინიშნებულია, რომ ამ სამთა შორის მსჯავრის გამოტანის დროს მთავარი სიტყვა მას ეკუთვნის. აპულეური კრატერი. ძვ.წ. IV ს-ის შემდგომი პერიოდი. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



პასიფაე დედალოსის სახელოსნოში თავის ძიძასთან და მხევალ ქალთან ერთად. იგი ესაუბრება დიდებულ ხელოვანს, რომელიც სიამაყით უჩვენებს მას თავის ქმნილებას – ხისგან გამოთლილ ძროხას. სურათზე ჩანს დედალოსის ერთ-ერთი შეგირდი, იგი ბეჯითად განაგრძობს თავის საქმეს. ფრესკა. დაახლ. ახ.წ. 75 წ. პომპეი.



*სასახლის საქალებოში მჯდომი პასიფაე. კედელზე კიდია კალათი, იქვეა გედის გამოსახულებაც, რომელსაც ოჯახის ფრინველად მიიჩნევდნენ. პასიფაეს კალთაში უზის თავისი ახალდაბადებული შვილი – მინოტავროსი. ეტრუსკული კილიქსი. ძვ.წ. 340-320 წწ. პარიზი. ეროვნული ბიბლიოთეკა.*



ჰადესი, ჰერმესი და პერსეფონე შეჰყურებენ სისიფოსის ტანჯვა-წვალებას. ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 510 წ. ბრიტანეთის მუზეუმი.



პროიტოსი თავის ცოლთან ერთად აცილებს ბელეროფონს. გმირს ხელში უჭირავს თავისი მფრინავი რაშის, პეგასოსის სადავე. ცხენი მოუთმენლად ელის პატრონს, რათა შორეულ ლიკიაში გააქროლოს. ლუკანიკური ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 410 წ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



ამ და მომდევნო სამ სურათზე ერთი ჰიდრიის მოხატულობაა წარმოდგ[illegible] (პირველი ფრაგმენტი) ზღვიდან ამოშვერილ კლდის ქიმზე ზის დანაოსი და თვალყურს ადევნებს, როგორ გადმოაქვთ დანაიდებს ხომალდიდან ტვირთი: ბოღჩები, ყუთები, ჰიდრიები და ა.შ. (მეორე და მესამე ფრაგმენტები) წითელფიგურული ჰიდრია. დაახლ. ძვ.წ. 450 წ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.







პოსეიდონი უახლოვდება ამიმონეს, რომელსაც ხელში ჰიდრია უჭირავს. ქალი თითქოს გაურბის ზღვის ღმერთს, მაგრამ თავი უკან მიუბრუნებია და მისკენ იყურება. მეორე დანაიდა დგას მარჯვნივ და ხელთ დანაოსის კვერთხი უპყრია. მარცხენა მხარეს ვხედავთ აფროდიტეს, ზევით – ეროსს, რომელიც საქორწინო გვირგვინს ესვრის პოსეიდონსა და ამიმონეს. წითელფიგურული პელიკე. დაახლ. ძვ.წ. 450 წ. რომი. ვილა ჯულია.



აქ გამოსახული უნდა იყოს კალიდონის ნადირობის ერთი ეპიზოდი. ორ მონადირეთაგან, როგორც ჩანს, ერთი მელეაგროსია, მეორე კი – ატალანტე. ლაკონიკური კილიქსის ფსკერის მოხატულობა. დაახლ. ძვ.წ. 550 წ. პარიზი. ლუვრი.



*პერსევსი. მას ფეხზე ფრთიანი სანდლები აცვია და დაფიქრებული შესცქერის კლდეზე მიჯაჭვულ ანდრომედას (იგი წარმოდგენილ ფრაგმენტზე არ ჩანს). გმირი, ალბათ, იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გაათავისუფლოს ურჩხულის შესაჭმელად განწირული ქალი. თეთრძირიანი კრატერი. დაახლ. ძვ.წ.* 440-453 *წწ. აკრაგასი. სახელმწიფო მუზეუმი.*



პერსევსი უჩინარდება ჰაერში, მისი მზერა მიმართულია თავმოკვეთილი მედუზასაკენ, რომელიც, მომაკვდავი, მიწაზე ენარცხება. გმირს თავზე უჩინმაჩინის ქუდი ხურავს, მფრინავი სანდლები აქვს ამოცმული და ხელში ანდამატის ნამგალი უჭირავს, გორგო მედუზას თავი კი აბგაში უდევს. მისი შემწე ქალღმერთი ათენა იარაღასხმული მიჰყვება. წითელფიგურული ჰიდრია. დაახლ. ძვ.წ. 460 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



მელეაგროსი ატალანტეს ჯილდოდ უძღვნის განგმირული ტახის ტყავს. მარცხნივ ზის აფროდიტე. მისი მზერა ამ წყვილისკენაა მიმართული, მათ შორის კი ეროსი დაფრინავს. აპულეური ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 330 წ. ბარი. ნაციონალური მუზეუმი.



აქ გამოხატულია მსხვერპლშეწირვის სცენა ათენას მიერ ათენელებისთვის აღმოცენებულ ზეთისხილის ხესთან. მარცხნივ გამოსახულია გველისტანიანი კეკროფსი (ათენის უძველესი მეფე) შესაწირავი ბატკნით ხელში, ათენას კი ხელთ საღვთო თასი უპყრია, რომლის ასავსებადაც საღვინით ხელში მოიჩქარის ქალღმერთი ნიკე. წითელფიგურული კრატერი. ძვ.წ. 410-400 წწ. ჰაიდელბერგი. სასახლის ფაზანერეა.



ქალღმერთ გეას ხელში აუყვანია ახალშობილი ერიხთონიოსი და ათენას აწვდის მას. მარცხნივ დგას ჰეფესტო, რომლის მზერა შვილისკენ არის მიმართული. წითელფიგურული სტამნოსი. დაახლ. ძვ.წ. 460-450 წწ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



ათენა დასცქერის კალათიდან ამოყვანილ ერიხთონიოსს, რომელსაც ორი გველი სდარაჯობს. წითელფიგურული პელიკე. დაახლ. ძვ.წ. 440-430 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ლაპითების მეფე იქსიონი ზევსის ბრძანებით ისჯება, იგი ცეცხლოვან ბორბალზეა გაკრული. ბორბალი ორ ნეფელეს (ღრუბელ-ქალღმერთს) უჭირავს. ქვემოთ მოჩანს სასჯელის მომგებელი ერინია, მარჯვნივ – მჭედლობის ღმერთი ჰეფესტო, მარცხნივ კი – ჰერმესი. კამპანიური ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 330-320 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.

კეთილშობილება დააბედა, ლაქესისმა – ძლიერება და სიმამაცე, ატროპოსის ნამღერი კი ავბედით საქმეს იუწყებოდა – იგი მაშინვე მოკვდება, როგორც კი ეს მუგუზალი დაიწვება, ახლა რომ ცეცხლშია შეგზნებულიო. მშობიარე ქალმა ძალა მოიკრიბა, საწოლიდან წამოდგა, მუგუზალი ცეცხლიდან გამოიღო, ჩააქრო და საიმედო ადგილას გადამალა. ასე დაიბადა მელეაგროსი. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ძალითა და სიმამაცით, მისი ფიქრი ერთთავად ნადირობას უტრიალებდა და როცა წამოიზარდა, სახელოვანი მონადირე შეიქმნა.

ერთხელ ოინევსმა სთვლობის დიდი დღესასწაული გადაიხადა და თორმეტ ოლიმპიელ ღმერთს მსხვერპლი შესწირა, მაგრამ, გულმავიწყობით თუ სხვა რამ მიზეზით, მათ სათვალავში კალიდონის მფარველი ღვთაება არტემისი არ აღმოჩნდა, მან კი ვერ აპატია კალიდონის მეფეს ასეთი შეურაცხყოფა და სასჯელად მის სამეფოს საზარელი გარეული ტახი მოუვლინა. გაავებული დათარეშობდა უზარმაზარი ნადირი კალიდონის ნაყოფიერ ველ-მინდვრებში, ანადგურებდა ნათესებსა და ბაღვენახებს, დაუნდობლად ხოცავდა ყველას, ვისაც გადაეყრებოდა. მრავალი იქაური მონადირე შეეწირა მას: ზოგი მისმა ბასრმა ეშვებმა იმსხვერპლა, დანარჩენები კი გონგადასულები ერთმანეთს დაერივნენ და უკლებლივ ყველა გაიჟუჟა. თვით მელეაგროსმაც კი ვერ მოახერხა ამ ტახის მოკვლა.

მაშინ ოინევსმა საბერძნეთის ყველა სახელგანთქმული გმირი იხმო საშველად. პირველნი მელეაგროსის ბიძები, ალთეას ძმები, კურეტებად წოდებული მეომრები მოვიდნენ. მერე და მერე სხვებიც შემოემატნენ: დიოსკურები – კასტორი და პოლიდევკესი სპარტიდან, მათი ბიძაშვილები – იდასი და ლინკევსი მესენიიდან, თესევსი – ათენიდან, იფიკლესი, ჰერაკლეს ნახევარძმა, თებედან; პირითოოსი ლარისიდან, ამფიარაოსი არგოსიდან, ტელამონი სალამისიდან, პელევსი და მისი სიმამრი ევრიტიონი თესალიიდან, ნესტორი, შემდგომში ტროას ომის უხუცესი მონაწილე, პილოსიდან და კიდევ მრავალნი სხვანი,

მათ შორის არკადიელი მშვენიერი ქალწული ატალანტე, უბადლო მორბენალი და მოისარი, რომლის გამოც მალე დიდი უბედურება დატრიალდა.

ატალანტე ჩვეულებრივი მოკვდავი არ ყოფილა. ხმები დადიოდა, რომ იგი – ლომად გარდასახული – მთებს მიაშურებდა ხოლმე და იქ მარტოდმარტო ცხოვრობდა. მამამისი (ზოგი ვერსიის მიხედვით – სქოინევსი, ზოგი ვერსიით – იასოსი) კრეტელი მონადირე, ვაჟს ელოდებოდა და ქალი რომ დაიბადა, მთებში წაიყვანა და პართენიონის ბორცვზე, კალიდონის მახლობლად დატოვა; იქ ჩვილს დედა დათვმა აწოვა ძუძუ, მერე კი მონადირემ იპოვა და გაზარდა. სხვა მოთხრობის მიხედვით, ქალმა თავად მიატოვა მამისეული სახლი, გათხოვება რომ არ დაემალებინათ, უღრან ადგილას დასახლდა და თავს ნადირობით ირჩენდა. ერთხელაც ორი ვნებააშლილი კენტავრი დაედევნა, მაგრამ მან ორივენი ფრთიანი ისრით განგმირა. ბოლოს ისევ შინ დაბრუნდა, მაგრამ არც ახლა ღალატობდა სიქალწულის აღთქმას და იარაღსაც წამით არ იშორებდა.

კალიდონის ნადირობაზე მისმა გამოჩენამ მამაკაცებს შორის დიდი მღელვარება გამოიწვია; მათ სანადიროდ ქალის წაყვანა არ სურდათ, ძველთაძველი სამონადირეო წესის მიხედვით ასეთი რამ სასტიკად იკრძალებოდა და გმირებს ეშინოდათ, მის დარღვევას ავბედითი შედეგი არ მოჰყოლოდა.

ცხრა დღე და ღამე გრძელდებოდა დიდი ნადიმი ოინევსის სასახლეში და მეათე დღეს, როცა სანადიროდ გაემზადნენ, ისევ აჩოჩქოლდნენ კაცები, რაკი ნახეს, რომ ატალანტეც მათთან ერთად წასვლას ეპირებოდა. ყველაზე მეტად მისი თანამემამულე არკადიელი ანკეოსი მღელვარებდა, თითქოს გული უგრძნობდა, რომ ტახს პირველი შეეწირებოდა. მაგრამ მელეაგროსმა, რომელსაც დანახვისთანავე შეჰყვარებოდა მშვენიერი ქალწული, მხარი ატალანტეს დაუჭირა და თავისი გაიტანა.

ექვს დღეს დაეძებდნენ ტახს მონადირეები; როცა სრულიად არ ელოდნენ, მაშინ გამოუვარდათ – ღელესთან, ტირიფებში

ყოფილიყო ჩამალული. ორი მონადირე იქვე გაფატრა, ნესტორმა გამძვინვარებულ ნადირს ხეზე აასწრო, იასონმა შუბი ესროლა და ააცდინა, იფიკლესის ნატყორცნმა კი მხოლოდ მსუბუქად გაკაწრა. ტელამონმა შურდულის ტყორცნა დააპირა, მაგრამ ხის ფესვს გამოედო და წაიქცა. პელევსი მის წამოყენებას ცდილობდა, ნადირი ახლა მათკენ გაექანა, მაგრამ ატალანტეს ისარი ყურის ძირში ჩაესო და უკუაქცია. ანკევსმა დამცინავი ქირქილით – თქვე ვაი-მონადირეებო, აბა მე მიყურეთო – ის იყო საომარი ცულის ტყორცნა დააპირა, მაგრამ ტახმა დაასწრო და მუცელგაფატრული და საჭურისქმნილი ძირს დასცა. პელე[illegible] ნასროლი წაუხდა და ტახის ნაცვლად თავისი სიმამრი ევრიტიონი განგმირა. ბოლოს მაინც მელეაგროსმა იმარჯვა, ტახს შუბი ფერდში აძგერა და ძირს დასცა, სანამ ნადირი წამოდგომას მოახერხებდა, ახლოს მიეჭრა და ჰოროლი შიგ გულში უსწორა. მონადირული წესის მიხედვით, ნანადირევის თავი და ტყავი ჯილდოდ იმას ერგებოდა, ვინც ნადირს სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებდა. მელეაგროსმა ეს ჯილდო ატალანტეს მიართვა. მისი ბიძები ამან სასტიკად გაანაწყენა და დისწულს უსაყვედურეს: თუ მაგ ჯილდოს შენთვის არ დაიტოვებდი, მაშინ ჩვენს საგვარტომოში უნდა დარჩენილიყო და ჩვენთვის გადმოგეცაო. ამგვარ ჯილდოს უალრესად დიდი ფასი ედო, მისი პატრონის სახელი მთელ საბერძნეთში განითქმებოდა. დიდი შუღლი ჩამოვარდა ძმისწულსა და ბიძებს შორის. მელეაგროსის წინააღმდეგობის მიუხედავად, კურეტი ბიძები ეცნენ ატალანტეს და ნადავლი ხელიდან გამოჰგლიჯეს. მელეაგროსი საშინელმა მრისხანებამ შეიპყრო და ბიძები შემოაკვდა. როცა ეს ამბავი დედამისმა გაიგო, სასწრაფოდ გამოიტანა გადამალული მუგუზალი და ცეცხლს შეუკეთა. როგორც კი მუგუზალი დაიფერფლა, მელეაგროსს ძალა გამოეცალა და სული განუტევა. ჭაბუკი გმირის ასეთმა უცნაურმა და ნაადრევმა სიკვდილმა მთელი საბერძნეთი შეძრა.

ჰერაკლეს, თურმე, ერთადერთხელ სძლია მწუხარებამ და თვალთაგან ცრემლი დაადინა. ეს მოხდა მაშინ, როცა მან ჰა-

დესში მელეაგროსის აჩრდილი იხილა და მისგან კალიდონის ნადირობის ამბავი მოისმინა; არადა, მის თვალზე არც მანამდე და არც მას მერე ცრემლი არავის უნახავს.

# 6 ატიკელი გმირები

## ათენის პირველი მეფეები: კეკროფსი, ერიხთონიოსი, ერეხთევსი

ქალაქი ათენის და მისი აკროპოლისის დამაარსებლად კეკროფსი ითვლება, მიწით შობილი არსება, ნახევრად კაცი და ნახევრად გველი. ათენელები მისი სახელის მიხედვით კეკროპიდებადაც იწოდებოდნენ, თუმცა თავს მის პირდაპირ შთამომავლებად არ მიიჩნევდნენ. კეკროფსს მიეწერება ატიკის მკვიდრთა ერთ ხალხად გადაქცევა, მანამდე ისინი მხოლოდ შეუკვრელ ბრბოს წარმოადგენდნენ. მან მოაწყო ატიკელთა პირველი დიდი თავყრილობა, სადაც უკლებლივ ყველას მიაღებინა მონაწილეობა და ყოველ მათგანს შუა მოედანზე თითო კენჭი დააგდებინა, რათა ზუსტად დაედგინა მათი რიცხვი, დაყო ისინი დემოსებად და ერთცოლიანობა დაუწესა (მანამდე შეუღლება ყოველგვარი დადგენილი წესების გარეშე ხდებოდა), აუგო ღმერთებს პირველი საკურთხეველი და სისხლიანი მსხვერპლი ქერის კვერებით შეცვალა.

საბერძნეთის ყველა მხარეს თავისი უპირატესი ღვთაება ჰყავდა, თითოეული ეს მხარე რომელიმე ოლიმპიელი ღმერთის სამეუფო იყო. პოსეიდონს და ათენას დიდი ცილობა ჰქონდათ ერთმანეთში, ატიკის მხარე ორივეს თავისად ეწადა. დავის გადასაწყვეტად თორმეტივე ოლიმპიელი ღმერთი ათენის აკროპოლისზე შეიყარა, მაგრამ მათი ხმები თანაბრად გაიყო. მაშინ ზევსმა კეკროფსი იხმო, რომ დავა საბოლოოდ მას გადაეწყვიტა. მან კი ორივე მოდავეს ძვირფასი საბოძვარი სთხოვა, რომ მსჯავრი ამ საბოძვრის მიხედვით გამოეტანა. პოსეიდონმა კლდეს

სამკბილა დაჰკრა და მლაშე წყალი გადმოადინა, ათენამ კი იმ ადგილას, სადაც შემდგომ მისი ტაძარი აღიმართა, მიწიდან პირველი ზეთისხილი აღმოაცენა. კეკროფსმა ათენას საჩუქარს მიანიჭა უპირატესობა: ხმელეთიდან სადაც კი გადაიხედავ, ყველგან მლაშე წყალია, ხოლო ზეთისხილი, ეს საოცარი ნაყოფის მომცემი ხე, პირველად ატიკის მიწაზე იშვა და ამ მხარეს არნახულ სიმდიდრეს ჰპირდებაო. დავა ათენას სასარგებლოდ გადაწყდა და ქალაქსაც მისი სახელი ეწოდა. კეკროფსმა ათენში აღმართა ათენას ტაძარი და ქალღმერთის პირველი ხის ქანდაკება დაუდგა. განრისხებულმა პოსეიდონმა კი სანაპიროები გადატბორა და მანამ არ დაიცხრო რისხვა, სანამ ათენელმა ქალებმა მის შემოსარიგებლად ზოგიერთ თავიანთ უფლებაზე უარი არ თქვეს. ამიერიდან შვილის გვარტომობა, პოსეიდონის პატივსაცემად, მამის მიხედვით განისაზღვრებოდა და არა დედისა, როგორც ეს მანამდე იყო.

ათენის მეორე მეფედ ერიხთონიოსს ასახელებენ. ზოგიერთი გადმოცემა მას კეკროფსის შვილად მოიხსენიებს, ზოგის მიხედვით კი მის მამად მჭედლობის ღმერთი ჰეფესტო იწოდება. ჩვენი სერიის წინა წიგნებიდან თქვენ უკვე იცით, რომ ათენა მამაზევსის თავიდან იშვა. ისიც გახსოვთ, ალბათ, რომ იგი სწორედ ჰეფესტოს ჩაქუჩის დახმარებით მოევლინა ამ ქვეყანას. ამის სანაცვლოდ ჰეფესტომ მოითხოვა, ათენა მისთვის ცოლად მიეცათ და დასტურიც მიიღო. მან იგი სანთიობოში შეიყვანა, სადაც საქორწინო სარეცელი ელოდებოდათ, მაგრამ ათენა ვერ შეელია თავის უბიწოებას და ბოლო წუთს თვალსა და ხელს შუა გაუსხლტა. ჰეფესტოს თესლი მიწას დაეღვენთა და მისგან გეას, დედამიწის ქალღმერთს, ვაჟი ჩაესახა. გეამ უარი თქვა შვილზე, რომელიც წესითა და რიგით ათენასგან უნდა გაჩენილიყო. ჩვილი ათენა პალასმა წამოიყვანა, ერთ პატარა თავდახურულ კალათაში ჩააწვინა და სამეთვალყურეოდ კეკროფსის ასულებს ჩააბარა, ოღონდ სასტიკად გააფრთხილა, რომ შიგ არ ჩაეხედათ. კეკროფსსა და მის ცოლს, რომელიც ატიკის მეფის,

აქტეოსის ქალიშვილი იყო, სამი ასული ჰყავდათ: აგლავროსი, ჰერსე და პანდროსოსი. ისინი აკროპოლისზე ცხოვრობდნენ; ჰოდა, სწორედ ამ ასულებს ჩააბარა ქალღმერთმა ახალშობილი ერიხთონიოსი, თავად კი დიდი კლდის მოსატანად გაეშურა, რათა აკროპოლისი გაემაგრებინა და მიუვალ სიმაგრედ ექცია. როცა უკან მოფრინავდა, გზაში ყვავმა ცუდი ამბავი მიახალა: კეკროფსის ასულებს ცნობისწადილისთვის ვერ გაეძლოთ და ჩაეხედათ კალათაში, სადაც გველფეხება ბავშვი ენახათ. ათენა ისე შეძრა ამ ნათქვამმა, რომ კლდე ხელიდან გაუვარდა, ეს კლდე ახლაც იმ ადგილას დგას ათენში და ლიკაბეტოსი ჰქვია. ყვავი, რომელიც მაშინ თეთრი ფერისა იყო, დაწყევლა, შავი ბუმბულით შემოსა და ყვავებს აკროპოლისზე გამოჩენა საერთოდ აუკრძალა. მანამდე ყვავი ათენას საყვარელი ფრინველი იყო, მას შემდეგ კი ქალღმერთის ფრინველი ბუ გახდა.

ზოგიერთები კეკროფსის ასულთა ამბავს უფრო ვრცლად მოგვითხრობენ:

დები აკროპოლისზე სახლობდნენ. მათ სახლს სამი ოთახი ჰქონდა, შუაში ცხოვრობდა ჰერსე, აქეთ-იქით კი პანდროსოსისა და აგლავროსის ოთახები იყო განლაგებული. ერთხელ, დღესასწაულის დღეს, როცა ქალებს წმინდა კალათები ედგათ თავზე და პროცესიიდან შინ ბრუნდებოდნენ, ჰერმესმა თვალი მოჰკრა მათ და ჰერსე შეუყვარდა – დებს შორის ყველაზე ლამაზი. ღმერთი დაუოკებელი სურვილით აენთო ქალის მიმართ და გადაწყვიტა, ღამით მის ოთახში შეეღწია. მან აგლავროსს სთხოვა, შეეშვა დასთან. ქალი დაეთანხმა, მაგრამ სანაცვლოდ ოქრო მოსთხოვა, შემდგომ კი ისე მოეძალა შური დის მიმართ, რომელიც უკვდავ ღმერთს შეჰყვარებოდა, რომ ჰერმესს პირი უტეხა და აღთქმული სიტყვა არ შეუსრულა. სასტიკად განრისხდა მიჯნური ღმერთი და ჯადოსნური ჯოხის დაკვრით ქვის ქანდაკად აქცია აგლავროსი, მერე ჰერსესთან შევიდა და საწადელი აისრულა. ჰერსემ თავის ღვთაებრივ საყვარელს ორი ვაჟი უშვა: კეფალოსი და კერიქსი. კეკროფსის ასულებმა სევდიანად დაასრულეს სიცოცხლე. ცნო-

ბისმოყვარეობამ დალუპა ისინი. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ დაისაჯნენ თავიანთი საქციელის გამო, ათენამ სიგიჟე დასცა მათ და გონებაარეულნი აკროპოლისის მაღალი მთიდან გადაეშვნენ. ერიხთონიოსი კი ქალღმერთმა თავის ეგისში შემალა და მასზე ისე ზრუნავდა, რომ მისი შვილიც კი ეგონათ.

ერიხთონიოსი ათენის მეორე მეფე შეიქმნა და დიდხანს მორჭმით მეფობდა. მან სათავე დაუდო ათენას ძველთაძველ დღესასწაულს, პანათენეებს. იგი იყო პირველი, ვინც ცხენები ეტლში შეაბა და ეტლთა შეჯიბრი გამართა.

ერიხთონიოსის შემდეგ ათენში ერეხთევსი გამეფდა. ზოგი გადმოცემის მიხედვით, იგი იყო ატიკის მეფის, პანდიონის ვაჟი. ერეხთევსს ცოლად ჰყავდა პრაქსითეა, მათ ოთხი ვაჟი და შვიდი ასული შეეძინათ.

ათენელებსა და ელევსინელებს შორის დიდი ომი გაჩაღდა. ელევსინელთა დასახმარებლად პოსეიდონის ვაჟმა, ევმოლპოსმა თრაკიელთა ძლიერი ლაშქარი წამოიყვანა და ღვთაებრივი მამის სახელით ატიკის სამეფო ტახტის მოპოვება განიზრახა. ათენელები სასტიკად შეშინდნენ, ერეხთევსმა ორაკულს კითხვით მიმართა, როგორ მოქცეულიყო, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა. ორაკულმა კი მიუგო, რომ თუკი ერეხთევსს ევმოლპოსის ლაშქარზე გამარჯვების მოპოვება სურდა, მას უნდა შეეწირა ქალღმერთ ათენასთვის თავისი უმცროსი ქალიშვილი ოტიონეა. ეს რომ მისმა ასულმა გაიგო, თავისი ფეხით ავიდა სამსხვერპლოზე, რათა მამის ტახტი და მშობლიური მხარე გადაერჩინა. ოტიონეა მსხვერპლად შესწირეს, იმავდროულად ერეხთევსის ორმა უფროსმა ქალიშვილმა, პროტოგენეამ და პანდორამ, საკუთარი ხელით მოისწრაფეს სიცოცხლე. მშობლებმა არც კი იცოდნენ, რომ მათ ქალიშვილებს ერთმანეთისთვის შეეფიცათ, თუკი ერთ-ერთი მათგანი მოკვდებოდა, დანარჩენებიც მოისწრაფებდნენ სიცოცხლეს.

ერეხთევსმა მართლაც გაიმარჯვა ამ ბრძოლაში. მან თავისი ხელით განგმირა ევმოლპოსი, მაგრამ პოსეიდონმა ზევსს შე-

სთხოვა, რომ მისი შვილის მკვლელისთვის სამაგიერო მიეზღო, ზევსმაც ძმას თხოვნა შეუსრულა და ერეხთევსს მეხი დასცა. სხვა მონათხრობის მიხედვით კი, თავად პოსეიდონმა სტყორცნა გმირს თავისი სამკბილა, მიწა გაიპო და ერეხთევსი ქვესკნელმა შთანთქა. ერეხთევსის ასულთა პატივსაცემად ათენელებმა ტაძარი აღმართეს და მათი კულტი დააწესეს.

## იონი

როცა ერეხთევსი გარდაიცვალა, ათენის მეფედ იონი გამოაცხადეს.

სინათლისა და მუსიკის ღმერთმა, აპოლონმა უჩუმრად გაიზიარა სასიყვარულო სარეცელი ათენის მეფის ქალიშვილთან. ეს იყო კრეუსა და მოხდა ეს ამბავი ათენის სიახლოვეს, ერთ-ერთ გამოქვაბულში. როცა კრეუსას გაუჩნდა ვაჟი, მას სასტიკად შეეშინდა, ჩვილი სასახლეში გამოეჩინა; აპოლონმა თავისი ხელით გადაიყვანა იგი დელფოს სამისნოში და ბიჭი იქ, ქურუმთა შორის გაიზარდა. ბავშვი თავიდანვე იღებდა მონაწილეობას ღვთისმსახურებაში და დელფოს სამისნოს ქურუმი შეიქმნა. მან ირგვლივ ყველას თავი შეაყვარა, ქურუმებმა ბიჭს იონი დაარქვეს.

გავიდა ხანი. ქსუთოსსა და კრეუსას შვილი არ უჩნდებოდათ. ეს ამბავი ორივეს მალზე აწუხებდა. ერთხელაც ქსუთოსი დელფოს სამისნოში მივიდა იმის საკითხავად, თუ რა ეღონა, რომ ბიჭი შესძენოდა. მისდა გასაოცრად, ასეთი პასუხი მოისმინა: „შენ უკვე გყავს ვაჟი, ტაძრიდან რომ გახვალ, ვინც პირველი შემოგხვდება, იცოდე, ის არის შენი პირმშო!" ტაძრიდან გასულს პირველად იონი შეეფეთა, ქსუთოსმა იგი თავის შვილად ცნო. მან იფიქრა, რომ ეს, ალბათ, მისი შვილი იყო, რომელიც დიდი ხნის წინ დიონისური ორგიების დროს რომელიმე მენადისგან გასჩენოდა. ეს ამბავი კრეუსას თავიდან არ მოეწონა. პირიქით, იგი ბოღმით აივსო, რადგან ქსუთოსს შვილი გამოუჩნდა, იგი კი კვლავ უშვილო იყო. და მან განიზრახა, იონი მოეკლა.

ქალმა ჭაბუკს მოწამლული ღვინით სავსე თასი გაუწოდა, მაგრამ იონმა, ვიდრე სასმისს შესვამდა, გადაწყვიტა ღვინო ღმერთებისთვის შეეწირა და ჭურჭელს პირი წაუქცია. მოფრინდა მტრედი, დალია დაღვრილი ღვინო და იქვე სული განუტევა. ამის შემხედვარე იონი კრეუსას მოსაკლავად დაედევნა, ქალი გაიქცა და აპოლონის საკურთხეველთან მიიჭრა, რათა ღმერთისთვის შემწეობა ეთხოვა. საქმეში აპოლონის ქურუმი ჩაერია და გაუმჟღავნა იონს, რომ იგი კრეუსასა და აპოლონის შვილი იყო, მაგრამ ჯობდა, ეს ქსუთოსისთვის არ გაემხილათ. დედა-შვილი სიხარულით გადაეხვია ერთმანეთს. ეს იყო ბედნიერი დღე ორივესათვის, რადგან კრეუსამ შეიტყო, რომ მისი პატარა ბიჭი, რომელიც დიდი ხნის მკვდარი ეგონა, ცოცხალი გადარჩენილიყო და მის წინ იდგა; ხოლო იონმა შეიტყო, რომ იგი ვიღაც მენადის კი არა, ათენის მეფის ქალიშვილისა და დიადი აპოლონის ძე იყო.

მალე იონმა ცოლად შეირთო მშვენიერი ჰელიკე, მეფე სელინოსის ქალიშვილი, რომელთანაც ოთხი ვაჟი შეეძინა.

## ბორეასი და ორითიია

ელინებს სხვა ღმერთების გვერდით ქართა ღვთაებებიც ჰყავდათ: დასავლეთიდან მქროლი საამო ზეფიროსი, შმაგი ბორეასი, რომელიც ჩრდილოეთიდან უბერავდა, ნისლიანი სამხრეთის ქარი ნოტოსი და სხვანი და სხვანი... მაგრამ მათზე მითოსური გადმოცემები ან არ არსებობდა, ანდა ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ზეფიროსი, გაზაფხულის მაცნე, არც ერთი მითის გმირად არ გვევლინება, ცნობილია მხოლოდ, რომ იგი თანაეყო ულამაზეს და უმარდეს ფაშატს, ჰარპია პოდარგეს, რის შედეგადაც იშვა აქილევსის გრძნეული და წინასწარმეტყველი ცხენი ქსანთოსი.

ქარების ღმერთთაგან მხოლოდ ბორეასზე არსებობდა თქმულება. ეს იყო ჩრდილოეთის ცივი და მსუსხავი ქარი — ფრთოსანი და ორსახოვანი, რომაელთა იანუსის მსგავსად. მისი ერთი სახე წინ მაცქერალი იყო, მეორე — უკუმაცქერა-

ლი. ბორეასს ფეხების ნაცვლად გველები ესხა, ცხოვრობდა გამოქვაბულში, რომლის შვიდ ორწოხში არესის სადგომი იყო. ხანდახან, როცა იგი გამძვინვარებული ჩამოიქროლებდა, თავის გზაზე ყველაფერს მუსრავდა. მაგრამ ერთხელ ჩრდილოეთის ქარმა, ბორეასმა, მდინარე ილისის ნაპირზე ერეხთევსის ასული მშვენიერი ორითიია დაინახა. იგი დედასთან ერთად თავდავიწყებით ცეკვავდა და ბორეასი მისდამი სიყვარულით განიმსჭვალა. მან გადაწყვიტა, იგი ცოლად შეერთო და თავის ქვეყანაში, შორეულ ჩრდილოეთში წაეყვანა. მაგრამ მრისხანე და პირქუში ქარის ცოლობა გუნებაში არ მოსდიოდა ერეხთევსის ასულს და მან მოულოდნელად სასიძოს უარი განუცხადა. მაშინ ბორეასი მამამისთან მივიდა და ქალიშვილის ხელი სთხოვა, მაგრამ ერეხთევსმა იგი ორჭოფული პასუხით გაისტუმრა. მიხვდა ბორეასი, რომ მამას სადღაც ჩრდილოეთში გადასაკარგავად არ ემეტებოდა თავისი ასული და იგი ორითიიას ნებით ვერ წაიყვანდა. და ერთხელ, როცა აკროპოლისზე სადღესასწაულო მსვლელობა იყო გამართული, ორითიიას კალათა ხელიდან გაუსხლტა და ქარმა აიტაცა, ქალი კალათას გამოედევნა და როცა პროცესიას გამოეყო, ბორეასმა შეუმჩნევლად შემოხვია ფრთები, აიტაცა და თრაკიის მხარისაკენ უკუიქცა. ორითიია ბორეასის საყვარელი ცოლი შეიქმნა და ოთხი შვილი გაუჩინა: ორი ქალი და ორი ვაჟი. ვაჟებს – კალაისსა და ძეტოსს მოწიფულობის ასაკში მამის მსგავსად ფრთები გამოესხათ. ისინი გამორჩეული მეომრები იყვნენ და ჰარპიებთან გამკლავება მათ გარდა არავის შეეძლო.

## პროკნე და ფილომელა

ატიკის მეფეს, პანდიონს, ორი ასული ჰყავდა – პროკნე და ფილომელა. ერთხელ პანდიონსა და თებეს მეფეს, ლაბდაკოსს შორის დიდი ომი გაჩაღდა. ატიკის ხელმწიფეს ტერევსმა, თრაკიელთა მეფემ, ჯარი მიაშველა და მათი დახმარებით პან-

დიონმა თებელები დაამარცხა. მადლიერების გრძნობით აღვსილმა პანდიონმა ტერევსს თავისი მშვენიერი ასული პროკნე ცოლად გააყოლა. მან კი ახლად შერთული ცოლი თავისთან, შორეულ თრაკიაში წაიყვანა. ისინი ერთხანს ბედნიერად და უშფოთველად ცხოვრობდნენ. ღმერთმა მათ ერთი ვაჟი უბოძა, რომელსაც იტისი დაარქვეს. იგი საოცარი სილამაზის ბიჭი იყო, დედ-მამას მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. პროკნეს გულს მხოლოდ ერთი რამ აკლდა – თავისიანების სიახლოვე. ერთხელაც მან სთხოვა ტერევსს, რომ მცირე ხნით ატიკაში გაეშვა, ანდა თვითონ წასულიყო მისიანებთან და ფილომელა ჩამოეყვანა. ტერევსიც დაჰპირდა ცოლს, რომ დას ჩამოუყვანდა.

პანდიონი დიდი სიხარულით შეეგება სიძეს, მაგრამ როგორც კი ჩასვლის მიზეზი გაიგო, სიხარული გაუქარწყლდა, რადგან თავისი მეორე ქალიშვილის შორეულ თრაკიაში გაშვება ძალზე ემძიმებოდა. მშვენიერი ფილომელას დანახვამ მაშინვე გული აუძგერა ტერევსს და მასთან გამიჯნურების სურვილი მოეძალა. იგი დიდხანს ეხვეწა პანდიონს გაეშვა ქალიშვილი, აუწერა პროკნეს მარტოობა, ისე შთამბეჭდავად და მძაფრად დაუხატა, თუ რა დღეში იყო პროკნე, როგორ ენატრებოდა შორს წასულს თავისიანები, რომ ბოლოს და ბოლოს, მამას გული აუჩუყა და დაითანხმა. ტერევსი და ფილომელა ხომალდში ჩასხდნენ და თრაკიისკენ გასწიეს. როცა თრაკიის მიწას ფეხი დაადგეს, ტერევსმა ფილომელა შინ კი არ წაიყვანა, დაბურულ ტყეში, ერთ მივარდნილ ქოხში შეიყვანა და მასთან ტრფიალი მოიწადინა. ფილომელა შეაძრწუნა ამ ამბავმა, ვერც ცრემლებმა მოალბო ტერევსი, ვერც მუქარამ შეაშინა. მან ძალით დაიმორჩილა ქალი, მერე კი ენა ამოჰკვეთა, რათა გამწარებულს ვერავისთვის მოეყოლა მომხდარი; თავად სასახლისკენ გასწია და ცოლი მოატყუა, ვითომდა მისი საყვარელი და ცოცხალი აღარ დახვედროდა და ამიტომაც დაბრუნებულიყო უიმისოდ. პროკნე დიდხანს გლოვობდა ფილომელას, ის კი ამ დროს უღრან ტყეში, მიტოვებულ ქოხში მარტოდმარტო იჯდა და თავის მძიმე ხვედრს დასტიროდა,

უნდოდა, როგორმე ხმა მიეწვდინა პროკნესთვის, და ბოლოს მოიფიქრა: მოქსოვა რიდე, რომელზედაც ამოქარგა მთელი თავისი თავგადასავალი – რაც თავს გადახდა და ეს რიდე დას გაუგზავნა. პროკნემ რომ რიდე ნახა, ყველაფერს მიხვდა. სწორედ იმხანად ღვინის ღმერთის დღესასწაულები იდგა და ღამეული მსვლელობები იმართებოდა. დიონისეს თანამგზავრი ბაკქი ქალები დილიდან საღამომდე დაეხეტებოდნენ ტყეებში და თავიანთ წინამძღოლს ხოტბას ასხამდნენ. პროკნემაც მათთან ერთად ტყისკენ გასწია, მონახა ქოხი, რომელშიაც ენაამოგლეჯილი ფილომელა იჯდა და შინ წაიყვანა. მოსვენებადაკარგული პროკნე მარტო დაეხეტებოდა სასახლის ბნელ ტალანებში და შურისგებაზე ფიქრი არ ასვენებდა. უნდოდა, ისეთი რამ მოეფიქრებინა, რითაც ყველაზე მეტად დასწყვეტდა გულს მოღალატე ქმარს, და მოიფიქრა: თავისი ერთადერთი ვაჟი იტისი ოთახში დაიმარტოვა და მახვილი ჩასცა. დებმა ნაჭერ-ნაჭერ აკუწეს საბრალო ბიჭი და მისი ხორცისგან შეჭამანდი მოამზადეს. როცა ტერევსი საღამოს შინ დაბრუნდა, პროკნემ მას ვახშამი გაუშალა და კერძი მიართვა. ტერევსი არხეინად შეექცეოდა შვილის ხორცისგან დამზადებულ ჭამადს. ვახშამზე მან რამდენჯერმე მოიკითხა იტისი, შემდეგ კი მოითხოვა, რომ მისთვის დაეძახათ. ფილომელამაც აღარ დააყოვნა და მაგიდაზე ბიჭის გასისხლიანებული თავი დაუგდო; ტერევსს თავზარი დაეცა, თვალთ დაუბნელდა, მიხვდა, რომ საყვარელი შვილის ხორცს შეექცეოდა; როცა გონს მოეგო, დასწვდა დანას და ორთავეს მოსაკლავად გამოუდგა. მაგრამ ღმერთებმა სამივენი ფრინველებად აქციეს; როგორც ამბობენ, ტერევსი – ოფოფად, რომელსაც თომარ-ჯიღა საბრძოლო ჩაჩქანივით ადგას თავზე, პროკნე – ბულბულად, ფილომელა კი – მერცხლად. ბულბული დღემდე სევდიანად გალობს და დასტირის თავის საბრალო ბიჭს, იტისს; მერცხალს კი მკერდზე პატარა წითელი ლაქა უელავს. ეს თურმე ის სისხლია, ტერევსის ვაჟს რომ სდიოდა ჭრილობიდან და ფილომელას მკერდზე შეესხურა.

# 7 თესალიელი გმირები

## კენტავრთა და ლაპითთა ბრძოლა

პირითოოსი ლაპითთა მეფის ძე იყო, მან ცოლად ულამაზესი ჰიპოდამეა შეირთო და დიდებული ქორწილი გადაიხადა. ამ საგანგებო დღეს ატიკიდან პირითოოსის უახლოესი მეგობარი თესევსიც ჩამოვიდა. ქორწილი ლაპითთა სატახტო ქალაქში გადაიხადეს.

ქორწილზე ლაპითებმა თავიანთი მეზობელი კენტავრებიც დაპატიჟეს, რომლებიც მეტად ველური ზნისანი იყვნენ. კენტავრი მეტად უცნაური არსება იყო – ნახევრად ცხენი და ნახევრად კაცი. მისთვის პირდაპირ რომ შეგეხედათ – კაცის აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ უკნიდან – ცხენის ტანი და ფეხები ება. მათ მხოლოდ ნადირობა და ყაჩაღობა იცოდნენ, ხორცს უმად ჭამდნენ. ქორწილზე ოლიმპოსის მაღალი ღმერთებიც იყვნენ დაპატიჟებულნი, პირითოოსმა ყველა მოიწვია ომის ღმერთის, არესისა და განხეთქილების ქალღმერთის – ერისის გარდა, რადგან კარგად ახსოვდა, თეტისისა და პელევსის ქორწილზე რა უბედურება დაატრიალა ერისმა. ერთი სიტყვით, იმდენმა სტუმარმა მოიყარა თავი, რომ სასახლეში ტევა არ იყო. მაშინ კენტავრები და თესალიის ზოგი მბრძანებელი იქვე, მღვიმეში გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ. აქ ბრძანდებოდა პილოსის ცნობილი და სახელგანთქმული მეფე ნესტორი, გოლიათი ლაპითი კენევსი და სხვანი. კენტავრები, რომელთაც ღვინო იქამდე არასოდეს ეგემათ, მიეძალნენ მათრობელა სასმელს და წყალგაურევლად სვეს. ისინი დაუცხრომლად ივსებდნენ და ცლიდნენ ვერცხლის სასმისებს და ისე გამოთვრნენ, რომ როცა ამ დღისთვის საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული პატარძალი მღვიმეში შეიყვანეს, რათა სუფრის წევრებს ედღეგრძელებინათ, კენტავრებმა ერთი ღრიანცელი და აყალმაყალი შექმნეს. ერთ-ერთმა ხელი სტაცა პატარძალს და თავისკენ მიიზიდა, სხვა კენტავრებმაც მას მიბა-

ძეს და სუფრასთან მსხდომ ქალებს დაერივნენ. პირითოოსი და მისი მეგობარი თესევსი ჰიპოდამეას საშველად გადახტნენ. გაიმართა ბრძოლა. სიძე-მეგობარმა ევრითიონს ყურები და ცხვირი მოაჭრა და შორს მოისროლა, გაალმასებულები ებრძოდნენ გადამთვრალ კენტავრებს და ამ ხელჩართულმა ბრძოლამ შუაღამემდე გასტანა. ბევრი დაიხოცა, მათ შორის გოლიათი კენევსი; თუმცა მისი მოკვლა ძალზე საძნელო საქმე იყო, რადგან აპოლონს იგი უწყვლადი გაეხადა, ძლიერი დარტყმებით იგი სარივით ჩაასეს მიწაში და ისე გამოასალმეს სიცოცხლეს. ასე და ამგვარად, ლაპითებსა და კენტავრებს შორის დიდი მტრობა და შუღლი ჩამოვარდა. ეს ამბავი კი, როგორც ამბობენ, მოაწყვეს ომის ღმერთმა, არესმა და განხეთქილების ქალღმერთმა, ერისმა – მათ სამაგიერო გადაუხადეს მეფე-პატარძალს არად ჩაგდებისთვის.

ამ ბრძოლაში დამარცხდნენ კენტავრები. თესევსმა, რომელმაც დიდად ისახელა თავი, ისინი ერთიანად გააძევა იმ არემარიდან. ზოგი კენტავრი დიონისესთან მივიდა და მის სამსახურში ჩადგა. თესალიაში მხოლოდ ერთი ბრძენი კენტავრი – ქირონი დარჩა, რომელსაც ყველა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, მას გმირები აღსაზრდელად თავიანთ შვილებს ანდობდნენ.

როგორც ამბობენ, კენტავრებმა მტრობა გულში ჩაიდეს, ბედს არ შეჰგუებიან და მცირე ხნის შემდეგ თავს დაესხნენ ლაპითებს. მათთვის კი ეს თავდასხმა სრულიად მოულოდნელი იყო და ამჯერად ველარ მოახერხეს გამკლავებოდნენ მომხდურთ. კენტავრებმა მათი უმეტესობა ამოჟუჟეს, გადარჩენილებმა მთას შეაფარეს თავი, მაგრამ მტრებმა იქაც არ დააყენეს და ბოლოს ლაპითები მალეას კონცხზე გადაიხვეწნენ.

ლაპითთა და კენტავრთა ბრძოლას ხშირად გამოსახავდნენ ბერძენი ფერმწერნი და მოქანდაკენი. იგი ბერძენ ხელოვანთა ერთ-ერთ უსაყვარლეს თემად იქცა.

# ჰ ე რ ა კ ლ ე



# 8 ჰერაკლეს დაბადება და სიჭაბუკე

## ზევსი და ალკმენე

ბერძენთა რჩეული გმირის, ჰერაკლეს თავგადასავალი საინტერესო და საოცარ თქმულებებში აისახა. გადმოგვცემენ, რომ იგი ზევსისაგან ჩაესახა უმშვენიერეს მოკვდავ ალკმენეს მაშინ, როდესაც მისი მეუღლე ამფიტრიონი საბრძოლველად იყო წასული. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ალკმენე იყო მიკენის უზენაესი მეფის, პერსევსის ძის, ელექტრიონის, ასული. ერთხელ ამ ქალაქს თავს დაესხნენ ტაფოსელები და ტელებოსელები. მოულოდნელ ბრძოლაში ელექტრიონმა რვა ძე დაკარგა. თავდამსხმელებმა გაიტაცეს სამეფო ჯოგი და უკუიქცნენ. მიკენის მბრძანებელმა შეკრიბა თავისი ლაშქარი და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. ხოლო სამეფო ტახტი თავის ძმისშვილს, ამფიტრიონს ჩააბარა და დაუბარა: „კარგად იმეფე, მე გავიმარჯვებ და როდესაც შინ დავბრუნდები, ჩემს ქალიშვილზე, ალკმენეზე დაგაქორწინებ“. ამფიტრიონმა ელისის მეფისგან შეიტყო, რომ გატაცებულ ჯოგს მასთან მალავდნენ. მან ეს ჯოგი გამოისყიდა. შემდეგ მოიწვია ელექტრიონი და ზარალის ანა-

ზღაურება მოსთხოვა. განაწყენებულმა მეფემ იკითხა: „რა უფლებით გაყიდეს ელისელებმა სხვისი საკუთრება, თანაც მოპარული, ან რად ჩაება ამფიტრიონი ამ სიცრუეში?" პასუხის ნაცვლად აღშფოთებულმა ამფიტრიონმა ჯოგს ჩამორჩენილ ძროხას სტყორცნა კომბალი, რომელიც რქებიდან ასხლტა და ელექტრიონს მოხვდა. მიკენის მეფემ იქვე განუტევა სული. ამის გამო კი ამფიტრიონი მისმა ბიძამ, სთენელოსმა, არგოლისიდან გააძევა. იგი ალკმენესთან ერთად გაიქცა თებეში, სადაც მიიღო მეფე კრეონმა და აღასრულა წესისგება მის განსაწმენდად. პატივმოყვარე ალკმენემ მაინც არ მოისურვა მასთან სარეცლის გაზიარება. სთხოვა, შური ეძია ტაფოსელებზე და ტელებოსელებზე იმ რვა ძმის გამო, რომლებიც ბრძოლის ველზე დაეცნენ. მეფე კრეონმა კვლავ გამოიჩინა გულისხმიერება და ამფიტრიონს ნება დართო ბეოტიელთა ლაშქარს ჩასდგომოდა სათავეში იმ პირობით, რომ თებესაც გაათავისუფლებდა მძვინვარე ტევმესიელი მელიისაგან. ამფიტრიონმა აღასრულა ეს დავალება მონადირე კეფალოსის ცნობილი ფეხმარდი ძაღლის შემწეობით. შემდეგ ათენელთა, არგოსელთა და სხვა მომხრეთა ძალისხმევით დაამარცხა ტელებოსელები და ტაფოსელები, ხოლო მათი კუთვნილი კუნძულები თანამებრძოლებს დაურიგა.

ამასობაში ზევსი ეწვია დედამიწას. იხილა მშვენიერი ალკმენე და მასთან გამიჯნურება მოიწადინა. მიიღო ამფიტრიონის სახე, დაარწმუნა ალკმენე, რომ მისი ძმებისთვის უკვე იძია შური, რაც სინამდვილეს შეესაბამებოდა: ამფიტრიონმა ზუსტად იმ დილას მიაღწია სასურველ გამარჯვებას. ზევსმა ალკმენესთან გაატარა მთელი ღამე, რომელიც ხანგრძლივობით სამი ღამისოდენა იყო. ღამის გახანგრძლივება კი ასე მოხდა: ჰერმესმა ზევსის ნებით უბრძანა ჰელიოსს, მიემალა სხივები, აეხსნა ეტლი და მთელი დღე სასახლეში დარჩენილიყო, რადგანაც ისეთი დიდი გმირის ჩასახვა, ზევსს რომ ჰქონდა ჩაფიქრებული, აუჩქარებლად უნდა მომხდარიყო. ჰელიოსი ამ ნებას დაჰყვა, თუმცა ბრაზობდა და სინანულით იგონებდა იმ დროს,

როდესაც დღე დღე იყო და ღამე-ღამე, როცა კრონოსი, იმხანად უზენაესი ღვთაება, არ ტოვებდა ხოლმე თავის კანონიერ მეუღლეს სამიჯნურო თავგადასავლების ძიებაში. შემდეგ ჰერმესმა მთვარეს უბრძანა, ემოძრავა ძალიან ნელა, ხოლო ძილის ღმერთს – ისეთი ძალით დაეხუჭა ყველასთვის თვალი, რომ ვერ გაეგოთ, რაც ხდებოდა. ალკმენე კი გაბრწყინებული უგდებდა ყურს ზევსის საუბარს მოპოვებულ გამარჯვებებზე და მთელი სამი ღამისოდენა დროით ეძლეოდა სასიყვარულო ნეტარებას მასთან, ვისაც თავის მეუღლედ თვლიდა.

მეორე დღეს კი, ბრძოლებიდან დაბრუნებული ამფიტრიონი არ იშურებდა სიტყვებს, რათა მოეთხრო ალკმენესათვის თავის გამარჯვებებსა და იმ გრძნობებზე, საყვარელი მეუღლისადმი რომ განიცდიდა. მისდა გასაოცრად, ალკმენე სულაც არ ისწრაფოდა სარეცლისაკენ, პირიქით, ასეთი რამ მიუგო: „გასულ ღამეს თვალიც არ მოგვიხუჭავს. ნუთუ დღესაც უნდა მომასმენინო ის ამბები, რაც ბრძოლებისას თავს გადაგხდა?" ამ სიტყვებით შეშფოთებულმა ამფიტრიონმა ცნობილ წინასწარმეტყველ ტირესიასს მიმართა, რომელმაც ამცნო ის, რაც მოხდა. სიმართლემ ისე შეაძრწუნა ამფიტრიონი, რომ ალკმენეს აღარც გაკარებია, ეშინოდა რა ღვთაებრივი ეჭვიანობის.

გავიდა ცხრა თვე. ქალღმერთმა ატემ გონება დაუბინდა ზევსს, რომელმაც გათქვა თავისი საიდუმლო. მან სიამაყით განუცხადა ღმერთებს, რომ სულ მალე დაიბადებოდა მისი ძე, რომელსაც ჰერაკლეს დაარქმევდნენ და რომელიც შეიქნებოდა პერსევსის სახელოვანი კარის მეუფე. მოჰკრა თუ არა ამ სიტყვებს ყური ეჭვიანმა ჰერამ, შეიპირა ზევსი, რომ მას, ვინც შებინდებამდე დაიბადებოდა პერსევსის სახლში, უზენაეს მმართველად სცნობდნენ. როგორც კი მიიღო ზევსისგან ურღვევი ფიცი, ჰერამ ისწრაფა მიკენისკენ და დააჩქარა მეფე სთენელოსის მეუღლის, ნიკიპეს მშობიარობა. შემდეგ თებესკენ გაემართა, ალკმენეს კარიბჭის წინ ჩამოჯდა და მანამ არ ამშობიარა, ვიდრე არ იშვა სთენელოსის შვიდთვიანი ძე ევრისთევსი.

ერთი საათის შემდეგ დაიბადა ჰერაკლე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ტყუპისცალიც ჰყოლია – იფიკლესი, რომელიც ამფიტრიონისაგან ჩასახულა.

როდესაც ჰერა ოლიმპოსზე დაბრუნდა, ტრაბახი იწყო იმაზე, თუ როგორ აცდუნა ზევსი. განრისხდა ღმერთთა მბრძანებელი. მძვინვარებისგან გონდაბინდულმა ხელი სტაცა თავის უფროს ქალიშვილს, ატეს და მთელი ძალით გადმოსტყორცნა დედამიწაზე. ზევსს არ შეეძლო დაერღვია თავისი ფიცი, ველარ იქნებოდა ჰერაკლე პერსევსის სახელოვანი კარის მმართველი. სამაგიეროდ, მეხთამტყორცნელმა დაითანხმა ჰერა იმაზე, რომ ჰერაკლე ღმერთთა შორის დაიდებდა ბინას, თუ ევრისთევსის დავალებით თორმეტ გმირობას აღასრულებდა.

## ბავშვობის ხანა

ზევსმა თავის საყვარელ ასულ ათენას მოუწოდა, ყოფილიყო ჰერაკლეს მფარველი, რაც ხალისით ითავა კიდეც ღვთაებამ: ერთხელ, როდესაც ჩვილი ჰერაკლე თებეს კედლებთან გაშლილ ველზე მიაძინა ალკმენემ, ზევსის ჩაგონებით ათენამ ჰერას დაანახვა იგი და უთხრა: „შეხედე, ძვირფასო, რა ლამაზი და ძლიერი ბავშვია. ჭკუიდან გადასულა დედამისი, ჩვილი რომ ასე მიუგდია. შენ რძე გაქვს, იქნებ გამოკვებო საბრალო!“ ჰერამ, რომელიც ვერ მიუხვდა ათენას ოინს, ბავშვი აიყვანა და მკერდი გაიშიშვლა. ჰერაკლემ კი ისეთი ძალით დაუწყო წოვა, რომ ღვთაებამ ტკივილს ვერ გაუძლო და ჩვილი მოისროლა. რძის ნაკადი ზეცის თაღზე დაიღვარა და ცის იკანკლედად იქცა. ჰერაკლე ჰერას რძის მოსმით უკვდავებას ეზიარა, ხოლო ათენამ, მიაღწია რა თავის საწადელს, ღიმილით დაუბრუნა ბავშვი ალკმენეს და უბრძანა, კარგად აღეზარდა. თებელები იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა, „ჰერაკლეს ველს“ უწოდებდნენ.

წლისაც არ იქნებოდა ჰერაკლე, ჰერამ რომ მისი დაღუპვა განიზრახა. როდესაც ყველას ეძინა, მან ბავშვების სამყოფელში ორი უზარმაზარი გველი შეგზავნა. მათი თვალებიდან ცეცხ-

ლი იფრქვეოდა, კბილებიდან კი შხამი მოიღვრებოდა. ზევსმა სასწაულებრივად გაანათა საძინებელი. ტყუპებმა თვალი გაახილეს, შემზარავი სანახაობით შეძრწუნებულმა იფიკლესმა შეჰყვირა და საწოლიდან ჩამოგორდა. ყვირილზე ალკმენეს გამოეღვიძა, ამფიტრიონიც გამოფხიზლდა. წამოხტა საწოლიდან, ხელი სტაცა თავის მახვილს და ფეხშიშველი გაიქცა ბავშვთა საძინებლისკენ. ნათელი გაქრა, მაგრამ მსახურების მიერ შემოტანილ ჩირაღდანთა შუქზე კარგად დაინახეს ამფიტრიონმაცა და სასახლის სხვა ბინადრებმაც ჯერარნახული სასწაული: ჰერაკლეს პატარა ხელებში ორი უზარმაზარი გველი იკლაკნებოდა. როდესაც გველები გაიგუდნენ, ჰერაკლემ გაიცინა და დაყარა ისინი ამფიტრიონის ფეხებთან.

ვიდრე ალკმენე შეშინებულ იფიკლესს აწყნარებდა, ამფიტრიონმა მზრუნველობით წააფარა საბანი ჰერაკლეს და კვლავ თავის თალამოსში დაბრუნდა. გამთენიისას, როცა მამალმა სამგზის იყივლა, ალკმენემ ტირესიასი იხმო და მომხდარი სასწაული ამცნო. გრძნეულმა მოხუცმა ჰერაკლეს დიადი მომავალი უწინასწარმეტყველა.

სიამაყით აღსავსე ამფიტრიონმა ჰერაკლეს აღზრდა ითავა. მან მოიწვია ცნობილი მოძღვრები, მუსიკოსები და მწვრთნელები. თავად ეტლის მართვასა და მოსახვევთა იოლად გავლას ასწავლიდა, კასტორი — საბრძოლო ხელოვნებას, ჰერმესის ერთ-ერთი ძე, ავტოლიკოსი — მუშტი-კრივს, ევრიტოსი — მშვილდოსნობას, ევმოლპოსი — სიმღერასა და კითარაზე დაკვრას, ხოლო ლინოსი — ლიტერატურას.

ერთხელ ჰერაკლე კითარაზე უკრავდა. ევმოლპოსი იმხანად იქ არ იყო. სამაგიეროდ იქვე იდგა ლინოსი, რომელმაც რაღაც შეუსწორა. ჰერაკლემ ევმოლპოსისაგან მიღებული ცოდნა უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა და კვლავ თავისებურად განაგრძო დაკვრა. განაწყენებულმა ლინოსმა გაარტყა. მოწაფემ თავი ვერ შეიკავა და კითარა მოუღერა მოძღვარს. ვერ მოზომა და ისეთი ძალით დაჰკრა, რომ საბრალოს სული გააფრთხობი-

ნა. ამ უმსგავსო საქციელისთვის იგი სამსჯავროს წინაშე წარდგა, მაგრამ თავი იმართლა სახელოვანი მსაჯულის, რადამანთისის, სიტყვებით: „ვისაც დაარტყამენ, უფლება აქვს დარტყმით უპასუხოს." მოსამართლეებმა ზევსის ძე გაამართლეს ათენა პალასის შემწეობით. შეწუხებულმა ამფიტრიონმა კი იმის შიშით, რომ მსგავსი რამ კვლავ არ ჩაედინა მის აღსაზრდელს, კითერონის ტყით შემოსილ მთებში გაგზავნა ჯოგების მოსამწყემსად. ამ ულამაზესი ბუნების წიაღში გაიზარდა ჰერაკლე და დიდებულ ჭაბუკად იქცა. იგი ხომ ღმერთის შვილი იყო. სწორედ ამიტომ გამოირჩეოდა ადამიანთაგან თავისი ახოვანებით, უმშვენიერესი გარეგნობითა და ძალმოსილებით. მისი თვალებიდან უჩვეულო ღვთაებრივი ნათელი გამოკრთოდა, მის მიერ ნასროლი შუბი თუ ისარი არასოდეს ასცდენია მიზანს. ჰერაკლე თავად არ ისწრაფოდა ბრძოლისაკენ, თუმცა თავდამსხმელს მუდამ საკადრის პასუხს მიაგებდა ხოლმე. შეეძლო სხვისი მწუხარების გაზიარებაც. მან პირველმა მოკვდავთა შორის ნება დართო მტერს, დაეკრძალა თავისი მიცვალებული.

თვრამეტი წლის იყო ჰერაკლე, როდესაც გაიგო, რომ კითერონის ლომი მოსვენებას არ აძლევდა ამფიტრიონს და მის მეზობელ მეფე თესპიოსს, ერეხთეიონის ჩამომავალს. ამ ლომს ბუნაგი ჰქონდა ჰელიკონის მთაზე, რომლის ძირშიც მდებარეობდა ქალაქი თესპია.

მეფე თესპიოსს ორმოცდაათი მშვენიერი და მხიარული ქალწული ჰყავდა. იმის შიშით, რომ მათ უმსგავსო საქმროები არ შეერჩიათ, მამამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ყოველ მათგანს შვილი უნდა გაეჩინა ჰერაკლესგან, რომელიც იმხანად ლომზე ნადირობდა. „შენ შეგიძლია სარეცელი გაიზიარო ჩემს უფროს ქალიშვილთან", — თავაზიანად შესთავაზა გმირს თესპიოსმა და ყოველღამე ჰერაკლესთან მოდიოდა სხვადასხვა ქალწული. მხოლოდ ერთმა მათგანმა უარყო მისი ალერსი, შეინარჩუნა ქალწულობა აღსასრულამდე და ქურუმად მსახურობდა თესპიის სალოცავში. თესპიოსის ქალიშვილებმა ორმოცდა-

თერთმეტი ძე უშვეს დიდ გმირს (ორმა ტყუპ-ტყუპი გააჩინა). ჰელიკონის ჭალაში ჰერაკლემ ძირფესვიანად ამოგლიჯა დიდი იფნის ხე, რომლისგანაც უზარმაზარი კომბალი გამოთალა. სწორედ ამ კომბლით გააფრთხობინა სული კითერონის ლომს და მისი ტყავით შეიმოსა. ხოლო თავი კი მუზარადად გამოიყენა.

## ჰერაკლეს დაბრუნება თებეში

ჯერ კიდევ კითერონის მთებში შეიტყო ჰერაკლემ, რომ თებეს მეფე კრეონი, რომელსაც შეფარებული ჰყავდა მისი მშობლები, მძიმე გასაჭირში იყო ჩავარდნილი. იგი ორქომენოსის მეფე ერგინოსს ყოველწლიურად დიდ ხარკს უხდიდა. ჰერაკლემ განიზრახა, გაეთავისუფლებინა თებელები ამ მძიმე გადასახადისაგან. როდესაც იგი ჰელიკონიდან ბრუნდებოდა, გზად შემოეყარნენ ერგინოსის მაცნეები, რომლებიც ხარკის ასაკრეფად მიდიოდნენ. ჰერაკლემ ჰკითხა მათ, თუ საით ეშურებოდნენ. მაცნეებმა სიამაყით განუცხადეს: „თებესკენ გვიჭირავს გეზი. ქალაქის მკვიდრთ კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ის, თუ რაოდენი კეთილშობილება გამოიჩინა მეფე ერგინოსმა, რომ არ მოჰკვეთა მათ ცხვირები, ყურები და ხელები ხარკის გადაუხდელობის გამო“. „ნუთუ ერგინოსს მართლაც უნდა ასეთი ხარკი?“ – მრისხანებით იკითხა ჰერაკლემ. მან დაიჭირა მაცნეები, ჩამოათალა ცხვირები, ყურები და ხელები, კისერზე ჩამოჰკიდა და გაუყენა ორქომენოსის გზას.

მეფე ერგინოსი თავს დაესხა თებეს, განაიარაღა მისი ლაშქარი და მოითხოვა, გაეცათ ის კაცი, ვინც ასეთი ბოროტება ჩაიდინა. მეფე კრეონმა იმის შიშით, რომ ერგინოსს წინააღმდეგობას ველარ გაუწევდა, უფრო კეთილგონივრულ ნაბიჯად მიიჩნია დამორჩილება, მაგრამ ჰერაკლე წინ აღუდგა და მოქალაქეებს თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოუწოდა. მან მოიარა ქალაქის ყველა ტაძარი, საიდანაც გამოიტანა გადანახული საბრძოლო ნადავლი, მეომართა აღსაკაზმავი. ჰერაკლეს ქცევით მოხიბლულმა ღმერთქალმა ათენამ თავად აღკაზმა მებრძოლები.

ჰერაკლეს ორაკულმა გამარჯვება უწინასწარმეტყველა, ოღონდ კეთილშობილ თებელთაგან ვინმე საკუთარი ნებით უნდა გამოსალმებოდა სიცოცხლეს. სპარტელთა ჩამომავალ ანტიპენზე შეაჩერეს მებრძოლებმა მზერა, მაგრამ რადგანაც მან არ ისურვა შესწირვოდა საერთო საქმეს, მისმა ქალიშვილებმა, ანდროკლეამ და ალკისმა, გაწირეს თავი, რის გამოც შემდეგ მათ თაყვანს სცემდნენ არტემისის წმინდა ტაძარში.

დიდი სიმამაცე და გონიერება გამოიჩინა ჰერაკლემ ამ ბრძოლაში. მრავალი შეტაკება მოიგო მხოლოდ საკუთარი გმირობისა და თავგანწირვის ფასად. სამწუხაროდ, ამ ომს შეეწირა მისი მამობილი ამფიტრიონი.

ამ გამარჯვებამ ჰერაკლეს დიდი სახელი მოუტანა. ჯილდოდ მეფე კრეონმა თავისი უფროსი ასული მეგარა (ან მეგერა) შერთო ცოლად და ქალაქის დამცველად დანიშნა. იფიკლესს ერგო მეფის უმცროსი ქალიშვილი. ორი ძე უშვა მეგარამ ძლევამოსილ გმირს.

შემდეგ ჰერაკლემ დაამარცხა მინიელთა მეფე პირექმოსი. ბრძანა, რომ მისი გვამი გამოებათ ორ კვიცზე და ასე შუაზე გახლეჩილი მიეგდოთ მდინარე ჰერაკლეას ნაპირთან. იმ ადგილს შემდეგ „პირექმოსის კვიცებს" უწოდებდნენ ჰერაკლეს საქციელით შეძრული ბერძნები.

## შეშლილი ჰერაკლე

ქალღმერთმა ჰერამ საზარელი სენი შეჰყარა ზევსის რჩეულ ძეს: გონება წარსტაცა და სიგიჟე მოუვლინა. თავდაპირველად ჰერაკლე მოსაკლავად დაედევნა თავის ძმისშვილ იოლაოსს, რომელიც რალაც სასწაულით გადარჩა. შემდეგ თავისი ექვსი შვილი მტრად ჩათვალა და ამოხოცა, ხოლო გვამები სათითაოდ კოცონზე დაწვა. მათ იფიკლესის ორი ძეც მიაყოლა. როდესაც გმირი გონს მოეგო, რამდენიმე დღით ჩაიკეტა ბნელ ოთახში, ხოლო განწმენდის რიტუალის აღსრულების შემდეგ დელფოს სამისნოსკენ გაეშურა, რათა შეეტყო, თუ როგორ მოენანიებინა უნე-

ბურად ჩადენილი ცოდვა. პითიამ მოუწოდა, მისი მშობლების სამკვიდრებელ ტირინსში წასულიყო და მეფე ევრისთევსის კარზე თორმეტი წელი ემსახურა. ქურუმმა ჰერაკლეს უკვდავება უწინასწარმეტყველა, ოღონდ გმირს ევრისთევსის ბრძანებით თორმეტი საქმე უნდა აღესრულებინა.

დამწუხრდა ჰერაკლე. მას არ სურდა ემსახურა უღირსი მეფის კარზე. ამასთანავე მამა-ზევსის განრისხებასაც ერიდებოდა. გმირს ამშვიდებდნენ მეგობრები და ურჩევდნენ აღესრულებინა ღმერთის ნება. თანდათან დაცხრა ჰერაკლე და ბედს დამორჩილდა. ასე დასახლდა იგი მშობლიურ ქალაქ ტირინსში, რათა ცოდვების გამოსასყიდად მიკენის მეფის სურვილები ესრულებინა. თავად ევრისთევსს კი ისე ეშინოდა ძლევამოსილი გმირისა, რომ ახლოს არ იკარებდა, ყველა ბრძანებას თავისი შიკრიკის, კოპრევსის, პირით ატყობინებდა.

# 9 ჰერაკლეს თორმეტი გმირობა

საგმირო საქმეთა აღსასრულებლად ჰერაკლეს ოლიმპოსის დიდმა ღმერთებმა უბოძეს აღსაჭურველი: ჰერმესმა უძღვნა შუბი, აპოლონმა – მშვილდი და არწივის ფრთით დამშვენებული ისრები, ჰეფესტომ – ოქროს ჯავშანი, ხოლო ათენამ თავად მოუქსოვა სამოსი. პოსეიდონმა გმირი დაასაჩუქრა ტაიჭებით, მამა-ზევსმა კი ფარით, რომელზეც მრავალი დიდებული საქმე იყო აღბეჭდილი. ასე ამბობენ, როცა ჰერაკლე საბრძოლველად შეიმართებოდა ხოლმე, შუა ბალთის გარშემო არშიად შემოვლებული თორმეტი გველის თავი გრგვინავდა და შიშის ზარს სცემდა მის პირისპირ მდგომთ.

## გმირობა პირველი: ნემეას ლომი

თებეს სამხრეთით, არგოლისის ქალაქ ნემეას მახლობლად ბინადრობდა მძვინვარე ლომი. იგი ქოფაკ ორთროსისა და ექიდნეს ნაშობი იყო. ლომი უმოწყალოდ აჩანაგებდა ახლომდებარე მი-

დამოებს. მას შიშით ვერავინ ეკარებოდა. ადამიანურ ძალას არ შეეძლო მისი განგმირვა. ცბიერმა ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ ლომის მოკვლა უბრძანა. წარბი არ შეუხრია გმირს, ისე წავიდა ამ უაღრესად სახიფათო ბრძანების აღსასრულებლად. მან ზურგზე კაპარჭი მოიგდო, ერთ ხელში მშვილდი დაიკავა, ხოლო მეორეში – ჰელიკონის ჭალაში გამოთლილი კომბალი.

კლეონში ჰერაკლემ ღამე გაათია ერთი მწყემსის სახლში. მისი ვაჟი ნემეას ლომს მოეკლა და ახლა მამა ჰერას მოსამადლიერებლად ცხვრის შესაწირად ემზადებოდა. ჰერაკლემ მწყემსს ურჩია: „... ოცდაათი დღე დამელოდე, თუ მე კეთილად დავბრუნდები, მხსნელ ზევსს შესწირე მსხვერპლი. თუ არ დავბრუნდი, ეს მსხვერპლი მე შემომწირე, როგორც გმირს!."

ჰერაკლემ ნემეას შუადღისას მიაღწია. უკაცრიელი იყო მთელი მიდამო. საზარელი ლომის შიშით ძეხორციელი არ ჩანდა ირგვლივ. დიდხანს ეძებდა დაბურულსა და პირქუშ ხეობებში ზევსის ძე ნადირს. შებინდებისას გმირი ლომის ბუნაგს მიადგა. ეს იყო ვეებერთელა მღვიმე, რომელსაც ორი გამოსასვლელი ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი ჰერაკლემ ლოდებით ამოავსო. მეორე გამოსასვლელთან თავად ჩასაფრდა. როცა დაბნელდა, გამოჩნდა უზარმაზარი ნადირი, რომელსაც თავი გრძელი ფაფარით ჰქონდა დაფარული. ღამის სიბნელეს მის თვალთაგან გადმოფრქვეული ცეცხლი ანათებდა. ჰერაკლემ მშვილდი მოზიდა და ისარი მძლავრად სტყორცნა მისკენ მომავალ ლომს, მაგრამ მისმა რვალივით კანმა ისარი აისხლიტა. ლომი შედგა, თავი მაღლა ასწია და გაირინდა. ჰერაკლემ კიდევ ორჯერ მოზიდა მშვილდი, მაგრამ ლომის უწყვლად ტყავს ასხლეტილი ისრები სხვადასხვა მიმართულებით გაფრინდნენ. ლომი მძვინვარე თვალებს აბრიალებდა და ისრის მტყორცნელს ეძებდა, და ჰა, დაინახა კიდეც. მეხის ქუხილივით გაისმა მთებში მისი ღრიალი, იგი ნახტომისათვის მოემზადა და ელვის სისწრაფით დაეძგერა ჩასაფრებულ გმირს. მაგრამ დაასწრო ჰერაკლემ, ისეთი ძალით დაენარცხა მისი კომბალი ფაფარაყრილ ნადირს თავზე, რომ ნამსხვრევებად იქცა.

მიწად განერთხა არაადამიანური დარტყმით გაბრუებული ლომი, რომელსაც ანაზდად მივარდა ჰერაკლე, მოხვია მძლავრი მკლავები და მოახრჩო. შემდეგ გმირმა ლომი ბეჭებზე მოიგდო და კლეონისკენ ისწრაფა. მწყემსის სახლს სწორედ ოცდამეათე დღეს მიაღწია და დაინახა, რომ აქ ყველაფერი მზად იყო მისთვის მსხვერპლის შესაწირად. გაიხარა მწყემსმა, ჰერაკლე რომ უვნებელი იხილა. მათ ერთად შესწირეს მსხვერპლი მხსნელ ზევსს. წესისგების აღსრულების შემდეგ ჰერაკლემ ახალი კომბალი გამოთალა, ნემეურ ასპარეზობებში შესწორებები შეიტანა, ეს თამაშები ზევსს მიუძღვნა და მიკენისკენ გასწია.

უსულო ნადირის დანახვაზე ისე დაფრთხა ევრისთევსი, რომ თავზარდაცემულმა ჰერაკლეს ქალაქში გამოჩენა აუკრძალა. ამიერიდან გამარჯვების წილ მოპოვებული ნადავლი გმირს გალავნის მიღმა უნდა დაეტოვებინა.

ხოლო ჰერაკლე ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ატარებდა მუზარადად ლომის თავსა და მოსასხამად მისივე ტყავს. ლომის თათები მკერდზე საბელებად ჰქონდა შეკრული რაინდს.

## გმირობა მეორე: ლერნეს ჰიდრა

მეფე ევრისთევსმა ჰერაკლე ახლა უფრო მძიმე დავალების აღსასრულებლად გაგზავნა: არგოსიდან მოშორებით ზღვის ნაპირზე მდებარეობდა ქალაქი ლერნე. მის ჩრდილოეთით, ჭადრის ხის ძირას, იქ სადაც წყარო ამიმონე იღებდა სათავეს, ბუნაგი დაედო საზარელ ურჩხულს, ჰიდრას, რომელსაც გველის უზარმაზარ ტანზე ცხრა თავი ება. ამ თავთაგან ერთი უკვდავი იყო. ამიტომ შეუძლებლად მიაჩნდათ ჰიდრას დამარცხება. იგი ლერნეს ჭაობებში დათარეშობდა და აჩანაგებდა ირგვლივ მიდამოს.

ამჯერად ევრისთევსმა ჰერაკლეს ამ ურჩხულის მოკვლა უბრძანა. შეუდრეკელი გმირი ლერნესკენ თავისი საყვარელი ძმისშვილის, იოლაოსის თანხლებით გაეშურა.

ქალღმერთმა ათენამ თავად მოიფიქრა ის, თუ რა უნდა ელონა ჰერაკლეს. მისი რჩევით მიაღწია გმირმა ჰიდრას ბუნაგს და

ალმოდებული ისრები დაუშინა. ურჩხული ბუნაგიდან გამოძვრა, სხეულის გრეხვით კუდზე წამოიმართა და ის იყო გმირს უნდა სცემოდა, რომ არაადამიანური ძალით მოქნეული კომბალი მოხვდა და იგი კვლავ მიწად განერთხა. ჰერაკლე შესაპყრობად მივარდა ჰიდრას, მაგრამ ურჩხული ახლა ფეხზე შემოეგრაგნა. ამაოდ აცლიდა ჰერაკლე ჰიდრას თავებს. ურჩხული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რადგანაც ყოველი მოგლეჯილი თავის ადგილას ორი ან სამი ახალი ამოსდიოდა.

ჰიდრას დასახმარებლად ჭაობიდან უზარმაზარი კიბორჩხალა ამოძვრა და ჰერაკლეს ტერფში ჩაეჭიდა. გმირმა შეუბრალებლად გასრისა იგი და დასახმარებლად უხმო იოლაოსს, რომელმაც ჭალას ცეცხლი წაუკიდა და აგიზგიზებული მუგუზლებით დაუწყო მოწვა ჰიდრას კისრებს, ჰერაკლე რომ თავებს აცლიდა. ახლა უკვე ურჩხულს ახალი თავები აღარ ეზრდებოდა. იგი თანდათან კარგავდა ძალას. ბოლოს ჰერაკლემ ურჩხულს მახვილით წააცალა უკვდავი თავიც, რომელიც ნაწილობრივ ოქროსი იყო და ღრმად ჩაფლა მიწაში. ზედ ვეებერთელა კლდე დაადგა, რათა ველარასოდეს ეხილა მზის ნათელი. შემდეგ მან ჰიდრას სხეული ასო-ასო აკუწა და მის ნაღველში ამოავლო თავისი ისრები. სწორედ ამიტომ ჰერაკლეს აუცდენელი ისრის ნაიარევი განუკურნელიც იყო. გამარჯვებული გმირი თავის ძმისწულთან ერთად ზეიმით დაბრუნდა მშობლიურ ტირინსში.

ევრისთევსს არ სურდა ეს გამარჯვება ჰერაკლეს თავისი გმირობებისთვის მიეთვალა, რადგანაც იგი გმირმა იოლაოსის დახმარებით აღასრულა. მაგრამ მეფის ამ სურვილისთვის აღარავის მიუქცევია ყურადღება.

## გმირობა მესამე: ერიმანთოსის ტახი

მესამე გმირობის აღსასრულებლად ევრისთევსმა ჰერაკლე არკადიაში გაგზავნა. მას ცოცხლად უნდა შეეპყრო ტახი. ეს იყო უზარმაზარი, მძვინვარე მხეცი, რომელიც ერიმანთოსის მთის კიპარისებით დაფარულ ფერდობებზე ბინადრობდა. იგი წამახუ-

ლი ეშვებით ფატრავდა კაცსა თუ ცხოველს. გაუკაცრიელდა მთის ირგვლივ მდებარე ქალაქები, აღარავის სურდა არკადიაში ცხოვრება. და აი, ჰერაკლე ამჯერად ამ ტახთან შესარკინებლად გაეშურა. გზად შეიარა თავისი მოძღვრის, ბრძენი ქირონის უსაყვარლეს მეგობართან, კენტავრ ფოლოსთან, რომელმაც დიდი პატივით მიიღო ზევსის ძე. ფოლოსის მამა იყო მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისეს რჩეული სილენოსი. მან კენტავრებს აჩუქა დიონისეს ვაზის პირველი მტევნით მოწეული ნექტარი, რომლის სურნელება ათრობდა მაღალ მწვერვალებსაც კი.

ფოლოსმა სუფრა გაშალა და თავი ახადა ღვინით სავსე ჩაფს. უმალ მოეფინა ღვინის სუნი მთებსა და ველებს. კენტავრებმაც შეიგრძნეს იგი და განრისხდნენ ფოლოსზე, რომელმაც მათ გარეშე ჩამოასხა ღვთაებრივი სასმელი. ლოდებით, კომბლებითა და ნაჯახებით შეიარაღებულმა კენტავრებმა ფოლოსის მღვიმისკენ ისწრაფეს. მათ წინ უშიშრად აღიმართა ჰერაკლე და ნაწილი იქვე ამოხოცა. გადარჩენილებმა ბრძენი ქირონის მღვიმეს შეაფარეს თავი მალეაზე. მათ კვალდაკვალ მიჰყვა ჰერაკლე. მოზიდა მშვილდი და მისი მომაკვდინებელი ისარი შემთხვევით ქირონს მუხლში ჩაერჭო. ღრმა მწუხარებამ მოიცვა გმირი, როს გონს მოეგო და გაიაზრა, რომ დაჭრა მისივე მეგობარი, ბრძენი მოძღვარი. უმალ იარა მოუბანა, მაგრამ ამაოდ. ნაიარევი განუკურნელი იყო. იცოდა ქირონმა, რომ არ მოკვდებოდა, რადგან უკვდავი იყო, მაგრამ საშინლად გაწამდებოდა.

დარდით აღსავსე გაემართა ჰერაკლე ერიმანთოსის მთისკენ. დაბურულ ტყეში წააწყდა იგი მძვინვარე ტახს და მანამდე სდია, ვიდრე ღრმა თოვლში არ მოიმწყვდია. ჰერაკლემ იგი ცოცხლად შებოჭა, პირდაპირ მიკენში ჩაიყვანა და ევრისთევსს მიართვა. მხდალი მეფე უზარმაზარი ტახის დანახვაზე შიშით ბრინჯაოს დიდ პითოსში ჩაიმალა.

ასე აღასრულა ჰერაკლემ თავისი მესამე გმირობა. იგი დიდხანს წუხდა იმის გამო, რომ უნებურად ამოწყვიტა ტიტანთა მოდგმა. ორადორი კენტავრი დარჩა ცოცხალი: ნეფელეს ვაჟი

ნესოსი, რომელსაც ევენოსის მდინარეზე გადაჰყავდა ხალხი და კრონოსის ძე, ბრძენი ქირონი, რომელიც მოგვიანებით პრომეთეს გაუცვლის უკვდავებას სიკვდილში ზევსის თანხმობით.

## გმირობა მეოთხე: კერინეიის ირემი

ნადირობის ღვთაება არტემისი გაუნაწყენდა არკადიელებს და დასასჯელად მშვენიერი ირემი მიუგზავნა. მას ოქროს რქები და სპილენძის ჩლიქები ჰქონდა. იგი ქარივით დაქროდა ველ-მინდვრებში და მთელ მოსავალს აოხრებდა. იცოდა ევრისთევსმა, რომ ამ ირემს ვერავინ ეწეოდა, ამიტომაც დაავალა ჰერაკლეს მისი ცოცხლად შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა. დაუფიქრებლად გაეშურა ჰერაკლე არკადიისკენ. მის მაღალ მთებში წააწყდა იგი მშვენიერ ირემს, რომელიც ისარივით მიფრინავდა გაშლილ ველებზე, თავს ევლებოდა უფსკრულებს და მდინარეებს მიაპობდა მალი ცურვით. კვალდაკვალ სდევდა გმირი ნადირს, რათა თვალთაგან არ დაეკარგა. ასეთი სრბოლით მიაღწიეს მათ ქვეყნიერების ჩრდილოეთ სამანს, ჰიპერბორეასა და მდინარე ისტროსის წყაროსთვალს. წამით შეყოვნდა აქ არტემისის მშვენიერი ნადირი, ჰერაკლემ ხელიც წაატანა, მაგრამ გაუსხლტა და კვლავ სამხრეთით იბრუნა პირი. ქარის სისწრაფით მფრინავ ირემს ჰერაკლე მხოლოდ არკადიაში დაეწია. მისი შეპყრობის იმედი რომ დაკარგა, აუცდენელი ისარი სტყორცნა და ფეხში დაჭრა. ამჯერად ისარი შხამიანი არ იყო, მაგრამ მაინც უჭირდა მშვენიერ ირემს სწრაფი სრბოლა. მაშინ კი იოლად შეიპყრო იგი ჰერაკლემ, მხრებზე მოიგდო და მიკენისკენ გაემართა. გზად მოევლინა ღმერთქალი არტემისი და განრისხებულმა ასე მიმართა: „ნუთუ, ჰერაკლე, არ იცოდი, რომ ეს წმინდა ირემი მე მივუგზავნე არკადიელებს? რაზედ დამწყვიტე გული ამ მშვენიერი ნადირის დაჭრით? იქნებ გგონია, რომ ოლიმპოსის ღმერთებს ძალით აღემატები? წყენას არავის ვაპატიებ!"

შეწუხებულმა ჰერაკლემ მოკრძალებით დახარა თავი ნადირთა მფარველი ქალღმერთის წინაშე, თუმცა დაარწმუნა,

რომ ამ მკრეხელობაში იგი უდანაშაულო იყო. მან უამბო არტემისს, რომ ცოდვათა გამოსასყიდად ღმერთების ნებით ემსახურება მეფე ევრისთევსს, რომ მთელი წელი სწორედ მისი ბრძანებით დასდევს ამ ირემს. ნადირთა მფარველმა ღმერთქალმა გულისყურით მოუსმინა ჰერაკლეს, შეიწყალა და კვლავ თავის საბრძანებელში ამაღლდა. ხოლო ალკმენეს ღვთაებრივი ძე გაეშურა მიკენისაკენ, სადაც ცოცხლად ჩაიყვანა მშვენიერი ირემი.

## გმირობა მეხუთე: სტიმფალიური ფრინველები

ჰერაკლეს ახალ დავალებას უმზადებდა ევრისთევსი. მას უნდა გაენადგურებინა არესის წმინდა ფრთოსნებად მიჩნეული საზარელი ფრინველები, რომელთაც ბრინჯაოს ფრთები, ნისკარტები და კლანჭები ჰქონდათ. ისინი ადამიანებს ჭამდნენ და ულმობლად ანადგურებდნენ არკადიის ქალაქ სტიმფალოსის ირგვლივ მდებარე მიდამოებს.

ამ დავალების აღსრულების ჟამს ჰერაკლეს ათენა პალასი მოევლინა მფარველად. მებრძოლმა ქალღმერთმა გმირს ჰეფესტოს გამოჭედილი ორი სპილენძის დაფი მისცა. ურჩია, მაღალ მთაზე შემდგარიყო იმ ტყის მახლობლად, სადაც სტიმფალიური ფრინველები ბუდობდნენ, ძლიერად დაეკრა დაფი და მის ხმაზე აშლილი ფრთოსნები დაუხანებლად დაეხოცა. ჰერაკლე ისე მოიქცა, როგორც დიდმა ქალღმერთმა ურჩია. ავიდა მთაზე, დაჰკრა დაფსა და ისეთი გრიალი ატეხა, რომ თავზარდაცემული ფრინველები ანაზდად წამოიშალნენ. შიშისგან შეძრულნი ტყეს დასტრიალებდნენ და ისარივით წამახულ ფრთებს სეტყვასავით უშენდნენ დედამიწას. მაგრამ ზევსის ძეს ერთიც არ მოხვედრია. მან მშვილდი მოზიდა და დამფრთხალ ფრინველებს მომაკვდინებელი ისრები სტყორცნა. ბევრი დაიხოცა, ბევრიც მაღლა ღრუბლებში აფრინდა და თვალს მიეფარა. კაციჭამია ფრთოსნებმა ევქსინის პონტოსკენ აიღეს გეზი. იქ მათ მერე არგონავტები აღმოაჩენენ.

ჰერაკლე კი ბრძენი ათენას შემწეობით კვლავ გამარჯვებული დაბრუნდა ტირინსში.

## გმირობა მეექვსე: ავგიასის თავლები

სამშობლოში დაბრუნებულ ჰერაკლეს დასვენება არ აცალა მეფე ევრისთევსმა. მან ახალი ბრძანება გასცა: ჰერაკლეს ნაკელისაგან უნდა გაეწმინდა ელისის მეფის, ავგიასის თავლები. ეს მეფე მზის ღმერთის, სხივნათელი ჰელიოსის ძე იყო. ღმერთმა თავის შვილს აუარებელი სიმდიდრე უბოძა. საქვეყნოდ იყო ცნობილი ავგიასის მრავალრიცხოვანი რემები და ჯოგები: მეფეს ჰყავდა სამასი შავი, მაგრამ თეთრფეხა, ორასი წითელი ჯიშის, თორმეტი მშვენიერი მოვერცხლისფრო თეთრი და ერთიც უჩვეულო სილამაზით გამორჩეული, ვარსკვლავივით მანათობელი ხარი.

მრავალი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა ავგიასის თავლები და ბოსლები. მთელს პელოპონესოსში იდგა სუნი ნაკელისა, რომელიც თვიდან თვემდე მატულობდა და ისეთ სქელ ფენად გადაიქცა, რომ იქ გავლაც კი არავის ძალუძდა.

ჰერაკლე მეფეს დაჰპირდა, რომ ერთ დღეში გამოასუფთავებდა ყველა თავლას, თუ გასამრჯელოდ ჯოგების მეათედს მიიღებდა. ავგიასი დასთანხმდა, რადგან ერთ დღეში ასეთი საქმის შესრულება შეუძლებლად მიაჩნდა. მან უხმო თავის უფროს ძეს, ფილეოსს, რათა მოწმე ყოფილიყო ამ შეთანხმებისა. „დაიფიცე, რომ დაბნელებამდე დაასრულებ მთელ სამუშაოს", – მოითხოვა ფილეოსმა. მამის სახელით დაიფიცა ჰერაკლემ და ეს იყო მისგან დადებული პირველი და უკანასკნელი ფიცი. ავგიასმაც დაიფიცა, რომ პირობას აღასრულებდა. ამ დროს თეთრი ჯოგის წინამძღოლი ხარი ეძგერა ჰერაკლეს, რომელიც ლომად მოეჩვენა. გმირმა მარცხენა რქაში წაავლო მას ხელი და უმალ მიწაზე დაანარცხა. შემდეგ შეუდგა თავის საქმეს: იოლაოსის დახმარებით მოანგრია ორი კედელი, რომლებიც თავლას გარშემო ერტყა და წლობით გაუსუფთავებელ ბაკებში ორი მდინარე – ალფეოსი და პენეოსი მიუშვა. წყალმა უმალ წაიღო

დაგროვილი ნაკელი. როდესაც თავლები გაიწმინდა, ჰერაკლემ მდინარეები თავის კალაპოტს დაუბრუნა, მონგრეული კედლები ამოაშენა და მეფე ავგიასს ეახლა, რათა დაპირებული გასამრჯელო მიეღო. ცბიერმა მეფემ სიტყვა გატეხა, რის გამოც ჰერაკლეს ტირინსში უნადავლოდ მოუხდა დაბრუნება.

როდი აპატია მეფეს ცბიერება ამაყმა გმირმა. ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ევრისთევსის სამსახურისგან გათავისუფლებული ჰერაკლე დიდძალი ჯარით ავგიასის სამფლობელოში შეიჭრება, სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაამარცხებს მეფეს და მომაკვდინებელი ისრით სიცოცხლეს გამოასალმებს. ეს ამბავი უფრო დაწვრილებით მოთხრობილია თავში, რომლის სათაურია „ლაშქრობა ელისში“.

## გმირობა მეშვიდე: კრეტის ხარი

იმხანად კუნძულ კრეტას განაგებდა მეფე მინოსი. მან ზღვათა ღვთაება პოსეიდონს აღუთქვა, რომ ხარს შესწირავდა, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ თავის ჯოგში ამ უაღრესად საპატიო წესისგებისთვის მსხვერპლი არ ეგულებოდა. მიწისმრყეველმა პოსეიდონმა უჩვეულოდ ლამაზი ხარი ამოუშვა ზღვათა სიღრმიდან და სამეფო ჯოგს შეურია. მინოსმა რომ ხარი იხილა, მოეწონა და დაენანა მისი მსხვერპლად შეწირვა. მის ნაცვლად მაღალ ღვთაებას სხვა ხარი მიუძღვნა. პოსეიდონი განრისხდა და მშვენიერი ხარი გააცოფა. გამძვინვარებული ცხოველი საოცარი სისწრაფით დაქროდა მთელ კუნძულზე და ყველაფერს ანადგურებდა. მისი დაოკება შეუძლებელი იყო.

ევრისთევსმა ჰერაკლეს სწორედ ამ ხარის შეპყრობა და მიკენში ჩამოყვანა უბრძანა. როდესაც ჰერაკლე კრეტაზე გამოჩნდა, მეფე მინოსმა დიდად გაიხარა, დახმარება აღუთქვა, მაგრამ გმირმა არჩია, თავად აღესრულებინა დავალება. მან იოლად შეიპყრო მძვინვარე და ცეცხლისმფრქვეველი ხარი და მიკენში გაგზავნა. ევრისთევსს შეეშინდა ამ ხარის ჯოგში დატოვება, ჰერას მიუძღვნა და ველზე გაუშვა. ჰერამ არ მიიღო საჩუ-

ქარი და მძვინვარე ცხოველი ჯერ სპარტისაკენ წარმართა, შემდეგ ისევ არკადიისკენ და ისთმოსის გავლით ატიკაში, მარათონის ველზე დაავანა. აქ კი იგი მოგვიანებით საბერძნეთის კიდევ ერთმა დიდმა გმირმა, თესევსმა შეიპყრო და ქალღმერთ ათენას შესწირა მსხვერპლად.

## გმირობა მერვე: დიომედესის ცხენები

ბისტონთა მეფე დიომედესს ჰყავდა საკვირველი ძალისა და სილამაზის ოთხი გაუხედნავი ფაშატი. ისინი მეფეს რკინის ჯაჭვებით ჰყავდა მიბმული სადგომთან. ამ ფაშატებს ადამიანთა ხორცით კვებავდნენ. შეუბრალებელი მეფე დიომედესი მათ სარჩოდ ხდიდა ყველა უცხოელს, ვისაც კი ქარიშხალი მისი სამეფოს საზღვრებთან გადმოისროდა. და აი, სწორედ ეს ცხენები უნდა ჩამოეყვანა ამჯერად ჰერაკლეს ევრისთევსისთვის.

ბისტონთა სამეფო თრაკიაში მდებარეობდა. თანამგზავრთა თანხლებით გაეშურა ჰერაკლე ამ დავალების აღსასრულებლად. სახელოვანმა გმირმა თავის მეგობარ მეფე ადმეტოსთან შევლა განიზრახა, რადგანაც გზა სწორედ მის სამეფო ქალაქ ფერასთან გადიოდა.

*

მეფის სასახლეში კი მწუხარება სუფევდა, სასიკვდილოდ იყო განწირული დედოფალი ალკესტისი და აი, რატომ: მეფე ადმეტოსს მუდამ სწყალობდა ოლიმპოსის მაღალი ღმერთი აპოლონი, რომელმაც ბედისწერის ქალღმერთებს, მოირებს, სთხოვა, ისეთი ხვედრი ერგუნებინათ ადმეტოსისთვის, რომ იგი სიკვდილს გადარჩენოდა. მოირებმა შეისმინეს ღმერთის თხოვნა ერთი პირობით: მეფის სიცოცხლის უკანასკნელ წამს სხვა ვინმე უნდა ჩასულიყო თავისი ნებით სიკვდილის ღვთაების, ჰადესის, პირქუშ სამეუფოში. როცა ადმეტოსს სიკვდილის ჟამი დაუდგა, მეფემ თავის ხანდაზმულ მშობლებს ასე მიმართა: „ჩემო ძვირფასნო, თქვენ ხანგრძლივი და ბედნიერი

ცხოვრება განვლეთ. ბედმა რა ხანია მიგაჯაჭვათ უძლურების სარეცელს, წამოდგომის ძალიც არ შეგწევთ, დაგიმძიმდათ ქუთუთოებიც, აღარც სიცოცხლე გიხარიათ უწინდებურად. მალე უმოწყალო თანატოსიც მოგაკითხავთ და ძალით წაგიყვანთ ჰადესის სამფლობელოში. მე კი ჯერ კიდევ მერჩის ძალი და სასიკეთო საქმეების აღსრულების უნარიც შემწევს. არ დაობლდებიან თქვენი შვილიშვილები, თუ ჩემს მაგივრად ინებებთ ჰადესში ჩასვლას". არ შეიწყნარეს მეფის თხოვნა ხანდაზმულებმა. ფერას არც ერთმა მოქალაქემ არ ისურვა მეფის ნაცვლად სიკვდილი. მხოლოდ ახალგაზრდა და მშვენიერმა ალკესტისმა გადაწყვიტა საყვარელი ქმრის სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი თავის განწირვა. იმ დღეს, როდესაც ადმეტოსის სიცოცხლე უნდა დასრულებულიყო, სასიკვდილოდ გაემზადა ალკესტისი, იგი სასახლის კერიასთან მივიდა და ოჯახის მფარველ ჰესტიას მხურვალედ შეავედრა თავისი შვილები. ლოცვის შემდეგ დედოფალმა მირტის რტოებით შემოსა საკურთხევლები, ბოლოს თავის თალამოსში შევიდა და თვალცრემლიანი სარეცელზე დაემხო. შემოვიდნენ მისი შვილებიც, მკერდში ჩაიკრა ახალგაზრდა დედამ მწარედ მოტირალი ქალვაჟი. მუხლმოყრილი ევედრებოდა ადმეტოსი მშვენიერ მეუღლეს, შეეცვალა თავისი განზრახვა, მაგრამ ალკესტისი უკვე მზად იყო სასიკვდილოდ. უჩუმრად უახლოვდებოდა მეფის სასახლეს ღმერთთა და კაცთა საძულველი თანატოსი. თვით ოქროსკულულებიანი აპოლონი მოუწოდებდა სიკვდილის ღმერთს, არ მოესწრაფა ასე მალე მისი რჩეული ადმეტოსის მეუღლისათვის სიცოცხლის წამი. მაგრამ უმოწყალოა თანატოსი. მისი ნებით თვალებზე ბინდი გადაეფარა ალკესტისს, სხეული გაუცივდა...

ადმეტოსმა ბრძანა, ღირსეული გასვენება მოეწყოთ ალკესტისისთვის. შვიდი თვე უნდა ეგლოვა ყველას მის სამეფოში ქალთა შორის უღირსეულესი დედოფალი. ძაძებით შეიმოსა მთელი ქალაქი.

ალკესტისის ნეშტს აკლდამაში გადასასვენებლად ამზადებდნენ, როდესაც ფერას სასახლეს ჰერაკლე მიუახლოვდა. დიდი პატივით შეეგება ეგისისმპყრობელი ზევსის შვილს მეფე. დარდი გულში ღრმად ჩაიმარხა, რათა გმირი არ შეეწუხებინა. ადმეტოსმა მსახურთ უბრძანა, საკადრისი ნადიმი გაემართათ ძვირფასი სტუმრისთვის. მოილხინა ჰერაკლემ. გაუჭირდათ მსახურებს სტუმრის გართობა. რა გულმოდგინებით არ სცადეს, შეესრულებინათ მეფის ბრძანება, დაეფარათ მწუხარება, მაგრამ ვერ შეძლეს. ჰერაკლემ მაინც შეამჩნია მათ თვალებში ცრემლი. მან ერთ-ერთი მსახური იხმო და უბრძანა, ეთქვა სიმართლე. ველარ გაუძლო მოწოლილ დარდს მსახურმა და ცრემლების ფრქვევით დიდ გმირს საიდუმლო გაუმხილა.

დანაღვლიანდა ჰერაკლე. შერცხვა, რომ სუროს გვირგვინით თმაშემოსილი მხიარულად ნადიმობდა იმ სასახლეში, სადაც ასეთი მწუხარება იყო გამეფებული. ანაზდად აზრად მოუვიდა, რომ სიკვდილის ღვთაებას შებრძოლებოდა და ალკესტისის დახსნით გაებედნიერებინა მეგობარი. აკლდამისაკენ გაეშურა და თანატოსის მოლოდინში სამარხის უკან მიიმალა. მალე გამოჩნდა თანატოსი და ხარბად დააცხრა სამსხვერპლო სისხლს. ჰერაკლე საფარიდან გამოვარდა და ღმერთს ეძგერა. საშინელი ბრძოლა გაიმართა. გაძვალტყავებული ხელები შემოაჭდო მას თანატოსმა, მკერდი შეუკუმშა და დამაზრალი ამონასუნთქი სახეში შეაფრქვია, ხოლო ფრთათაგან სიკვდილის სუსხი მიაბერა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა ზევსის ძემ, ძალუმ მკლავებში მოიმწყვდია სიკვდილის ღმერთი, შებოჭა და თავისუფლების წილ ალკესტისის სიცოცხლე სთხოვა. ღმერთი დასთანხმდა.

გმირმა ჰერაკლემ სასახლეში წამოიყვანა დედოფალი. იქ მწუხარე მეფეს თავს წაადგა და ასე მიმართა: „დიდო მეფეო, შეხედე ამ ქალს. ხომ არ გაგონებს შენს მეუღლეს? გარწმუნებ, იგი ნამდვილად შენი ალკესტისია. სულთა მბრძანებელს გამოვტაცე მისი სიცოცხლე სასტიკი ბრძოლით. დუმილს არ

დაარღვევს, ვიდრე მიწისქვეშეთის ღმერთებს მსხვერპლს არ შესწირავს თავის გამოსახსნელად. მხოლოდ მაშინ ამეტყველდება, ოდეს სამგზის შეცვლის ღამეს დილის ნათელი. ახლა კი, ჩემო მეგობარო, გემშვიდობები, სიხარულით იბედნიერე და მუდამ დაიცავი სტუმარ-მასპინძლობის წესი, რომელიც მამა ზევსმა დაგვიკანონა!“

გაბედნიერებულმა ადმეტოსმა ჰერაკლეს თავის სამეფოში დარჩენა სთხოვა, მაგრამ ზევსის ძეს საგმირო საქმე უხმობდა.

*

ჰერაკლემ თანამგზავრები შეკრიბა, აფრა აუშვა და სულ მალე მიადგა თრაკიის ნაპირს. უმალ მიაგნო რკინის ჯაჭვებით დაბმულ უჩვეულო სილამაზის ფაშატებს, აუშვა, დაიმორჩილა და თავისი ხომალდისაკენ გასწია. მას სანაპიროსთან დაეწია მეფე დიომედესი ბისტონთა ამალის თანხლებით. ჰერაკლემ ცხენების დაცვა ღმერთების შიკრიკის, ჰერმესის, ძეს აბდეროსს დაავალა, თავად კი დაიწყო მზადება მდევრებთან შესაბმელად. ხერხი იხმარა: გაჭრა არხი, რომლითაც ზღვა ბარში დაეშვა. როდესაც ბისტონები უკუიქცნენ, ჰერაკლე მათ თავს დაესხა, კომბლის დაკვრით განგმირა დიომედესი, რომლის გვამიც მიუგდო მისივე ფაშატებს, თავად კი გამარჯვებულმა შეაბიჯა ხომალდზე. მაგრამ აქ მას დიდი საწუხარი ელოდა: მისი საყვარელი მეგობარი აბდეროსი ცხენებს დაეგლიჯათ. ჰერაკლემ მას მეფური გასვენება მოუწყო. მისი საფლავის მახლობლად კი დააარსა ქალაქი და განსვენებულის პატივსაცემად აბდერა უწოდა. როდესაც ეს საქმე აღასრულა, ჰერაკლემ გაუხედნავი ფაშატები დაიმორჩილა, დიომედესი ეტლში შეაბა და მთათა გადავლით გაემართა მიკენისაკენ. მხდალმა ევრისთევსმა ცხენები ჰერას მიუძღვნა და ოლიმპოსის მაღალ მწვერვალზე ბრძანა მათი გაშვება. ბოლოს ისინი ლიკაონის მთათა უსიერ ტყეებში გარეულმა მხეცებმა დაგლიჯეს.

# გმირობა მეცხრე: ჰიპოლიტეს სარტყელი

ომის ღვთაება არესმა ამორძალთა უმშვენიერეს დედოფალ ჰიპოლიტეს ოქროს უჩვეულო სარტყელი უბოძა. ეს ღვთაებრივი ძღვენი ძალასა და დიდებას ჰმატებდა მებრძოლ ქალთა წინამძღოლს. ევრისთევსის ასულის, ადმეტეს ყურამდეც მიეღწია ამ დიდებული საბოძვრის ამბავს. ქალწულის თხოვნით, მეფე ევრისთევსმა ჰერაკლეს სწორედ ამ ქამრის მოპოვება დაავალა. იცოდა ზევსის ღვთაებრივმა ძემ, რომ წინ დიდი და სახიფათო გზა ელოდა. ამიტომ შეკრიბა საბერძნეთის სახელოვანი გმირები და მტკიცეკიჩოიანი ხომალდით გაემგზავრა შორეული ნაპირებისკენ. ამ მოგზაურობის ჟამს ჰერაკლეს მხარს უმშვენებდნენ ატიკის უდიდესი გმირები: თესევსი, იოლაოსი, ტელამონი, პელევსი და სხვები.

გზად დიდმა გმირმა დაივანა მარმარილოთი ცნობილ კუნძულ პაროსზე, სადაც მინოსის შვილები მეფობდნენ. მათ ჰერაკლეს ორი თანამგზავრი მოუკლეს. განრისხებულმა გმირებმა ომი გამოუცხადეს მინოსის ჩამომავლებს, პაროსის სამეფო ქალაქის მკვიდრნი ალყაში მოიმწყვდიეს და მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მოკლულ გმირთა ნაცვლად მინოსის შვილიშვილები – ალკეოსი და სთენელოსი წამოიყვანეს.

მეხომალდეებმა აფრები ახსნეს და შუა ზღვაში გავიდნენ. მალე მიზიის მეფე ლიკესის სამფლობელოც გამოჩნდა. აქ შეისვენეს საბერძნეთის დიდმა გმირებმა. მეფურად მიიღო ლიკესმა სახელოვანი სტუმრები, მაგრამ მოულოდნელად მის სამეფოს თავს დაესხა ბებრიკთა მეფე. დიდი ჯაფა არ დასდგომიათ ჰერაკლესა და მის მეგობრებს სტუმართმოყვარე ლიკესი რომ დაეცვათ. მათ დაამარცხეს ბებრიკები, დაანგრიეს მათი სატახტო ქალაქი და მთელი საბადებელი მიზიის მეფეს გადასცეს. მადლიერების ნიშნად, ბებრიკთაგან მიტაცებულ სამფლობელოს ლიკესმა ჰერაკლეა უწოდა. მოგვიანებით, პითიას რჩევით, აქ თავის კოლონიებს დააარსებენ მეგარელები და ტანაგროსელები.

ხანგრძლივი ცურვის შემდეგ მიაღწიეს საბერძნეთის დიდმა გმირებმა ამორძალების სატახტო ქალაქ თემისკირას, სადაც უკვე ემზადებოდნენ მათ დასახვედრად. ამორძალების დედოფალს, ჰიპოლიტეს ხომ დიდი ხანია შეეტყო ზევსის ძის გმირობათა ამბავი. იგი თავისი ამალის თანხლებით გამოეგება სახელოვან სტუმრებს. მონუსხულებივით შესცქეროდნენ ამორძალები ჰერაკლეს, რომელიც ისე გამოირჩეოდა თანამგზავრთაგან, როგორც ღვთაება მოკვდავთაგან. ჰიპოლიტე მოხიბლა ჰერაკლეს მამაკაცურმა გარეგნობამ და საუბარმა. იგი მზად იყო ნებით მიეცა მისთვის სარტყელი, ხელიც შეავლო მას მოსახსნელად, მაგრამ ჰერამ ისევ განიზრახა ჰერაკლეს დაღუპვა; ამორძალის სახე მიიღო, მეომარ ქალებს შეერია და წაქეზება დაუწყო, თავს დაესხით ჰერაკლეს ამალას, რადგან მათ ჰიპოლიტეს მოტაცება განუზრახავთო.

ამორძალებმა ირწმუნეს ქალღმერთის ნათქვამი, იარაღი აისხეს და ბერძენ გმირებს შეუტიეს. ბრძოლის ყიჟინი ცას სწვდებოდა. მზეს აბნელებდა ისართა და ოროლთა წვიმა. დიდმა ჰერაკლემ ტყვედ ჩაიგდო ამორძალთა წინამძღოლები, შეუდრეკელი მელანიპე და მშვენიერი ანტიოპე. მეომარი ქალები დამარცხდნენ. დედოფალმა ჰიპოლიტემ თავისი რჩეული მელანიპე ტყვეობიდან არესის ქამრის ფასად გამოისყიდა, ანტიოპე კი ჰერაკლემ თან წაიყვანა და არნახული გმირობისათვის თესევსს უბოძა.

*

ბერძენმა გმირებმა დატოვეს ამორძალების სამფლობელო და მიკენისკენ აიღეს გეზი. როდესაც მცირე აზიის სანაპიროსთან მდებარე ტროას მიუახლოვდნენ, საშინელი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ: კბოდეზე მიჯაჭვული ქალწული იტანჯებოდა. მეხომალდეებმა ღუზა ჩაუშვეს და ნაპირზე გადავიდნენ. აი, რა შეიტყვეს მათ: იმხანად ტროას განაგებდა მეფე ლაომედონი. მალალმა ღმერთებმა, პოსეიდონმა და აპოლონმა, მის სატახ-

ტო ქალაქს გარს შემოავლეს მყარი კედელი. როდესაც მეფემ სამადლობელი საზღაური მათ არ მიაგო, განარისხა: აპოლონმა ტროას ჭირი მოუვლინა, პოსეიდონმა კი – ზღვის ურჩხული, რომელიც ადამიანებს იტაცებდა და შთანთქამდა. განაწამებმა ხალხმა სამისნოს მიმართა და შეიტყო, რომ მათ თავს დამტყდარი უბედურება მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა, თუ მეფე თავის ქალიშვილ ჰესიონეს შესწირავდა მსხვერპლად. სხვა გზა არ ჰქონდა ლაომედონს, თავისი ხელით მიიყვანა მან მშვენიერი ჰესიონე კბოდესთან მისაჯაჭვად. ეს რომ შეიტყო, ჰერაკლემ უბედური ქალიშვილის დახსნა გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ლაომედონს ოდესღაც ჰყავდა ულამაზესი ძე განიმედესი, რომელიც ძლიერ მოეწონა მეხთამტყორცნელ ზევსს. ღმერთთა მეუფემ მეფისწული თან წაიყვანა ოლიმპოსზე, სანაცვლოდ კი მეფეს დიდებული მერნები უბოძა. სწორედ ეს მერნები სთხოვა ჰერაკლემ ლაომედონს ჰესიონეს ხსნის გასამრჯელოდ. მეფე დასთანხმდა.

ჰერაკლე ზღვის პირას აღმართული ბორცვის უკან დაიმალა და დაელოდა საზარელ ურჩხულს, რომელიც მალე გამოჩნდა და ჰესიონეს მიუახლოვდა. შემაძრწუნებელი ყვირილით გამოვარდა ჰერაკლე საფრიდან, ეძგერა ურჩხულს და თავისი ორპირი მახვილი ჩასცა მკერდში. მოულოდნელი მძლავრი დარტყმისგან გაბრუებული ზღვის ბინადარი მიწას განერთხა. მაშინ ჰერაკლემ მას მომაკვდინებელი ისარი სტყორცნა და საბოლოოდ გააფრთხობინა სული. დიადმა გმირმა ჰესიონე ჯაჭვებიდან ჩამოხსნა და მეფეს ეახლა ძვირფასი ძღვენით. დადგა გასამრჯელოს მოთხოვნის დროც. მაგრამ გატეხა სიტყვა ლაომედონმა, არ მისცა ჰერაკლეს მერნები და მუქარით გაისტუმრა ტროადან. ზევსის ძემ ბოღმა გულში ჩაიმარხა. მას არ შეეძლო მაშინვე გადაეხედა სამაგიერო ლაომედონისათვის – მისი ამალა მცირერიცხოვანი იყო, ისინი ვერ გაუმკლავდებოდნენ ტროას მთელ ლაშქარს. დროც აღარ ითმენდა. მეფე ევრისთევსი უკვე ელოდა ჰიპოლიტეს სარტყელს მიკენში. შურისძიება ჰერაკლემ

მომავლისათვის გადადო და მოაცილა მრისხანე მზერა ლაომედონის განწირულ სამეფოს.

მიკენში დაბრუნებულმა ჰერაკლემ ოქროს სარტყელი ევრისთევსს გადასცა. დანარჩენი ნადავლი ასე გაანაწილა: მდიდრული მოსასხამები უძღვნა აპოლონის ტაძარს დელფოში, ჰიპოლიტეს ორპირი ცული კი – ლიდიის დედოფალ ომფალეს. შემდეგ ეს ცული ლიდიის მეფეთა წმინდა რეგალიად იქცა.

## გმირობა მეათე: გერიონის ძროხები

მიკენში ჰერაკლეს ახალი დავალება ელოდა. ევრისთევსმა მას გერიონის ძროხების მორეკვა უბრძანა, თანაც გმირს ეკრძალებოდა მათი მოთხოვნა ან მათთვის საფასურის გადახდა. გერიონი იყო ოკეანიდ კალიროესა და ქრისაორის ვაჟი, იბერიის ტარტესას მეფე. იგი იმხანად მცხოვრებ ადამიანთა შორის უძლიერეს კაცად ითვლებოდა, რამეთუ დაიბადა სამი თავით, ექვსი ხელითა და წელთან შეზრდილი სამი ტანით. მის ზანტსა და მეწამულ ძროხებს, უცნაური აღნაგობით გამორჩეულთ, ოკეანის დასავლეთ სამანთან მდებარე კუნძულ ერითიაზე მწყემსავდა ევრიტიონი, არესის ძე, ხოლო დარაჯად ედგა ტიფონისა და ექიდნას ნაშობი ქოფაკი ორთროსი, რომელიც ადრე თურმე გოლიათ ატლასის საკუთრებად ითვლებოდა. ამ შორეულ გზას ჰერაკლე მარტო დაადგა. გადაიარა მთელი ევროპა, აფრიკა, გადალახა ლიბიის უნაყოფო უდაბნოები და ბარბაროსთა ველური სამფლობელოები. ევროპისა და აფრიკის გასაყართან მდებარე სრუტის ორთავე მხარეს თავისი გმირობის უკვდავსაყოფად ორი უზარმაზარი ქვის სვეტი აღმართა, რომელთაც დღემდე „ჰერაკლეს სვეტებს“ უწოდებენ. ამის შემდეგ კიდევ დიდი გზა განვლო გმირმა, ვიდრე მარადმღელვარე ოკეანის ნაპირებს მიაღწევდა. აქ კი ჩაფიქრდა, აღარ იცოდა, საით უნდა წასულიყო, როგორ მიეღწია ერითიის იმ კუნძულამდე, სადაც გერიონი თავის ძროხებს აბალახებდა. სალამოს მწუხრი მიდამოებს

ეფინებოდა, როცა გამოჩნდა ჰელიოსის ცეცხლოვანი ეტლი და ტალღებისაკენ დაეშვა. მზის ღმერთის კაშკაშა სხივებმა ჰერაკლე შეაწუხეს. იგი ფეხზე წამოიჭრა და მშვილდი მოზიდა. „ეს კი მეტისმეტია!" – წამოიძახა ჰელიოსმა. მიხვდა ჰერაკლე, ვინც იდგა მის წინ და ბოდიში მოიხადა. მზის ღვთაებამ ოქროს ნავი შესთავაზა გმირს კუნძულზე გადასასვლელად. ამ ნავით იგი ოკეანის დასავლეთი ნაპირებიდან აღმოსავლეთით მდებარე ოქროცურვილი სასახლისაკენ ყოველ ღამე მიცურავდა ხოლმე. ჰერაკლემ მადლობა გადაუხადა ღმერთს და გაეშურა ერითიისკენ. გზად ტიტანმა ოკეანოსმა მას გამოცდა მოუწყო და ზღვა აადელვა. მაგრამ მოზიდა თუ არა ჰერაკლემ მშვილდი, ზღვა უმალ დაწყნარდა.

ერითიაზე გმირს ახალი ხიფათი ელოდა. მან ძლივს მოასწრო კუნძულზე ფეხის შედგმა, რომ მრისხანე ორთავიანმა ქოფაკმა ორთროსმა სუნი აიღო და ყეფით გამოვარდა. ჰერაკლემ მას თავისი მძიმე კომბლის ერთი დარტყმით სული გააფრთხობინა. ამ ხმაურზე გამოფხიზლდა გერიონის ჯოგების მწყემსი ბუმბერაზი ევრიტიონი. მასაც ქოფაკის ბედი ეწია. ამის შემდეგ ჰერაკლემ უპატრონოდ დარჩენილი ძროხები მირეკა ზღვისპირთან. მენეტოსმა, ჰადესის ძროხებს რომ მწყემსდა იქვე, ყველაფერი უამბო გერიონს, რომელიც დაუყოვნებლივ დაედევნა ჯოგის გამტაცებელს. ზღაპრული ძალის ბუმბერაზთან შესარკინებლად მოემზადა ჰერაკლე. საოცარი რამ იყო ეს გერიონი. იგი ერთდროულად სამ ფარს იფარებდა და სამ უზარმაზარ შუბს სტყორცნიდა ხოლმე თავის მოწინააღმდეგეს. გაუჭირდებოდა გმირ ჰერაკლეს მისი დამარცხება, შემწედ ათენა პალასი რომ არ მოვლენოდა. დაინახა თუ არა ზევსის ძემ სამთავიანი ბუმბერაზი, მოზიდა მშვილდი და მომაკვდინებელი ისარი თვალში მოახვედრა. შემდეგ ისრები სეტყვასავით მიაყარა და რეტდასხმულ ბუმბერაზს მრისხანებით მოქნეული კომბალი მეხივით დაატეხა თავს. მიწას განერთხა გერიონის სამივე ტანი. ასე დაამარცხა იგი ჰერაკლემ და მისი ჯოგი ჰელიოსის

ოქროს ნავით კუნძულიდან ხმელეთზე გადაიყვანა, ჩამავალ ღმერთს მადლობა უთხრა და ნახირი წინ გაირეკა.

მრავალი რამ შეემთხვა ჰერაკლეს მიკენისკენ მიმავალ გზაზე. გადაიარა ესპანეთი, პირინეის მთები, გალია და ალპები. პირინეებში მას ბებრიკთა მეფის ასული მოსწონებია, რომელიც მალე გარდაცვლილა და დაუმარხავს. გალიაში აუკრძალავს ძველი ადათით უცხოელთა მოკვლა და კეთილშობილური საქმეებით ისე მოუხიბლავს იქაურები, რომ თავის მოგზაურობათა სამახსოვროდ დაუარსებია ქალაქი, სახელწოდებით ალესია, რაც მოხეტიალეს ნიშნავს. ასე ამბობენ, რომ გალები მრავალი საუკუნის მანძილზე პატივს სცემდნენ ამ ქალაქს, მიაჩნდათ დედამიწის ცენტრად და ქალაქთა დედად. იმასაც ამბობენ, რომ გალები თავიანთ თავს იმ გალატას ჩამომავლებად მიიჩნევენ, რომელიც ჰერაკლეს უყვარდა.

როდესაც ჰერაკლე გერიონის ძროხებს ლიგურიის კონცხისკენ მიერეკებოდა, პოსეიდონის ორი ძე გადაეღობა წინ, რაც მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. მტრულად განწყობილ ლიგურიელებთან ბრძოლისას კი ჰერაკლეს ისრები გამოელია. მუხლებზე დაეცა დაჭრილი და აცრემლებული გმირი, ქვაც კი ვერ ნახა ირგვლივ მტრისთვის რომ დაეშინა. მაშინ მისმა ღვთაებრივმა მამამ მოავლინა ღრუბელი, საიდანაც წამოვიდა ქვების წვიმა, რითაც გმირმა უკუაქცია ლიგურიელები. ამ მოვლენის აღსანიშნავად ზევსმა ლიგურიელებთან მებრძოლი ჰერაკლეს გამოსახულება მოათავსა მნათობთა შორის.

ლიგურიის ალპებში ჰერაკლემ გაიყვანა გზა, გაანადგურა ყაჩაღები. შემდეგ გადაიარა იტალია და როდესაც სიცილიას მიადგა, მიხვდა, რომ არასწორი გზით მიდიოდა. ალბულესთან, რომელსაც შემდგომ ტიბროსი ეწოდა, იგი მიიღო არკადიიდან გამოდევნილმა მეფე ევანდროსმა. საღამოხანს, როცა მდინარე გადალახა, ჰერაკლე მოსასვენებლად მიწვა ბალახზე. იქვე, მღვიმეში ცხოვრობდა უზარმაზარი და საზარელი სამთავიანი მწყემსი, სახელად კაკოსი, ჰეფესტოსა და მედუზას ძე. იგი ცეცხლს აფ-

რქვევდა თავისი სამი პირიდან, ადამიანთა თავის ქალებითა და ხელებით მოფენილი იყო მისი მღვიმის ჭერი, ხოლო იატაკს ძვლები ფარავდა. ვიდრე ჰერაკლეს ეძინა, კაკოსმა მისი ჯოგიდან ექვსი საუკეთესო ძროხა მოიპარა. მზის პირველი სხივის გამოჩენისთანავე გაიღვიძა გმირმა და უმალ შენიშნა დანაკარგი. ბევრი ეძია ძროხები და რომ ვერ იპოვა, გზის გაგრძელება გადაწყვიტა. უცებ მოესმა ერთ-ერთი ძროხის ბღავილი. ხმამ მღვიმესთან მიიყვანა, რომლის შესასვლელს კლდის უზარმაზარი ლოდი ფარავდა. მის გადაწევას ათი უღელი ხარის ძალაც არ ეყოფოდა. ჰერაკლემ კენჭივით მოისროლა ეს ლოდი, ცეცხლისმფრქვეველ კაკოსს შეება და სამივე თავი მოუგრიხა. შემდეგ მეფე ევანდროსის შემწეობით აღუმართა ზევსს საკურთხეველი და დაბრუნებული ძროხებიდან ერთ-ერთი შესწირა მსხვერპლად.

ჰერაკლემ გაათავისუფლა ევანდროსი იმ ხარკისაგან, რომელსაც იგი უხდიდა ეტრუსკებს. მოკლა მეფე ფავნოსი, რომელსაც წესად ჰქონდა უცხოელთა მსხვერპლად შეწირვა. ჰერაკლესაგან ფავნოსის ქვრივს თუ ასულს გასჩენია ძე, ლათინოსი, ლათინთა წინაპარი.

გადმოგვცემენ, რომ შემდეგ ჰერაკლემ დააარსა ქალაქი ჰერკულანუმი. ფლეგრეს ველებზე შეება გიგანტებს, გაიყვანა გზა, რომელსაც „ჰერაკლეს გზა“ უწოდეს. როდესაც რეგიას მიუახლოვდა, ნახირს ჩამორჩა ერთი ძროხა, რომელმაც ზღვა გაცურა და სიცილიაზე ამოყო თავი. იქ ძროხა პოსეიდონის შვილმა, მეფე ერიქსმა თავის ჯოგს შეურია. დიდხანს ეძებდა ჰერაკლე ძროხას. შემდეგ ცეცხლისა და მჭედლობის მფარველ ღმერთს სთხოვა, ნახირისათვის მიეხედა, თავად კი სიცილიისკენ გასწია და დაკარგული ძროხა იპოვა. მეფე ერიქსმა არ მოისურვა ძროხის დაბრუნება. მან არ იცოდა, რომ მის წინ გმირი ჰერაკლე იდგა და საკუთარი ძალით დაიმედებულმა იგი ორთაბრძოლაში გამოიწვია. ჰერაკლემ ეს გამოწვევა მიიღო ერთი პირობით: თუ დამარცხდებოდა მეფე, თავისი სამეფო უნდა დაეთმო. იოლად ჩაიგდო ხელში ჰერაკლემ ერიქსის ტახტი, თუმც დაუტოვა იგი

ადგილობრივ მკვიდრთ იმ დრომდე, ვიდრე მისი ჩამომავლებიდან რომელიმე არ მოითხოვდა სამეფო სკიპტრას. შემდეგ ჰერაკლემ გზა განაგრძო და მიაღწია იმ ადგილს, სადაც ახლა ქალაქი სირაკუზა მდებარეობს, აღასრულა მსხვერპლად შეწირვის წესისგება და დააწესა ყოველწლიური დღესასწაული. დაბრუნდა იტალიაში და საბერძნეთისკენ მიმავალი სხვა გზის ძიებისას მიადგა ლაკინიის კონცხს, რომლის მეფე ლაკინიოსი შემდეგ თურმე ტრაბახობდა, თითქოსდა მან ჰერაკლეს უკუქცევა შეძლო. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: ჰერაკლეს ისე სძულდა ჰერა, რომ როგორც კი თვალი ჰკიდა ლაკინიოსის მიერ აგებულ ჰერას ტაძარს, მაშინვე უკუიბრუნა პირი. მცირეოდენი გზის გავლის შემდეგ შემთხვევით შემოაკვდა ვინმე კროტონი, რომელიც მთელი პატივით მიაბარა მიწას, თან იწინასწარმეტყველა, დადგება დრო და ამ ადგილზე მისი სახელით სახელდებული დიდი ქალაქი დაარსდებაო. მისნობა ახდა. როდესაც ჰერაკლე ადრიატიკის სანაპირო ზოლს მიადგა, ჰერამ ჯოგს მიუჩინა კრაზანა, რომელმაც სკვითიის უდაბნოში გარეკა შეწუხებული ძროხები. ერთ ცივ ღამეს ჯოგის დევნით დაღლილმა ჰერაკლემ, ლომის მოსასხამში მაგრად გახვეულმა, ძილს მისცა თავი. გამოღვიძებულმა აღმოაჩინა, რომ გამქრალიყვნენ ცხენები, რომლებიც მას ეტლიდან გამოეხსნა და საბალახოდ გაეშვა. შემოიარა მთელი მიდამო, ბოლოს მიადგა ტყით დაფარულ ადგილს, რომელსაც ჰილეა ეწოდებოდა. იქ იყო მღვიმე, სადაც ბინადრობდა უცნაური არსება, ნახევრად ქალწული, ნახევრად გველი, რომელმაც ამცნო ზევსის ღვთაებრივ ძეს, რომ ცხენები მას ჰყავდა გადამალული და იმ შემთხვევაში დაუბრუნებდა, თუკი ცოლად მოიყვანდა. უხალისოდ დასთანხმდა ჰერაკლე, სამგზის აკოცა, რის შემდეგაც მას ვნებიანად შემოეგრაგნა ქალწული-გველი, რომელმაც ჰკითხა: „რა ვუყო იმ სამ ვაჟს, რომლებიც შენგან შემეძინება? იქ დავამკვიდრო, სადაც მე ვმეფობ, თუ შენ გამოგიგზავნო?" მას ჰერაკლემ ასე მიუგო: „როდესაც წამოიზრდებიან, კარგად დაუკვირდი. ვინც

ჩემსავით მოზიდავს მშვილდს და შემოიკრავს სარტყელს, ის გაამეფე შენს სამფლობელოში". ეს თქვა თუ არა, ჩამოიხსნა მშვილდი, სარტყელი, რომელსაც ოქროს თასი ეკიდა და თავისი გზით გაემართა. ხოლო გველის ბოლოიანმა ქალწულმა შვა სამი ტყუპი, მათგან უმცროსმა, სახელად სკვითოსმა, შეასრულა მამის პირობა და დასაბამი მისცა სკვითების სამეფო მოდგმას. სკვითთა მეფენი მუდამ ატარებდნენ სარტყელს, რომელზეც ოქროს თასი ეკიდა.

თანდათან უახლოვდებოდა ჰერაკლე მიკენს. როდესაც კორინთოს ყელს, ისთმოსს მიადგა, რომელსაც ბუმბერაზი მწყემსი ალკიონევსი განაგებდა, კიდევ მოუხდა გაბრძოლება. ეს ის ალკიონევსი იყო, რომელმაც ორგზის მოიტაცა ჰელიოსის წმინდა ნახირი. ახლაც იგივე დააპირა. მან კლდე გამოგლიჯა და ჰერაკლეს ესროლა. გმირმა კომბალი დაუხვედრა. კლდე მსროლელს დაუბრუნდა და გასრისა. ასე დაიღუპა ალკიონევსი.

ამის შემდეგ აღარაფერი შემთხვევია ჰერაკლეს. მან ნახირი ევრისთევსს მიჰგვარა, რომელმაც დაუხანებლად შესწირა იგი მსხვერპლად ქალღმერთ ჰერას.

## გმირობა მეთერთმეტე: ჰესპერიდების ვაშლები

ოდესღაც, ქორწინების ჟამს, ჰერამ დედამიწის ღვთაება გეასაგან დიდებული ძღვენი მიიღო: ოქროს ვაშლის ხე, რომელიც თავის ჯადოსნურ ბაღში დარგო. ეს ბაღი ატლასის მთის ფერდობებზე იყო შეფენილი, იქ, სადაც თავის გზას ასრულებდნენ მზის ოქროცურვილ ეტლში შებმული დაღლილი რაშები. ერთხელ ჰერამ აღმოაჩინა, რომ ჰესპერიდებად წოდებული ატლასის ქალიშვილები, რომელთაც ბაღის მოვლა ევალებოდათ, იპარავდნენ ამ ოქროს ვაშლებს. მაშინ დარაჯად დააყენა ტიფონისა და ექიდნეს მარადფხიზელი ვაჟი, დრაკონი ლადონი. ამ საოცრებას ასი თავი და ასევე ასი მოლაპარაკე ენა ჰქონდა. ატლასი, როგორც ჭეშმარიტი მებაღე, ამაყობდა თავისი ბაღით. ერთხელ თემისმა იგი გააფრთხილა: „იცოდე, ტიტანო, ზევსის ძეთაგან ერთი

წაიღებს შენს ოქროს ვაშლებს!" იმხანად ატლასს სასჯელის ნიშნად ჯერ კიდევ არ ედგა მხრებზე ცის თაღი, მან ბაღის ირგვლივ სქელი კედელი აღმართა და თავისი მიწიდან გააძევა უცხოელები.

იცოდა ევრისთევსმა, რომ შეუძლებელი იყო ატლასის ბაღში შეღწევა. სწორედ ამიტომ უბრძანა ჰერაკლეს: „მსურს, მომიტანო ჰესპერიდების ოქროს ვაშლები". არ შეპასუხებია მეფეს ზევსის ძე, მიტრიალდა და უხმოდ გაუყვა ტირინსის ქვებით მოფენილ გზას. მან არ იცოდა, საით უნდა აელო გეზი. გადაიარა ილირია და გაემართა მდინარე პოსკენ, სადაც ცხოვრობდა ზღვის გრძნეული ღმერთი ნერევსი. გზად არესის ძე კიკნოსი შემოეყარა, რომელმაც იგი ორთაბრძოლაში გამოიწვია. შეებნენ კიდეც გმირები ერთმანეთს, მაგრამ ზევსმა მათ შორის კვერთხი დაჰკრა და ბრძოლა შეწყვიტა. ჰერაკლემ თავისი გზა განაგრძო. მდინარე პოს სანაპიროზე ნიმფებმა მას მძინარე ნერევსი დაანახვეს. ჰერაკლემ იგი შეიპყრო და აიძულა ეთქვა, თუ როგორ მოეპოვებინა ოქროს ვაშლები. ნერევსმა ურჩია, თავად კი არ მოეპარა ეს ხილი, არამედ ამის გაკეთება ატლასისათვის ეთხოვა მძიმე ტვირთისგან – ცის თაღისაგან – მცირე ხნით გათავისუფლების სანაცვლოდ. როგორც კი მიაღწია ჰერაკლემ ჰესპერიდების ბაღს, დაინახა ბუმბერაზი ატლასი, რომელსაც მხრებით ცის კაბადონი ეჭირა. გმირი მიუახლოვდა მას და სთხოვა, მოეტანა ჰესპერიდების ბაღიდან სამი ოქროს ვაშლი. რას არ გააკეთებდა ატლასი, ოღონდ მცირე ხნით მაინც მოეპოვებინა თავისუფლება. ოდეს გაიგო, რომ ჰერაკლე თანახმა იყო, დაეჭირა უმძიმესი ზეცა ღმერთებით, უმალ დასთანხმდა, ოღონდ ლადონის ეშინოდა. მაშინ ჰერაკლემ თავისი ისრით განგმირა ბაღის მარადფხიზელი დარაჯი და განიერ მხრებზე შეიდგა ზეცა. გახარებული გაემართა ატლასი ბაღისკენ და სამი ვაშლით, რომელიც მისმა ქალიშვილებმა მოუწყვიტეს, დაბრუნდა უკან. თავისუფლება მას ისე სურდა, რომ ჰერაკლეს ასეთი რამ შესთავაზა: „თუ რამდენიმე თვე ჩემს მაგივრად დაიჭერ ზეცას, თავად წავუღებ ვაშლებს ევრისთევსს". ნერევსის რჩევა გაიხსენა გმირმა ჰერაკლემ, ყურად

არ ელო ატლასის თხოვნა. მან თავი ისე მოაჩვენა გოლიათს, თითქოს თანახმა იყო: „კარგი, წაიღე – ასე მიუგო, – ოღონდ ჯერ დამეხმარე. ბალიშები დავიდო მხრებზე, რომ ზეცის თაღის დაჭერა შევძლო ხანგრძლივი დროით“. მოტყუვდა გულუბრყვილო გოლიათი. ვაშლები მიწაზე დადო და კვლავ თავის ადგილზე დადგა – ცის სიმძიმეს შეეყუდა. ხოლო ჰერაკლემ ხელი დაავლო თავის მშვილდს, კაპარჭს, კომბალს, ოქროს ვაშლებს და ატლასს ამ სიტყვებით გამოემშვიდობა: „მე მეკავა ეს ზეცის თაღი, ვიდრე შენ ვაშლებს მოიტანდი. მისი სიმძიმის მარად ზიდვას კი არ ვაპირებ“. ეს თქვა თუ არა, გზას გაუდგა, მაგრამ მოკლე გზით არ წასულა. თავდაპირველად გაემართა ლიბიისაკენ, სადაც მეფობდა ანტეოსი, პოსეიდონისა და გეას ძე. მას ჩვევად ჰქონდა შებრძოლება უცხოელებთან, ხოლო შემდეგ კი მათი მოკვლა. ანტეოსს ძალას ანიჭებდა დედამიწასთან შეხება. მის მსხვერპლთა თავის ქალებით იყო მოფენილი პოსეიდონის ტაძარი. ეს ბუმბერაზი ცხოვრობდა მაღალი კლდის გამოქვაბულში, იკვებებოდა ლომის ხორცით და ეძინა შიშველ მიწაზე, რათა არა მხოლოდ შეენახა, არამედ უფრო გაეზარდა თავისი ისედაც დაუოკებელი ძალა. გეას თავის შვილებში გამორჩეულად უყვარდა იგი. გაუჭირდებოდათ გამარჯვება ოლიმპოსის მაღალ ბინადართ, ანტეოსს რომ ებრძოლა მათ წინააღმდეგ ფლეგრეს ველებზე.

ორთაბრძოლის წინ მეტოქეებმა განიძარცვეს ლომის სამოსი. ჰერაკლემ სხეული, ოლიმპიური წესის თანახმად, ზეთით დაიზილა, ანტეოსმა კი ცხელი ქვიშა მიიყარა ფეხებზე, მიწა რომ უფრო კარგად შეეგრძნო. ჰერაკლეს სურდა, თავისი ძალები დაეზოგა, ანტეოსი კი – მოექანცა. გაოცდა გმირი, ოდეს იხილა მიწაზე დაგდებული, ქანცგაწყვეტილი ანტეოსი როგორ იკრებდა ძალას. ეს, რა თქმა უნდა, მისი დედის დამსახურება იყო. წამოიმართა ანტეოსი, მაგრამ მალე უკვე თავისით დავარდა მიწაზე. მიხვდა ჰერაკლე, რომ ბუმბერაზი მიწიდან უნდა მოეწყვიტა. ასეც მოიქცა, ზეაღმართა, ნეკნები დაუმტვრია და ასე ეჭი-

რა მანამ, ვიდრე სული არ ამოხადა. ბევრს ეცადა გეა, მაგრამ ვერაფერი იღონა ჰერაკლეს წინააღმდეგ.

ზევსის ღვთაებრივმა ძემ გზა განაგრძო სამხრეთისაკენ და ეგვიპტეში დააარსა ქალაქი თებე. თუმცა იმასაც გადმოგვცემენ, ამ ქალაქს ოსირისმა ჩაუყარაო საფუძველი. მაშინ ეგვიპტის მეფე იყო ოსირისის ძმა ბუსირისი. იმხანად მის სამეფოში მძვინვარებდა გვალვა, შიმშილი, კვიპროსიდან მოსულმა მისანმა, თრასიასმა, უწინასწარმეტყველა მეფეს, რომ შეწყდებოდა ეს უბედობა, თუკი ყოველწლიურად ზევსს შესწირავდნენ თითო უცხოელს. ბუსირისმა ეს მსხვერპლშეწირვა თრასიასით დაიწყო და გააგრძელა მანამ, ვიდრე ჰერაკლე არ გამოეცხადა. მას, ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილს, ნილოსის ხეებით დაჩრდილულ ნაპირებთან ჩასძინებოდა. ბუსირისმა შეიპყრო იგი და მიიყვანა ზევსის საკურთხეველთან, რათა მსხვერპლად შეეწირა. ჰერაკლემ თავი გაითავისუფლა, იქვე განგმირა ბუსირისი, მისი ძე ამფიდამასი და ყველა ქურუმი, ვინც მსხვერპლშეწირვას ესწრებოდა. ასე დაისაჯა ეგვიპტის ულმობელი მეფე.

ბევრი იარა ჰერაკლემ ვიდრე მიაღწევდა კავკასიონის მაღალ მწვერვალებს. აქ ერთ-ერთ კლდეზე მრავალი წლის განმავლობაში მიჯაჭვული იყო პრომეთე, რომელსაც ყოველდღე ღვიძლს უძიძგნიდა არწივი, ღამ-ღამობით კი მტანჯველი წყლული უშუშდებოდა. ზევსს უკვე დიდი ხანია სურდა მისი გათავისუფლება. მაგრამ ასე იყო ნათქვამი: პრომეთეს ტანჯვა უნდა გაგრძელებულიყო მანამ, ვიდრე ვინმე უკვდავთაგან საკუთარი ნებით მის მაგივრად არ ჩავიდოდა ჰადესის პირქუშ სამეფოში. ჰერაკლემ გაახსენა ზევსს, რომ კენტავრი ქირონი, რომელსაც უზომოდ აწუხებდა განუკურნელი იარა, დიდი ხანია ნატრობდა სიკვდილს. აღარაფერი ედგა წინ პრომეთეს ხსნას. ჰერაკლემ თავისი ისრით მოკლა არწივი და ასე გაათავისუფლა ტიტანი.

შემდეგ ზევსის ძემ მიკენისკენ აიღო გეზი. ოქროს ვაშლები მიუტანა მეფე ევრისთევსს, რომელმაც ვერ გაბედა მათი აღე-

ბა. ჰერაკლემ ხილი ათენას უძღვნა, მან კი ისინი კვლავ ჰესპერიდებს დაუბრუნა.

## გმირობა მეთორმეტე: კერბეროსი

ჰერაკლეს მიერ აღსრულებულ გმირობათაგან მეთორმეტე, კერბეროსის დატყვევება, ურთულესი იყო. იმხანად მიწისქვეშა სამყაროს, ჰადესის, კარიბჭეს დარაჯობდა ტიფონისა და ექიდნეს ვაჟი, საზარელი ურჩხული კერბეროსი. ეს იყო უზარმაზარი ძოფაკი, რომელსაც სამი თავი ჰქონდა. მის კისერზე გველები იკლაკნებოდნენ, ხოლო კუდი ხახადაღრენილი გველეშაპის თავით უმთავრდებოდა. კერბეროსი ჰადესში ყველას უშვებდა, იქიდან კი – არავის. სწორედ ამ ძოფაკის მოყვანა უბრძანა მეფემ ჰერაკლეს.

ჰადესში ჩაშვების წინ გმირი უნდა განწმენდილიყო. ამიტომ ჰერაკლე თავდაპირველად გაემართა ელევსინისკენ, რათა მისტერიას ზიარებოდა. რადგანაც საიდუმლო ზიარებაში მონაწილეობის პატივი მხოლოდ ათენელებს ჰქონდათ მინიჭებული, ზევსის ღვთაებრივი ძე იშვილა ვინმე პილიოსმა. ელევსინელებმა მაინც არ დაუშვეს იგი დიდ მისტერიებზე. სამაგიეროდ დააწესეს მისთვის მცირე მისტერიები. სხვა გადმოცემით, თავად ღვთაება დემეტრემ მიაგო მას ეს პატივი.

ამგვარად განწმენდილი ჰერაკლე გაემართა ჰადესისაკენ. იგი ჩავიდა ლაკონიაში და ტენარონის კონცხის მრუმე ნაპრალიდან დაეშვა მიწისქვეშეთში. მას წინ მიუძღოდნენ და მძიმე გზას უიოლებდნენ ათენა და ჰერმესი. ჰერაკლეს მრისხანე მზერით დაშინებულმა ქარონმა ისე გადაიყვანა გმირი მდინარე სტიქსის მეორე ნაპირზე, რომ საზღაურიც არ უთხოვია. როდესაც ჰერაკლემ შეაბიჯა ჰადესის სამფლობელოში, მიცვალებულთა შეშინებული სულები, მელეაგროსისა და გორგონა მედუზას გარდა, აქეთ-იქით გაიფანტნენ. მედუზას დანახვისთანავე იშიშვლა ხმალი ჰერაკლემ, მაგრამ ჰერმესმა დაარწმუნა იგი, რომ მის წინაშე მხოლოდ უსხეულო აჩრდილი იდგა. ახლა მელეაგროსს დაუმიზნა ისარი გმირმა, მაგრამ აჩრდილმა გაუღიმა და ასე მი-

მართა: „როდი არიან საშიშნი მიცვალებულნი...“, შემდეგ მათ მეგობრული ბაასი იწყეს. ბოლოს მელეაგროსმა სთხოვა ჰერაკლეს მისი დაობლებული და, დეიანირა შეერთო ცოლად და მფარველობა გაეწია. ჰერაკლემ მეგობარს აღუთქვა, რომ სათხოვარს აღუსრულებდა და დაედევნა წინ მიმავალ ჰერმესს.

ჰადესის სამეფოს კარიბჭესთან ზევსის ძემ თვალი მოჰკრა მივიწყების ტახტზე მიკრულ გმირებს – თესევსსა და პირითოოსს. ისინი თან ახლდნენ მას ამორძალების სამეფოში ლაშქრობისას. გაოცდა ჰერაკლე. „რა ჩაიდინეთ, ღმერთებმა რომ ასე დაგსაჯეს?“ – იკითხა მან და ეს შეიტყო: პირითოოსს თესევსის დ[illegible]მარებით ჰადესის მეუღლის, პერსეფონეს მოტაცება განუზრახავს. ეს ამბავი რომ გაიგო ღმერთმა ჰადესმა, ორივე გმირი მივიწყების ტახტს მიაჯაჭვა თავისი სამეფოს შესასვლელთან. ჰერაკლემ ძლივს ააგლიჯა ტახტს თესევსი, ხოლო როდესაც პირითოოსის წამოყენება სცადა, მიწა შეირყა. მიხვდა ზევსის ძე, რომ თავად ღმერთებს არ ეწადათ მეფის გათავისუფლება და მიატოვა მიჯაჭვული ჰადესის კართან. შემდეგ გადააგორა ლოდი და ორმოდან ამოიყვანა დემეტრეს მიერ დასჯილი ასკალაფოსი. მწყემსმა მენეტოსმა კი ორთაბრძოლაში გამოიწვია გმირი, რომლის მკლავებში მომწყვდეულს კინაღამ ყველა ნეკნი დაემსხვრა. ამ დროს სასახლიდან გამოვიდა პერსეფონე და სიყვარულით მიესალმა მეხთამტყორცნელი ზევსის დიად ძეს, ბნელით მოცულ სამფლობელოში ასე უშიშრად დაშვებულს. მან სთხოვა ჰერაკლეს მოწყალება გამოეჩინა მენეტოსისადმი. გამოჩნდა სულთა სამეფოს მბრძანებელიც. მან დამაზრალი მზერა მიაპყრო თავის სტუმარს, სალამი უძღვნა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. „ნუ გამირისხდები კადნიერი თხოვნისთვის – მიმართა მას ჰერაკლემ – მოგეხსენება, ოლიმპოსის ღმერთების ნებით ევრისთევსს რომ ვემსახურები. ნაბრძანები მაქვს ჰადესის მცველი კერბეროსი მიკენში ჩავიყვანო“. დიდმა ჰადესმა გმირს მიუგო: „თუკი კერბეროსს უიარაღოდ დაიმორჩილებ, თუ მოერევი, ნებას დაგრთავ, რომ მიჰგვარო იგი ევრისთევსს“.

ჰერაკლე ქოფაკის საძებნელად გაემართა. დიდხანს იარა, ბოლოს მიაგნო აქერონის სანაპიროსთან. მიეპარა და მძლავრი მკლავები შემოაჭდო კისერზე, რომელზეც სამი თავი ება. საოცარი ხმით დაიღრინა ჰადესის ძაღლმა. მიწისქვეშეთი შეზანზარდა. ბეწვის მაგივრად მის სხეულზე გველები წამოიშალნენ. კუდით ფეხებზე შემოეჭდო და გველეშაპის ყბებით სხეულში ჩააფრინდა ქოფაკი ჰერაკლეს, მაგრამ ამაოდ. ისეთი ძალით მოუჭირა გმირმა მკლავები, რომ კინაღამ გაგუდა. კერბეროსს ძალა დაეკარგა და ძირს დავარდა. ჰერაკლემ იგი მოასულიერა, კისერზე მძიმე ჯაჭვი შეაბა და ჰადესის სამფლობელოდან ამოიყვანა. ქოფაკი უძალიანდებოდა, თვალს არიდებდა დღის სინათლეს, სამმაგი ყეფით აყრუებდა ირგვლივ მიდამოს, დაღრენილი ლაშებიდან მომწამლავი დუჟი გადმოსდიოდა. დედამიწაზე, სადაც მისი დუჟი ილვრებოდა, შხამიანი ბალახები ამოდიოდა. მათ შემდეგ აკონიტებს უწოდებდნენ, სხვაგვარად კი – ჰეკატინებს, რადგანაც პირველად ჯადოქარ ჰეკატეს მოსწონებია ისინი.

როცა ჰერაკლემ კერბეროსი მიკენში ჩამოიყვანა, ევრისთევსი მსხვერპლშეწირვის რიტუალს აღასრულებდა. საშინელი ქოფაკის დანახვაზე იგი შეძრწუნდა და სთხოვა დიდ გმირს, დაებრუნებინა ეს ურჩხული თავის სამკვიდრებელში. ჰერაკლემ ეს ბოლო სურვილიც აღუსრულა მეფეს და თავის მშობლიურ თებეს ეწვია.

## ⑩ ჰერაკლეს თავგადასავალი საგმირო საქმეთა აღსრულების შემდეგ

ერთხანს მშვიდად ცხოვრობდა ჰერაკლე, მაგრამ მისი სული ვერ ისვენებდა, კვლავაც დიადი საქმეებისკენ ისწრაფოდა. იმხანად მეგარას ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა. ჰერაკლე თვლიდა, რომ მათი ქორწინება არ იყო ბედნიერი, ამიტომ იხმო თავისი ნათესავი და ერთგული თანამებრძოლი, მეეტლე იოლაოსი,

თექვსმეტი წლის მშვენიერი ჭაბუკი, და მეგარა მიათხოვა. თავად კი სხვა ცოლის ძიებას შეუდგა.

## ევრიტოსი

კუნძულ ევბეაზე, ქალაქ ექალიაში მეფობდა მთელ საბერძნეთში სახელგანთქმული მოისარი ევრიტოსი. თვით ისართმტყორცნელი ღმერთი აპოლონი იყო მისი მოძღვარი, მშვილდი და ისრებიც მან უბოძა. სიყმაწვილეში ჰერაკლესაც ევრიტოსი ასწავლიდა მშვილდოსნობას. ამ მეფეს ჰყავდა ულამაზესი ქალიშვილი იოლე, რომელიც უბრალო მოკვდავისათვის არ ემეტებოდა. ევრიტოსმა მთელ სამეფოში გამოაცხადა, რომ მშვენიერი იოლეს ქმრობის ღირსი მხოლოდ ის იქნებოდა, ვინც მას, მეფეს, მშვილდოსნობაში დაამარცხებდა. ეს რომ ჰერაკლემ გაიგო, ექალიისკენ ისწრაფა. მან დაამარცხა ევრიტოსი, მაგრამ მეფემ პირობა არ შეუსრულა, ვინაიდან გაგონილი ჰქონდა ჰერაკლეს მიერ თავისი შვილების ამოხოცვის ამბავი. ევრიტოსმა ეს საბაბად გამოიყენა და, დაივიწყა რა სტუმართმოყვარეობის წმინდა წესი, გმირს ასეთი სიტყვებით მიმართა: „შენ ვერასოდეს დამამარცხებდი მშვილდოსნობაში, რომ არ გქონოდა ჯადოსნური ისრები, რომლებიც თავად მიემართებიან მიზნისკენ. ეს შერკინება უსამართლოა. მე ვერ ვანდობ ჩემს უსაყვარლეს ასულს შენნაირ ბოროტმოქმედს. გარდა ამისა, შენ მონა ხარ მხდალი ევრისთევსისა და თავისუფალი ადამიანისაგან მხოლოდ სიძულვილს იმსახურებ!“ მეფემ სანადიმო სუფრასთან მჯდომ ჰერაკლეს ნადიმი შეაწყვეტინა და სასახლიდან გააგდო. სულის სიღრმემდე შეძრა გმირი მეფის სიტყვებმა. ხმა არ ამოუღია, ისე დატოვა ექალია, თუმც დაიფიცა, რომ ოდესმე შურს იძიებდა.

## იფიტოსი

გავიდა ხანი. მეფე ევრიტოსს დაეკარგა ჯოგი, რომლის ქურდობაც ჰერაკლეს დააბრალა. მისმა უფროსმა ძემ, იფიტოსმა, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა ეს ამბავი. მან ამ ჯოგის პოვნაც კი

იდვა თავს, რათა მეგობარი გაემართლებინა. სინამდვილეში აი, რა მოხდა: ეს ჯოგი ჰერმესის ძემ, ბერძენთა შორის უცბიერესმა ავტოლიკოსმა მოიპარა. მას მამისგან ჰქონდა ნასწავლი გაიძვერობა და ამის გამო დახელოვნებულ ქურდად ითვლებოდა. შეეძლო სასურველი სახის მიღება, საგნების უხილავად ქცევა ან გარდასახვა. ეს ის ავტოლიკოსია, ჰერაკლეს რომ ბრძოლის ხელოვნებას ასწავლიდა ყმაწვილობის ჟამს. მან სახე შეუცვალა ევრიტოსის ჯოგს და მიჰყიდა ჰერაკლეს, რომელმაც არა უწყოდა რა ამ საქმისა. იფიტოსი გაჰყვა ჯოგის კვალს, რომელმაც იგი მიიყვანა ქალაქ ტირინსში. მაინც დაეჭვდა ევრიტოსის ძე. იგი პირისპირ შეეყარა ჰერაკლეს, რომელმაც იხსნა ალკესტისი და ის-ის იყო დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში. იფიტოსმა განიზრახა გამოეკითხა თავისი მეგობრისათვის ჯოგის ამბავი. ჰერაკლემ მას დახმარება აღუთქვა და შინ მიიწვია სტუმრად. ბოლოს მიხვდა, რომ იფიტოსსაც შეპარვოდა ეჭვი მის გულწრფელობაში და საშინლად განრისხდა. დიდი ნადიმის შემდეგ ჰერაკლემ სტუმარი ტირინსის ყველაზე მაღალ კლდეზე აიყვანა და ჰკითხა: „მიმოიხედე, შენი ჯოგის მსგავსს ხედავ რამეს?“ „ვერა, ვერ ვხედავ“, – მიუგო მას იფიტოსმა. „ჰოდა, შენს გულში ამაოდ მდებდი ბრალს ქურდობაში!“ – წამოიყვირა მძვინვარებისგან გონგადასულმა ჰერაკლემ და იფიტოსი კლდიდან გადაჩეხა. როდესაც გმირი გონს მოეგო, თავზარდაცემული დაეშვა ხევში მეგობრის გადასარჩენად, იპოვა კიდეც, მაგრამ საბრალო ჭაბუკი უსულოდ ეგდო მიწაზე. ამ უნებლიედ ჩადენილი მკვლელობით ჰერაკლემ განარისხა კანონიერების დამცველი ზევსი, რადგანაც დაარღვია სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის წმინდა წესები. სასჯელის ნიშნად ღმერთთა მეუფემ მას მძიმე სენი შეჰყარა.

ჰერაკლე პილოსის მეფე ნელევსისაკენ გაეშურა და სთხოვა ცოდვათაგან განწმენდის წესისგების აღსრულება. ნელევსმა იგი უარით გაისტუმრა იმ მიზეზით, რომ ევრიტოსი მისი მოკავშირე იყო. მხოლოდ ნესტორმა, ნელევსის უმცროსმა ვაჟმა, მი-

ილო იგი. მან დაიყოლია დეიფობოსი, მონაწილეობა მიელო ჰერაკლეს განწმენდაში. ქალაქ ამიკლეში აღასრულეს ეს წესისგება. მაგრამ ზევსის ძეს კვლავ აწამებდნენ ღამეული მოჩვენებანი.

## აპოლონთან შებმა

სნეულებით განაწამებმა ჰერაკლემ გადაწყვიტა დელფოში წასულიყო, რათა ორაკულისთვის ეკითხა, როგორ ეხსნა თავი ზევსის სასჯელისაგან. მაგრამ პითიამ ტაძრიდან გააგდო მეგობრის სისხლით წაბილწული ჰერაკლე. შეურაცხყოფილმა გმირმა ტაძრიდან გაიტაცა მაგიური სამფეხი, რომელზედაც იჯდა ხოლმე პითია წინასწარმეტყველებისას. განრისხდა აპოლონი, მსგავსი რამ ღმერთსაც არ უკადრებია მისთვის. მძვინვარე სახით გამოეცხადა ჰერაკლეს და სამფეხის დაბრუნება უბრძანა. ასე მიუგო მას გმირმა: „მე ჩემი ნებით როდი ვცოდავ, მაღალი ძალა მაიძულებს, ჩავიდინო დანაშაული. მე ხომ თავადაც ვიტანჯები. განა გონება დაბინდული არ მქონდა მაშინ, როცა დავხოცე ჩემი და ჩემი ძმის შვილები. მერე ევრისთევსს ვემსახურე მრავალი წელი ღმერთების ნებით, და ყველა ცოდვა გამოვისყიდე. ახლაც ჩემს ერთგულ მეგობარს, იფიტოსს, განა სასიკვდილოდ გავწირავდი, ღვთაებრივ ძალას გონება რომ არ დაებნელებინა. მამაჩემმა, ღმერთთა მეუფემ, დამსაჯა და ღირსიც ვიყავი. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მსურდა ცოდვა კვლავ გამომესყიდა. შენთან მოვედი, რათა ხსნის გზა გესწავლებინა, შენც გამწირე, შეურაცხმყავი და ახლა კი მასხარად მიგდებ, რისხვით მიბრძანებ, დაგიბრუნო ოქროს სამფეხი. დიადო ღმერთო, ბრძოლაში გიწვევ!"

არ მოელოდა ისართმტყორცნელი დიდი ღმერთი ამ გამოწვევას. მხრებზე ლამაზად შეფენილი ოქროს კულულები შეარხია და მძლეთამძლე გმირთან შესაბმელად მოემზადა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ქარიშხალთა შეხლას მოჰგავდა მათი ჭიდილი. ამ საოცრების მხილველმა მზე-ჰელიოსმაც შეაყენა თავის რაშები, მიწა გმინავდა მათ ფერხთა ქვეშ, დუღდა ჰაერი.

ზევსი საწვიმრად გამზადებული ღრუბლებიდან უმზერდა ამ ორთაბრძოლას. შერკინებულებს ოლიმპოსიდან მოციმციმე ელვა სტყორცნა და გააშველა. ძმები შერიგდნენ. თავისი ხელით მიიტანა ჰერაკლემ ოქროს სამფეხი აპოლონის მაღალ ტაძარში და პითიასაგან მოისმინა ასეთი წინთქმა: „განიკურნები, მხოლოდ მას შემდეგ, თუ მთელი წელი დაუდგები მეფეს მოჯამაგირედ, ხოლო აღებულ თანხას მისცემ იფიტოსის შვილებს". შექანდა ჰერაკლე, თითქოს ფერხთა ქვეშ მიწა გამოეცალაო, მაგრამ იკითხა: „ვის უნდა ვემსახურო?" „ლიდიის დედოფალი ომფალე გიყიდის შენ!" – ასეთი იყო მისნის პასუხი. „თანახმა ვარ, – აღმოხდა დიდ გმირს, – მაგრამ დადგება დრო და იმ ადამიანს, ვისთვისაც ასე ვიტანჯები, მონად გავყიდი, და უფრო მეტიც, ამ ხვედრს მთელი მისი ოჯახი გაიზიარებს!"

## ჰერაკლე ომფალეს კარზე

შერისხული გმირი ჰერმესმა წაიყვანა აზიაში და გაყიდა ვითარცა უსახელო მონა. მანვე გადასცა ვერცხლის სამი ტალანტი იფიტოსის ობლებს. მაგრამ ევრიტოსმა არ მიიღო ეს თანხა და თავის შვილიშვილებს მოუწოდა, შური ეძიათ მამის მკვლელობისათვის. რა ბედი ეწიათ ვერცხლის ტალანტებს, ჰერმესის გარდა არავინ იცის.

ჰერაკლე იყიდა ლიდიის დედოფალმა ომფალემ, ტმოლოსის ქვრივმა. მას მოეწონა უბრწყინვალესი აღნაგობის ეს მამაკაცი და მისი სახით შეიძინა მონა კი არა, საყვარელი. ომფალემ ჰერაკლესაგან შვა სამი ძე: ლამოსი, აგელაოსი და ლაომედონი. ამპარტავანი იყო ლიდიის დედოფალი. მას სიამოვნებას ჰგვრიდა მძლეთამძლე გმირზე მბრძანებლობა. იგი ზევსის ძეს ქალის სამოსელს აცმევდა და აიძულებდა ჯარატართან დგომას, რთვასა და ქსოვას. გმირი, რომელმაც მძიმე კომბლით ლერნეს ჰიდრას თავი გაუპო, ჰადესიდან ამოიყვანა შემზარავი ქოფაკი, ხელით მოგუდა ნემეას ლომი და თავისი მხრებით დაიკავა ცის მძიმე თაღი, გმირი, რომელიც თავად

ღმერთებს შებრძოლებია, რომლის სახელის ხსენებაზეც ძრწოდნენ თავად ბუმბერაზები, ახლა წელში მოხრილი იჯდა ჯარატართან და ძაფს რთავდა იმ ხელით, რომელიც ნაჩვევი იყო მშვილდის მოზიდვას, ხმლის ქნევასა და კომბლის ტრიალს. ომფალე კი ოქროს აბჯარზე შემოისხამდა ხოლმე გმირის ლომის ტყავს, რომელიც სანახევროდ მიწაზე დასთრევდა, შემოირტყამდა მის ხმალს, ძლივსძლივობით აიკიდებდა მხარზე მძიმე კომბალს და ასე გამოწყობილი ტმოლოსის ვენახში მიაბიჯებდა.

ეს ამბები ბერძნებს უამბო პანმა, რომელსაც ასეთი რამ შეემთხვა: ერთხელ ომფალე მონა-ჰერაკლეს თანხლებით ტმოლოსის ხეივანში სეირნობდა. პანმა თვალი ჰკიდა თუ არა დედოფალს, მყის შეუყვარდა. დაემშვიდობა მთის ნიმფებს და სათაყვანებელ არსებას გამოეკიდა ამ სიტყვებით: „ახლა მხოლოდ მას ეკუთვნის ჩემი გული!“ ამასობაში ჰერაკლე და მისი მბრძანებელი ერთ მღვიმეს მიადგნენ. იქ მათ აზრად მოუვიდათ სამოსის გაცვლა. ვახშმის შემდეგ ორივენი ძილს მიეცნენ. შუაღამისას მღვიმეში შეიპარა პანი. მან, თავისი აზრით, ომფალეს სარეცელს მიაგნო, აცახცახებული ხელით გადასაფარებელი ასწია და შიგ მოიკალათა. სინამდვილეში იქ იწვა დედოფლის სამოსში გამოწყობილი ჰერაკლე. იგი გაიზმორა და ისე გაჰკრა ფეხი პანს, რომ მღვიმის მეორე ბოლოში მოისროლა. ხმაურზე ომფალესაც გამოეღვიძა. როდესაც ჩირაღდნები აანთეს და ყველაფერი განცხადდა, ბევრი იცინეს მღვიმის სტუმრებმა. იმ დღიდან ველარ იტანდა პანი ტანსაცმელს, ვეღარც ჰერაკლეს, რომელსაც გაუვრცელა ხმა, რომ თითქოს გმირს სიამოვნებას ჰგვრიდა ქალის სამოსით სიარული.

## კეკროპები

იმ საქმეთა შორის, რომელიც ჰერაკლემ ომფალეს კარზე ყოფნისას აღასრულა, იყო კეკროპთა დატყვევებაც. მაინც ვინ იყვნენ ეს კეკროპები? ოკეანოსის და თეას ტყუპი ვაჟები, საქვეყნოდ

ცნობილი მატყუარები და ოინბაზები. ისინი დაეხეტებოდნენ დედამიწის ზურგზე და ახალ-ახალ ოინებს იგონებდნენ. თეა ურჩევდა მათ, შორს დაეჭირათ თავი ჰერაკლესაგან. ანდაზად იქცა მისი გამოთქმა: „ჩემო პატარა თეთრგავიანებო, მოგიწევთ თქვენ დიდ შავ გავასთან შეხვედრა!" ყურად არ იღეს კეკროპებმა დედის სიტყვები. ისინი ბუზებს ემსგავსებოდნენ და ბზუილით ძილს უფრთხობდნენ ბუმბერაზს. ერთხელ ისე მოხდა, რომ გმირს ეფესოსის ჭალის ჩრდილში მშვიდად მიეძინა. მძინარეს ჯუჯა კეკროპები მიეპარნენ და იარაღის მოპარვა მოუნდომეს. ჰერაკლეს სწორედ იმ დროს გამოეღვიძა, როდესაც კეკროპებმა მისი მშვილდი და ისრები დაიტაცეს. ამის მხილველი ზევსის ძე როდი განრისხდა, იოლად შეიპყრო ჯუჯები, ფეხები შეუკრა, მერე გრძელ ჯოხზე თავდაყირა დაჰკიდა და ქალაქისკენ გაემართა. უნდა ისიც ვთქვათ, რომ ჰერაკლეს დუნდულები, რომელთაც ლომის ტყავი ვერ ფარავდა, მზით ისე გარუჯულიყო, რომ ძველ ტყავის ფარებს მოჰგავდა. მათ ფერს კაკოსისა და კრეტის ხარის ცეცხლოვანი სუნთქვაც დასტყობოდა. ამიტომ ამ სანახაობის მხილველი კეკროპები, რომლებიც თავდაყირა ეკიდნენ, თავშეუკავებლად ხითხითებდნენ. თავდაპირველად მათმა საქციელმა გააოცა ჰერაკლე, ხოლო როდესაც მიუხვდა მიზეზს, კლდეზე ჩამოჯდა და თავადაც კარგად იმხიარულა. ასე გაითავისუფლეს თავი ონავარმა ძმებმა.

კიდევ მრავალი რამ შეემთხვა ჰერაკლეს ომფალეს კარზე მსახურების ჟამს: ლიდიაში ცხოვრობდა ვინმე სილევსი, რომელიც ყოველ უცხოელს აიძულებდა ემუშავა მის ვენახებში. ჰერაკლემ მას ძირფესვიანად ამოუთხარა ყოველი ვაზი; როდესაც იტონოსის მკვიდრი ლიდიელები თავს დაესხნენ ომფალეს სამეფოს, ჰერაკლემ შემოსეულებს მთელი ნაძარცვი წაართვა, ხოლო მათი ქალაქი აღგავა მიწის პირისგან; კელენეში ცხოვრობდა მიწათმოქმედი ლიტიერსესი, მეფე მინოსის უკანონო ძე. იგი მგზავრებს შინ იწვევდა და აიძულებდა, შეჯიბრებოდნენ მას მოსავლის აღებაში. თუკი ჩამორჩებოდნენ, როზგებით სცემდა,

ხოლო სალამოს წაგებულებს თავებს სჭრიდა და თან სევდიანად მღეროდა. ჰერაკლე ჩავიდა კელენეში, რათა ეხსნა მწყემსი დაფნისი, ჰერმესის ძე, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიარა მისი საყვარელი პიმპლეას ძებნაში და როგორც იყო მიაგნო მას ლიტიერსესის მონათა შორის. როდესაც ამ უკანასკნელმა მოსავლის ასაღებად წაიყვანა დაფნისი, იგი ჰერაკლემ შეცვალა, შეჯიბრი მოიგო, ბოროტმოქმედს თავი მოჰკვეთა, ხოლო სხეული მდინარე მეანდროსში მოისროლა. დაფნისმა კი მიიღო არა მხოლოდ პიმპლეა, არამედ ლიტიერსესის სასახლეც; ბოლოს ლიდიის მდინარე სანგარიოსის სანაპიროზე ჰერაკლემ ისრით განგმირა უზარმაზარი გველი, რომელიც ანადგურებდა მოსავალს და ადამიანებს. მადლიერმა ომფალემ როგორც იქნა, გაიგო, ვინ ჰყავდა მონად. გაათავისუფლა იგი და დიდძალი ძღვენით გაისტუმრა ქალაქ ტირინსში. ზევსმა კი ამ მოვლენის აღსანიშნავად შექმნა თანავარსკვლავედი, რომელსაც „გველთამჭერი“ უწოდა.

## ლაშქრობა ტროაში

მონობისაგან გათავისუფლებული ჰერაკლე მძიმე სენისგანაც განიკურნა. ახლა უკვე მას მოსვენებას არ აძლევდა ტროას მეფე ლაომედონზე შურისძიების სურვილი. მან ხომ თავისი ქალიშვილის, ჰესიონეს გადარჩენისთვის შეპირებული მერნები არ მისცა გმირს. უფრო მეტიც, მასხარად აიგდო და ტროადან ისე გამოისტუმრა. ჰერაკლეს წყენა გულში ჰქონდა ჩამარხული და სათანადო ჟამს ელოდა შურისგებისთვის. ეს ჟამიც დადგა. ზევსის ძემ დიდძალი ჯარი შეკრიბა და რჩეულ გმირთა თანხლებით ტროასკენ დაძრა თვრამეტი ხომალდი.

კუნძულ სალამისზე იგი ეწვია ტელამონს, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ილხენდა. მისი ცოლი კი ფეხმძიმედ იყო. ჰერაკლეს მისცეს მოოქროვილი თასი და სთხოვეს, ზევსის პატივსაცემად გადაეღვარა ზედაშე. ამ წესის აღსრულების შემდეგ გმირმა ზეცისკენ აღაპყრო ხელები და ასეთი ლოცვა წარმოთქვა: „მამაო ღმერთო, მიეც ტელამონს მშვენიერი ძე ლომის ტყავივით მაგარი

კანითა და ლომისავე სიმედგრით!“ თანხმობის ნიშნად ზევსმა არწივი გადმოაფრინა დედამიწაზე. მართლაც, გასრულდა თუ არა ლხინი, ფერებოიამ შვა დიადი აიაქსი, რომელიც ჰერაკლემ თავის ლომის მოსასხამში გაახვია და ამით უვნები გახადა ჩვილი. როდესაც მისთვის ბედისწერით გარდმოვლენილი აღსასრულის ჟამი დადგება, აიაქსი საკუთარი ხელით გამოესალმება სიცოცხლეს, რადგანაც მისი მძლეველი სხვა არ იქნება.

დიდმა გმირმა გზა განაგრძო. მიადგა ტროას, სანაპიროსთან დატოვა ხომალდები, რომელთა დაცვაც ოიკლესის მცირე რაზმს დაავალა. თავად კი ჯარით ქალაქში შეიჭრა. მეფე ლაომედონი თავს დაესხა ოიკლეს და თითქმის მთელი მისი რაზმი გაანადგურა. ზღვის ნაპირთან ატეხილი ბრძოლის ყიჟინი რომ ესმა ჰერაკლეს, უკან მობრუნდა, გააქცია ლაომედონი და აიძულა, ტროას კედლებისათვის შეეფარებინა თავი.

დიდი ხნით როდი შეძლეს ქალაქის გამაგრება ტროელებმა. ჰერაკლემ მებრძოლთ მოუწოდა, შეტევაზე გადასულიყვნენ. ქალაქში პირველი ტელამონი შეიჭრა. შურით აღივსო ჰერაკლე, სხვისი პირველობა ვერ აიტანა. იგი მახვილით ხელში დაედევნა ტელამონს, რომელმაც ხერხს მიმართა: დაიხარა და ქვების შეგროვება დაიწყო. გაკვირვებით ჰკითხა ზევსის ძემ: „აქ რას აკეთებ, ტელამონ?“ „მსურს, ძლევამოსილ ჰერაკლეს, ბოროტებასთან მებრძოლ ჰერაკლეს, აღვუმართო საკურთხეველი!“ – ასე უპასუხა მოხერხებულმა ტელამონმა და ზევსის ღვთაებრივი ძის რისხვა დააცხრო. „ტროას სიმდიდრე შენი იყოს!“ – მადლიერებით აღმოხდა ძლევამოსილ გმირს. მან იოლად აიღო ტროა, ისრებით განგმირა ლაომედონი და მისი ვაჟიშვილები. შეიწყალა მხოლოდ პოდარკესი, რომელიც მამას პირობის აღსასრულებლად მოუწოდებდა. ტროა დაეცა. როდესაც შურისძიების სურვილი დაიცხრო, ჰერაკლემ ტელამონს უბოძა მშვენიერი ჰესიონე, რომელსაც ნება დართო, გამოესყიდა ტყვეთაგან ნებისმიერი. მან პოდარკესი აირჩია. „კარგი! – დასთანხმდა ჰერაკლე, – მაგრამ თავდაპირველად ის უნდა გაიყიდოს, ვით

მონა“. ჰესიონემ თავიდან დედოფლის მანდილი მოიხსნა და ჰერაკლეს გაუწოდა, ვით საზღაური ძვირფასი ძმისთვის. სწორედ მას შემდეგ უწოდეს პოდარკეს პრიამოსი, ანუ „გამოსყიდული“.

ჰერაკლემ გაუკაცრიელებული ტროა პრიამოსს ჩააბარა, თავად კი სხვა საგმირო საქმეთა აღსასრულებლად გაეშურა თეთრი ხომალდით.

## ჰერაკლე კუნძულ კოსზე

ვიდრე ზევსს ზმანებათა ღვთაების ნებით ეძინა, ჰერამ ბორეასს მოუწოდა, ქარიშხალი გარდმოევლინა, რათა ჰერაკლე დაეღუპა ბობოქარ ზღვაში.

მედგრად ებრძოდა ზევსის ძე მძვინვარე დელგმას. ძლივს მიაღწია კუნძულ კოსის ნაპირებამდე, მაგრამ აქ ახალი საფრთხე ელოდა. კუნძულის მკვიდრებმა იფიქრეს, მეკობრეები დაგვესხნენ თავსო და ქვები დაუშინეს ზვირთებში თეთრად მოქანავე ხომალდს. ჰერაკლემ მაინც შეძლო ნაპირზე გადასვლა, მედგარი ბრძოლა გაუმართა კოსელებს, განგმირა მათი მეფე, პოსეიდონის ძე ევრიპილოსი და მთელი კუნძული დაარბია.

როდესაც ზევსმა გამოიღვიძა და გაიგო, თუ რა საფრთხეში ჩააგდო ჰერამ მისი ძე, განრისხდა. მეუღლე ჯაჭვებით შებოჭა და ცასა და მიწას შორის დაკიდა, ფეხებზე კი ორი მძიმე გრდემლი მიაბა. ყოველ ღმერთს, რომელიც კი გაბედავდა ჰერას გამოქომაგებას, განრისხებული ზევსი შეუბრალებლად ისროდა ოლიმპოსიდან. იგი დიდხანს ეძებდა ძილის ღვთაება ჰიპნოსსაც, რომელსაც ერებოსის მარადიულ წყვდიადში გადაგდებით ემუქრებოდა. აღასრულებდა კიდეც მუქარას, მისთვის ღამის ქალღმერთს, ნიქსს რომ არ მიეცა თავშესაფარი. ძლევამოსილი ნიქსისა კი ზევსსაც ერიდებოდა. ასეთი მრისხანებით იხსნა ღმერთთა მეუფემ თავისი ძე კუნძულ კოსზე და არგოსისაკენ მიმავალი გზა გაუნათა.

ათენას რჩევით, ქალკისისაკენ გაეშურა ჰერაკლე. იქ, ფლეგრეს ველზე, ერთმანეთს ებრძოდნენ ღმერთები და გიგანტები

(მათი ამბავი მოთხრობილია ჩვენი სერიის წიგნში „ქაოსიდან კოსმოსამდე"). ჰერაკლეს დახმარებით ღმერთებმა დაამარცხეს გიგანტები, რითაც წესრიგი დაამყარეს მთელ სამყაროში და განამტკიცეს ზევსის ძალაუფლება.

შემდეგ ჰერაკლე ბეოტიისკენ გაემართა, სადაც მისი რჩევით მეფედ დასვეს სკამანდროსი.

## ელისის აღება

კიდევ ერთ მეფეზე შურისძიების სურვილით იყო შეპყრობილი ჰერაკლე. ეს იყო ელისის მეფე ავგიასი. მან ხომ თავისი თავლების გაწმენდისათვის შეპირებული გასამრჯელო არ მისცა დიდ გმირს. და აი, იმ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შეკრიბა ტირინსელთა და არკადიელთა ლაშქარი – საუკეთესო ბერძენი გმირები – და გაემართა ელისისაკენ. ავგიასი მზად იყო საბრძოლველად. მან მხედართმთავრებად დანიშნა თავისი ძმის, აკტორისა და მოლიონეს შვილები – ევრიტოსი და კტეატოსი, რომელთაც აკტორიონებს ან მოლიონებს უწოდებდნენ.

ჰერაკლეს ვერ მოუტანა დიდება ელისის ბრძოლამ. იგი ავად გახდა. ამით ისარგებლეს მოლიონებმა და გაანადგურეს მისი ლაშქარი. ამასობაში კორინთოელებმა დრო იხელთეს და დაამყარეს ე.წ. ისთმოსის ზავი. ამ ბრძოლაში დაიჭრა ჰერაკლეს ძმა იფიკლესი. იგი არკადიაში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც გმირად აღიარებული. სამას სამოცი მებრძოლი დაკარგა ჰერაკლემ ელისის მინდვრებზე. ყოველ მათგანს დიდმა გმირმა სათანადო პატივი მიაგო. შემდეგ გაემართა ოლენოსისკენ, სადაც ეწვია თავის მეგობარ დექსამენოსს. იქ მის უმცროს ქალიშვილ დეიანირასთან სარეცელი გაიზიარა და ცოლად მოყვანის პირობა მისცა. როცა ჰერაკლე წავიდა, დეიანირას ხელი ითხოვა კენტავრმა ევრიტიონმა, რომელსაც უარი ვერ შეჰკადრა დექსამენოსმა. ქორწინების დღეს მოულოდნელად გამოცხადდა ჰერაკლე, მოკლა ევრიტიონი და მისი ძმები, ხოლო დეიანირა თან წაიყვანა.

როდესაც ჰერაკლე დაბრუნდა ტირინსში, ევრისთევსმა ბრალად დასდო, თითქოს მას სურდა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება და გააძევა არგოლისიდან. ჰერაკლე თავისი ოჯახით გადასახლდა არკადიის თენეოსში, რომლის ველებზეც მრავალი არხი გათხარა. ამ არხებმა ნაყოფიერი გახადეს არკადიის უკაცრიელი მიწები.

ერთხელ ჰერაკლემ შეიტყო, რომ ელისელები მიემართებიან მესამე ისთმიურ ზეიმზე და რომ მათ შორის იქნებოდნენ მოლიონებიც. იგი ჩაუსაფრდა პროცესიის მონაწილეებს და ამოხოცა ავგიასის მხედართმთავრები. შემდეგ ონკოსს სთხოვა შავფაფრიანი ცხენი არიონი, რომელიც მოათვინიერა, შეაგროვა ახალი ჯარი არგოსში, თებესა და არკადიაში და ქალაქი ელისი დაიპყრო; მოკლა ავგიასი შვილებთან ერთად, ხოლო ტახტი კანონიერ მფლობელს – მეფე ფილევსს დაუბრუნა.

## ოლიმპიურ დღესასწაულთა დაწესება

ელისიდან ჰერაკლემ დიდძალი ნადავლი წამოიღო. მან თავი მოუყარა ლაშქარს პისასთან და მამა-ზევსის პატივსაცემად შემდეგ უკვე საყოველთაოდ აღიარებული ოლიმპიური ასპარეზობანი დააწესა. დიადმა გმირმა თავად მონახა ზევსის ტაძრისთვის შესაფერისი ადგილი, შემოსაზღვრა წმინდა ჭალა, საკუთარი ნაბიჯებით მოზომა სტადიონი, იქვე მდებარე ბორცვს უწოდა „კრონოსის ბორცვი“ და ოლიმპოსის ღმერთებს აუგო საკურთხევლები. არ დაივიწყა თავისი დიდი წინაპარი პელოფსიც. მის სახელზე აღმართა სამსხვერპლოცა და საკურთხეველიც.

ზაფხულის ბუნიაობის შემდეგ, მთვარის პირველივე მოვანების ჟამს, დღესასწაულისათვის ყველაფერი უკვე მზად იყო. ოღონდაც ველზე ცოტა იყო ხეცა და ჩრდილიც. მაშინ ჰერაკლემ ისწრაფა ჰიპერბორეელთა ქვეყნისკენ, სადაც ოდესღაც ნეტარებდა ზეთისხილის ხეების ჩრდილში. მან აპოლონის ქურუმები დაიყოლია, მიეცათ თუნდაც ერთი ზეთისხილის ხე. შემდეგ დაბრუნდა ოლიმპიაში და ეტოლიელ მსაჯულს უბრ-

ძანა, ოლიმპიელი გამარჯვებულისათვის მიენიჭებინა ზეთისხილის რტო. ეს უნდა ყოფილიყო ერთადერთი ჯილდო, რამეთუ თავად ჰერაკლემ ისე აღასრულა თავისი თორმეტი საქმე, რომ გასამრჯელო არ მიუღია ევრისთევსისგან. ამ ხეს, რომელიც ხარობდა ზევსის ტაძრის წმინდა ჭალაში „სამართლიანი დაგვირგვინების ზეთისხილს" უწოდებდნენ. ხოლო გვირგვინებისთვის მას რტოებს ჰკვეცდა წარჩინებული ოჯახის შვილი, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდა.

როდესაც დაიწყო ასპარეზობა, არავის სურდა ჰერაკლესთან შერკინება. მაშინ თვით ზევსმა სახე იცვალა და ვით მოკვდავი, აღიმართა გმირის წინაშე. საოცარი სანახაობის მომსწრე შეიქნენ მხილველები. ეს დაძაბული შერკინება დიდხანს გაგრძელდა. მამამ და შვილმა გამარჯვება გაინაწილეს. როდესაც ზევსმა თავისი სახე წარმოაჩინა, აღფრთოვანებულ შეძახილებს ბოლო არ ჰქონდა. ეს მოხდა მთვარის მოვანების ჟამს და მთელ სტადიონს სავსე მთვარის ბრწყინვალების ნათელი ადგა.

ოლიმპიური დღესასწაულები იმართებოდა ყოველ ორმოცდაცხრა ან ორმოცდაათ თვეში ერთხელ, გრძელდებოდა ხუთი დღე: თერთმეტიდან თხუთმეტ რიცხვამდე. ამ დროს, მთელი თვის განმავლობაში, მშვიდობა სუფევდა საბერძნეთში. ასპარეზობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა ის ათლეტი, ვისაც რაიმე ცოდვა მიუძღოდა ღმერთის წინაშე. თავდაპირველად დღესასწაულს მართავდნენ პილოსელები. შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დაბრუნდნენ ჰერაკლიდები, მათი ეტოლიელი მოკავშირეები დასახლდნენ ელისში და ამ მოვალეობის აღსრულება მათვე განაგრძეს.

## ლაშქრობა პილოსში

ელისელებს ბრძოლაში ეხმარებოდა პილოსელთა ჯარი. ამიტომ გმირმა მათ წინააღმდეგ გალაშქრებაც გადაწყვიტა. სამართლიანობის მომხრე ათენა მას მფარველობდა, ხოლო ქალაქ პილოსს – ჰერა, პოსეიდონი, ჰადესი და არესი. თავდაპირველად ჰერაკლე



ორი კენტავრი თავს ესხმის ლაპითთა მეფე კენევსს. მარჯვნივ თავმოუბრუნებლად მიდის ლაპითი, რომელიც ამ სცენას ვერ ხედავს. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 500-490 წწ. ნეაპოლი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



ჰერაკლე, რომელსაც მუზარადად ლომის თავი ხურავს. ეგინას ტაძრის აღმოსავლეთი ფრონტონის ფრაგმენტი. დაახლ. ძვ.წ. 490-480 წწ. მიუნხენი. გლიპტოთეკა.



ჰერა ძუძუს აწოვებს ჰერაკლეს. მარცხნივ დგას ათენა, შროშანით ხელში. ათენას უკან ჩანს ეროსის ფრთა. მარჯვნივ ირისი ესაუბრება უცნობ ქალღმერთს. აპულეური ლეკითოსი, დაახლ. ძვ.წ. 350 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



შუაში გამოსახულია ჰერაკლე გველებით. როდესაც ჰერას მიერ გამოგზავნილმა გველებმა შეაღწიეს ჩვილთა ოთახში, შეშინებულმა იფიკლესმა გაქცევა სცადა, ხოლო ჰერაკლემ მათ გაბედულად სტაცა ხელი და მოგუდა. სურათზე გამოსახულია დამფრთხალი იფიკლესი, რომელიც ეხუტება მოახლე ქალს, ჰერაკლე კი ათენას თანადგომით გუდავს გველებს. მარცხნივ მოჩანს ალკმენე, ხოლო მარჯვნივ – ამფიტრიონი, რომლებსაც, მომხდარი სასწაულით განცვიფრებულებს, ხელები ზეაუპყრიათ. ეს სიუჟეტი კლასიკური ეპოქის დასაწყისიდან იჩენს თავს ხელოვნებაში. წითელფიგურული ჭურჭელი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. პარიზი. ლუვრი.



ჰერაკლე ამარცხებს ნემეის ლომს. როდესაც კომბლით ვერ მოერია, იგი ცარიელი ხელებით შეება მხეცს და მოახრჩო. მხოლოდ ძვ.წ. 600 წლის შემდგომ დათარიღებულ გამოსახულებებზეა აღბეჭდილი მსგავსი ორთაბრძოლა. ჰერაკლეს იარაღს იოლაოსი ამაგრებს ხეზე. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 510 წ. ბრეშა. ქალაქის მუზეუმი.



ერიმანთოსის ტახზე ნადირობა. ამ სურათზე ჰერაკლეს ცალი ხელი ფეხში ჩაუვლია ტახისთვის, ცალით კი მის ხერხემალს ჩასჭიდებია. იგი ათენას რჩევების გათვალისწინებით ცდილობს მხეცის დამარცხებას. შავფიგურული ოინოქოე. დაახლ. ძვ.წ. 510 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ჰერაკლე და კერინიის ირემი. მითში არ ჩანს, რომ ჰერა[illegible] ირე[illegible] რქას სტეხდეს, მაგრამ იკონოგრაფიულ გამოსახულებებში ეს სიუჟეტი ერთ[illegible] პუ[illegible]ლია. ჰერაკლეს ირემთან შერკინების უძველესი გამოსახულება გვხვდება ძ[illegible] დათარიღებულ ბალთაზე. დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ იგ[illegible] შავფიგურულ ჭურჭელზე; იშვიათად წითელფიგურულზე. წითელფიგ[illegible]ი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. პარიზი. ლუვრი.



ჰერაკლე და კრეტის ხარი. ეს სიუჟეტი ფართოდ იყო გავრცელებული ატიკურ კერამიკულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით შავფიგურულ ჭურჭელზე. სურათზე ჰერაკლეს მკლავებში ჰყავს მომწყვდეული მხეცი და ამარცხებს. ბრძოლას თვალყურს ადევნებს ათენა. შავფიგურული ამფორა. ძვ.წ. 510-500 წწ. პარიზი. ლუვრი.



სტიმფალიური ფრინველები. ჰერაკლეს სტიმფალიურ ჩიტებთან ბრძოლის ერთობ მცირერიცხოვანი გამოსახულებებია შემორჩენილი. შედარებით ადრეული ძვ.წ. VIII საუკუნით თარიღდება. სურათზე გმირს თავს ესხმიან ეს უჩვეულო ფრინველები. ზოგი დაფრინავს, ზოგი კი ტბაში დაცურავს. ჰერაკლე ცდილობს მათ მოგერიებას. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 530 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



დიომედესის ცხენები. მითის იკონოგრაფიული ვერსია უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ლიტერატურული. სურათზე აღიბეჭდა ცხენის დემონიურობა და გმირის ძლიერება. ცხენს პირში აბდეროსის ნარჩენი უნდა ჰქონდეს გაჩრილი. ჰერაკლეს კომბალი აქვს მომარჯვებული და დასარტყმელად ემზადება. ცხენი ყალყზე დგება. ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლებაა. შავფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 510-500 წწ. სანკტ-პეტერბურგი. ერმიტაჟი.



ჰერაკლე ოქროს ნავში. ჰერაკლეს მეათე დავალება იყო კუნძულ ერითიაზე გამგზავრება გერიონის ძროხების მოსატაცებლად. გზად მას ჰელიოსი შეხვდა, რომელმაც დროებით წყლის შროშანის ფორმის ოქროს ნავი ათხოვა. სურათზე ჰერაკლე ზის ამ ნავში, ცალ ხელში კომბალი აქვს მომარჯვებული, მეორეში – მშვილდი. ოკეანოსმა მისი გამოცდის მიზნით ზღვა ააღელვა. მაგრამ გმირმა მშვილდი მოზიდა თუ არა, ტიტანმა უმალ დაამშვიდა ზღვა. წითელფიგურული კილიქსი. ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისი. რომი. ვატიკანის მუზეუმი.



ჰერაკლე ჰესპერიდების ბაღში. სურათზე წარმოდგენილია არა მებრძოლი ჰერაკლე, არამედ – ტრიუმფატორი. იგი მშვიდად ზის და შეჰყურებს მისკენ მობრუნებულ ჰესპერიდ ლიპარას, რომელსაც ვაშლი უჭირავს ხელში მარცხნივ დგას მეორე ჰესპერიდი ქრისოთემე, რომელსაც ვაშლის მოსაწყვეტად გაუწვდია ხელი. მის უკან კი დგას ჰესპერიდი ასტეროპე. წითელფიგურული ჰიდრიის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 410 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ჰერაკლე ათვინიერებს კერბეროსს. ძვ.წ. VI საუკუნის ფერწერაში შეინიშნება ჰერაკლეს მითის სხვადასხვა ეპიზოდის ახლებური წარმოდგენის ტენდენცია. ამ შემთხვევაშიც ჰადესში ჩასული გმირი ძალით კი არ იმორჩილებს საოცარ მხეცს, არამედ მშვიდად ცდილობს მის მოთვინიერებას. ცალ ხელში მას ჯაჭვი აქვს მომარჯვებული, რათა დროულად მოაბას ყელზე და აიყვანოს მიწისზედა სამყაროში. მარცხენა კუთხეში ჩანს ათენა, რომელიც ტრადიციულად მუდამ თან ახლავს ჰერაკლეს. წითელფიგურული ამფორის დეტალი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. პარიზი. ლუვრი.



ჰერაკლე და დეიანირა. ადრეული კლასიკის ფერწერაში თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოჯახური სცენების გამოსახვა. ამ სურათზე დეიანირას ხელში უჭირავს პატარა ჰილოსი, რომელიც მამისკენ მიიწევს. ჰერაკლე მას მზრუნველი თვალით შესცქერის. მარჯვნივ დგას ოინევსი, დეიანირას მამა, ხოლო მარცხნივ კი – ათენა, რომელსაც ხელში ყვავილი უჭირავს, რაც ოჯახისადმი მის კეთილგანწყობაზე მეტყველებს. წითელფიგურული პელიკე. დაახლ. ძვ.წ. 475 წ. პარიზი. ლუვრი.



ჰერაკლე და ეგვიპტელები. ძველბერძნულ კერამიკულ ფერწერაში ჰერაკლესა და ეგვიპტის მეფის, ბუსირისის, ორთაბრძოლამ კომიკური ასახვა ჰპოვა. ეგვიპტელები დაცემულნი შეჰყურებენ ბერძენ გმირს, როგორც ამ სურათზე. ჰერაკლეს ზურგსუკან მოუგდია ერთი ეგვიპტელი და ცდილობს მოისროლოს. წითელფიგურული პელიკე-დაახლ. ძვ.წ. 470 წ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



სამფეხის გატაცება. აპოლონი მისდევს ჰერაკლეს, რომელმაც დელფოს ტაძრიდან წმინდა სამფეხი მოიპარა. ჩანს, ეს სიუჟეტი ფართოდ იყო გავრცელებული ძვ.წ. VI საუკუნიდან. ამფორის დეტალი. ძვ.წ. 520 წ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.

პოსეიდონს შეება. მისი კომბალი მოხვდა ღმერთის სამკაპს. განრისხდა პოსეიდონი და თავი დამარცხებულად ცნო. შემდეგ ჰერაკლემ შუბით ისწრაფა ათენას დასახმარებლად და მესამე დაკვრით გააპო არესის ფარი, თავად ღმერთი კი მიწაზე დასცა. იგივე შუბი ჩაარჭო გვერდში და ტკივილისგან გაწამებული ღვთაება ოლიმპოსისკენ განდევნა. იქ მას აპოლონმა მოუშუშა იარა ერთ საათში. არესი ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნდა და მანამ იბრძოდა, ვიდრე ჰერაკლეს ისარმა მხარი არ გაუხვრიტა. გმირმა ჰერაც დაჭრა მარჯვენა მკერდში „სამწვერა" ისრით.

პილოსელთა მხარეს იბრძოდა ნელევსის ძე, არგონავტი პერიკლიმენოსი. მას პოსეიდონმა უბოძა ძალა და მრავალ სახედ გარდაქმნის უნარი. ამჯერად იგი ჯერ ლომად გარდაისახა, შემდეგ გველად, ბოლოს კი ბუზად თუ ჭიანჭველად. ჰერაკლემ ათენას შემწეობით იცნო პერიკლიმენოსი და კომბალს დასწვდა. მაშინ პერიკლიმენოსი არწივად გარდაისახა და ჰერაკლეს კინალამ თვალი გამოსთხარა, მაგრამ გმირის მიერ ნასროლი ისარი მოხვდა და განგმირული მიწაზე დაეცა.

ბოლოს და ბოლოს ზევსის ძემ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში.

## ლაშქრობა სპარტაში

ჰერაკლემ განიზრახა გაელაშქრა სპარტის წინააღმდეგ და დაესაჯა ჰიპოკოონის ვაჟიშვილები, რომლებმაც არ მიიღეს იგი იფიტოსის გარდაცვალების შემდეგ, უარი თქვეს მისი განწმენდის რიტუალის აღსრულებაზე და პილოსის ომში ნელევსის მხარეს იბრძოდნენ. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემოაკვდათ მისი მეგობარი ოიონოსი. აი, როგორ მოხდა ეს: ლიკიმნიოსის ძე ოიონოსი თან ახლდა რა ჰერაკლეს სპარტაში, ჰიპოკოონის სასახლის წინ სეირნობდა. მას თავს დაესხა უზარმაზარი ძაღლი. თავს რომ იცავდა, ოიონოსმა ქვა მოახვედრა ამ ძაღლს პირდაპირ დინგში. ამ დროს გამოვარდნენ გარეთ ჰიპოკოონის ვაჟები და ჯოხებით დაუწყეს მას ცემა. მაშინ ჰერაკლე ქუჩის მეორე ბოლოს იყო, ისწრაფა ოიონოსის დასახმარებ-

ლად, მაგრამ ცოცხალს ველარ მოუსწრო. თავადაც დაჭრეს ხელსა და თეძოში. გმირმა თავი შეაფარა ტეგეას მთასთან აღმართულ ელევსინელი დემეტრეს ტაძარს, სადაც იგი განკურნა ცნობილმა ექიმმა ასკლეპიოსმა.

ასე რომ, შეკრიბა რა მცირერიცხოვანი ლაშქარი, ჰერაკლემ გეზი აიღო არკადიის ტეგეასაკენ. იქ კეფევსს სთხოვა, თავის ოც ვაჟთან ერთად შეერთებოდა მის ამალას. თავდაპირველად კეფევსი არ თანხმდებოდა, ეშინოდა რომ მისი ქალაქიც არ ჩაეთრიათ ამ ბრძოლაში. მაშინ ჰერაკლემ ათენას მიერ ნაჩუქარი გორგო მედუზას თმის კულული მისცა კეფევსის ასულ აეროპეს და უთხრა: „თუ მტერი ქალაქს მოუახლოვდება, საკმარისია ქალაქის კედლიდან სამგზის დაანახო მას ეს ხვეული ზურგშებრუნებით და იგი უმალ უკუიქცევა". მაგრამ აეროპეს არ დასჭირვებია ეს მაგიური ნივთი.

სამწუხაროდ, კეფევსი და მისი ოცი ძე დაიღუპა ამ ბრძოლაში. ჰერაკლემ კიდევ რამდენიმე მებრძოლი დაკარგა, სპარტელებმა კი – უამრავი, მათ შორის ჰიპოკოონიც თავისი თორმეტი ვაჟით. ქალაქი იერიშით აიღეს. ჰერაკლემ მეფედ დასვა ტინდარეოსი მანამ, ვიდრე მისი შთამომავალი არ მოითხოვდა უფლებას ტახტზე.

ამ ლაშქრობის ჟამს ჰერა არც კი გამოჩენილა. მადლიერების ნიშნად ჰერაკლემ მას სპარტაში აღუმართა საკურთხეველი და თხა შესწირა მსხვერპლად. მანვე აუგო ტაძარი ათენას, ხოლო გზად თერაპნესკენ ასკლეპიოსს უძღვნა სამსხვერპლო.

## ჰერაკლე და დეიანირა

ჰერაკლემ თენეოსში ოთხი წელი გაატარა. ბოლოს განიზრახა პელოპონესოსის მიტოვებაც. არკადიის მძლავრ ლაშქარს ჩაუდგა სათავეში, ზღვა გადალახა და ეტოლიის კალიდონს მიადგა. ამ დროისთვის მას კანონიერი არც მეუღლე ჰყავდა, არც მემკვიდრეები. ჰერაკლეს მუდამ ახსოვდა ჰადესის სამეფოში დადე-

ბული პირობა, ცოლად შეერთო დეიანირა, ოინევსის სავარაუდო ასული. მან ეს მელეაგროსის სულს აღუთქვა. და აი, დადგა ამ პირობის აღსრულების დროც. მრავალი გმირი ითხოვდა ეტოლიის მეფის, ოინევსის ასულის, დეიანირას ხელს. მათ შორის იყო მდინარის ღმერთი აქელოოსიც, რომელსაც გარდასახვის უნარი შესწევდა. მეფე ოინევსმა გადაწყვიტა დეიანირა ცოლად იმისთვის მიეცა, ვინც ორთაბრძოლაში გაიმარჯვებდა. სასიძოებმა უარი თქვეს აქელოოსთან შერკინებაზე. მხოლოდ ჰერაკლე შეემზადა მდინარის ძლევამოსილ ღმერთთან საბრძოლველად. როდესაც ისინი პირისპირ დადგნენ, ასე მიმართა ღმერთი მასთან მებრძოლ გმირს: „ნუთუ გგონია, რომ ზევსისა და ალკმენეს ძე ხარ? მაღალი ზევსი შენი მამა როგორ იქნება?!" – და აქელოოსი მოჰყვა ალკმენეს შეურაცხყოფას.

ჰერაკლემ რისხვის ცეცხლით ანთებული თვალები ღმერთს მიაპყრო და ასე უთხრა: „აქელოოს, შენ ენა გერჩის, მე კი ხელები! ენით გამარჯვება შენი იყოს, მე ამ ხელებით გავიმარჯვებ!"

დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა იგი მდინარის ღვთაებას და მძლავრი ხელები შემოაჭდო. არ განძრეულა უზარმაზარი აქელოოსი, ისე იდგა, ვით ურყევი კლდე, ზღვის მძვინვარე ზვირთები რომ ეხეთქებიან. სამგზის დაესხა თავს ჰერაკლე ძლევამოსილ ღმერთს. მეოთხედ, ხელიდან რომ დაუსხლტა, ზურგში ჩააფრინდა და მთასავით დადო მიწაზე. დაიძაბა აქელოოსი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იბრძოდა, მაგრამ სულ უფრო და უფრო მძლავრად აკრავდა მიწას ზევსის ძე. ამოიგმინა მდინარის ღმერთმა, მუხლები მოხარა და ქედი მოიდრიკა. ბოლოს ხერხს მიმართა: გველად იქცა და გმირს ელვის სისწრაფით დაუსხლტა ხელიდან. ჰერაკლემ გადაიხარხარა და შესძახა: „გველებთან ბრძოლას აკვნიდანვე ვარ ჩვეული! მართალია, შენ სხვა გველებზე დიდი ხარ, აქელოოს, მაგრამ ლერნეს ჰიდრას ხომ ვერ შეედრები. თავს რომ მოვკვეთდი, მის ადგილას ორი თავი ამოსდიოდა, ერთი უკვდავი თავიც ჰქონდა, და მაინც ვძლიე!"

ჰერაკლემ კისერში ჩაავლო ხელი ქვეწარმავალს და ისეთი ძალით მოუჭირა, კინაღამ სული ამოხადა. იგრიხებოდა აქელოოსი, ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ ამაოდ. კიდევ ერთხელ მიმართა ხერხს: ხარად იქცა და კვლავ დაესხა თავს ჰერაკლეს. გმირმა რქებით დაითრია ხარი და მიწაზე დაანარცხა ისეთი ძალით, რომ რქა მოსტეხა. ასე დამარცხდა აქელოოსი და მდინარეში მიიმალა.

მეფე ოინევსმა კი ჰერაკლესა და დეიანირას დიდებული ქორწილი გადაუხადა.

დიდხანს არ დარჩენილა ჰერაკლე მეფის კარზე. მალე თავის მეუღლესთან ერთად მშობლიური ტირინსისაკენ გაეშურა. გზად მდინარე ევენოსს მიადგა. აქ იგი შეხვდა კენტავრ ნესოსს, რომელსაც მგზავრები ზურგით გადაჰყავდა. მან ჰერაკლესაც შესთავაზა თავისი სამსახური, სულ მცირე საზღაურის ფასად დეიანირას გადაყვანა ითავა. ჰერაკლემ გადაუხადა, რაც ითხოვა, კომბალი და მშვილდი მეორე ნაპირზე გადაისროლა და აღელვებულ მდინარეში გადაეშვა. ხოლო ნესოსმა სიტყვა გატეხა და საწინააღმდეგო მხარეს გაცურა. როდესაც ნაპირს მიაღწია, დეიანირას მიუალერსა. ქალმა შეჰკივლა. მეორე ნაპირზე გასულ ჰერაკლეს ესმა მისი ხმა და მრისხანებით ზეწამოიჭრა. მშვილდი მოზიდა და დაჭიმული ლარიდან მომაკვდინებელი ისარი სტყორცნა კენტავრს. ჩაიმუხლა სასიკვდილოდ დაჭრილმა ცხენ-კაცმა. ნაკადულივით მოჩქეფდა მისი იარიდან ჰიდრას შხამნარევი სისხლი. ნესოსმა სიკვდილის წინ შურისძიება განიზრახა და საბედისწერო სიტყვებით მიმართა დეიანირას: „შენა ხარ ჩემი უკანასკნელი მგზავრი ევენოსის მღვრიე ტალღებში! შენმა მშვენებამ მომხიბლა აღსასრულის წინ. ჩემს სისხლს ხომ ხედავ, წყაროსავით რომ მოჩქეფს. თუ ამ სისხლს შეურევ თესლს, რომელიც მიწაზე დავღვარე, დაუმატებ ზეითუნის ზეთს და მიღებულ ნარევს მალულად წაუსვამ ჰერაკლეს სამოსს, არასოდეს გადაგიყვარებს იგი“.

ნესოსი მოკვდა. დეიანირამ მისი სისხლის წვეთები და მიწად დაღვრილი თესლი ერთმანეთს შეურია, დამალა ყუთში და ჰერაკლესთან ერთად გაუყვა გზას ტირინსისკენ. მან ჰერაკლეს უშვა ოთხი ძე და ერთადერთი ქალიშვილი მაკარია.

## ჰერაკლე ტრაქისში

არკადიელ თანამებრძოლებთან ერთად ჰერაკლე ჩავიდა ტრაქისში და მცირე ხნით შეყოვნდა მეფე კეიქსთან. მანამდე კი განვლო დრიოპების ქვეყანა, რომელსაც მაშინ მართავდა თეოდამასის ძე ფილასი. მას წაებილწა აპოლონის ტაძარი დელფოში. ამის გამო ჰერაკლემ იგი მოკლა, დრიოპები ქალაქიდან განდევნა, ხოლო მეფის ასული მედე თან წაიყვანა და მისგან შეეძინა ანტიოქოსი.

იმხანად დორიელთა და დრიოპების ოდინდელ მოკავშირე ლაპითთა შორის ატყდა ჩხუბი საზღვრების გამო. მცირერიცხოვანმა დორიელებმა ჰერაკლეს სთხოვეს დახმარება და თავისი სამეფოს მესამედი შესთავაზეს. ზევსის ძე ჩაება ამ ბრძოლაში, დაამარცხა ლაპითთა მეფე კორონოსი და თავის შთამომავალთა მოსვლამდე აღთქმული ქვეყნის მეფედ დასვა ეგიმიოსი.

## კიკნოსი

შემდეგ ჰერაკლე ჩავიდა ქალაქ იტონოსში, სადაც იდგა ათენას უძველესი ტაძარი. იქ ცხოვრობდა კიკნოსი, არესის ძე. იგი სტუმრებს სთავაზობდა შეჯიბრს ეტლით სრბოლაში. გამარჯვებულს ძვირფასი ჯილდო უნდა მიეღო. მაგრამ ყოველთვის იმარჯვებდა თავად კიკნოსი, დამარცხებულებს კი კვეთდა თავებს, რომლებითაც მამამისის ტაძარს ამკობდა.

აპოლონს არ უყვარდა კიკნოსი იმის გამო, რომ იგი მის სამსხვერპლო ხარებს არ უშვებდა დელფოში. მან დაიყოლია ჰერაკლე, მიეღო კიკნოსის გამოწვევა. ასე მოილაპარაკეს, რომ ჰერაკლეს დაეხმარებოდა იოლაოსი, ხოლო მის მოპაექრეს — არესი.

უწვეულო იყო ჰერაკლესათვის ეს ორთაბრძოლა. ამიტომ იგი საგანგებოდ გამოეწყო: გაიკეთა ბრინჯაოს მბრწყინავი სამუხლეები, რომლებიც მისთვის გამოჭედა ჰეფესტომ, დიდი ოსტატობით ნაკეთები ოქროცურვილი სამკერდე, რომელიც მას უძღვნა ათენამ და რკინის სამხრეები; აღიჭურვა მშვილდით, შუბით, მუზარადითა და იმ ფარით, რომელიც ზევსმა დაამზადებინა ჰეფესტოს. ასე შემკული იგი მსუბუქად აღიმართა საბრძოლო ეტლზე.

ღმერთქალი ათენა საგანგებოდ დაეშვა ოლიმპოსიდან და ჰერაკლე გააფრთხილა: „ზევსი, მართალია, ნებას გრთავს მოკლა კიკნოსი და მიითვისო მისი ქონება, მაგრამ როდესაც არესს შეებრძოლები და დაამარცხებ, ხელი არ ახლო მის ტაიჭებს და დიდებულ აღსაჭურველს!“ შემდეგ იგი თავისი რჩეულის უკან დაბრძანდა, ეგისი შეარხია და როდესაც გაქანდა ეტლი, ამოიგმინა დედამიწამ. მსგავსი სისწრაფით მოქროდა კიკნოსი მათ შესახვედრად. შუბები რომ ახმაურდნენ, ორივე მებრძოლი მიწაზე აღმოჩნდა. უმალ ზე-წამოიჭრნენ, ერთურთს შეებნენ და ისე მოხდა, რომ ჰერაკლემ კისერი მოუგრიხა კიკნოსს. ზევსის ძემ ახლა არესისაკენ ისწრაფა. მან შუბი სტყორცნა მისკენ მომავალს, ამ დროს ათენამ წარბი შეიკრა და შუბი მიზანს ააცილა. არესი ახლა მახვილით დაიძრა ჰერაკლესაკენ, მაგრამ ყველა ცდის მიუხედავად, თავად დაიჭრა თეძოში, მიწაზე დავარდა და როდესაც გმირმა ხელი აღმართა მისთვის მეორე იარის მისაყენებლად, ზევსმა მათ შორის დაკლაკნა ელვა და პაექრობა განასრულა. ათენამ დასუსტებული არესი ოლიმპოსზე აღაზევა, ხოლო ჰერაკლემ მდიდრული ნადავლით გააგრძელა გზა.

*

პელიონის მთის ძირას პატარა ქალაქი ორმენია მდებარეობდა. მას მართავდა მეფე ამინტორი, რომელსაც ჰყავდა ქალიშვილი ასტიდამეა. სწორედ ამ ქალაქს მიადგა ჰერაკლე და მეფეს სთხოვა ასტიდამეა. „შენ გყავს მეუღლე, — ასე მიუგო ამინტორმა, —

და ისიც ვიცი, რომ მრავალი მეფის ასული გიცთუნებია. მე შენ ვერ განდობ ჩემს ქალიშვილს!" განრისხდა ჰერაკლე, ქალაქს თავს დაესხა, მოკლა ამინტორი და თან წაიყვანა ასტიდამეა, რომელმაც უშვა მას ქთესიპოსი ან ტლეპოლემოსი.

## იოლე

ქალაქ ტრაქისში ჰერაკლეს დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი. გმირმა გაილაშქრა ექალიის წინააღმდეგ, რათა შური ეძია მეფე ევრიტოსზე. მან ხომ მშვილდოსანთა პაექრობაში გამარჯვებისთვის აღთქმული ჯილდო არ მისცა ჰერაკლეს, არ მიათხოვა თავისი ასული იოლე. ზევსის ძემ აიღო ქალაქი, ისრით განგმირა ევრიტოსი, ხოლო იოლე ტყვედ აიყვანა. არ ნებდებოდა მეფის ასული. ჰერაკლემ მის თვალწინ ამოხოცა მთელი სამეფო მოდგმა. მაშინ იოლე ქალაქის კედლიდან გადაეშვა უფსკრულისაკენ, მაგრამ არ მოკვდა, კაბის კალთებმა შეამსუბუქეს მისი დაცემა. ჰერაკლემ იოლე სხვა ტყვეებთან ერთად გაგზავნა ტრაქისში, სადაც დატოვა დეიანირა.

# 11 ჰერაკლეს აპოთეოზი

დიდი ზეიმით ემზადებოდა ჰერაკლე მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად. სურდა თაყვანი ეცა მამა-ზევსისთვის, ექალიის აღებისას რომ შემწეობა გარდმოუვლინა. თავის დესპანი ლიქასი გაგზავნა დეიანირასთან, რათა მისი სადღესასწაულო ქიტონი, წესისგების აღსრულების ჟამს ტანთ რომ ისხამდა, წამოეღო.

მშვიდად ცხოვრობდა დეიანირა ტრაქისში. დიდი ხანია შეგუებოდა იგი იმ აზრს, რომ ჰერაკლეს დროდადრო ახალი საყვარელი ქალი მოჰყავდა. როცა იოლე დაინახა, არც კი სწყენია, სიბრალულის გრძნობით აღივსო, რადგან მის გამო განადგურდა ექალია. მაგრამ აუტანელი იყო ის განცდა, რომ მათ ერთ ჭერქვეშ უნდა ეცხოვრათ. დეიანირას თვალწინ დაუდგა ჰერაკლეს ისრით განგმირული კენტავრი ნესოსი, რომელმაც სიკვდილის წინ

თავისი ლერნეს შხამით მოწამლული სისხლი და თესლი შეანახვინა. დეიანირას თითქოს კენტავრის ხმაც შემოესმა: „თუ ჯადო-წამალს მალულად წაუსვამ ჰერაკლეს სამოსს, არასოდეს გადაგიყვარებს იგი“. ფრთხილად აიღო დეიანირამ ნესოსის „ძღვენი“, ამდენ ხანს რომ საგულდაგულოდ ინახავდა სიბნელეში, რათა მზის სხივი არ მოხვედროდა, რათა სინათლეს არ წაეხდინა. ჯადო-წამალი წაუსვა ჰერაკლეს დიდებულ მოსასხამს, რომელიც თავად მოუქსოვა და საიმედოდ დახურულ ყუთში ჩადო. შემდეგ მოიხმო ლიქასი და ასე უბრძანა: „ეს ქიტონი მიართვი ჰერაკლეს. როდესაც ზევსის ბომონთან მივა, მაშინ მოისხას. არვინ შეეხოს ამ სამოსს, თავად ნათელი ჰელიოსის სხივიც არ მოხვდეს!“ ცხენებს შესძახა ლიქასმა და თვალს მიეფარა. დეიანირას კი შემზარავი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: ქსოვილი, რითაც ჰერაკლეს მოსასხამს ჯადოს უსვამდა, მზის სხივებზე იფერფლებოდა, იქვე მოჩანდა შხამიანი ქაფიც. ელდა ეცა დეიანირას, მიხვდა, ჰერაკლე სასიკვდილოდ რომ გაწირა: სასწაულმოქმედი იყო ლერნეს შხამში არეული კენტავრის სისხლი და თესლი. დეიანირამ ლიქასს მდევარი დაადევნა, თავად კი ფიცი აღავლინა, რომ უფრო ადრე მოკვდებოდა, ვიდრე ჰერაკლე.

მდევარმა გვიან მიაღწია კენევსის მთას. ჰერაკლეს უკვე მოესხა საზეიმო ქიტონი და რჩეული ხარებიც შეეწირა მსხვერპლად ზევსისთვის. ზეცას აღწევდა ცეცხლის ალი. საკურთხეველთან იდგა ჰერაკლე, მოწიწებით აღემართა ხელები მაღლა და დიად ღმერთებს მოუხმობდა. სამსხვერპლო ცეცხლის სიმხურვალისგან ოფლმა დაასხა. სითბომ ჰიდრას შხამი და ნესოსის სისხლი გაალღო და ერთმანეთში აურია. ქიტონი ტანზე მიეკრო დიდ გმირს და საშინელი ტკივილისაგან დაკრუნჩხა. გონგარდასულმა ჰერაკლემ საკურთხევლებიააყირავა, შემოიგლიჯა სამოსელი და მასთან ერთად ზედ მიკრული ხორციც. ძვლები უჩანდა, სისხლი უდუღდა აქაფებული. იქვე, მახლობლად, იყო მდინარე. იქ გადაეშვა, მაგრამ შხამი უფრო მძლავრად მოედო. ახლა მთებისკენ გაექანა გაწამებული. გზად ფესვიანად

გლეჯდა ხეებს. იქვე მიმალულ ლიქასს გადაეყარა, ხელი დასტაცა, თავს ზემოთ სამგზის დაატრიალა და შურდულივით მოისროლა ევბეას ზღვაში. გახევებული უყურებდა ყველა მის ტანჯვას. ვერვინ ბედავდა მიახლოებას. ჰერაკლემ თავად იხმო თავის ძე ჰილოსი და შეევედრა: „ნუ მიმატოვებ ამ მძიმე დღეში, თუნდ სიკვდილი მემუქრებოდეს. მოკვდავთა მზერას განმარიდე, იქ წამიყვანე, სადაც ვერავინ ვერ მიხილავს. თუკი გიყვარვარ, თუკი გაქვს ჩემი ოდნავი სიბრალული და თანაგრძნობა, აქ ნუ მომკლავ!"

ძლივს დააწვინეს საკაცეზე დიადი გმირი, თეთრ ხომალდზე აიყვანეს და ტრაქისისკენ აიღეს გეზი. დელფოს მისანმა დიდი ხნის წინ უმისნა ლიკიმნიოსს და იოლაოსს, თუ სად აღესრულებოდა მათი მეგობარი. ეს რომ გაიგო დეიანირამ, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, უხმოდ შევიდა თალამოსში, სწვდა ორპირ მახვილს და ზედ წამოეგო. ამასობაში ჰერაკლეც შემოიყვანეს სასახლეში. ტკივილებისგან დაქანცული ასე ბღაოდა: „დიადო ზევსო, საბერძნეთის დიდო გმირებო, სად ხართ? თქვენთვის გავწმინდე მიწა და ზღვები ურჩხულებისგან, რათა ქვეყანა ბოროტებას არ დაეთრგუნა, ნუთუ არ გსურთ, რომ საზარელი წამებისგან მიხსნათ! ო, ზევსის ძმაო, დიდო ჰადესო! დამაძინე სიკვდილის ძილით!" დეიანირაც გაიხსენა, სურდა შური ეძია მასზე, მაგრამ ჰილოსმა შეაჩერა, ცრემლების ფრქვევით მოახსენა მთელი სიმართლე. მიხვდა ჰერაკლე, რომ სრულდებოდა ღმერთების ნება. მას დიდი ხნის წინ უმისნა ზევსმა: „სულდგმულს არ ძალუძს შენი მოკვლა. მხოლოდ უსულო მტერი შეიქნება შენი დალუპვის მიზეზი". ტკივილებისგან გაწამებულმა ჰერაკლემ ნაღვლიანი მზერა მიაპყრო ჰილოსს და შეევედრა, ეტას მაღალ მწვერვალზე დაენთო დიდი კოცონი და ცეცხლზე დაწვით ბოლო მოეღო მისი ტანჯვისთვის. თან დააფიცა, ცოლად შეერთო იოლე. არ მოეწონა ჰილოსს ნათქვამი, მაგრამ სურვილის აღსრულების პირობა მისცა მომაკვდავ მამას.

მეგობრებმა, საბერძნეთის დიდმა გმირებმა, აიყვანეს მძლეთა მძლე ჰერაკლე ეტას მთის თხემზე. იქ შეშის უზარმაზარი ზვინი აღმართეს და ზედ დაასვენეს ღმერთის შვილი. სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ჰერაკლეს სხეულში ჰიდრას შხამი. აუტანელი ხდებოდა ლმობა. ერთადერთი იყო ხსნის გზა — სიკვდილი. ყველა გრძნობდა ამას, მაგრამ ვერავინ ბედავდა ცეცხლის დანთებას. მძიმე ნაბიჯით ავიდა მთაზე ფილოქტეტესი. ევედრებოდა მას ჰერაკლე, ცეცხლი დაენთო, აჩუქა მშვილდიც და ისრებიც. თავად კი ზვინის თავზე გაიშალა ლომის ტყავი, ზედ წამოწვა და თავქვეშ კომბალი ამოიდო. რა უნდა ექნა ფილოქტეტესს, მეგობრის ტანჯვას ვერ გაუძლო და კოცონი ააგიზგიზა. ცისფრად აენთო ცეცხლის ალი, მაგრამ ამ დროს განათდა ზეცა და მასზე ელვა გაიკლაკნა მეხისტეხაში. კოცონს ოქროს ეტლით გადაუქროლეს ათენა პალასმა და ჰერმესმა. მათთან ერთად იყო გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. ცისიერებმა ცისფრად მობრიალე კოცონიდან ამოიტაცეს ჰერაკლე და ოლიმპოსზე აიყვანეს. იქ ფეხზე ამდგარი შეეგება ოქროს სკიპტრის მპყრობელი ზევსი თავის დიად შვილს. ირგვლივ ღმერთები ზეიმობდნენ. ასე მიმართა მათ ზევსმა: „ზენაარნო, მიხარია, რომ მადლიერ ხალხს განვაგებ, რომ ჩემს ნაშიერს არ აკლია თქვენი წყალობა, თუმც ეს პატივი მან დიადი საქმეებით დაიმსახურა. ყოველიერთა მძლე ძლევს ცეცხლსაც, მის ცხოველ ძალას მხოლოდ დედისეული ნაწილით იგრძნობს. რაც ჩემგან დაჰყვა, ის ექნება მარადიული, სიკვდილისა და ცეცხლის ძალით დაუძლეველი! თუ მისი გაღმერთება ვინმეს შეაშფოთებს, აღსრულებულ საქმეთა გამო მაინც ღირსადყოფს და უნებურად აღიარებს უკვდავთა შორის!" თავის დაქნევით დაადასტურეს ცისიერებმა მისი ნათქვამი. მხოლოდ ჰერა გაანაწყენეს ბოლო სიტყვებმა. თუმცა იგიც ბედს შეეგუა, გულიდან ამოიღო ჰერაკლესადმი სიძულვილი და ცოლად შერთო თავისი უსაყვარლესი ასული, მარად ნორჩი ჰებე, სიყმაწვილის ქალღმერთი. და ცხოვრობს მშვიდად დიდი ჰე-

რაკლე ოლიმპოსის ღრუბლებით დაბურულ მწვერვალზე ახლაც. დიდმა განგებამ მას უკვდავება მიანიჭა იმ საგმირო საქმეებისთვის, რაც მან მიწაზე აღასრულა, იმ ტანჯვისათვის, რაც მან მიწაზე დაითმინა. მოკვდავი ჰერაკლე ადამიანებს მხსნელად მოევლინა. მან დაამარცხა ურჩხულები და ამით შეამცირა ბოროტება დედამიწაზე. ის გამარჯვების გზით მიემართებოდა ოლიმპოსისკენ. ამით იყო მისი მიწიერი ცხოვრება უაღრესად მნიშვნელოვანი, ხოლო ზეციურ სამყოფელში, სადაც სუფევს წესრიგი და კეთილგანგება, ჰერაკლე ჩვეულებრივი უკვდავია. მას აღარ სჭირდება ბრძოლა გამარჯვებისთვის და ამიტომაც სდუმან მითები მის მარადიულ ცხოვრებაზე.

## ⓬ ჰერაკლიდები

ჰერაკლეს ცად აღზევების შემდეგ ალკმენე და ჰერაკლიდები ცხოვრობდნენ ტირინსში. ევრისთევსმა იმის შიშით, რომ ტახტი არ დაეკარგა, მათი საბერძნეთიდან გაძევება განიზრახა. კარიდან კარზე დაეხეტებოდნენ დიადი გმირის შვილები, მაგრამ ვერავინ გაბედა მათი შეფარება. ბოლოს, ღრმად მოხუცებულ იოლაოსთან ერთად ისინი ათენში ჩავიდნენ, სადაც მეფობდა თესევსი. მან მძევლები ატიკის ქალაქ ტრიკორინთოსში დაასახლა. ეს კი ათენსა და პელოპონესოსს შორის პირველი შეტაკების საბაბი გახდა. ევრისთევსმა შეკრიბა დიდძალი ჯარი და ათენისკენ დაიძრა. მაშინ ათენელებმა ღმერთებს მიმართეს, რათა შეეტყოთ მოსალოდნელი ბრძოლის ბოლო. მისანმა ასე განაცხადა: „ათენელები დამარცხდებიან, თუ ჰერაკლეს შვილთაგან ერთ-ერთს არ შესწირავენ პერსეფონეს“. დიდი გმირის ქალიშვილმა, მაკარიამ გადაწყვიტა გაეწირა თავი სხვათა გადასარჩენად. ეს წესისგება მარათონში აღასრულეს.

სასტიკ ბრძოლაში გაიმარჯვეს ათენელებმა. ევრისთევსმა დატოვა ბრძოლის ველი და უკუიქცა. მას დაედევნა ჰერაკლეს უფროსი ვაჟი ჰილოსი. ეს დაინახა იოლაოსმა და სთხოვა ჰი-

ლოსს, მისთვის მიენდო ევრისთევსი. ღრმადმოხუცებულ გმირს სურდა თავად ეძია შური ძვირფასი მეგობრის გამო. სწრაფად მიქროდა მისი ეტლი, დაეწია კიდეც ევრისთევსს. იოლაოსი შეევედრა ოლიმპოსის მაღალ ღვთაებებს, თუნდაც ერთი დღით დაებრუნებინათ მისთვის სიჭაბუკე და ადრინდელი ძალმოსილება. ღმერთებმა შეისმინეს მისი ვედრება. ორი კაშკაშა ვარსკვლავი დაეშვა ციდან, ბნელმა ღრუბელმა გადაფარა ირგვლივ მიდამო და როცა გაიფანტა ეს ღრუბელი, იოლაოსი იდგა ეტლზე მთელი თავისი ახალგაზრდული ბრწყინვალებით, მშვენიერი და ძლევამოსილი. მან ტყვედ ჩაიგდო ევრისთევსი და ზარ-ზეიმით ჩამოიყვანა ათენში. მრისხანებამ შეიპყრო ჰერაკლეს დედა ალკმენე, ოდეს იხილა თავისი შვილისა და შვილიშვილების დაუოკებელი მტერი. იგი მივარდა ევრისთევსს, საკუთარი ხელებით გამოსთხარა თვალები და მოკლა კიდეც.

ამასობაში ჰილოსი და ჰერაკლიდები შეიჭრნენ პელოპონესოსში და იერიშით აიღეს მისი ყველა ქალაქი. როცა მომდევნო წელს შავი ჭირი მოედო იმ მიდამოებს და ორაკულმა განაცხადა: „ჰერაკლიდები მოვიდნენ არა სათანადო ჟამს“, — ჰილოსი უკან დაბრუნდა მარათონში. მამამისის უკანასკნელი თხოვნა, რომ ექორწინა იოლეზე, უკვე შესრულებული ჰქონდა. მან დელფოს სამისნოს მიაკითხა, რათა გაეგო, პელოპონესოსში გალაშქრების დრო როდის დაუდგებოდა. „მესამე ნაყოფის შემდეგ“, — ასეთი იყო პითიას პასუხი. ჰილოსმა იფიქრა, რომ „ნაყოფი“ მოსავალს ნიშნავდა და სამი წლის შემდეგ ისევ სალაშქროდ გაემართა. ისთმოსზე შეხვდა ატრევსს, რომელსაც მემკვიდრეობით მიეღო მიკენის სამეფო ტახტი და ახლა უკვე აქაველთა ლაშქრის სათავეში იდგა. ზედმეტი სისხლისღვრისათვის თავი რომ აერიდებინა, ჰილოსმა ორთაბრძოლაში გამოიწვია ნებისმიერი, ვინც კი მას წარმომავლობით ტოლს არ უდებდა. „თუ გავიმარჯვებ, სკიპტრა და სამეფო ტახტი ჩემი იქნება, თუკი დავმარცხდი, ორმოცდაათი

წელი გავა ჰერაკლიდების შემოსევამდე", – ასე თქვა მან და ტეგეას მეფე ექემოსმა მიიღო მისი გამოწვევა. კორინთოს და მეგარას საზღვარზე შედგა მათი ორთაბრძოლა. ჰილოსი დამარცხდა და იგი მეგარაში დაკრძალეს. ჰერაკლიდები დაბრუნდნენ ტრიკორინთოსში, ხოლო იქიდან დორისისკენ აიღეს გეზი. იქ მეფე ეგიმიოსს მოსთხოვეს სამეფოს ის ნაწილი, რომელიც მას ჰერაკლემ დაუტოვა. პელოპონესოსზე დარჩა მხოლოდ ლიკიმნიოსი შვილებით და ჰერაკლეს ძე ტლეპოლემოსი, რომელიც არგოსში დასახლდა. დელფოს წინასწარმეტყველმა კი, ვისმა რჩევამაც ესოდენი გაუგებრობა გამოიწვია, განაცხადა, რომ მან „მესამე ნაყოფში" მესამე თაობა იგულისხმა.

რამდენადაც ნათელი გახდა, რომ ჰერაკლიდების მესამე თაობა უნდა შეჭრილიყო პელოპონესოსში, ეს საქმე ითავა ჰილოსის შვილიშვილმა არისტომაქოსმა. ჰერაკლიდებმა კვლავ განიცადეს დამარცხება. არისტომაქოსი მიკენის მეფე ტისამენოსმა განგმირა. მაშინ მისმა ვაჟიშვილებმა – ტემენოსმა, არისტოდემოსმა და კრესფონტესმა – პელოპონესოსში ზღვით შეჭრა სცადეს. მაგრამ ელვამ განგმირა არისტოდემოსი, რომელსაც დარჩა ორი ტყუპი ძე – ევრისთენესი და პროკლე. ჰერაკლიდების ბანაკში მოულოდნელად გამოცხადდა წინასწარმჭვრეტელი კარნოსი, რომელიც პელოპონესოსელთა მიერ მოგზავნილ ჯადოქრად მიიღეს და მოკლეს. მაშინ ხომალდებმა იწყეს ჩაძირვა, მოლაშქრეებს კი შიმშილი კლავდა. აღარ შეიძლებოდა გზის გაგრძელება. დელფოს მისანმა ამჯერად ასე იმისნა: „მკვლელი ათი წლით განდევნეთ, ხოლო მის ნაცვლად წინამძღოლად ტრიოფსი აირჩიეთ". როდოსის მეფე ფორბასს ჰყავდა ძე, სახელად ტრიოფსი. მის ჩამოყვანას აპირებდნენ ჰერაკლიდები, მაგრამ უეცრად ტემენოსმა თვალი ჰკიდა ეტოლიელთა ბელადს, ოქსილოსს, ელისიდან რომ ბრუნდებოდა ცალთვალა ცხენზე ამხედრებული. მას გაახსენდა, რომ „ტრიოფსი" ნიშნავს „სამთვალას", სწორედ ამიტომ

მოიწვია ეტოლიელთა ბელადი ჯარის მხედართმთავრად. ჰერაკლიდებმა მისი წინამძღოლობით მალე დაიპყრეს მთელი პელოპონესოსი და კენჭისყრით გაინაწილეს: არგოსი ერგო ტემენოსს, სპარტა – ევრისთენესს და პროკლესს, ხოლო მესენე – კრესფონტესს.

# თესევსი



## 13 ეგევსის ძე თუ პოსეიდონის?

ანტიკურ საბერძნეთში თესევსს, ატიკის ერთ-ერთ უდიდეს მითიურ გმირს, ისტორიულ პიროვნებად მიიჩნევდნენ. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება, ისევე როგორც ჰერაკლესი, მრავალი ზღაპრული და უჩვეულო ამბით არის აღსავსე.

ლეგენდა თესევსის მამად ათენის მეფე ეგევსსაც ასახელებს და დიდ ღმერთ პოსეიდონსაც, რითაც მიგვანიშნებს მის ღვთაებრივ წარმომავლობაზე. ეგევსი ატიკის პირველმოსახლის, ერეხთევსის, ჩამომავალი იყო. იგი ხანგრძლივად მართავდა ათენს და უბედნიერეს კაცად ითვლებოდა. ოღონდ ერთი რამ აწუხებდა – უშვილობა. მან გადაწყვიტა დელფოს სწვეოდა და აპოლონის მისნისთვის ეკითხა, თუ რად არ უგზავნიდნენ ღმერთები შვილს. პითიამ მას ბუნდოვანი პასუხი გასცა:

„ძლევამოსილო გმირო, რუმბის ბოლოს ნუ გახსნი,
ათენელების საზღვარს ვიდრე არ გადალახავ".

დიდხანს იფიქრა ეგევსმა, მაგრამ ამ სიტყვებში დაფარული საიდუმლო ვერ ამოიცნო. ბოლოს განიზრახა, სწვეოდა არგოლისის ბრძენ განმგებელს, პიტთევსს, რომლის სამეფო სასახლე ქალაქ ტროიძენში მდებარეობდა. პიტთევსმა იოლად

განმარტა პითიას ნათქვამი: ეგევსს შეეძინებოდა ვაჟი, რომელიც ათენის უპირველესი გმირის დიდებას მოიხვეჭდა.

არგოლისის დიდმა მეუფემ განიზრახა, ტროიძენი ექცია სახელოვანი გმირის სამშობლოდ. ამიტომ მან დაათრო ეგევსი და თავის ქალიშვილ ეთრას მიუწვინა. მაგრამ მოხდა საოცარი რამ: ვიდრე ეგევსს ეძინა, ეთრას ეზმანა ქალღმერთი ათენა, რომლის ნებითაც ქალწულმა მიატოვა მთვრალი თანამესაწოლე და ზღვის გავლით კუნძულ სფერიაზე აღმოჩნდა, რათა პელოფსის მეეტლე სფეროსის საფლავზე მსხვერპლშეწირვის რიტუალი აღესრულებინა. ათენას წაქეზებით სწორედ აქ დაეუფლა მას პოსეიდონი, თუმცა მან ღვთაებრივი დიდსულოვნებით დაუთმო ეგევსს ეთრასგან ნაშობი ძის მამობის პატივი.

როდესაც ეგევსმა აღმოაჩინა, რომ ეთრას სარეცელს იზიარებდა, მიხვდა, მისნობა სრულდებოდა და წასასვლელად გაემზადა, რათა პანათენურ დღესასწაულში მიეღო მონაწილეობა. გზად, ტროიძენთან მდებარე ერთ-ერთი კლდის ქვეშ თავისი მახვილი და სანდლები დატოვა, ეთრას მიმართა: „როდესაც ჩემი ვაჟი წამოიზრდება და იმის უნარი ექნება, კლდე გადაწიოს, გამომიგზავნე ათენში. ჩემი მახვილით და სანდლებით მას იოლად ვიცნობ“.

მართლაც, ეთრას ეყოლა ვაჟი, რომელსაც თესევსი უწოდეს. სხვათა გადმოცემით, მას ეს სახელი შეარქვეს მოგვიანებით, ათენში. ასე იყო თუ ისე, ჭაბუკი იზრდებოდა ტროიძენში, სადაც პიტთევსი შეგნებულად ავრცელებდა ხმას მისი ღვთაებრივი წარმომავლობის თაობაზე. თავისი სიბრძნით სახელმორჭმული მოხუცი მეფე დიდად ზრუნავდა ბადიშის აღზრდა-განათლებაზე. გულით ხარობდა, რადგან ხედავდა, რომ მისი აღზრდილი თანატოლთაგან გამოირჩეოდა ახოვანებით, გამბედაობითა თუ განსწავლულობით.

შვიდი წლის იქნებოდა თესევსი, როდესაც პიტთევსს სტუმრად ეწვია გმირი ჰერაკლე, რომელმაც ლომის ტყავის მოსასხამი მოიძრო და სკამის ზურგზე გადაკიდა. როცა დარბაზში სასახლის პატარები შემოლაგდნენ, ისე დაფრთხნენ ლომის თა-

ვის დანახვაზე, რომ შემზარავი ყვირილით უკუიქცნენ. მხოლოდ თესევსი არ შემდრკალა, შეშის ხორაზე მიგდებულ ცულს დასტაცა ხელი და ლომთან შესაბმელად შეემზადა.

დღითიდღე ემატებოდა თესევსს ძალა და სილამაზე. დიდებული სანახავი იყო იგი: მაღალი, ახოვანი, ნათელი მზერით; მუქფერის თმა მხრებზე ტალღებად ეყრებოდა, ხოლო შუბლთან კი მოკლედ ჰქონდა მოკვეცილი, რადგანაც თმის ეს ნაწილი დელფოს ტაძარში აპოლონს შესწირა. მაშინ იგი თექვსმეტი წლის იყო.

როდესაც ეთრამ დაინახა, რომ მისი შვილი თანატოლებს აღემატება, იხმო იგი და იმ კლდესთან მიიყვანა, სადაც ეგეოსმა თავისი ნივთები დატოვა. „შვილო, – მიმართა მან გაოცებულ თესევსს, – ამ კლდის ქვეშ მამაშენის, ათენის დიდი მეფის, ეგევსის მახვილი და სანდლები დევს. ათენში ჩასულს ამ ნივთებით გიცნობს იგი და შვილად მიგიღებს!“

თესევსმა იოლად დაძრა კლდე, რომელსაც მას შემდეგ „თესევსის კლდეს“ უწოდებდნენ, აიღო მისთვის განკუთვნილი ნივთები, გამოეთხოვა ახლობლებს და ათენისკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგა. ყური არ უგდო პიტთევსის რჩევას, ეთრას ვედრებას, აერჩია უფრო იოლი და უსაფრთხო გზა, წასულიყო არა ხმელეთით, არამედ ზღვით. თესევსმა ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება ირჩია, რადგანაც სურდა იმ დიად საქმეთა განმეორება, რომლებიც მისმა სათაყვანო გმირმა, ჰერაკლემ აღასრულა.

## 14 გზა ათენისკენ. თესევსის გმირობანი

ერთობ ძნელი აღმოჩნდა ატიკის მთავარ ქალაქამდე მიღწევა. მგზავრს ყოველ ნაბიჯზე ელოდა ბოროტმოქმედის ან ავაზაკის ხელით დაღუპვის საფრთხე. საქმე ის გახლავთ, რომ იმ საუკუნემ წარმოშვა მრავალი არსება, რომელიც თავის მკლავთა სიმძლავრით, ფეხთა სიმარდითა თუ სხეულის ძალმოსილებით გამოირჩეოდა მოკვდავთა შორის. ისინი თავის საოცარ ძალ ადამიანთა სასარგებლოდ და სასიკეთოდ კი არ წარმართავდნენ.

არამედ პირიქით, ტკბებოდნენ საკუთარი აღვირახსნილობით, ველური სიშმაგითა და დაღვრილი სისხლით. მათ არაფრად ულირდათ ნებისმიერი შემხვედრის მოკვლა, რადგანაც მიაჩნდათ: ადამიანები მხოლოდ იმიტომ განადიდებდნენ კეთილსინდისიერებას, სამართლიანობასა და კაცთმოყვარეობას, რომ იყვნენ მხდალნი და სხვისი ძლევის უნარი არ შესწევდათ. მათი რწმენით, მხოლოდ ძლევამოსილთა ხვედრი იყო სხვებზე ამაღლება. და აი, თესევსმა განიზრახა ამდაგვარად მოაზროვნე ბოროტმოქმედთაგან გაეწმინდა გზა ტროიძენიდან ათენამდე. ავაზაკთა სასჯელი მათ მიერ ჩადენილ ბოროტებათა ტოლფასი უნდა ყოფილიყო.

## პერიფეტესი

ჯერ კიდევ ტროიძენისა და ეპიდავროსის საზღვარზე თესევსი გადაეყარა მჭედლობის ღმერთის, ჰეფესტოს ავაზაკ ძეს, პერიფეტესს. ეს ბუმბერაზი თუმც მამასავით კოჭლი იყო, მაგრამ ძლიერი და მრისხანე. მას ხელთ ეპყრა რკინის კომბალი, რომლითაც კლავდა ყოველ შემხვედრს. სწორედ ამიტომ მეტსახელად „კაცკომბალსაც“ უწოდებდნენ. თესევსმა იოლად გამოჰგლიჯა ხელიდან ყაჩაღს კომბალი და ისე ძლიერად ჩასცხო, რომ იქვე სული გააფრთხობინა. დიდი და მძიმე იყო პერიფეტესის იარაღი, რომელიც ისე მოეწონა თესევსს, რომ თან წაიღო და მუდამ სიამაყით ატარებდა. როგორც ჰერაკლემ მოისხა ლომის ტყავი იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ დიდი მხეცი განგმირა, ასევე ეპყრა ხელთ თესევსს ეს კომბალი, რომელიც თითქოს ყველას ამცნობდა: „თუმცა ახალმა პატრონმა მძლია, მაგრამ მის ხელში უძლეველი ვარ!“

## სინისი

ისთმოსზე, პოსეიდონისადმი მიძღვნილ ფიჭვის ჭალაში შეხვდა თესევსი ყაჩაღ სინისს. მას „პიტიოკამპტესსაც“ უწოდებდნენ, რაც ქართულად „ფიჭვის მზნექელს“ ნიშნავს. ამ ბუმბერაზს ასე

იმიტომ უწოდეს, რომ ფლობდა გასაოცარ ძალას: შეეძლო ისე მოეზნიქა ფიჭვები, რომ მათი კენწეროები მიწას შეხებოდა. სინისი გამვლელებს ამ საქმეში დახმარებას სთხოვდა, დააკავებინებდა ხელში მოხრილი ფიჭვის კენწეროს, თავად კი მოულოდნელად განზე დგებოდა. მოზნექილი ხე სწორდებოდა და ისეთი ძალით ასტყორცნიდა ხოლმე მაღლა მგზავრს, რომ საბრალოს მიწამდე სული არც მიჰყვებოდა. ისეც ხდებოდა, რომ სინისი დაიჭერდა გამვლელს, მოხრიდა ფიჭვებს, ტყვის ერთ ხელს ერთი ხის კენწეროზე გამოაბამდა, მეორეს – მეორეზე, შემდეგ ხეებს გაუშვებდა და გამობმული კაცი შუაზე იხლიჩებოდა.

თესევსმა ყველა დაღუპულის მაგივრად იძია შური სინისზე. შეუბრალებელი ბოროტმოქმედი მისივე გამოგონილი ხერხით გამოასალმა სიცოცხლეს. იქვე თესევსმა მშვენიერ გოგონას მოჰკრა თვალი, რომელიც დაბურულ ჭალაში მიიმალა. დიდხანს ეძებდა მას ჭაბუკი, ბოლოს ვედრების ხმა შემოესმა. გოგონა ყვავილებს სთხოვდა, დაეფარათ იგი. აღუთქვამდა, რომ არ მოწყვეტდა და არ დაწვავდა მათ არასოდეს. თესევსი მიუახლოვდა ქალწულს და შეჰფიცა, რომ არაფერს ავნებდა. იგი აღმოჩნდა სინისის ასული პერიგუნე, რომელსაც პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა ახალგაზრდა ჭაბუკი. მან აპატია თესევსს სამულველი მამის მკვლელობა და სათანადო ჟამს უშვა ძე, სახელად მელანიპოსი. ეს ის მელანიპოსია, რომლის ვაჟმა იოქსმა კარიაში იოქსიდების მოდგმას დაუდო დასაბამი.

## სკირონი

თესევსმა გზა განაგრძო. როდესაც ქალაქ კრომიონს მიაღწია, შეიტყო, რომ აქ მძვინვარებდა გარეული ღორი, ტიფონისა და ექიდნეს საზარელი ნაშიერი. კრომიონელებმა ახალგაზრდა გმირს სთხოვეს შველა. თესევსმა იოლად მოკლა ეს გარეული ნადირი, კვლავ გზა განაგრძო და მეგარას მიუახლოვდა. იქ, ქალაქის საზღვართან, ციცაბო კლდეები იყო ცად აზიდული. მათ ძირში ერთმანეთს მრისხანედ ეხეთქებოდნენ ზღვის აქაფებული

ზვირთები. ერთ-ერთი კლდის თხემზე ბინადრობდა ავაზაკი სკირონი, რომელიც გამვლელებს იჭერდა და აიძულებდა, მისთვის ფეხები დაებანათ. როგორც კი მგზავრი დაიხრებოდა, ულმობელი ბოროტმოქმედი ფეხს აიქნევდა და თავის მსხვერპლს ზღვის აზვირთებულ ტალღებში ისროდა. იქ კი მას შემზარავი კუ ელოდა, რომელიც უმალ ნთქავდა საბრალოს. სკირონმა თესევსის გადაგდებაც მოინდომა, მაგრამ დაასწრო ჭაბუკმა, სწვდა ფეხებში და გადატყორცნა ზღვის მლაშე ტალღებში.

## კერკიონი

ქალაქ ელევსინთან თესევსს ბუმბერაზ კერკიონთან მოუხდა შებმა. მათი შერკინება ჰერაკლესა და ანტეოსის ბრძოლას მოჰგავდა. მძლეთამძლე კერკიონს მრავალი მოუგუდავს თავის მკლავებში, მაგრამ თესევსთან ვერაფერი გააწყო. ამ შებმას ქალღმერთი დემეტრეც ადევნებდა თვალს. მისდა გასახარად, თესევსმა ისეთი ძალით ახლევინა ბუმბერაზს მიწაზე თავი, რომ უმალ სული ამოხადა. ჭაბუკს ძალასთან ერთად ჭკუაც უჭრიდა. მან საბრძოლო ხელოვნების ისეთი ხერხები მოიგონა, რომელსაც ვერავინ ხვდებოდა.

## პროკრუსტე

მდინარე კეფისოსთან ცხოვრობდა ყაჩაღი დამასტესი, რომელსაც ზედმეტ სახელად პროკრუსტეს ანუ გამწელავს უწოდებდნენ. მან უმძიმესი განსაცდელი მოიგონა თავის მსხვერპლთათვის: ჰქონდა საწოლი, რომელზეც აწვენდა ყველას, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა. თუ კაცი მოკლე აღმოჩნდებოდა, წელავდა მანამ, ვიდრე ფეხებით საწოლის კიდეს არ მისწვდებოდა; გრძელს კი — ზედმეტ ნაწილს აჭრიდა. თესევსმა შეიპყრო პროკრუსტე და საკუთარ საწოლში ამოხადა სული.

ეს იყო თესევსის უკანასკნელი გმირობა ათენისკენ მიმავალ გზაზე. კეთილშობილ ჭაბუკს არ სურდა ავაზაკთა სისხლით წაბილწულს შეებიჯებინა დიდ ქალაქში. მან სთხოვა ფიტალო-

სის ვაჟებს, რომლებიც მას მდინარე კეფისოსის ნაპირას დახვდნენ, აღესრულებინათ მისი განწმენდის წესისგება მოწყალე ზევსის საკურთხეველთან. განსაკუთრებით მას სინისის სისხლისგან სურდა განწმენდა, რომელიც დედის ხაზით ნათესავად ერგებოდა. დიდი ზეიმით მიიღეს ფიტალიდებმა ახალგაზრდა გმირი და ცოდვათაგან განწმენდის რიტუალის ჩატარების შემდეგ გზა დაულოცეს სამეფო სასახლისაკენ.

## ⓯ თესევსი ათენში

აღსრულებული გმირობებით გაბრწყინებული მიაბიჯებდა ათენის ქუჩებში თესევსი. მის დიდებულ გარეგნობას კიდევ უფრო ამშვენებდა გრძელი იონიური სამოსი და იმდენად ლამაზი იყო იგი, რომ უმალ ქალწულს ჰგავდა, ვიდრე იმ გმირს, რომელმაც ავაზაკები გაანადგურა. როცა ჭაბუკმა აპოლონ დელფინიოსის თითქმის დასრულებულ ტაძარს ჩაუარა, იგი შენიშნეს გუმბათზე მომუშავე ქვისმთლელებმა, გოგო ეგონათ და გაეხუმრნენ: „ერთი შეხედეთ, ეს ქალბატონი როგორ მარტო სეირნობს ქალაქში, თმაც გაუშლია და კეკლუცობს, გრძელი სამოსით კი ქუჩის მტვერს ხვეტავს". პასუხის ნაცვლად თესევსმა იქვე მდგომ ოთხთვალას გამოხსნა ხარები და ერთ-ერთი მათგანი ისე მაღლა აისროლა, რომ ცხოველმა ტაძრის გუმბათზე მდგომ ქვისმთლელთა თავებს გადაუქროლა. ხუმრობის ხალისი წაერთვათ მუშებს, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ მათ წინ იდგა არნახული ძალის მქონე ჭაბუკი. სამაგიეროს გადახდის მოლოდინში გაირინდნენ ისინი. თესევსმა კი მშვიდად განაგრძო გზა და, როგორც იქნა, მიაღწია ეგევსის სასახლეს.

### მედეას მზაკვრობა

ვიდრე თესევსი ტროიძენში იზრდებოდა, ეგევსმა იქორწინა კოლხ მედეაზე, რომელიც კორინთოს განერიდა ცნობილი ეტლით, ფრთოსანი დრაკონები რომ მიაქროლებდნენ. მან აღუთქვა ეგევსს,

რომ ჯადო-წამლებით ახალგაზრდობას დაუბრუნებდა. ხანდაზმულმა მეფემ ირწმუნა მისი და ყველაფერში ენდობოდა.

სასახლეში მისულმა თესევსმა არ გათქვა თავისი ვინაობა, უცხოელად წარდგა და ითხოვა მფარველობა. ღრმადმოხუცებულმა ეგევსმა იგი ვერ იცნო, სამაგიეროდ ცბიერი მედეა მიხვდა, თუ რა საფრთხეც ემუქრებოდა: თესევსის გამოჩენით ათენის ტახტის მემკვიდრედ მიჩნეული მისი ძე მედოსი თავის უფლებებს კარგავდა. ამიტომ მან დაარწმუნა ეგევსი, რომ უცხოელი მსტოვარია ან დაქირავებული მკვლელი და საჭიროა მისი თავიდან მოცილება. სიბერით დაძაბუნებული ეგევსი დაჰყვა მედეას ნებას და ჭაბუკი აპოლონის ტაძარში მიიწვია ნადიმზე. აქ მისთვის უნდა მიეწოდებინა ღვინით სავსე თასი, რომელშიც მისი მეუღლე საწამლავს ჩაღვრიდა.

თესევსმა განიზრახა სწორედ აქ, აპოლონ დელფინიოსის ტაძარში წარმდგარიყო მამის წინაშე და როცა ხორცი შემოიტანეს, ვითომ მის დასაჭრელად, იშიშვლა მახვილი. უმალ იცნო ეგევსმა თავისი ალსაჭურველი: მას ამშვენებდა ერეხთიდების სამეფო გერბი – გველი. მოხუცმა შორს მოისროლა საწამლავიანი თასი, საკუთარი ძე გულში ჩაიკრა, იხმო თანამოქალაქეები და სამეფო ტახტის მემკვიდრე წარუდგინა.

სიხარულით მიიღეს ჭაბუკი ათენელებმა, რომლებმაც უკვე იცოდნენ მის მიერ აღსრულებულ გმირობათა ამბები. ეგევსთან ერთად ზეიმობდა მთელი ქალაქი და თაყვანს სცემდა მომავალ მეფეს.

## პალანტიდები

პალასს, ეგევსის ძმას, ორმოცდაათი ვაჟი ჰყავდა. კარგა ხანია ბობოქრობდა იგი, რომ მასზე მბრძანებლობდა პანდიონის არა კანონიერი, არამედ ნაშვილები ძე ეგევსი, რომელსაც ერეხთიდების მოდგმის არაფერი ეცხო. ახლა გამოჩნდა მისი მემკვიდრე, ისიც სხვა გვარის ჩამომავალი, რომლის ხელშიც უნდა გადასულიყო ათენზე მბრძანებლობის უფლება. პალანტიდები მიხვდნენ,

რომ მშვიდობიანი გზით ვერასოდეს ეღირსებოდნენ სამეფო სკიპტრას და მისი ხელში ჩაგდება განიზრახეს ბრძოლით. მამის წინამძღოლობით დაიძრნენ ისინი ქალაქისაკენ. გაითვალისწინეს რა თესევსის ძალა, ხერხს მიმართეს: ნაწილს იერიშით უნდა აეღო ქალაქის გალავანი, ნაწილი კი უნდა ჩასაფრებულიყო, რათა მოულოდნელი თავდასხმა განეხორციელებინა. ეს თესევსს აუწყა პალანტიდების შიკრიკმა ლეოსმა. ჭაბუკმა უმალ გაიაზრა, რა უნდა ეღონა: მან თავდაპირველად ჩასაფრებული პალანტიდები მოიმწყვდია ალყაში და ერთიანად ამოხოცა. ვერც ძალამ და ვერც მოხერხებამ იხსნა ისინი. როცა ქალაქის კედლებთან მისულმა მებრძოლებმა შეიტყვეს ეს ამბავი, ისე შეძრწუნდნენ, რომ უკუიქცნენ სამუდამოდ შერცხვენილები.

ამის შემდეგ ეგევსი აღარავის შეუწუხებია. მას საკუთარი ვაჟი მფარველობდა.

## მარათონის ხარი

თესევსი მუდამ ისწრაფოდა დიად საქმეთა აღსასრულებლად. ამავე დროს სურდა ხალხის კეთილგანწყობის დამსახურებაც. ამიტომ იგი ათენში კი არ დარჩა, არამედ განიზრახა, გაეთავისუფლებინა ატიკა იმ ველური ხარისაგან, რომელიც მარათონის შემოგარენს ანადგურებდა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ხარი ევრისთევსის დავალებით ჩამოიყვანა ჰერაკლემ კრეტიდან მიკენში. მის დანახვაზე ისე შეძრწუნდა ევრისთევსი, რომ ცხოველი ნებას მიუშვა. ხარმა ატიკას შეაფარა თავი და მას შემდეგ ამ მიწის განუშორებელ ბოროტებად იქცა. უშიშრად გაემართა თესევსი მის შესაპყრობად. როდესაც მარათონს მიადგა, შეხვდა მოხუც ქალს, ჰეკალეს. მან სტუმრად მიიღო ჭაბუკი და ურჩია, მსხვერპლი შეეწირა მხსნელი ზევსისთვის, რათა მისი მფარველობა არ მოკლებოდა უჩვეულო მხეცთან ბრძოლისას. თესევსმა ყურად იღო მისი რჩევა და გზა განაგრძო. მალე იპოვა ხარი და მასთან შესაბმელად მოემზადა. ხარი მისკენ გამოექანა. თესევსი რქებში სწვდა. მძლავრად აიქნია თავი ცხოველმა, მაგრამ

ჭაბუკს ხელთაგან ვერ დაუსხლტა. თესევსმა შებოჭა ხარი, მოათვინიერა და ათენისკენ აალებინა გეზი. გზად ჰეკალესთან შეიარა, მაგრამ მოხუცი ცოცხალი აღარ იყო. თესევსმა დიდი პატივით მიაბარა იგი მიწას და გზას დაადგა. ათენში ჩასულმა ღმერთ აპოლონს შესწირა მსხვერპლად თავისი ნადავლი.

## ⓰ თესევსი კრეტაზე

### მინოტავროსი

მაშინ, როდესაც თესევსი ათენს ეწვია, მთელი ატიკა ღრმა მწუხარებით იყო მოცული. კრეტიდან ძლევამოსილი მეფე მინოსის მოციქულები ჩამოსულიყვნენ და მათთვის კუთვნილ ხარკს მოითხოვდნენ. უმძიმესი და შემზარავი იყო ეს ხარკი: ათენელებს ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ კუნძულ კრეტაზე უნდა გაეგზავნათ შვიდი ქალწული და შვიდი ჭაბუკი, სადაც მათ საზარელი ხარკაცი, მინოტავროსი შთანთქავდა. მეფე მინოსმა ათენელები დასაჯა იმის გამო, რომ მათ მოკლეს მისი ძე ანდროგეოსი. უკვე მესამედ იგზავნებოდა ათენიდან ეს სულის შემძვრელი ხარკი. მზად იყო ხომალდიც. მასზე შავი აფრები იყო აშვებული გლოვის ნიშნად.

როცა თესევსმა ეს საერთო მწუხარება იხილა, განიზრახა ათენელ ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად გამგზავრებულიყო კრეტაზე, ეხსნა ისინი, განეგმირა მინოტავროსი და ათენელები გაეთავისუფლებინა ამ შემაძრწუნებელი უბედურებისაგან. ხანდაზმულ ეგევსს ერთადერთი ვაჟიშვილის ამ ჩანაფიქრის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ თესევსმა თავისი გაიტანა. თავდაპირველად მან მსხვერპლი შესწირა აპოლონ დელფინიოსს, ვითარცა ზღვით მოგზაურობათა მფარველ ღვთაებას. ხოლო გამგზავრების წინ კი მას დელფოს სამისნომ აუწყა, რომ ამ გმირობის აღსრულების ჟამს მეგზურად აეყვანა აფროდიტე. ასეც მოიქცა: მსხვერპლი შესწირა სიყვარულის ღვთაებას, სთხოვა შემწეობა და გასამგზავრებლად მოემზადა.

თესევსი დარწმუნებული იყო, რომ ღმერთები მას არ გასწირავდნენ. ამიტომ თან წაიღო ეგევსის მიერ ნაბოძები თეთრი აფრა, რომელიც გამარჯვების ნიშნად უკან დაბრუნებისას უნდა გაეშალა.

ხომალდმა მშვიდობით მიაღწია კრეტის ნაპირებს. ათენელი გოგონები და ჭაბუკები მიჰგვარეს მინოსს. ერთ-ერთი მათგანი მოეწონა მეფეს და მასთან გამიჯნურება მოიწადინა. ქალწულს თესევსი გამოექომაგა და განაცხადა, რომ მას, ვითარცა პოსეიდონის ძეს, მართებს ქალწულთა დაცვა ტირანების ძალადობისგან. ამაზე მინოსს გაეცინა და ასე მიუგო ჭაბუკს: „არ გამიგია რაღაც, რომ პოსეიდონი მფარველობდეს რჩეულ გოგონებს. მაგრამ შენ თუ ნამდვილად პოსეიდონის ძე ხარ, დაამტკიცე – ამოიღე ეს ბეჭედი ზღვის ფსკერიდან!" – ამ სიტყვებზე მან მოიძრო თითიდან სამეფო ბეჭედი და ზღვაში მოისროლა.

ირგვლივ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მათ შორის იყო მინოსის მშვენიერი ასული არიადნე, რომელსაც პირველხილვისთანავე შეუყვარდა თესევსი. მინოსის სურვილმა ყველა შეძრა. არ შემკრთალა მხოლოდ ჭაბუკი. მან შემწეობა სთხოვა პოსეიდონს და უშფოთველად გადაეშვა ზვირთებში. ყველა შიშით უმზერდა ზღვის სიღრმეს, რომელშიც გაუჩინარდა ახოვანი ჭაბუკი. მას კი ღმერთმა ტრიტონმა ჩაავლო ხელი და წამის უსწრაფესად მიიყვანა პოსეიდონის სასახლეში. ზღვათა მეფემ სიხარულით მიიღო შვილი და მინოსის ბეჭედი მისცა. მისმა მეუღლემ ამფიტრიტემ კი, რომელიც აღფრთოვანებული იყო ჭაბუკის მშვენიერებითა და გამბედაობით, თავზე დაადგა ოქროს გვირგვინი. შემდეგ ტრიტონმა კვლავ ჩაავლო ხელი თესევსს და ზღვათა სიღრმიდან ამოიყვანა. საზღვარი არ ჰქონდა მინოსის ასულ არიადნეს სიხარულს. იგი მიუახლოვდა თესევსს და ჩუმად უთხრა: „ჩემს ნახევარძმა მინოტავროსს დაგამარცხებინებ, თუ ცოლად შემირთავ და ათენში თან გამიყოლებ". სიხარულით მიიღო ეს წინადადება თესევსმა, თანაც შეჰფიცა, რომ აუცილებლად იქორწინებდა მასზე.

ნახევრადხარი მინოტავროსი ბინადრობდა იმ ლაბირინთში, რომელიც ცნობილმა ხელოვანმა დედალოსმა ააგო. არვის შეეძლო ამ ნაგებობიდან თავის დაღწევა. დედალოსმა, როდესაც კრეტას ტოვებდა, არიადნეს ჯადოსნური ძაფის გორგალი ჩააბარა და მისი ხმარების წესი ასწავლა. სწორედ ეს გორგალი მისცა ქალწულმა თესევსს, ბასრი მახვილიც უბოძა და თან დაარიგა: ძაფის თავისუფალი ბოლო ლაბირინთის კარის წირთხლისთვის გამოება. გორგალი თავისით გაგორდებოდა და უსასრულო დერეფნების გავლით მიაღწევდა მინოტავროსის სამყოფელამდე. უკანა გზაზე გმირს დაშლილი ძაფი ისევ უნდა დაეგორგლა.

როდესაც თესევსი სხვა განწირულ ახალგაზრდებთან ერთად ლაბირინთში შეიყვანეს, მან არიადნეს გორგალი ამოიღო და კარის წირთხლს მიაბა თავისუფალი ბოლოთი; გააგორა და მის კვალს გაჰყვა. ლაბირინთის ბნელ დერეფნებში ხანგრძლივი სიარულის შემდეგ მიადგა იმ ადგილს, სადაც მინოტავროსი იმყოფებოდა. შემზარავი ღრიალით გამოქანდა ურჩხული თესევსისაკენ, დახარა თავი და წამახული, უზარმაზარი რქებით ეძგერა. დაიწყო ბრძოლა. რამდენჯერმე დაესხა თავს მინოტავროსი ახალგაზრდა გმირს, რომელმაც არიადნეს ნაჩუქარი მახვილით მოიგერია იგი. ბოლოს თესევსი რქებში სწვდა ხარკაცს და მკერდში ჩასცა ბასრი მახვილი. განგმირა რა მინოტავროსი, ძაფის კვალს გაჰყვა და დღის სინათლეზე გამოვიდა. უკან მოსდევდნენ ათენელი ჭაბუკები და ქალწულები. კარებთან იდგა არიადნე, რომელიც ვნებით მოეხვია თავის რჩეულს. ყველა ხარობდა. ვარდების დიადემებით დამშვენებული ახალგაზრდები განადიდებდნენ ძლევამოსილ გმირს და მის მფარველ აფროდიტეს.

ახლა მინოსის რისხვისთვის უნდა დაეღწიათ თავი. თესევსმა ზღვის სანაპიროსკენ ისწრაფა. ყველა კრეტულ გემს ძირი გამოუმტვრია, შემდეგ თავის ხომალდზე აიყვანა ათენელები და მშობლიური ნაპირებისკენ აიღო გეზი. თან გაიყოლა

არიადნეც. როდესაც კუნძულ ნაქსოსს მიუახლოვდნენ, მოგზაურებმა დასვენება მოიწადინეს, ხომალდი ნაპირს მიაყენეს და დაღლილებმა ძილს მისცეს თავი. თესევსს ეზმანა ღვინისა და თრობის ღვთაება დიონისე, რომელმაც ღმერთების ნება აუწყა გმირს: მას უნდა მიეტოვებინა არიადნე ნაქსოსის უკაცრიელ ნაპირზე. მინოსის ასული დიონისეს მეუღლე უნდა გამხდარიყო. თესევსი გამოფხიზლდა და დამწუხრებული განერიდა ნაქსოსს. მან ვერ გაბედა ღვთაებათა ნების უგულებელყოფა. დიონისემ და მისმა მხლებლებმა წაიყვანეს არიადნე. მოგვიანებით იგი უკვდავთა დასში მიიღეს, ვითარცა დიდი ღმერთის მეუღლე.

## ⓱ ათენის ტახტზე აღზევება

თესევსის ხომალდი კი სწრაფად მიაპობდა ზღვის ზურმუხტისფერ ტალღებს. მალე ატიკის ნაპირებიც გამოჩნდა. არიადნესთან განშორებით დამწუხრებულ გმირს დაავიწყდა ეგევსის თხოვნა – შავი აფრები შეეცვალა თეთრი აფრებით იმ შემთხვევაში, თუ მინოტავროსს მოკლავდა და ბედნიერი გზით ისწრაფებდა მშობლიური ნაპირებისკენ. ეგევსი დიდი ხანია იდგა ზღვის კიდესთან აღმართულ მაღალ კლდეზე და მოუთმენლად გაჰყურებდა შორეულ სივრცეს. ბოლოს გამოჩნდა შავი წერტილი, იგი თანდათან ახლოვდებოდა და დიდდებოდა. ეს მისი შვილის ხომალდი იყო. ეგევსი აფრებს აკვირდებოდა. არა, მზის სხივზე არ ბრწყინავდნენ თეთრად აფრები. ისინი შავად ფრიალებდნენ. ეს კი თესევსის დაღუპვის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. დარდმა დაჯაბნა ათენის დიდი მეუფე. მაღალი კლდიდან გადაეშვა იგი ზღვაში და მის ზვირთებში განუტევა სული. მეფის გვამი ტალღებმა ნაპირზე გამორიყეს. მას შემდეგ იმ ზღვას, სადაც ეგევსი ჩაიძირა, ეგეოსის ზღვა ეწოდება.

თესევსმა მშვიდობით მოაღწია ატიკის ნაპირს. ღმერთებს მადლობის მსხვერპლი შესწირა და როცა მეფე მოიკითხა, აუწყ-

ეს სიმართლე. დამწუხრდა გმირი. დიდი პატივით მიაბარა მამის სხეული მიწას და ვითარცა გმირს აღუმართა საკურთხეველი. ხოლო შემდეგ კი ათენის სამეფო ტახტზე აღზევდა.

## ატიკის გაერთიანება

თესევსმა გამეფებისთანავე დაიწყო თავისი ძალაუფლების განმტკიცება. მან დასაჯა ყველა მოწინააღმდეგე პალასისა და მისი ცოცხლად დარჩენილი შვილების გარდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ისინიც მოკლა. აპოლონ დელფინიოსის სამსჯავრომ იგი მკვლელობაში დაადანაშაულა. მაგრამ თესევსმა ბრალმდებლებს შესთავაზა ახალი მოსაზრება, რომელსაც „დასაბუთებული მკვლელობა“ უწოდა. მსაჯულებმა მოუწონეს, ახალ კანონად მიიღეს და მეფე გაამართლეს. ამის შემდეგ თესევსი ჩავიდა ტროიძენში, სადაც მეფობდა მისი ძე ჰიპოლიტოსი. იქ მთელი წელი დაჰყო და დაღვრილი სისხლისგან განწმენდის წესისგება აღასრულა. როდესაც ათენში დაბრუნდა, ჩამოიცილა დარჩენილი მოღალატენი და თემებად დაყოფილი ატიკის გაერთიანებას შეუდგა. იგი მკაცრად იცავდა კანონს, რაც ათენელთა კეთილდღეობის საფუძველი გახდა.

თესევსმა მთელ ძალაუფლებას ათენში მოუყარა თავი. ქალაქს შემოუერთა შემოგარენიც და ჰეკატომბეონის (ივლისის) მეთექვსმეტე დღეს უწოდა „გაერთიანების დღე“. ამ დღეს იმართებოდა ათენური ასპარეზობანი. თესევსმა მათ სახელი გადაარქვა, პანათენური (საყოველთაო ათენური) უწოდა და მათში მონაწილეობის მისაღებად მთელი ატიკა მოიწვია. ეს იყო დიდი დღესასწაული: მოზეიმენი უსისხლო მსხვერპლს სწირავდნენ მშვიდობის ღმერთქალ ეირენეს და ღვთაებათა კეთილმოწყალეობის იმედით სავსენი ეძლეოდნენ მხიარულებას. თესევსმა დააწესა აგრეთვე „სახალხო აფროდიტესა“ და დარწმუნების ღმერთქალ პეითოს კულტები. შემდეგ, პირობისამებრ, უარი თქვა სამეფო სკიპტრაზე და შემოიღო ახალი კანონები. დელფოს ორაკულმა ათენს ნათელი მომავალი უწინასწარმეტყველა.

თესევსმა ქალაქ-სახელმწიფოს გაფართოების მიზნით მოიწვია ღირსეული უცხოელები და მათ ათენის მოქალაქეობა უბოძა. ათენის კარი ღია იყო, ყველას შეეძლო მისი კეთილდღეობით ტკბობა. ასე იქცა თესევსი სახელმწიფოთა თანამეგობრობის პირველ მეფედ. ალბათ ამიტომაა, რომ ჰომეროსი თავის „ხომალდთა კატალოგში" მხოლოდ ათენელებს უწოდებს „ხალხს". თესევსის კანონთა კრებული უფლებამოსილი იყო მანამ, ვიდრე ტირანებმა არ ჩაიგდეს ხელთ ძალაუფლება.

## თესევსი და ამორძალები

ბრძნულად განაგებდა თესევსი ათენს, თუმცა ხშირად ტოვებდა ქალაქს, რათა საბერძნეთის სხვა დიად გმირთა გვერდით ყოფილიყო ღირსშესანიშნავ საქმეთა აღსრულების ჟამს. მან მონაწილეობა მიიღო მელეაგროსის მიერ მოწყობილ კალიდონის ნადირობაში, იგი თან გაჰყვა არგონავტებს კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ახლდა ჰერაკლეს ამორძალების წინააღმდეგ ლაშქრობისას. სწორედ ამ ომში, როცა გმირებმა მებრძოლ ქალთა დედაქალაქი თემისკირა აიღეს, თესევსს ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის ჯილდოდ უბოძეს დედოფალი ანტიოპე, რომელიც თან წამოიყვანა კიდეც ათენში.

ამორძალებმა გადაწყვიტეს შური ეძიათ ბერძნებზე და გაეთავისუფლებინათ დედოფალი ანტიოპე, რომელიც, მათი აზრით, ტყვედ ჰყავდა თესევსს. მებრძოლ ქალებს სათავეში ჩაუდგა ანტიოპეს და – ორითიია. იგი დაუკავშირდა სკვითებს და გაერთიანებულ ლაშქართან ერთად დაიძრა საბერძნეთისკენ.

ათენში უკვე ემზადებოდნენ მტრის დასახვედრად. როცა გამოჩნდნენ მოლაშქრენი, მათ წინ თესევსის სპა ჩამწკრივდა და დიდხანს, დიდხანს არ იწყებდა ბრძოლას არცერთი მხარე. ბოლოს თესევსმა მსხვერპლი შესწირა ომის ღვთაება არესის ძეს, ფობოსს და საბრძოლველად გაემართა. ამორძალებმა ისე მედგრად შეუტიეს ათენელებს, რომ იძულებულნი გახადეს, ქალაქის გალავნისთვის შეეფარებინათ თავი. უფრო მეტიც, ისი-

ნი შეიჭრნენ ქალაქში და აკროპოლისის კედლებში მოიმწყვდიეს დამხვდურები, რომლებიც არ ყრიდნენ იარაღს და ხანდახან შეტევაზეც გადადიოდნენ. ბოლოს გადამწყვეტი ბრძოლაც შედგა. ანტიოპე თესევსის მხარდამხარ იბრძოდა სწორედ იმ ამორძალთა წინააღმდეგ, რომელთაც უწინ განაგებდა. დედოფალს მთელი არსებით უყვარდა თავისი გმირი მეუღლე და არც არასოდეს უფიქრია მასთან განშორება. თუმცა, ბედისწერა მას სხვაგვარ ხვედრს უმზადებდა: ჰაერში გაიელვა ამორძალთაგან გამოტყორცნილმა შუბმა, რომელმაც მკერდი გაუპო ანტიოპეს. იგი უსულოდ დაეცა საყვარელი მეუღლის ფეხებთან. ყველა შეძრწუნდა. გაოგნებულნი უმზერდნენ ამორძალნიც და ათენელნიც შემზარავ სურათს – შუბით განგმირულ ანტიოპეს და მეუღლის უსულო სხეულთან მუხლმოყრილ დამწუხრებულ თესევსს. სისხლისმღვრელი ბრძოლა შეწყდა. საყოველთაო გლოვით დაკრძალეს ამორძალებმა და ათენელებმა ახალგაზრდა დედოფალი. თესევსმა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მეუღლის მკვლელი. ორითიია მცირერიცხოვან რაზმთან ერთად გაიქცა და მეგარას შეაფარა თავი. მალე იგი იქ გარდაიცვალა დარდსა და მწუხარებაში. ატიკიდან დევნილი ცოცხლად დარჩენილი ამორძალები კი შორეული სამშობლოსაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ხოლო ათენში დიდხანს იგლოვდნენ უდროოდ დაღუპულ მშვენიერ ანტიოპეს.

## თესევსი, ფედრა, ჰიპოლიტოსი

ანტიოპესგან თესევსს დარჩა ვაჟიშვილი, სახელად ჰიპოლიტოსი. როდესაც თესევსმა იქორწინა მინოსის ასულ ფედრაზე, თავისი უკანონოდ შობილი ძე აღსაზრდელად მიაბარა პიტთევსს, არგოლისის ბრძენ განმგებელს, რომელმაც იშვილა იგი და ტროიძენის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარა.

ჰიპოლიტოსი, ისევე როგორც მისი დედა ანტიოპე, განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა ნადირობის ღვთაებას, ქალწულ არტემისს. მან ტროიძენში დიდებული ტაძარი აუგო ქალღმერთს,



ჰერაკლეს აპოთეოზი. კოცონი ცხრება. ჰერაკლეს სამოსი ჯერ კიდევ იწვის. მარცხნივ ცეკვავს ორი სატირი, მარჯვნივ ჩანს წყაროს ორი ნიმფა. ისინი მოიჩქარიან ჰიდრიებით, რათა წყლით ჩააქრონ მინავლებული ცეცხლი. მაღლა კი დიდებულ ეტლზე ათენასთან ერთად აღზევებულა და ზეცაში მიემართება გვირგვინოსანი ჰერაკლე, რათა ღმერთებთან ერთად იცხოვროს სამარადჟამოდ. წითელფიგურული პელიკე. დაახლ. ძვ.წ. 450 წ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების სახელმწიფო მუზეუმი.



ათენის მეფე ეგევსი ესალმება სამშობლოში ჩამოსულ შვილს, თესევსს. მათ უახლოვდებიან ათენელი ქალიშვილები, რათა თაყვანი სცენ ქალაქის მომავალ მეფეს. წითელფიგურული სკითოსი. დაახლ. ძვ.წ. 475-470 წწ. პარიზი. ლუვრი.



თესევსი კლდესთან. ჭაბუკი თესევსი ცდილობს აწიოს ლოდი, რომლის ქვეშაც დამალულია მამამისის, ათენის მეფე ეგევსის მახვილი და სანდლები. რომაული ბარელიეფი. ძვ. წ. I ს. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



თესევსი ესალმება თავის მიწიერ მამას, ათენის მეფე ეგევსს, რომელსაც ხელში სამეფო ძღვენი (?) უჭირავს, დედა ეთრა კი სიყვარულით ეფერება შვილს. აქვეა თესევსის ღვთაებრივი მამა პოსეიდონი. წითელფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 470-460 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



თესევსი პოსეიდონის სასახლეში. გმირს ესალმება დედოფალი ამფიტრიტე. მათ თვალს ადევნებს ათენა. თესევსი ხელებით უკავია ათენას ფერხთით გაწოლილ ტრიტონს, პოსეიდონისა და ამფიტრიტეს ძეს. წყლის სიღრმეს განასახიერებენ დელფინები. გვერდებზე წარწერილია სახელ[illegible]ბი. [illegible]ფიგურული [illegible]ი. დაახლ. ძვ.წ. 500 [illegible] პარიზი, [illegible] და [illegible]ნცია, [illegible]ოლოგიური [illegible]ი.



თესევსი და მინოტავროსი. თესევსმა მკერდში ჩასცა ბასრი მახვილი მინოტავროსს, რომელიც ცდილობს ქვა სტყორცნოს მძლეველს. ოთხი ჭაბუკი უმზერს ამ ორთაბრძოლას. შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 560-540 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



თესევსის გმირობანი. კილიქსის შუაგულში გამოსახულია გამარჯვებული თესევსი, რომელიც მოათრევს მინოტავროსს. მხატვარმა ეს გმირობა უმთავრესად მიიჩნია და მასზე გაამახვილა ყურადღება. დანარჩენი ექვსი გმირობა წარმოდგენილია წრიულად. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 440-430 წწ. ბრიტანეთის მუზეუმი.

დეტალები იხილეთ მომდევნო გვერდზე TM





დეტალები წინა ილუსტრაციიდან: თესევსი ხეზე აბამს ყაჩაღ სინისს (ზემოთ), თესევსი ყაჩაღ პროკრუსტეს აიძულებს დაწვეს მისივე მოგონილ საწოლზე (ქვემოთ).



თესევსი და არიადნე. კრეტაზე გამარჯვებულმა თესევსმა მშობლიური ნაპირებისკენ ისწრაფა. თან წამოიყვანა მინოსის ასული არიადნეც. როდესაც მგზავრები კუნძულ ნაქსოსს მიუახლოვდნენ, ხომალდი ნაპირს მიაყენეს და დაღლილებმა დაიძინეს. თესევსს ძილში გამოეცხადა ღმერთი დიონისე და უკვდავთა ნება აუწყა: არიადნე დიონისეს მეუღლე უნდა გამხდარიყო. სურათზე გამოსახულია თესევსი, რომელიც ფრთხილად იღებს სანდლებს, რათა გაჰყვეს გზის მაჩვენებელ ჰერმესს. იქვე ახლოს დაფრინავს ეროსი გვირგვინით ხელში. არიადნეს უკან მოჩანს სურო, დიონისეს წმინდა მცენარე. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 490-480 წწ. ტარკვინია. ნაციონალური მუზეუმი.



თესევსი ჰადესის სამეფოში. ათენელმა მხატვრებმა ამ სიუჟეტის ასახვა დაიწყეს ძვ.წ. 500 წლის შემდგომ. წარმოდგენილ სურათზე ჰერაკლე ცდილობს, თესევსი აგლიჯოს მივიწყების ტახტს, რომელზეც იგი დასვა ჰადესმა. თესევსი წამოსადგომად იშველიებს ორ შუბს. თეთრფიგურული ლეკითოსი. დაახლ. ძვ.წ. 475-450 წწ. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმები.



როდესაც ბერძნებმა აიღეს ტროა, თესევსის შვილებმა, აკამასმა და დემოფონმა, გაათავისუფლეს თესევსის დედა ეთრა, წლების მანძილზე ტყვედ რომ ჰყავდათ დიოსკურებს, ხოლო შემდეგ მათ დას, ელენეს გაჰყოლია ტროაში მოსამსახურედ. სურათზე წარმოდგენილია სიბერისაგან ბეჭებში მოხრილი ეთრა, რომლისთვისაც მზრუნველი ხელი ჩაუვლია ერთ შვილიშვილს და წინ მიუძღვის, ხოლო მეორე შვილიშვილს ფრთხილი მზერა მიუპყრია უკანა გზისთვის. სასმისზე იკითხება წარწერებიც. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 500-490 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.

რითაც განარისხა აფროდიტე. სიყვარულის ღვთაებამ მისი დასჯა განიზრახა: ელევსინის მისტერიებზე მოსულმა ფედრამ თვალი მოჰკრა შავ მოსასხამში გამოწყობილ ჭაბუკს, რომელსაც თავს ყვავილების დიადემა უმშვენებდა. ოდნავ უხეში მოეჩვენა ფედრას ჭაბუკი, მაგრამ მისმა სიუხეშემ უფრო მეტად მოხიბლა იგი. ეს იყო ჰიპოლიტოსი, რომელიც თავდავიწყებით შეიყვარა დედინაცვალმა.

იმხანად თესევსი ათენში არ იმყოფებოდა. ამიტომ ფედრა ჩავიდა ტროიძენში, სადაც ააგო „მოთვალთვალე აფროდიტეს" ტაძარი, რომელიც გიმნასიონს გადაჰყურებდა. სწორედ აქედან უთვალთვალებდა იგი ჰიპოლიტოსს, რომელიც ვარჯიშობდა სრბოლაში, ხტომასა და ჭიდილში. ტაძრის ეზოში იდგა მირტის ხე, რომლის ფოთლებსაც ჩხვლეტდა ფედრა ქვებით მოოჭვილი თმის სამაგრით გაუზიარებელი ვნებების გამო. მალე ჰიპოლიტოსი ათენს გაემგზავრა, რათა საყოველთაო ასპარეზობებში მიეღო მონაწილეობა. მის კვალს დაადგა ფედრაც, რომელიც ცდილობდა დაეფარა თავისი ვნება. იგი თითქმის არ ჭამდა, არ ეძინა და ისე დასუსტდა, რომ შეაშფოთა თავისი მხევლები. განსაკუთრებით წუხდა ძიძა, რომელიც მიხვდა, რაც ხდებოდა. მან აიძულა ფედრა, წერილი მიეწერა ჰიპოლიტოსისათვის, გაემხილა თავის გულისთქმა.

მიიღო თუ არა ბარათი მეფისწულმა, ისე აღშფოთდა, რომ სასწრაფოდ გაანადგურა, შემდეგ შეიჭრა ფედრას განსასვენებში და ხმამაღლა დაუწყო ლანძღვა. ხოლო ფედრამ ფართოდ გააღო ყველა კარი, შემოიხია სამოსელი და მოჰყვა ძახილს: „მიშველეთ, პატივს მხდიანო!" შემდეგ დაწერა ბარათი, სადაც ბრალს სდებდა ჰიპოლიტოსს საშინელ დანაშაულში და თავი ჩამოიხრჩო.

როდესაც თესევსმა ბარათი წაიკითხა, დაწყევლა ჰიპოლიტოსი და უბრძანა სასწრაფოდ დაეტოვებინა ათენი. მრისხანების ჟამს გაახსენდა, რომ ოდესღაც მისმა მამამ, პოსეიდონმა, სამი სურვილის აღსრულება აღუთქვა. „დიადო მამავ! – შეევედრა

იგი ღვთაებას, – ტროიძენისკენ მიმავალ ჰიპოლიტოსს მოუვლინე შემზარავი მხეცი, რათა შებინდებამდე აღმოხდეს სული!“

ჰიპოლიტოსი მთელი სისწრაფით მიექანებოდა თავისი ქალაქისაკენ. ისთმოსის სანაპიროზე წამოიმართა უზარმაზარი ტალღა, საიდანაც გამოვარდა თეთრი ხარი. მისმა ბღავილმა და ნესტოთაგან ამოხეთქილმა წყლის ნაკადულმა დააფრთხო ჰიპოლიტოსის ეტლში შებმული ცხენები, შეძრწუნებულებმა გეზი იცვალეს და უფსკრულისაკენ გაქანდნენ. მაგრამ ჰიპოლიტოსი გამოცდილი მეეტლე იყო და მსწრაფლ შეაკავა ისინი. მხეცი უკან დაედევნა ეტლს. ბოლოს და ბოლოს ჰიპოლიტოსმა ვეღარ შეძლო ცხენების მოთოკვა. იქვე არტემისის საკურთხეველი იყო აღმართული. მის მახლობლად კი ძველი ზეთისხილის ხე იზრდებოდა. მის დაგრეხილ რტოებში გადაეხლართა ჰიპოლიტოსს სადავეები, ხოლო ეტლი კი კლდეს მიენარცხა და დაიმსხვრა. ჰიპოლიტოსს მაშინ აღმოხდა სული, როდესაც ცხენები მიწად მიათრევდნენ. მხეციც მყის გაქრა.

ამასობაში არტემისმა მოასწრო, სიმართლე განეცხადებინა თესევსისათვის და წამიერად გადაეყვანა იმ ადგილას, სადაც ცხენები მიათრევდნენ მის ძეს. მართალია, თესევსმა მიუსწრო სულთმობრძავ ჰიპოლიტოსს და შეურიგდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. სასოწარკვეთილ მამას ისღა დარჩენოდა, რომ მწარედ ეგლოვა უდანაშაულოდ დაღუპული შვილი.

## პირითოოსთან დამეგობრება

იმხანად თესალიაში ცხოვრობდა მებრძოლ ლაპითთა ტომი. მათი ბელადი იყო სახელოვანი გმირი პირითოოსი. მას გაგონილი ჰქონდა ძლევამოსილი თესევსის დიდებულ საქმეთა ამბავი და სურდა მასთან შებმა, რათა თავი გამოეცადა. ამ მიზნით იგი ამალის თანხლებით გაეშურა მარათონისკენ, რომლის ნოყიერი საძოვრებიდან მოიტაცა თესევსის ჯოგი. ეს რომ გაიგო დიადმა გმირმა, მსწრაფლ დაედევნა მომტაცებლებს, დაეწია და მათი წინამძღოლი ბრძოლაში გამოიწვია.

ბრწყინვალე აღსაკაზმავით აღჭურვილნი პირისპირ შედგნენ თესევსი და პირითოოსი. მრისხანე ღმერთებს ჩამოჰგავდნენ დიდებულებით. ნათელ თვალებში ჩასდგომოდათ სიმედგრის შუქი. ორივე იყო მოხიბლული ერთმანეთის მშვენიერებით. მათ არ ისურვეს შებმა, დაყარეს იარაღი და სამტროდ შემართულებმა სამეგობროდ გაუწვდინეს ხელები ერთურთს. ბოლოს ამ ურღვევი კავშირის აღსანიშნავად გაცვალეს აღსაჭურველი.

ამ ამბებიდან მცირე ხნის შემდეგ პირითოოსმა ცოლად მოიყვანა მშვენიერი ჰიპოდამეა. საბერძნეთის მრავალი გმირი მოიწვია მან ქორწილში. ღვთაების სადარ ნეფეს მხარს უმშვენებდა თესევსი. სტუმართა შორის იყვნენ ველური კენტავრებიც, რომლებიც დათვრნენ და დაერივნენ იქ დამსწრე ქალებს. ამის გამო კენტავრებსა და ლაპითებს შორის გაჩაღდა მძვინვარე ბრძოლა. თავგანწირულად იბრძოდა თესევსი. სწორედ მისი ძალისხმევით გასრულდა ბრძოლა. კენტავრებმა თავი შეაფარეს პელიონის მთას.

## 18 თესევსი ჰადესში

დიდხანს არ უცოცხლია პირითოოსის მშვენიერ მეუღლეს, ჰიპოდამეას. იგი ადრე გარდაიცვალა. ლაპითთა მეფემ, საყვარელი ცოლი რომ გამოიგლოვა, კვლავ განიზრახა ქორწინება. იმხანად თესევსსაც არ ჰყავდა მეუღლე: არც ისე დიდი ხანი გასულიყო, მას შემდეგ რაც ფედრამ თავი ჩამოიხრჩო. პირითოოსმა მას სილამაზით სახელგანთქმული ელენეს მოტაცება შესთავაზა. მეგობრებმა ათენში ერთ-ერთი საკურთხევლის წინ დადეს ფიცი: ელენეზე იქორწინებდა ის, ვისაც წილისყრით შეხვდებოდა ეს მშვენიერი ქალწული. წაგებულისთვის ზევსის სხვა ქალიშვილი უნდა მოეპოვებინათ.

ელენე სულ თორმეტი წლის იყო, მაგრამ მისი სილამაზის ამბავი უკვე მთელ საბერძნეთში იყო განთქმული. მართალია, გოგონას საკუთარი ძმები, დიოსკურები – კასტორი და პოლიდევკესი იცავდნენ, მაგრამ თესევსმა და პირითოოსმა მაინც მოა-

ხერხეს მისი მოტაცება. შემდეგ, პირობისამებრ იყარეს კენჭი და მშვენიერი ელენეს ქმრობა წილად ხვდა თესევსს. მან გაითვალისწინა ის, რომ ათენელებს არ მოეწონებოდათ დიოსკურების განრისხება და ამიტომ მომავალი საცოლე ჩააბარა თავის მეგობარ აფიდნოსს, რომელიც ატიკის ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა. თესევსის დედა ეთრაც ელენესთან დასახლდა და მზრუნველობას არ აკლებდა თავის აღსაზრდელს.

გავიდა ხანი. როცა ელენეს ქორწინების ასაკი მოუახლოვდა, პირითოოსმა პირობა შეახსენა თესევსს. მეგობრებმა მიმართეს ზევსის სამისნოს, საიდანაც მიიღეს ირონიული პასუხი: „იქნებ მიცვალებულთა სამეფოში ჩასულიყავით და ჰადესის მეუღლე პერსეფონე წამოგეყვანათ პირითოოსისათვის. იგი ხომ ჩემს ქალიშვილთა შორის თავისი კეთილშობილებით გამოირჩევა!“ შეშფოთდა თესევსი, მაგრამ რას გააწყობდა: პირობის აღსრულებას მოითხოვდა პირითოოსი. ათენთან ახლოს მდებარეობდა მრუმე ნაპრალი, საიდანაც მიწისქვეშა საუფლოსკენ გაემართნენ დიდი გმირები. მალე მიაღწიეს სულთა მეუფის სასახლეს და ჰადესის წინაშე წარდგნენ. მოსვლის მიზეზი რომ აუწყეს, არც შერხეულა მეფე, სთხოვა ჩამომსხდარიყვნენ ტახტზე, რომელიც სამეფოს კარიბჭესთან აღმართულ კლდეში იყო გამოკვეთილი. როგორც კი დასხდნენ მეგობრები, მიეჯაჭვნენ და წამოდგომა ველარ შეძლეს. ასე აღმოჩნდნენ ისინი მივიწყების ტახტზე. მათ გარშემო სისინით იგრიხებოდნენ გველები, ღმუოდნენ ერინიები, იღრინებოდა კერბეროსი. ხოლო ჰადესს კი პირქუშად ეღიმებოდა.

ასეთი წამებით გაატარეს მათ ოთხი წელი. ბოლოს თესევსს მხსნელად მოევლინა გმირი ჰერაკლე, რომელიც ევრისთევსის დავალებით ეწვია ჰადესს, კერბეროსი რომ წაეყვანა. მის დანახვაზე ტახტს მიკრულებმა ხმაც ვერ გაიღეს, მხოლოდ უჩუმრად გაიწვდინეს მისკენ ხელები, თითქოსდა ევედრებოდნენ, გვიშველეო, მაგრამ ჰერაკლემ ვერ იცნო ისინი. პერსეფონემ ძმასავით მიიღო ჰერაკლე და ტახტზე მიკრულთა გათავისუფლების

ნება დართო, თან თავაზიანად დააყოლა, „თუკი შეძლებო“. ჰერაკლემ არნახული ძალისხმევით ააგლიჯა თესევსი ტახტს, ხოლო როდესაც პირითოოსისაკენ მიბრუნდა, მრისხანებით შეიძრა მიწა, რამაც გმირს განზრახვაზე ხელი აალებინა. მკრეხელობისთვის დაისაჯა დიდი ლაპითი.

## ⓳ თესევსის აღსასრული

ვიდრე თესევსი ჰადესში იტანჯებოდა, დიოსკურებმა შეკრიბეს დიდძალი ლაშქარი და თავს დაესხნენ ათენს. ისინი ელენეს ითხოვდნენ. როცა ათენელებმა განაცხადეს, რომ არა იცოდნენ რა მისი ადგილ-სამყოფელისა, დიოსკურებმა მთელი ატიკის განადგურება იწყეს. მაშინ დეკელეას მკვიდრებმა, რომლებიც არ ამართლებდნენ თესევსის საქციელს, გასცეს ელენეს სამალავი. ასე მიაგნეს დიოსკურებმა მშვენიერ დას და დიდი ნადავლით განერიდნენ იქაურობას. მონათა შორის თან გაიყოლეს თესევსის დედა ეთრაც და პირითოოსის ერთ-ერთი და. ხოლო ათენისა და მთელი ატიკის განმგებლობა უბოძეს მენესთევსს, თესევსის ძველ მტერს.

იხილა თუ არა თესევსმა კვლავ მზის ნათელი, მხსნელ ჰერაკლეს აღუმართა საკურთხეველი და უძღვნა წმინდა ადგილები. მაგრამ ამქვეყნად დაბრუნებას გმირისთვის აღარ მოუტანია სიხარული: მას დარბეული დახვდა ათენი, დედა – ტყვედ წაყვანილი, ველარასოდეს მოიყვანდა ცოლად ელენეს, სამეფო სკიპტრას ფლობდა საძულველი მენესთევსი, გადახვეწილი იყვნენ მისი ვაჟიშვილები. თავადაც, გადატანილი ვნებების გამო ისე იყო დასუსტებული, რომ აღარ შეეძლო თავდაპირველი წესრიგის აღდგენა. მან დაწყევლა ათენელები და გაეშურა კრეტისკენ, სადაც დევკალიონი ჰპირდებოდა თავშესაფარს. გზად ქარიშხალი ამოვარდა და თესევსი იძულებული გახდა გადმოსულიყო კუნძულ სკიროსზე, სადაც იგი ღირსეულად მიიღო მეფე ლიკომედესმა, მიუხედავად იმისა, რომ მენესთევსის მე-

გობრად მოჰქონდა თავი. აქ, ამ კუნძულზე, თესევსს მემკვიდრეობით ერგებოდა მიწის ნაკვეთი, რომელზე დასახლების უფლებაც მოითხოვა მეფისაგან. ლიკომედესს კი თავისად მიაჩნდა ეს მიწა, არ ეთმობოდა და განიზრახა დიადი გმირის დაღუპვა. მან თავი ისე მოაჩვენა თესევსს, თითქოსდა თანახმა იყო. შემდეგ ნაკვეთის სამანთა დათვალიერება შესთავაზა. აიყვანა მაღალი კლდის თხემზე და უმოწყალოდ გადაუშვა ზღვის სიღრმეში. ასე დაიღუპა ატიკის უდიადესი გმირი.

მარათონის ბრძოლის დროს თესევსის სული აღდგა მიწიდან, რათა ათენელები გაემხნევებინა. იგი მთელი თავისი ძალისხმევით ებრძოდა სპარსელებს, რომლებმაც სამარცხვინო დამარცხება იგემეს. ბერძენ-სპარსელთა ომების დამთავრებისთანავე პითიამ მოუწოდა ათენელებს, თესევსის ძვლები სამშობლოში გადმოესვენებინათ. ძლივს მიაკვლიეს მის სამარხს. მადლიერმა ათენელებმა დიდი პატივით დაკრძალეს იგი გიმნასიონის მახლობლად და აღუმართეს საკურთხეველი. ამ წმინდა ადგილს თავს აფარებდნენ დევნილნი და დაჩაგრულები, რადგან ახსოვდათ თესევსის მიერ აღსრულებული გმირობანი და ამის გამო მიაჩნდათ მხსნელად.

# კომენტარები

①

წყაროები და ვარიანტები. მითი დიოსკურების შესახებ მოთხრობილია შემდეგი წყაროების მიხედვით: ჰომეროსი, „ოდისეა", XI,300. ჰომეროსის ჰიმნი დიოსკურებისადმი, VII და მომდევნო. ჰეროდოტე, V,75; ევსტათიოსი, ჰომეროსის „ილიადის" სქოლიოები, IX,55; ევრიპიდე, „ელენე", 1503; პინდაროსი, „ნემეური ოდები", X,49-55; აპოლოდოროსი, I,9,5;III,10,3;11,2;III,16,1-2; კიპრიუსი ციტირებული პავსანიასის მიერ, IV,2,5; ჰიგინუსი, „მითები", 80;242; თეოკრიტოსი, „იდილიები", XXII,137;XXII,215-220; ოვიდიუსი, „ფასტები", V,699; ლუკიანოსი, „ღმერთების საუბარი", 26; ციცერონი, „დივინაციის შესახებ", I,34,75;II,32,68; „ორატორის შესახებ", II,8,352; პლუტარქე, „ძმური სიყვარულის შესახებ", I;

გორგოფონე თავდაპირველად პერიერესის ცოლი იყო, ეოლოსის ვაჟისა; ეოლოსი კი განაგებდა მესენიას, მაშინ ასე ერქვა მისტერიების ადგილს – ანდანიას. გორგოფონემ მას უშვა აფარევსი და ლევკიპოსი (პავსანიასი, IV,2,4); გადმოცემის მიხედვით, ეს იყო პირველი ქალი, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდგომ კვლავ გათხოვდა (იქვე II,21,7). გორგოფონეს მეორე ქმარი იყო ოიბალოსი, რომლისგანაც მას ტინდარეოსი შეეძინა. სხვა გადმოცემით კი, რომელიც ამ შთამომავლობით ხეს არ ცნობს, ტინდარეოსი წყაროს ნიმფისა და ოიბალოსის შვილი იყო (აპოლოდოროსი, III,10,4);

ვერსიათა უმეტესობა ლევკიპიდების მამად მიიჩნევს მესენიის მბრძანებელს ლევკიპოსს, ტინდარეოსის ძმას, მაგრამ ზოგი სხვა ვერსიის მიხედვით, ლევკიპიდების მამად აპოლონი გვევლინება, რომელმაც გოგონებს სახელები მთვარის ფაზათა მიხედვით შეურჩია: ფოიბე ახალ მთვარეს გამოხატავდა და ჰილაირა – სავსე მთვარეს (პავსანიასი, III,16,1). ერთი ათენას ქურუმი იყო, მეორე – არტემისისა. ლევკიპიდებს შემდგომ სამლოცველო აუგეს სპარტაში იმ

სახლის გვერდით, რომელიც დიოსკურების წმინდა საცხოვრისად ითვლებოდა (იქვე, III,16,1-3).

ზოგიერთი ვერსიის მიხედვით („ჰომეროსის ჰიმნები“, 33,4), ტყუპი ძმები – კასტორი და პოლიდევკესი – ერთად დაიბადნენ მესენიის ზღვის უბეში, სადაც ლაკონიის პირდაპირ მდებარეობს პატარა კლდოვანი კუნძული პეფნოსი. მათი დების – ელენესა და კლიტემნესტრას – დაბადების ადგილად კი ეს კუნძული არ ითვლება. იგი იმდენად პატარაა, რომ იქ შეიძლებოდა მხოლოდ ზეციური შვილები დაბადებოდა დედას, ჩვეულებრივი ქალი იქ სამშობიაროდ ვერ წავიდოდა. ასეთ ქალს ფრთები უნდა ჰქონდეს და კვერცხს დებდეს, როგორც ზღვის ფრინველი. მითის ამ ვერსიათა თანახმად, ლედას ზეციურ ორეულს – ქალღმერთ ნემესისს – უნდა ეშვა ამ კუნძულზე დიოსკურები. ასე გარდასახულმა ლედამ დაბადა ამ პაწაწინა კუნძულზე თავისი შვილები. ეს ფრთები სულ მთლად არ მისცემია დავიწყებას; ადრეულ მონათხრობთა მიხედვით აღინიშნებოდა, რომ დიოსკურებს კვერცხიდანვე ჰქონდათ მიკრული პილოსი (წამოსასხამი). უფრო გვიანდელ ვერსიათა მიხედვით (პავსანიასი, III,26,2), ვაჟები კუნძულ პეფნოსიდან მამის სასახლეში ჰერმესმა გადასხა.

მითის ერთი ვერსიით (ჰიგინუსი, „მითები“, 43), ერთხელ დიოსკურები და მათი ბიძაშვილები დიდ წვეულებაზე ისხდნენ. საუბრისას მესენიელმა ტყუპებმა გაიხსენეს დიოსკურების მიერ ლევკიპიდების გატაცების ამბავი და სიცილით შეეხუმრნენ ბიძაშვილებს: ქალიშვილები იმიტომ გაიტაცეთ, მათი მამისთვის ურვადის გადახდა არ გინდოდათო. ტინდარიდებს გულზე მოხვდათ ეს ნათქვამი და განაცხადეს, რომ ისინი ახლავე ნახირით გადაიხდიდნენ დიდ ურვადს. გაგულისებულებმა მაშინვე გასწიეს მესენიისკენ და ლინკევსისა და იდასის ნახირი წამოასხეს. პოლიდევკესი წინ წავიდა, კასტორი კი ხის ფუღუროში დაიმალა, რადგან განიზრახა, უკან დადევნებულ ბიძაშვილებს მოულოდნელად წინ გადასდგომოდა. წვეულებიდან წამოსულმა მესენიელმა ტყუპებმა ლაკონიისა და მესენიის გზაგასაყარს ისე მიაღწიეს, რომ დიოსკურები ვერსად ნახეს, მაგრამ იქ, გზაგასაყარზე, ლინკევსის ყოვლისგამჭოლ თვალს არ გამოჰპარვია ხის ფუღუროში მჯდომი კასტორი და იდასს ამცნო, მან კი მყის შუბი სტყორცნა ხეს და კასტორი განგმირა. იდასი და ლინკევსი სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას, მაგრამ მკვლელებს პოლიდევკესი დაედევნა. იგი მათ მათი მამის, აფარევსის საფლავთან დაეწია და ბრძოლა გაუმართა. აფარეტიდებმა მამის საფლავის ქვა ამოთხარეს და ბიძაშვილს ესროლეს,

მაგრამ გატყორცნილი ქვა თავად იდასს მოხვდა და გონდაკარგული დაეცა. ლინკევსი კი პოლიდევკესმა შუბით განგმირა. ზოგიერთი სხვა ვერსიის თანახმად, კასტორი სასიკვდილოდ დაჭრა ლინკევსმა და არა იდასმა; ხოლო ერთი ვერსიით, კასტორი მაშინ დაიღუპა, როცა იდასი და ლინკევსი თავს დაესხნენ სპარტას და ბრძოლა გამართეს. არსებობს მითის ისეთი ვარიანტიც, სადაც ნათქვამია, რომ ამ ბრძოლაში ორივე დიოსკური ცოცხალი გადარჩა და მოგვიანებით კასტორი მელეაგროსმა და პოლინიკესმა მოკლეს.

აპოლოდოროსის მიხედვით (III,10,7), ზევსი შეერთო ქალღმერთ ნემესისს და გარკვეული დროის შემდეგ ქალღმერთმა კვერცხი დადო. თავდაპირველად ეს კვერცხი ვილაც მწყემსმა იპოვა და ლედას გადასცა. ქალმა იგი შეინახა და როცა იქიდან ულამაზესი გოგონა გამოიჩეკა, მან იგი საკუთარი შვილივით გაზარდა.

არსებობს მითის ვარიანტი (ათენეოს გრამატიკოსი, 334ბ), რომლის მიხედვითაც ზევსს შეუყვარდა ქალღმერთი ნემესისი და მასთან დაახლოებას შეეცადა. ქალღმერთი კი, თავი რომ დაეღწია ზევსისაგან, სხვადასხვა სახეს იღებდა – ჯერ თევზად გარდაისახა და წყალში იმალებოდა, მაშინ ზევსი თახვად იქცა და ისე გამოუდგა; მერე ნემესისი წყლიდან ხმელეთზე ამოსრიალდა და, ღმერთთა მეუფისთვის რომ თავგზა აებნია, ხან რომელი ცხოველის სახე მიიღო და ხან რომლისა, მაგრამ მდევარი არ დაბნეულა, კვალდაკვალ მიჰყვა და როცა ბოლოს ნემესისი ველურ ბატად იქცა და ჰაერში აიჭრა, ზევსი თეთრ გედად იქცა და ამგვარად დაიურვა იგი. ეს მოხდა ატიკაში. ბედს შეგუებულმა ნემესისმა კვლავ ძველი სახე დაიბრუნა და სპარტისკენ გასწია. ცოტა ხანში ტინდარეოსის მშვენიერმა მეუღლემ, ლედამ ჭაობში სუმბულისფერი უცნაური კვერცხი იპოვა და შინ წაიღო (საფო, ფრაგმ. 105). მან კვერცხი ზანდუკში დამალა და როცა დრომ უწია, კვერცხიდან მშვენიერი ელენე დაიბადა.

ჰომეროსის ჰიმნში კი ნათქვამია, რომ ზევსმა ლედა აცდუნა ტაიგეტოსის მაღალ მთაზე (ჰომეროსის ჰიმნები, 33,5).

მითის ზოგი ვერსიით (ესქილე, „ქოეფორები", სქოლიო 1146), თესტიოსის ცოლს (თესტიოსსა და მის ცოლს ორი ქალიშვილი ჰყავდათ: ალთეა და ლედა) ლედა არა საკუთარი ქმრისგან, არამედ გლავკოსისაგან, სისიფოსის ძისგან ჰყავდა.

მითის ერთი ვერსიით (ჰიგინუსი, „ასტრონომია", 2,8), გედად ქცეულ ზევსს არწივი დაედევნა, ის კი ქალღმერთ ნემესისს მკერდზე მიეთბო და იქ პოვა თავშესაფარი. იგი ქალღმერთს თანაეყო და ამ კავშირის შედეგად ნემესისმა კვერცხი დადო. ჰერმესმა ეს

კვერცხი ლედას კალთაში შეუგორა. ამ კვერცხიდან იშვა მშვენიერი ელენე.

განმარტებები. ქალთა მოტაცება ლაკონიაში ქორწინების ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ფორმა იყო.

საინტერესოა ერთ-ერთ ატიკურ ვაზაზე გამოხატული სცენა, სადაც ნაჩვენებია დიოსკურების მიერ ლევკიპიდების მოტაცება. ნახატზე ჩანან აფროდიტე და ზევსი, რომლებიც აშკარად იწონებენ დიოსკურთა ქმედებას.

სპარტელები დიოსკურებს წარმოსახავდნენ ორი პარალელური დირის სახით, რომლებიც ლარტყებით იყო შეერთებული.

„დიოსკუროი" ნიშნავს ზევსის შვილებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ რომელიღაც უძველესი წარმოდგენის მიხედვით ორივე დიოსკური ზევსის შვილად იყო მიჩნეული, რადგანაც ისინი ყველგან დიოსკურებად იწოდებიან.

პარალელი ჰერაკლესთან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასაც ჰყავს ტყუპისცალი იფიკლესი, თუმც ამავე დროს ჰერაკლე ზევსისა და ალკმენეს შვილად ითვლება, ხოლო მისი ტყუპისცალი იფიკლესი – ალკმენესა და მისი მოკვდავი ქმრის, ამფიტრიონის შვილად, ზუსტად ასევე, პოლიდევკესს ზევსისა და ლედას შვილად მიიჩნევენ, ხოლო მის ტყუპისცალად წოდებულ კასტორს – ლედასა და მოკვდავი მამის, ტინდარეოსის შვილად.

თანამედროვე მკვლევართა აზრით, სპარტელებს ძლიერი სამხედრო ძალები ჰყავდათ და საკმაო გავლენა ჰქონდათ დელფოს სამისნოზე. აქედან გამომდინარე, მათ იოლად შეეძლოთ თავიანთი გმირებისათვის საერთო ბერძნული ხასიათი მიენიჭებინათ და გამოერჩიათ ისინი სხვა ტყუპი ძმებისგან. ტყუპების თანავარსკვლავედს სწორედ ამიტომაც ჰქვია სპარტელი ტყუპების – დიოსკურების სახელი და არა ჰერაკლესა და იფიკლესისა, ანდა იდასისა და ლინკევსისა.

დიოსკურებისადმი მიძღვნილ ჰომეროსის ჰიმნში გარკვევით არის ნათქვამი – კასტორი და პოლიდევკესი ბელურათა გუნდის თანხლებით მოფრინავენ თუ ბელურათა ფრთებით მოქრიან მეზღვაურთა დასახმარებლად. ეტრუსკულ სარკეებზე ზოგჯერ დიოსკურები ფრთებით არიან გამოსახულნი.

ტინდარეოსი მითში სპარტის მეფედ იწოდება, მაგრამ მისი გამეფება ლაკონიაში მეტად საძნელო საქმე აღმოჩნდა, რადგან მას დროდადრო აძევებდა მისი ძმა თუ ნახევარძმა ჰიპოკოონი.

Lada არის ლიკიური, ანუ კრეტული სიტყვა და „ქალს" აღნიშნავს.

გრეივსი შენიშნავს, რომ ზევსმა მოტყუებით ჩაიგდო ხელთ პელოპონესოსური კულტის ქალღმერთი გედი-ნემესისი, ისევე როგორც კრეტული კულტის ქალღმერთი გუგული-ჰერა. შესაძლოა, ამ მითში არეკლილი იყოს კრეტისა და პელოპონესოსის ქალაქებში ელინი მეომრების გამოჩენა. როგორც ჩანს, მანამდე აქ დიდ ქალღმერთს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ ეტყობა მას საბოლოოდ უზენაესობა ჩამოერთვა.

იდასზე ნათქვამია („ილიადა", IX,558), რომ იგი დედამიწაზე ძლიერთა შორის უძლიერესი იყო. იგი თვით აპოლონს ეტოქებოდა მშვენიერი ასულის მოსაპოვებლად – ეს იყო მარპესა, ეტოლიის მეფის, ევენოსის ასული. მარპესას ხელის სათხოვნელად მისულ იდასს, ისევე როგორც სხვებს, გამოუცხადეს, რომ მეფე თავის ქალიშვილს მიათხოვებდა იმას, ვინც ხელმწიფეს ეტლთა სრბოლაში დაამარცხებდა. ეტოლიის ხელმწიფე კი სრბოლაში მუდამ იმარჯვებდა. მარპესასა და იდასის ისტორია დაწვრილებითაა გადმოცემული ჩვენი სერიის მესამე წიგნში – „დიდი ზეციური ღმერთები".

②

წყაროები და ვარიანტები. მითები მინოსსა და მის მოდგმაზე გადმოცემულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: ჰომეროსი, „ოდისეა", IV,564; პავსანიასი, VII,2,3;I,35,5;VII,4,5; სტრაბონი, X,4,8; დიოდოროს სიცილიელი, IV,60,77,2;134;772;V,79; ვერგილიუსი, „ბუკოლიკები", VI,45-46; აპოლოდოროსი, III,1,2,4; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VIII,155; პლუტარქე, „ლისანდროსი", 28.

ზოგი ვერსიის თანახმად (ჰეროდოტე, II,153), ევროპეს სამი კი არა, ორი ვაჟი ჰყავდა: მინოსი და რადამანთისი.

მითის ზოგიერთი ვერსიის თანახმად (ათენეოს გრამატიკოსი, 296b; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", XIII,917), მინოსის ვაჟი გლავკოსი მცდარად არის გაიგივებული პოსეიდონის ერთ-ერთ ვაჟთან, რომელსაც ასევე გლავკოსი ჰქვია. იგი შემთხვევით წააწყდება კრონოსის მიერ ოქროს საუკუნეში ჩათესილ უკვდავების ბალახს და მის თვალწინ მოხდება საოცრება: მკვდარი თევზი, რომელსაც ამ ბალახს შეახებენ, უმალ გაცოცხლდება. გლავკოსიც იგემებს ამ ბალახს და უკვდავება მიენიჭება. შემდეგ კი ზღვაში გადაეშვება და ზღვის ღვთაებად იქცევა: თევზის კუდი გამოებმება, ხელები მოცისფრო ფერისა გაუხდება, წვერი კი – ხავსისფერი. იგი სახელს

გაითქვამს თავისი სტრფიალო თავგადასავლებით. ამ გლავკოსის მიწისქვეშა სახლი სადღაც დელოსის სიახლოვეს მდებარეობდა.

მითის ერთი ვერსიის მიხედვით (ათენეოს გრამატიკოსი, 597b), პასიფაეს მიერ შობილი ხარი მინოტავროსი, თანდათან ისე გაველურდა, რომ მთელი კრეტის გაჩანაგება იწყო. გმირთაგმირმა ჰერაკლემ შეიპყრო იგი და საბერძნეთში წაიყვანა. ამ ვერსიის თანახმად, მინოტავროსი თესევსმა საბერძნეთში მოკლა და არა კუნძულ კრეტაზე.

აპოლოდოროსის ვერსიის მიხედვით, მეფე ეგევსმა, ანდროგეოსი რომ დაეღუპა, იგი მარათონის ხარზე სანადიროდ გაგზავნა და ნადირობისას ანდროგეოსი ხარმა იმსხვერპლა (აპოლოდოროსი, III,15,17).

აპოლოდოროსის მიხედვით (I,9,26), გოლიათი ტალოსი სპილენძის თაობას ეკუთვნოდა. ერთნი მას სპილენძის კაცად მიიჩნევდნენ, მეორენი კი – ხარად. ტალოსს ერთადერთი ვენა ჰქონდა, რომელიც კისრიდან ქუსლამდე ჩასდიოდა, ძარღვის ბოლო ლურსმნით იყო ჩაკეტილი. ტალოსი მუდამდღე იცავდა კუნძულს, ყოველდღე სამსამჯერ შემოურბენდა ხოლმე. როცა მან შეამჩნია არგონავტების ხომალდი „არგო", რომელიც კუნძულს უახლოვდებოდა, ქვების ტყორცნა დაუწყო. მის მოკვდინებაში ბრალი მედეას მიუძღვის. ზოგნი თვლიან, რომ მედეამ მას რაღაც ბალახის წვენით სიგიჟე მოჰგვარა, ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ მედეა მას უკვდავებას შეჰპირდა და ზემოთ ნახსენები ლურსმანი ამოაძრო, საიდანაც მთელი იხორი (რაც უკვდავთ სისხლის მაგივრობას უწევს) გადმოდინდა. სხვები ამბობენ, რომ ტალოსი ცნობილმა მოისარმა პეანტოსმა მოკლა, როცა ისარი ქუსლში მოახვედრა.

პავსანიასის მიხედვით (პავსანიასი, III,2,4), მინოსი თავის კანონებს ღმერთებთან შეთანხმებით ადგენდა.

პლატონის სახელით ცნობილი „მინოსი" (31b-32b) მითის ფილოსოფიურ გადამუშავებას წარმოადგენს და ამიტომ სავარაუდოა, რომ მასში ცოტაა საკუთრივ მითისეული. ამის გამო აქ წარმოდგენილ ამბებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. პლატონისეული ვერსიით, კრეტაზე მინოსის მიერ დაფუძნებულ კანონთა შორის ერთი ასეთი იყო: მოქალაქეებს ერთად არ უნდა დაელიათ სრულ დათრობამდე. პლატონის აზრით, აშკარაა, რომ მინოსმა დააკანონა თავისი მოქალაქეებისთვის ის, რაც თვითონ მიაჩნდა საუკეთესოდ, რადგან არ შეეძლო უბადრუკ კაცთა მსგავსად ეფიქრა ერთი, და განეხორციელებინა საპირისპირო. მან თავის მოქალაქეებს დაუწესა ისეთი კანონები, რომ მათი შემწეობით კრეტა მუდამ კეთილ-

დღეობს, მას შემდეგ კეთილდღეობს ლაკედემონიც, რომელიც იმავე ღვთაებრივ კანონებს ეფუძნება. რადამანთისი კი, თუმც ისიც ქველი კაცია, რადგან მინოსის აღზრდილია, სამეფო ხელობაში ისევე განწვრთნილი არ არის, მას მხოლოდ ამ საქმის დამხმარე დარგი აქვს გამონწვლილვით შესწავლილი – სასამართლოში მსჯავრის გამოტანა, ამიტომაც ჩინებული მოსამართლეა. მინოსს იგი თავის სატახტო ქალაქში კანონთა მცველად ჰყავდა დადგენილი, მთელ კრეტაზე კი ეს საქმე ტალოსს ევალა. ასე რომ, ტალოსი წელიწადში სამჯერ შემოივლიდა ხოლმე ყველა დაბა-სოფელს და იცავდა იმ კანონებს, რომლებიც სპილენძის დაფებზე ამოტვიფრული დაჰქონდა, ამიტომაც ეწოდა სპილენძისა.

ფსევდო-პლატონი გვიყვება, რომ შემდეგ მეგობარი ეკითხება სოკრატეს, მაშ რატომღა აქვს მინოსს გაუნათლებელი და დაუხვეწავი, უხეში კაცის სახელიო. სოკრატე კი უხსნის, რომ მინოსმა დიდი შეცდომა დაუშვა, რადგან გადაიკიდა პოეტები. მინოსი ათენს მტრად გაუხდა, იქ კი მრავალი პოეტი იყო, მათ შორის ტრაგიკოსებიც, რომელნიც ძალზე დიდ გავლენას ახდენდნენ შთამომავლებზე და მათ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე.

დიოდოროსის ვერსიით (დიოდოროსი, V,79,3), მინოსმა კრეტელებს მრავალი კანონი შეუქმნა, ოღონდ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ამ კანონებს იგი ზევსისგან იღებდა, და მას იგი რომელიღაც გამოქვაბულში ხვდებოდა.

სტრაბონის ვერსიით (სტრაბონი, XVI,2,38), მინოსი ყოველ მეცხრე წელს შედიოდა გამოქვაბულში ზევსთან, იღებდა იქ განკარგულებებს და შემდეგ მათ ხალხს გადასცემდა. ამავე ვერსიას ვხვდებით პლატონის „კანონებშიც" (624a-625a).

ჰომეროსის „ოდისეაში" (XIX,178) ნახსენებია ხალხმრავალი ქალაქი კნოსოსი, სადაც ცხოვრობდა მინოსი, რომელიც ცხრა წელიწადში ერთხელ ზევსს სასაუბროდ ხვდებოდა.

დიოდოროსის მიხედვით (დიოდოროსი, IV,59,5), როცა მინოსი და მისი ძმები დავაჟკაცდნენ, ერთმანეთში შეექმნათ ცილობა მშვენიერი ჭაბუკის, ვინმე მილეტოსის გამო. იგი დიადი აპოლონისა და ნიმფა არეას ვაჟი იყო და თვალტანადობით ძალზე მომხიბლავი ჭაბუკი. მილეტოსმა ძმებში ყველას სარპედონი ამჯობინა. განაწყენებულმა მინოსმა ისინი კრეტიდან გააძევა. გზაში სარპედონი და მილეტოსი ერთმანეთს დაშორდნენ, სარპედონი ლიკიაში გაემგზავრა, მილეტოსმა კი კარიას მიაშურა, დაიპყრო იქ ანაქტორია და თავისი სახელი უწოდა. სარპედონზე კი აი, რას ჰყვებიან: მან მონახა თავისი ბიძა, ევროპეს ძმა მეფე კილიქსი, რომელსაც კილი-

კიის სამეფო დაეარსებინა; ისინი ერთად შეებნენ უძლეველ მეომრებს – სოლიმებს და დაამარცხეს. სარპედონი თავისი ლაშქრით უფრო ღრმად შეიჭრა ამ მხარეში, იქ შეხვდა ლიკოსს, რომელიც ათენიდან გამოეძევებინა მის ძმას ეგევსს, მათ სამეფო შუაზე გაიყვეს. ხალხს, რომელსაც ლიკოსი განაგებდა, მან თავისი სახელი მისცა. სარპედონის ვაჟმა ევანდროსმა ცოლად შეირთო გმირი ბელეროფონის ასული დეიდამია და ლიკიის ტახტი მიიღო.

აპოლოდოროსის მიხედვით (აპოლოდოროსი II,2,1;III,1,3), მინოსის ძმა რადამანთისი კრეტაზე კარგა ხანს ცხოვრობდა, მაგრამ შემდგომ ბეოტიაში გაქცევა მოუხდა, რადგანაც თვისტომი შემოაკვდა. იგი ჩავიდა ბეოტიაში და იქ ცოლად შეირთო ამფიტრიონის ქვრივი, ჰერაკლეს დედა ალკმენე. რადამანთისი სიკვდილის შემდგომ ალკმენესთან ერთად ნეტართა კუნძულებზე გადასახლდა და ამ კუნძულთა განმგებელი შეიქნა. ზევსმა მიცვალებულთა სამეფოს სამი მსჯავრმდებელი დაუდგინა: მინოსი, ეაკოსი და რადამანთისი.

როგორც დიოდოროსი გვაუწყებს (დიოდოროსი, IV,61), როცა მინოსმა თავისი ვაჟიშვილის, ანდროგეოსის დაღუპვის ამბავი გაიგო, გამოცხადდა ათენში და სამართალი მოითხოვა მოკლული შვილის გამო. მაგრამ იგი განბილებული გამოისტუმრეს, მაშინ მან ომი გაუმართა ათენელებს და ზევსს შეევედრა, ათენში გვალვა და შიმშილობა დაწყებულიყო. ასეც მოხდა. ატიკა და მთელი ელადა გვალვამ მოიცვა, მოსავალი იღუპებოდა, შეშფოთდა ხალხი, შეგროვდნენ ქალაქთა მესვეურნი და ჰკითხეს ღმერთს, რა გზით შეეძლოთ ამ უბედურების თავიდან აცილება. ღმერთმა გამოუცხადა, რომ მისულიყვნენ ეაკოსთან (რომელიც იყო ზევსისა და ასოპოსის ასულის – ეგინას ვაჟი) და აღევლინათ ვედრება ამ თავსდამტყდარი უბედურების გამო. როცა მათ ღმერთის რჩევა შეასრულეს და ვედრებით მიმართეს ეაკოსს, მან ისმინა მათი მუდარა და შეწყდა გვალვა ელადის ყველა მხარეში, გარდა ათენელთა მიწისა. ათენის მცხოვრებლებმა ზევსს ჰკითხეს, რა ექნათ, რა ეღონათ. ზევსმა კი აუწყა, რომ ამ უბედურებას აირიდებდნენ, თუკი მინოსს მოიწვევდნენ და მის სურვილს დაუყოვნებლივ აასრულებდნენ: როგორც იგი განსჯიდა, ისე უნდა მოქცეულიყვნენ. ათენელები დამორჩილდნენ ზევსის ნებას. მინოსმა მოითხოვა, ყოველ ცხრა წელიწადში შვიდი წყვილი ქალ-ვაჟი მიეცათ მინოტავროსისთვის შესაჭმელად, ვიდრე ეს ურჩხული ცოცხალი იქნებოდა.

ჰიგინუსი გადმოგვცემს მითის ერთ-ერთ ვერსიას (ჰიგინუსი, „მითები“, 40), რომლის მიხედვითაც მინოსის მეუღლე პასიფაეს, რამდენიმე წელი იყო, რაც აფროდიტესთვის მსხვერპლი არ

შეეწირა. ქალღმერთი ამ ამბავმა ძალზე აღაშფოთა, განურისხდა მას და შთაუნერგა განუზომელი სიყვარული ხარის მიმართ.

ბერძენ ისტორიკოსთა ფრაგმენტებში ნათქვამია, რომ კრეტელთა აზრით, ლაბირინთი იყო საპყრობილე, და ამ ლაბირინთის საშინელება მხოლოდ ის იყო, რომ ტუსაღები ვერ ახერხებდნენ იქიდან გაქცევას. მინოსმა ანდროგეოსის ხსოვნის აღსანიშნავად გიმნასტური თამაშობანი მოაწყო, სადაც გამარჯვებულებს ჯილდოდ იმ ბავშვებს აძლევდა, რომლებიც ლაბირინთში ჰყავდა ჩამწყვდეული. ერთ-ერთ პირველ თამაშებზე გაიმარჯვა მეფის მხედართმთავარმა ტავროსმა, მრისხანე და პირქუშმა კაცმა. ფილოქოროსის მიხედვით, იგი შემდგომ თესევსს თამაშობების დროს შემოაკვდა, როცა მინოსმა მათ ნება დართო, ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ, რადგან ეჭვობდა, რომ ტავროსს მის ცოლთან – პასიფაესთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა (ბერძენ ისტორიკოსთა ფრაგმენტები, 1f: rg.38).

*დედალოსისა* და *იკაროსის* შესახებ მითი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ანტიკურ სამყაროში. ამ მითს მრავალი ბერძენი თუ რომაელი ავტორი მოგვითხრობს: პლატონი, „მინოსი", 320; აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა", IV,1639; დიოდოროს სიცილიელი, IV,78-79;IV,76,6;77;30; ჰიგინუსი, „მითები", 39;274;40; აპოლოდოროსი, III,15,8;II,6,3; პავსანიასი, IX,2,2-3;VII,2,2;4,5; პლუტარქე, „თესევსი", 19; ფულგენციუსი, „მითები", III,2; ვერგილიუსი, „ენეიდა", VI,14; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" კომენტარები, VI,14; ისიდოროს სევილიელი, „დასაწყისი", XIV,6; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VIII,236-259;182-235; პლინიუსი, „საბუნებისმეტყველო ისტორია", VII,57.

ზოგიერთი მითის მიხედვით, ზღვიდან ამოსული ხარი თავად ზევსი იყო (ლიბანიუსი, „თხრობანი", 23).

ოვიდიუსთან და სერვიუსთან ვკითხულობთ, რომ შურით დაბრმავებულმა დედალოსმა თავისი შეგირდი ზღვაში გადააგდო, ეს ყმაწვილი კი სიკვდილის შემდეგ ფრინველად იქცა (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", 236; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" კომენტარები, VI,4).

პლატონის „იონში" დედალოსი მოხსენიებულია, როგორც ათენის მეფის, ერეხთევსის შვილიშვილი.

მითის ერთ-ერთი იშვიათი ვერსია იმასაც მოგვითხრობს, რომ დედალოსი თავის ვაჟთან ერთად კრეტიდან ზღვით გაიპარა. მათ პასიფაემ თავისი ხომალდი მისცა და ისინი ცურვით გაერიდნენ

მინოსის სამფლობელოს. შემდეგ მათ სიცილიის სიახლოვეს ერთ პატარა კუნძულზე გადასვლა მოინდომეს, მაგრამ იკაროსი შემთხვევით ნავიდან ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო (დიოდოროსი, IV,77).

განმარტებები. ღმერთთან მისტიკური კავშირი ნიშანდობლივი იყო კრეტის რელიგიური ცხოვრებისთვის. მსხვერპლშეწირვას ხარისას, რომელიც ბუნების გამანაყოფიერებელ ელემენტთა სიმბოლოს წარმოადგენდა, ე.ი. ვეგეტაციის მამაკაცურ ღვთაებას და ხართან თამაშს (რაც, ალბათ, ხთონურ ძალთა დამორჩილებას განასახიერებდა) კულტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხარის ნიღაბს სადღესასწაულო მსვლელობის დროს იყენებდნენ; სიმბოლოები, რომლებიც ხართან იყო დაკავშირებული – ორლესული ცული და საღვთო რქები – საკრალურ ნაგებობებში ინახებოდა და მათ მიცვალებულებს ატანდნენ საფლავში.

ლაბირინთის სახელწოდება სიტყვა labrys-იდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ორპირიან, ორლესულ ცულს ნიშნავს. იგი იყო წმინდა სიმბოლო ძველი კრეტელებისა.

გლავკოსის მითში, სადაც ხაზგასმულია, რომ გლავკოსი თაგვთან თამაშის დროს დაიკარგა, შესაძლოა დავინახოთ კონფლიქტი ათენელებსა (რომლებიც ბუს – glayx – სცემდნენ თაყვანს) და აპოლონ სმინთევსის, ანუ „თაგვის აპოლონის" თაყვანისმცემელთა შორის. ამ ეპიზოდში იქნებ თაგვი იმიტომაც ფიგურირებს, რომ მინოსს შეიძლებოდა გლავკოსისთვის გადასაყლაპად თაფლწასმული თაგვი მიეცა. რადგან ცნობილია, რომ ამ საშუალებას ხშირად მიმართავდნენ კრეტაზე, როცა მძიმე სენით შეპყრობილი ბავშვი სასიკვდილოდ იყო განწირული. თაფლის ქილაში დამხრჩვალი გლავკოსი კი, შესაძლოა, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ კრეტაზე ბალზამირების დროს ხშირად თაფლს იყენებდნენ. გათხრებისას კრეტულ სახლებში ნაპოვნია ჭურჭელში დაკრძალული ბავშვები; ბუს კი, როგორც ცნობილია, სიკვდილის ფრინველებად მიიჩნევდნენ.

პოლიიდოსი არის ამავე დროს ძაგრევსი, რომელიც პერიოდულად იცვლის იერსახეს. იგია ასევე ნახევრადღვთაებრივი ბუნების მქონე ასკლეპიოსი, რომლის სიცოცხლის ბალახი იყო ფითრი. გილგამეშის შესახებ მოთხრობილ ბაბილონურ მითში ასევე ცოცხლდება გველი, რომელმაც გილგამეშს უკვდავების მომნიჭებელი სიცოცხლის ყვავილი წარსტაცა. მას მერე იგი დროდადრო იცვლის კანს და ახალგაზრდავდება. გილგამეშმა ვერ შეძლო მისთვის ამ

ყვავილის უკან წართმევა და იგი შეეგუა აზრს, რომ უკვდავება დაკარგა.

როცა გლავკოსი მისან პოლიიდოსს სახეში შეაფურთხებს, მაშინვე დაივიწყებს, რაც მისგან ისწავლა. ე. ი. პოლიიდოსი ავიწყებინებს მას მისნობას. საინტერესოა პარალელი აპოლონთან და კასანდრასთან. აპოლონმა, მას მერე რაც კასანდრამ სიყვარულზე სიყვარულით არ უპასუხა, ქალს მისნობის ნიჭი წყევლად უქცია: მისი წინასწარმეტყველებისა არავის სჯეროდა, ამიტომ კაცთათვის სრულიად ურგი იყო. ასე სჯის აპოლონი პრიამოსის ასულს.

ძველ საბერძნეთში მოძღვარ-შეგირდის ურთიერთობა საკრალურად ითვლებოდა და ფაქტობრივად კულტის დონემდე იყო აყვანილი. როცა პოლიიდოსი გლავკოსს სახეში შეაფურთხებინებს, ამით საკრალურ წესს არღვევინებს, საკრალური წესის დარღვევას კი აუცილებლად უნდა მოჰყვეს სასჯელი, მოცემულ შემთხვევაში სასჯელი – ნასწავლის დავიწყებაა.

არიადნეს შესახებ ცნობილია, რომ მას კუნძულ კვიპროსზე, ამათუსიაში აფროდიტე-არიადნეს სახელით მეტად თავისებური კულტი უკავშირდებოდა.

ვარაუდობენ, რომ მეგარაში მართლაც არსებობდა ქსილოფონის მსგავსად შერჩეული მუსიკალური ქვები; შესაძლოა, ეს ყოფილიყო ეგვიპტური მემნონის (მომღერალი ქანდაკის) გამოძახილი: ღრუ ქანდაკი, ღია პირით, რომლის ღრმა ხვრელიდან ხმა გამოისმოდა, როგორც კი მზე გაათბობდა ქვას და ჰაერის თბილი ჭავლი მოხვდებოდა.

მეფე ნისოსის ქალიშვილ სკილას ოვიდიუსი აიგივებს მის თანამოსახელე მეორე სკილასთან, რომელიც აფროდიტემ საზარელ ძაღლისთავება ურჩხულად გადააქცია, რადგანაც იგი პოსეიდონმა აცდუნა. ოვიდიუსის მიხედვით, სკილას თავის წიაღში დამალული ჰყავს ველური ძაღლები და ლომები. იგი ასე იმიტომ ისჯება, რომ საკუთარ მამას, მინოსს თმის კულული მოაჭრა. ოვიდიუსი თითქმის არასოდეს უშვებს უზუსტობას; ასე რომ, აქ შესაძლოა, იგი მითის იმ ვარიანტს ეყრდნობოდეს, რომლის მიხედვითაც მინოსს პასიფაეს წყევლამ უწია და მან სკილას საშო ძაღლის ლეკვებით აუვსო.

როგორც ივარაუდება, პასიფაე და ამფიტრიტე მთვარე-ქალღმერთის განსახიერებანი არიან, ხოლო მინოსი, როგორც ხმელთაშუა ზღვის ბატონ-პატრონი, პოსეიდონთანაა გაიგივებული.

დანამდვილებით ვინ იყო მინოსი? ეს, ალბათ, ზუსტად არასოდეს გვეცოდინება. გადაჭრით ისიც კი არ ვიცით, ეს სიტყვა საკუთარი სახელია თუ წოდება. ბერძენთა წარმოდგენით, მინოსი იყო

კრეტის ადრეული ხანის უდიადესი მეფე, რომელიც გადმოცემის თანახმად, ისევე სამართლიანი იყო, როგორც ძალმოსილი. ატიკურ თქმულებებში კი იგი საზარელ ტირანად არის წარმოსახული, რადგანაც მან ათენელები დაამარცხა და დიდი ხარკი დაადო.

წყაროების მიხედვით შეიძლება ორი მინოსი გამოიყოს, ერთი უფრო ადრეული (პაპა) და მეორე გვიანდელი, არგონავტების ეპოქის თანამედროვე (შვილიშვილი). თანამედროვე მეცნიერთა აზრით, მინოსი კონკრეტული პირის სახელი კი არ იყო, არამედ აღმნიშვნელი საერთოდ მეფის (მმართველის) ტიტულისა კრეტაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა დედალოსი ათენელი იყო და ერთ-ერთ ატიკურ დემოსს მისი სახელიც კი დაერქვა, მაგრამ დედალოსის ხელოვნება ატიკაში კრეტიდან შევიდა და არა პირუკუ.

ა. ლოსევის აზრით, რეალურ-ისტორიული ვითარების ამსახველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მითის მიხედვით, კრეტაზე ლაბირინთს სწორედ ათენელი ხელოვანი დედალოსი აგებს. დედალოსის სახით ჩვენს წინაშეა პირველი ბერძენი ხელოვანი, რომელიც შეუძლებელია, რომ მხოლოდ მითოლოგიური სახე იყოს. იგი არა მარტო სწორუპოვარი ხელოვანია, არამედ თავის შვილთან, იკაროსთან ერთად მსოფლიოში პირველი აეროპლანის ამგები. ლოსევის აღნიშვნით, იგი ბრინჯაოსა თუ რკინის ხანის ნამდვილი ლეონარდო და ვინჩია, „განა შესაძლებელია, რომ აქ არ დავინახოთ ანარეკლი საოცარი ტექნიკური პროგრესისა, რომელსაც ვხვდებით კრეტა-მიკენური კულტურის ძეგლებში ბერძნული ცივილიზაციის საწყის ეტაპზე?!" – შენიშნავს აღფრთოვანებით მკვლევარი.

პავსანიასის მიხედვით, დედალოსი მარტო არ გაქცეულა კრეტაზე, მას თან თავისი მოწაფე, ათენელი ენდოპოსი გაჰყვა (პავსანიასი, I,26,4).

ჰიგინუსის „მითებში" მოთხრობილია, რომ დედალოსს მინერვასგან გადმოეცა ეს ხელოვნება; მას შეგირდად ჰყავდა თავისი დის, პერდისეს შვილი, რომელიც მან სახლის სახურავიდან გადმოაგდო (ჰიგინუსი, „მითები", 39).

პავსანიასის მიხედვით (VIII,53,5), რადამანთისი თითქოს ჰეფესტოს შვილი იყო, მჭედლობის ღმერთი ჰეფესტო კი – ჰერასა და ტალოსის შვილი. დედალოსის ან ტალოსის ჰეფესტოსთან გაიგივება სავსებით ბუნებრივია მათ ატრიბუტთა მსგავსების გამო. შესაძლოა ვიგულისხმოთ, რომ ისინი ერთი და იმავე მითიური პერსონაჟის სხვადასხვა ეპითეტებია.

აპოლოდოროსის ვერსიით, დედალოსი იყო საუკეთესო არქიტექტორი და ქანდაკების პირველი გამომგონებელი. იგი გაიქცა

ათენიდან მას შემდეგ, რაც აკროპოლისიდან გადაჩეხა თავისი დისშვილი, რომელიც უნიჭიერესი შეგირდი იყო, იმის შიშით, არ მაჯობოსო. ცნობილია, რომ გონებაგამჭრიახმა შეგირდმა ერთხელ გველის ყბით თხელი ფიცარი გადახერხა და ასე გამოიგონა პირველი ხერხი. როცა მოკლული ტალოსის გვამი აღმოაჩინეს, დედალოსი არეოპაგში გაასამართლეს, ამის მერე კი იგი მინოსთან გაიქცა (აპოლოდოროსი, III,15,9).

დიოდოროსიც მოგვითხრობს ამ მითს და აღნიშნავს, რომ დედალოსი თავისი ხელოვნებით ირგვლივ ყველას აოცებდა და ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა. დედალოსი ზრდიდა თავის დისშვილს, ტალოსს, რომელიც, მართალია, ჯერ სულ ყმაწვილი იყო, მაგრამ ნიჭიერებით ბიძასაც კი აღემატებოდა. ტალოსს მიეწერება მრავალი საოცარი გამოგონება. მან გამოიგონა მეთუნის ჩარხი და ხერხი. ერთხელ შემთხვევით გველის ყბა იპოვა, რომლითაც პატარა ჯოხი გადახერხა, შემდეგ კი რკინისგან იმავე ფორმის იარაღი გააკეთა. ასე გამოიგონა მან ხერხი, მერე ფარგალი და სხვა ტექნიკური ხელსაწყოები. ტალოსმა დიდი სახელი გაითქვა. დედალოსი შურით აენთო მის მიმართ, დღედაღამ იმის ფიქრი არ ასვენებდა – ვაითუ, სახელითა და დიდებით გადამაჭარბოსო და ჩუმად მოკლა. როცა მარხავდა, წაასწრეს და ჰკითხეს, რას შვრებიო? მან მიუგო, გველს ვაყრი მიწასო. მაგრამ მისი დანაშაული გამჟღავნდა და იგი აეროპაგოსის წევრებმა გაასამართლეს. ხელოვანი ჯერ ერთ-ერთ ატიკურ დემში გაიქცა, რომლის მცხოვრებლებსაც მას შემდეგ დედალიდები დაერქვათ. მერე კრეტას შეაფარა თავი და თავისი ხელოვნების წყალობით მეფე მინოსს დაუმეგობრდა (დიოდოროსი IV,76,4-77,1).

პავსანიასი მოგვითხრობს, რომ დედალოსი წარმოშობით ათენელი იყო, ეგრეთ წოდებულ მეტიონიდთა სამეფო სახლიდან. მან სახელი გაითქვა თავისი ხელოვნებით, მაგრამ როცა შურით აგზნებულმა დისშვილი სასიკვდილოდ გაიმეტა, ათენიდან კრეტაზე თავად გადაიხვეწა, რადგან იცოდა თავისი ქვეყნის კანონები (პავსანიასი, VII,4,5-6).

③

წყაროები და ვარიანტები. სისიფოსის მითი საოცრად პოპულარული იყო ძველ ბერძნულ სამყაროში. ამ მითს მრავალი ანტიკური წყარო გვიყვება: ჰომეროსი, „ილიადა“, VI,153; „ოდისეა“,

XI,593-600; ჰომეროსის „ილიადის“ სქოლიოები, 487,631 და 1702; აპოლოდოროსი, I,9,3; პავსანიასი, II,4,3;II,2,2;II,5,1;X,31,31; ჰიგინუსი, „მითები“, 38;200;201; სოფოკლე, „აიაქსი“, 190; სოფოკლეს „აიაქსის“ სქოლიოები, 190; სოფოკლეს „ფილოქტეტესის“ სქოლიოები, 417; არისტოფანეს „აქარნელების“ სქოლიოები, 390; თეოგნიდე, 712; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის“ კომენტარები, VI,616; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, VII,393;IV,459; ოვიდიუსი, „ჰეროიდები“, XII,203; ოვიდიუსი, „ფასტები“, IV,175-176; ჰორაციუსი, „სატირები“, II,17,12.

მითის ზოგიერთი ვერსიის მიხედვით (აპოლოდოროსი, III,15,6), სისიფოსმა დიდძალი მეზობლობა შეყარა, როდესაც ავტოლიკოსს ქურდობაზე წაასწრო. შეიქმნა ერთი ალიაქოთი და აყალმაყალი, სისიფოსმა კი ამით ისარგებლა, შეიპარა ავტოლიკოსის სახლში და მისი ქალიშვილი ანტიკლეა აცდუნა.

მითის ერთი ვერსიით (ევრიპიდე, „ჰიპოლიტოსი“, 11-ე სქოლიო), სისიფოსმა ანტიკლეას საქმროს იერსახე მიიღო და მასთან სასიყვარულო სარეცელი გაიზიარა.

მითის ზოგიერთი ვერსიის თანახმად, სისიფოსს სასტიკად სძულდა თავისი ძმა სალმონევსი, რომლის მოკვლაც, თურმე, გულში ჩაიდო. მან კითხვით მიმართა დელფოს სამისნოს, როგორ განეხორციელებინა ეს საქმე. ორაკულმა უპასუხა, რომ სალმონევსის მოკვლას მხოლოდ მისი ქალიშვილის, ტიროს შვილები შეძლებდნენ, თუკი ეს შვილები ტიროს სისიფოსისგან ეყოლებოდა. მაშინ სისიფოსმა განიზრახა ქალის საყვარელი გამხდარიყო და მიზანსაც მალე მიაღწია. სალმონევსის ასულს სისიფოსისგან ტყუპები ეყოლა. მაგრამ ორაკულმა გააფრთხილა ტირო, რომ ამ ბავშვებს დიდი უბედურების დატრიალება ეწერათ ბედად, კერძოდ, მისი მამის, სალმონევსის დაღუპვა. როგორც კი ეს გაიგო, ქალმა საკუთარი ხელით დახოცა ბავშვები (ჰიგინუსი, მითები, 60).

მითის ზოგი ვერსიის მიხედვით, სისიფოსი ხშირად არბევდა ატიკის მხარეს, თავს ესხმოდა მგზავრებს და ხოცავდა მათ.

ნათქვამია, რომ სისიფოსის საფლავი ისთმოსში მდებარეობს (პავსანიასი, II,2,2), ოღონდ კორინთოელთაგან ცოტამ თუ იცის – ზუსტად რა ადგილას. სისიფოსი ეკუთვნის იმ გმირებს, რომელთაც ისთმოსში პატივს მიაგებენ და, როგორც ჩანს, ისთმოსური თამაშები მან დააფუძნა თავისი ძმისწულის, გარდაცვლილი მელიკერტესის ხსოვნის პატივსაცემად (პავსანიასი, II,1,3), რომლის ცხედარიც მან შემთხვევით ნახა კორინთოს მახლობლად და თავად მიაბარა მიწას.

მითოლოგიაში გლავკოსის სახელით რამდენიმე გმირია ცნობილი. იმ გლავკოსის შესახებ, რომელზედაც ჩვენ მოგითხრობთ, ძალზე ცოტა რამ ვიცით. მას მხოლოდ რამდენიმე ანტიკური წყარო თუ ასახელებს. ჰომეროსის „ილიადა", VI,154; აპოლოდოროსი, II,3,1; პავსანიასი, VI,20,8;VI,20,9; ჰიგინუსი, „მითები", 250 და 273; ოვიდიუსი, „იბისი", 557; სქოლიოები ევრიპიდეს „ორესტესათვის", 318 და „ფინიკიელი ქალებისათვის", 1124; ელიანოსი, „ცხოველთა წარმოშობა", XV,25; სტრაბონი, IX,2,24.

სიტყვა „გლავკოსი" ზღვისფერ მწვანეს ნიშნავს. მითოლოგიაში რამდენიმე გმირს ჰქვია ასე. სისიფოსის ძის, გლავკოსის თავგადასავალი ესქილეს ერთ-ერთ ტრაგედიაში ყოფილა მოთხრობილი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

როგორც ვარაუდობენ, მითი, რომლის მიხედვითაც, გლავკოსი აბუჩად იგდებდა აფროდიტეს და თავისი ფაშატების დაგრილება აკრძალა, იმაზე მეტყველებს, რომ ეს შესაძლოა იყო პატრიარქალური მცდელობა – აღმოფხვრილიყო თებეური ეროტიული დღესასწაულები, მიძღვნილი პონტიებისადმი, ანუ მეუფე ქალებისადმი (ქალღმერთთა ტრიადისადმი).

ბერძნულად hippos ნიშნავს ცხენს, mainomai – გაშმაგებას აღნიშნავს. ჰიპომანი იყო მცენარე, რომელიც ცხენთა სასტიკ გაშმაგებაახურებას იწვევდა. უფრო გავრცელებულია ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელედან მომდინარეობს – ჰიპომანი ეწოდება ატეხილი ჭაკის გამონაყოფს.

თქმულებები *ბელეროფონის* შესახებ შემორჩენილია შემდეგ ანტიკურ წყაროებში: ჰომეროსი „ილიადა", VI,155 და 160;XVI,328; ევსტათიოსი, „ილიადის" სქოლიოები; ჰესიოდე, „თეოგონია", 319; აპოლოდოროსი, I,9,3;II,3,1-2; პინდაროსი, „ოლიმპიური ოდები", VII,44; პლუტარქე, „ქალების გმირულ ქმედებათა შესახებ", 9.

ზოგი ვარიანტის მიხედვით, ბელეროფონის მამა იყო ზღვის ღმერთი პოსეიდონი, დედას კი ევრიმედე ერქვა; ეს არის მდედრ. ფორმა სახელისა „ევრიმედონი" („დიდი მბრძანებელი"), რაც აგრეთვე ზღვის მბრძანებელსაც აღნიშნავს. ამ ვერსიათა მიხედვით, ბელეროფონის დაბადება მამის მხრიდანაც და დედის მხრიდანაც ზღვას უკავშირდება (აპოლოდოროსი, I,9,3);

„ბელეროფონმა", რაც ნიშნავს ბელეროსის მკვლელს, გადაფარა მისი უწინდელი სახელი. კერძოდ, რა მკვლელობა მოხდა და გმირი როგორ გაუწმინდურდა – ეს ამბავი არ არის მოთხრობილი,

ანდა ჩვენამდე მოღწეული არ არის. მაგრამ აღინიშნება, თუ როგორ ტოვებს იგი კორინთოს და ცოდვებისგან განწმენდის მიზნით ტირინსში მიდის (აპოლოდოროსი, II,3,1),

მითის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით (ჰესიოდე, „თეოგონია", 281), როცა პერსევსმა გორგო მედუზას თავი მოჰკვეთა, იგი პოსეიდონისგან ყოფილიყო ორსულად და მისი თავმოკვეთილი სხეულიდან გამოფრინდნენ ფრთოსანი რაში პეგასოსი და გმირი ქრისაორი. პეგასოსი ხშირად აკითხავდა კორინთოს ციხე-სიმაგრეს აკროკორინთოს და იქ პირენეს წყაროს წყალს ეწაფებოდა. ეს უკვდავი ფრთოსანი რაში სწორედ ამ ადგილას შეიპყრო მისმა მოკვდავმა ძმამ ქრისაორმა. ასე რომ, თუ მითის ამ ვერსიას გავყვებით, ბელეროფონი სახელდება პეგასოსის მოკვდავ ძმად, მას აიგივებენ ქრისაორთან და იგი პოსეიდონის შვილად იწოდება.

პავსანიასი ასე მოგვითხრობს ამ მითს: ბელეროფონმა სთხოვა მამა-პოსეიდონს ფრთოსანი რაში და მანაც აჩუქა, მაგრამ იოლი არ იყო ამ ცხენის დამორჩილება, ლაგამი ჯერ არავის ამოედო მისთვის. ბევრი იწვალა გმირმა, მაგრამ ცხენი ვერა და ვერ დაიურვა, სანამ ქალღმერთმა ათენამ არ მისცა მას ოქროს ლაგამი. ბელეროფონმა სიზმარი ნახა: ათენა გამოეცხადა და დახმარება აღუთქვა, მან ასე მიმართა გმირს: „ეოლოსის მეფის შთამომავალო, გამომართვი ეს ოქროს ლაგამი, რომლითაც შეძლებ მაგ ცხენის მოთვინიერებას, თან არ დაგავიწყდეს, მამა-პოსეიდონს თეთრი ხარი შესწირო!" მსწრაფლ წამოხტა ჭაბუკი, რომელსაც ათენას საკურთხეველთან ეძინა, რათა ძილში ქალღმერთისგან რჩევა მიეღო. მან მართლაც ნახა იქვე რაღაც ოქროს საგანი, ეს პეგასოსის მოსათვინიერებელი ოქროს ლაგამი იყო. ბელეროფონი მისან პოლიიდოსთან მივიდა და მისი რჩევით ჯერ პოსეიდონს შესწირა მსხვერპლი, ხოლო შემდეგ სამსხვერპლო აუშენა ათენა-ჰიპიას, ასე გახდა პეგასოსი მისი საკუთრება. ეს ცხენი მას მამა-პოსეიდონმა უბოძა, ხოლო ათენამ მოათვინიერებინა (პავსანიასი, II,4,1).

მითის სხვა, უფრო ძველ წყაროთა მიხედვით, პროიტოსმა ბელეროფონი გაგზავნა ამისოდაროსთან, რომელსაც ქიმერა ჰყავდა გამოზრდილი („ილიადა", VI,170; „ილიადის" სქოლ. XVI,328).

მითის ზოგი ვერსიით, პროიტოსის ცოლს ერქვა სთენებოია; ყოველ შემთხვევაში, ბერძენი ტრაგიკოსები მას ამ სახელით მოიხსენიებენ. ევრიპიდე თავის ტრაგედიაში, რომელსაც „სთენებოია" უწოდა, ალბათ, მითის ერთ-ერთ იშვიათ ვარიანტს ეყრდნობოდა. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ ბრუნდება ბელეროფონი ქიმერას

მოკვლის შემდეგ ტირინსში, რათა პროიტოსის ცოლზე შური იძიოს. იგი ისე მოაჩვენებს თავს დედოფალს, თითქოსდა მის სიყვარულს დაჰყვა და მასთან ყოფნა სურს, პეგასოსზე შეისვამს და განუცხადებს, რომ ისინი ბელეროფონის სამეფოში მიფრინავენ, მაგრამ ფრენის დროს კუნძულ მელოსთან იგი ქალს ზღვაში გადააგდებს.

ვარაუდობენ, რომ ბელეროფონს, სანამ ბელეროსს მოკლავდა, სხვა სახელი უნდა რქმეოდა – ჰიპონოოსი. ეს სახელი მას ცხენთან აკავშირებს.

ივარაუდება, რომ სოლიმები მზის ღმერთის, სოლიმის შვილები იყვნენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სალმა იყო გაზაფხულის ბუნიაობის ქალღმერთი. შემდგომ კი იგი კაც ღვთაებად, მზის ღმერთ სოლიმად იქცა.

„ბელეროფონი კლავს ქიმერას“, – წერს ა. ლოსევი, – „ეს მითში ასახავს სოციალურ გადატრიალებას მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ“. ამავე თვალსაზრისით განიხილავს იგი მდედრთა და მამრთა შორის მომხდარ სხვა ბრძოლებსაც. მისი აზრით, ამორძალები მატრიარქატის ჰეროიზირებული ფორმაა. ეს არის აშკარა რუდიმენტი არამატრიარქალური და უკვე პირწმინდად საგმირო მითოლოგიისა. რაკი ჩვენამდე მოღწეული მითები ძირითადად პატრიარქალურია, ამორძალებს მუდამ ამარცხებენ გმირები – ჰერაკლე, თესევსი, ბელეროფონი, აქილევსი.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. სისიფოსის შესახებ ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო ორი განსხვავებული შეხედულება: არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც იგი ითვლებოდა მეტისმეტად ეშმაკ და ანგარებიან ადამიანად, რომელიც უგულებელყოფდა და არად აგდებდა კაცთა და ღმერთთა კანონებს. მეორე ტრადიცია კი მას გვიხატავს როგორც ღმერთების წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლს, კაცს, რომელიც ცდილობს, თავისი ჭკუითა და საზრიანობით წინ აღუდგეს ღვთიურთა ნებას.

ცნობილია თავდაპირველი გამოსახულება, რომლის მიხედვითაც სისიფოსის „ურცხვი ქვა“ მზის დისკოს წარმოადგენდა, ხოლო მთა, რომელზედაც იგი ქვას მიაგორებდა – ცის ტატნობად იყო წარმოსახული. კორინთოში, როგორც ცნობილია, არსებობდა მზის კულტი. პავსანიასი აღნიშნავს, რომ ჰელიოსი და აფროდიტე მონაცვლეობით მეუფებდნენ კორინთოში და იქ ერთად ტაძარიც ააშენეს (პავსანიასი, II,47). კორინთოში სისიფოსის კულტიც იყო და მისი სახელობის სამლოცველოც არსებობდა.

პირენე, რომელიც კორინთოს აკროპოლისთან მდებარეობდა, ის წყაროა, სადაც ბელეროფონმა წყლის დასალევად მისული პეგასოსი დაიმორჩილა.

ეგრეთ წოდებულ ჰომერულ თასზე გამოსახულია სცენა, თუ როგორ ზის სისიფოსი თავისი მასპინძლის, ავტოლიკოსის ოთახში: იგი საწოლზეა ჩამომჯდარი, ხოლო ანტიკლეა ჯარას მისჯდომია.

პირენეს უწოდებდნენ აგრეთვე ქალაქის კარიბჭის გადაღმა გზაზე მოჩუხჩუხე წყაროს. ერთხელ იმ ადგილას პირენე წყაროდ გადაიქცა; ეს მოხდა მაშინ, როცა იგი მწარედ დასტიროდა თავის ვაჟს, რომელიც არტემისს შემთხვევით შემოაკვდა.

ა. ლოსევი სისიფოსის მითს ძველ და ახალ მითოლოგიურ-რელიგიურ წარმოდგენათა ბრძოლის კონტექსტში განიხილავს, სადაც ძველი უმეტეს შემთხვევაში მარცხდება, მაგრამ მითებში ისიცაა ასახული, თუ როგორ გადმოდის იგი დროდადრო შეტევაზე და მეამბოხეებს ცოდვილებად გარდასახავს. ასეთები არიან სისიფოსიცა და ტანტალოსიც, რომლებმაც ღმერთთა საიდუმლოს გაგება სცადეს; სისიფოსმა სიკვდილიც კი მოატყუა. მათზე გამარჯვებას ზეიმობენ ძველი წარმოდგენები და საიქიო სასჯელიც ა. ლოსევს ამ დროებითი გამარჯვების გამოხატულებად მიაჩნია.

ესქილეს დრამა „სისიფოსი" მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ ფრაგმენტში (228) ნაჩვენებია ჰადესიდან ამომავალი სისიფოსის გამოთხოვება ძაგრევსსა და პლუტონთან.

④

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. დანაოსის, ეგვიპტოსის და მათი შვილების შესახებ მრავალი ანტიკური წყარო მოგვითხრობს: ჰეროდოტე, II,91,171,182; ჰიგინუსი, „მითები", 168,170; ევსტათიოსი, „ჰომეროსის შესახებ", გვ. 37; აპოლოდოროსი, II,1,4-5; დიოდოროს სიცილიელი, V,58,1; სტრაბონი, XIV,2,8;VIII,6,8-9; პავსანიასი, II,38,4 და 19,3;II,37,1 და 4;III,12,2;IV,35,2;VII,21,6; პინდაროსი, „პითიური ოდები",IX,117; ოვიდიუსი, „ჰეროიდები", XIV; ჰორაციუსი, „ოდები", III,11,3; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" კომენტარები, X,497; აპოლონიოს როდოსელი, I,136-138.

მითის ზოგი ვერსია გვაუწყებს: წყლის ძებნით დაღლილ ამიმონეს რომ ჩაეძინება, მას თვალს მოჰკრავს სატირი, მოიხიბლება მისი სილამაზით და ვნებააშლილი თავს დააცხრება. ძილიდან

გამორკვეული ამიმონე იწყებს ყვირილს და შველას ითხოვს. მას პოსეიდონი მხსნელად მოევლინება, იგი სატირს თავის სამკბილას ესვრის, რომელიც კლდეს მოხვდება და იქიდან მშვენიერი წყარო გადმოხეთქავს (აპოლოდოროსი, II,1,4).

ესქილეს დაუწერია ტრილოგია „დანაიდები", ჩვენამდე მოღწეულია ტრაგედიის მხოლოდ მეორე ნაწილის, „ეგვიპტელების" ცალკეული ნაწყვეტები. სამსჯავროზე დგას აფროდიტე და თავის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკობს. „საკმარისია ცა და მიწა სიყვარულმა მოიცვას", – ასე ჟღერს დაახლოებით მისი სიტყვები, – „რომ ციით დაშვებული წვიმა ანაყოფიერებს დედამიწას, იბადებიან მცენარეები და ცხოველები, რითაც იკვებებიან კაცნი".

ლინკევსის თავდაპირველი სახელია ლირკევსი, როგორც ერქვა აფარევსის თვალმახვილ ძეს. იგი ქალაქ ლირკეაში გაიქცა და იქ დაანთო თავისი კოცონი (პავსანიასი II,25,4).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ბელოსის სახელს აკავშირებენ ფინიკიური უფლის სახელ ბაალთან.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 50 უნდა ნიშნავდეს ორმოცდაათ თვეს ოთხწლოვანი სადღესასწაულო ციკლისა, ე.წ. დიდი წლის ნახევარს. ამისი მეორე ნახევარი კი არის ორმოცდაცხრა თვე; ისევე, როგორც ორმოცდაცხრა ქალიშვილი დარჩა ერთგულ დანაიდად.

რაც შეეხება ინაქოსის შვილებს, რომლებიც ჩვენს ტექსტშია დასახელებული, ზოგიერთი მათგანის ინაქოსისადმი მიკუთვნება, შესაძლოა, სადავოც იყოს. ასე, მაგალითად: ასთვალა არგუსი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გეას შვილად სახელდება, შემდეგ ერწყმის მეორე არგუსის სახელს (რომელიც ძველ წყაროებში ზევსისა და ნიობეს შვილია). ზოგიერთი ვერსიის თანახმად, იგი ინაქოსის შვილადაც იწოდება. რაც შეეხება იოს, მის მამად ყველგან ინაქოსი მოიხსენიება. ხოლო ერთ-ერთი პირველკაცის, ფორონევსის დედად ვერხვის ნიმფა მელია ითვლება, მამად – ინაქოსი.

ამიმონესა და პოსეიდონს შეეძინათ შვილი ნავპლიონი, რომელმაც შემდგომ თავისი სახელობის ქალაქი-ნავსადგური დააარსა.

ესქილემ ამიმონეს მითის მიხედვით შექმნა სატირული დრამა „ამიმონე", რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია. დრამის მთავარ გმირად მან ერთ-ერთი მშვენიერი დანაიდა ამიმონე დასახა. როგორც ეს მხიარული პიესა გვიყვება, დანაიდებს დანაშაული არასოდეს ჩაუდენიათ. ბერძენი დრამატურგები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ძირითადად მითებზე

ქმნიდნენ, შემოქმედებითად ავითარებდნენ მათ, ამიტომ მაყურებლისთვის საინტერესო იყო ამა თუ იმ ცნობილი მითის ავტორისეული ინტერპრეტაცია.

ღმერთებმა ლინკევსისა და ჰიპერმნესტრას ქორწინება დალოცეს და სახელოვანი შთამომავლობა დააბედეს. მათი შთამომავლები იყვნენ საბერძნეთის სახელგანთქმული გმირები – ჰერაკლე და პერსევსი.

ა. ლოსევი, რომელიც მითებში ხშირად მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლის ანარეკლს ხედავს, ამ მითთან დაკავშირებით წერს, რომ რამდენადაც ეგვიპტოსიცა და დანაოსიც ეკუთვნოდნენ დიდი დედა-წინაპრის, იოს შთამომავლობით ხაზს, მათი ორმოცდაათი ქალ-ვაჟის ქორწინება მატრიარქატის ზეიმი იქნებოდა. მაგრამ დანაოსი ავალებს თავის ქალიშვილებს, დანაიდებს, ქორწინების პირველსავე ღამეს დახოცონ ქმრები. ამდენად, დანაოსი ჯგუფური ქორწინებისა და, ამ თვალსაზრისით, მატრიარქატის წინააღმდეგია. დანაიდები მართლაც ხოცავენ თავიანთ ქმრებს; მხოლოდ ჰიპერმნესტრა არ შეასრულებს მამის ბრძანებას, რადგან მას შეუყვარდება თავისი საქმრო ლინკევსი და კი არ მოკლავს, აფროდიტეს დახმარებით შეეულლება. ჰიპერმნესტრაცა და აფროდიტეც ჯგუფური ქორწინების წინააღმდეგნი გამოდიან, რამდენადაც ჰიპერმნესტრა მამის სიტყვას გადადის; ეს მითი ასახავს ბრძოლას მონოგამურ და ჯგუფურ ქორწინებას შორის, აღამაღლებს მამაკაცს და ამით საფუძველს აცლის მატრიარქატს. ჰადესში დანაიდების სასჯელი – ძირგავარდნილი კასრის ავსება – მარადიულია. რითია გამოწვეული ეს სასჯელი? გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ორფიკოსების მიერ დამატებული გვიანდელი სიუჟეტია. ლოსევს მიაჩნია, რომ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული, რადგან ორფიკოსები უკვე იმდენად დაშორებულნი იყვნენ მატრიარქატის ხანას, რომ ამის უარმყოფელი დანაიდების დასჯით მატრიარქატის განდიდებას შეეცდებოდნენ. მისი აზრით, უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ ორფიკოსებს გაფაქიზებული მორალური გრძნობა უბიძგებდათ (თუკი ეს მოტივი მათი მიმატებულია), მათთვის მიუღებელი იყო სოციალურ პრობლემათა ასეთი მხეცური მკვლელობის გზით გადაწყვეტა, მატრიარქატი აქ, როგორც ჩანს, არაფერ შუაშია, – ასკვნის ლოსევი.

როგორც ცნობილია, დელფოში, აპოლონის სამისნოში, მგელი განსაკუთრებული თაყვანისცემით სარგებლობდა; იქ ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მგლის ქანდაკებაც ყოფილა აღმართული. მრავალ წყაროში ნათქვამია, რომ მგელი აპოლონის წმინდა ცხოვე-

ლად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, შემდგომ პერიოდში ტერმინი „აპოლონ ლიკეოსი“ მგლის მკვლელად გადაიაზრეს. ასეა ბევრ ცნობილ ავტორთან, მაგალითად, სოფოკლეს „ელექტრაში“. პავსანიასის ერთი ცნობის მიხედვით, აპოლონს მგლების განყვეტისა და ნახირთა გადარჩენისთვის სიკიონში ტაძარი აღუმართეს. არსებობს ამ ტერმინის სრულიად სხვა განმარტებაც, რაც არა მგელს, არამედ „ლიკიაში შობილს“ უკავშირდება. მაგრამ ჩვენი მითის მიხედვით, როგორც ჩანს, უფრო ადრეულ ხანაში აპოლონი მგლის სახითაც პერსონიფიცირდებოდა. წინამდებარე მითის მიხედვით, მგელი ან თვითონ აპოლონია, ან მის მიერ გამოგზავნილი წმინდა ცხოველი, რომელიც ხარს სძლევს. მხილველთა განსაკუთრებული გაკვირვება და აღფრთოვანება ამ ფაქტმა (როგორც ეს მითშია მოთხრობილი) ეტყობა იმიტომაც გამოიწვია, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში მგელი ხარს ვერ ერევა.

დანაოსთან უნდა იყოს დაკავშირებული ბერძენ ტომთა უკვე ჰომეროსთან დადასტურებული ერთ-ერთი სახელწოდება – დანაელები (დანაოჲ). დანაოსის ეგვიპტიდან გადმოსახლების მითს უკანასკნელ ხანებში საინტერესო საყრდენი გამოუჩნდა ძველ ეგვიპტურ წერილობით წყაროებში, სადაც მიკენური საბერძნეთის (ან მისი ერთ-ერთი რეგიონის) სახელად მოიხსენიება ტანაია ან დანაია. მასთან ეგვიპტეს უკვე ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში უნდა ჰქონოდა ურთიერთობა. მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით, დანაოსის ეგვიპტიდან ელადაში გადმოსახლება სწორედ XVI ან XV საუკუნით თარიღდება.

## ⑤

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. პერსევსი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი იყო. მრავალ ანტიკურ წყაროშია შემონახული მითი დანაესა და პერსევსის შესახებ: ჰომეროსი, „ილიადა“, VI,160; ჰეროდოტე, II,91; ჰიგინუსი, „მითები“, 63; პავსანიასი, II,21,6-8;25,7; აპოლოდოროსი, II,2,1,4,2,4,7;III,4-5; პინდაროსი, „პითიური ოდები“, X,31; ევრიპიდე, „ელექტრა“, 459-463; აპოლონიოს როდოსელი, IV,1513; ჰორაციუსი, „ოდები“, III,161; სტრაბონი, IV,740;V,1-235;VIII,6,11;X,5,10; იოსებ ფლავიუსი, „იუდეველთა ომის ისტორია“, III,9,2; პლინიუსი, „საბუნებისმეტყველო ისტორია“, VI,35;IX,4; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, IV,740;V,1-235;V,236-241.

მითის ზოგიერთი ვერსიის მიხედვით (სოფოკლე, „ანტიგონე", 944), აკრისიოსმა დანაესთვის მიწისქვეშ გაათხრევინა დარბაზები, რომლებიც ბრინჯაოსა და ქვისგან იყო ნაგები და იქ ჩაკეტა თავისი ასული.

არსებობს მითის სხვა ვარიანტიც, სადაც მოთხრობილია, რომ პოლიდექტესმა, რომელიც სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დაეღუპა პერსევსი, თავისთან იხმო ჭაბუკი და განუცხადა, რომ თუ იგი მართლაც ზევსის შვილი იყო, არ გაუჭირდებოდა გმირობის ჩადენა და არ შეუდრკებოდა განსაცდელს. მან გამომწვევად მიმართა პერსევსს: „დამიმტკიცე, რომ ზევსი მართლაც მამაშენია და მომიტანე გორგო მედუზას თავი! მე მჯერა, რომ დიადი ღმერთი შეეწევა თავის ვაჟს!"

მითის ზოგი ვერსიით (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", V,180), პერსევსს პირობა არა მხოლოდ კასიოპეამ, კეფევსმაც დაურღვია. მათ ანდრომედეს უწინდელ საქმროს განუცხადეს, რომ ამ მძიმე წუთებში, როცა მეფის ასულის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ისინი იძულებულნი იყვნენ პერსევსის წინადადება მიეღოთ, თუმცა მათი აზრით, ანდრომედე ცოლად აგენორს უნდა შეერთო, რადგან იგი პერსევსამდე იყო მისი საქმრო.

ჰიგინუსთან პოლიდექტესი გაცილებით უფრო მიმზიდველად გამოიყურება, იგი ცოლად ირთავს დანაეს, ხოლო პერსევსს ათენას ტაძარში გზავნის აღსაზრდელად. როცა აკრისიოსი შეიტყობს მათი გადარჩენის ამბავს, სერიფოსზე გაემგზავრება, რათა ამჯერად საკუთარი ხელით მოკლას პერსევსი. მაგრამ საქმეში მეფე პოლიდექტესი ჩაერევა და ორივეს საჯარო ფიცს დაადებინებს, რომ ერთმანეთს არას დაუშავებენ. აკრისიოსი ხომალდით უნდა გაემგზავროს, მაგრამ ქარიშხალი ამოვარდება და ზღვაზე გასვლა შეუძლებელი შეიქნება. ამასობაში გარდაიცვლება პოლიდექტესი და სერიფოსის მცხოვრებლები მის პატივსაცემად ასპარეზობებს გამართავენ. ამ შეჯიბრში პერსევსიც მონაწილეობს. მის მიერ ნატყორცნი ბადრო შემთხვევით პაპამისს მოხვდება და იმსხვერპლებს. აკრისიოსი ბედისწერას ვერ ასცდა. დამწუხრებული პერსევსი არგოსისაკენ გაცურავს, რათა იქ გამეფდეს. მაგრამ ჩასვლისთანავე შეიტყობს, რომ არგოსის სამეფო ტახტი პროიტოსს დაუკავებია. პერსევსი მსწრაფლ დასწვდება მედუზას თავს და პროიტოსს ქვად გადააქცევს. პერსევსი მთელი არგოსის მეფე ხდება და დიდხანს მორჭმულად განაგებს სამეფოს, სანამ პროიტოსის ვაჟი მეგაპენთესი შურს არ იძიებს მამის მკვლელობისთვის და პერსევსს სიცოცხლეს არ გამოასალმებს.

ერთი გადმოცემის მიხედვით, პერსევსი სამი-ოთხი წლისა თუ იქნებოდა, როცა მისი არსებობა მეფე აკრისიოსმა შეიტყო. აკრისიოსი თავისი სასახლის ეზოში იჯდა, უცბად ქვემოდან ბავშვის ყვირილის ხმა შემოესმა. ბავშვს ბურთი ხელიდან გასხლტომოდა და დაეყვირა. აკრისიოსმა გამოიძია ეს ამბავი და სიმართლეს მიაკვლია. მან დანაესთვის მიჩენილი ძიძა სიკვდილით დასაჯა, დედაშვილი კი, როგორც ეს მითის ძირითად ტექსტშიცაა, ზღვას მისცა. სხვა მონათხრობის მიხედვით, პერსევსის არსებობა პაპამ დაბადებისთანავე შეიტყო.

აპოლოდოროსის მიხედვით (აპოლოდოროსი, II,4,2), პოლიდექტესმა მოაწყო ნადიმი და საჩუქრად ცხენები მოითხოვა, რათა თავისი საცოლისთვის, ჰიპოდამეასთვის, საქორწინო ურვადი შეეგროვებინა. მეფემ მშვენივრად იცოდა, თუ რა ხელმოკლედ ცხოვრობდა პერსევსი და რომ საჩუქრად ცხენს ვერ მიუყვანდა. რაკი ამას ვერ შეძლებდა, პოლიდექტესის ვარაუდით, სირცხვილეული დატოვებდა იგი კუნძულს და დანაე დაუცველი დარჩებოდა, მაშინ მეფე იოლად აისრულებდა თავის საწადელს და დანაეს ხელში ჩაიგდებდა. მეფემ ჰიპოდამეაზე დაქორწინება სწორედ ამ განზრახვით მოიგონა.

ზოგიერთი ვერსიის თანახმად (ჰესიოდე, „თეოგონია", 274,277), გრაიები დარაჯად ედგნენ მედუზებს. გაუვალი ტყე და კლდეები შეუძლებელს ხდიდა მათ სამყოფელამდე მიღწევას. კლდის ვარდების მხარეს ეძახდნენ იმ ადგილს. ეს იყო წყვდიადის მხარე, რომელსაც არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა. ამ მხარეს მხოლოდ აღმოსავლეთიდან ჰქონდა მისასვლელი. თვით ათენამაც არ იცოდა გზა გორგო მედუზასა და მისი დების ადგილსამყოფელისკენ. გრაიები დღედაღამ დარაჯობდნენ გორგონების მღვიმეს და მხოლოდ მაშინ გადასცემდნენ ერთიმეორეს იმ ერთადერთ თვალს, როცა სადარაჯოზე იცვლებოდნენ. სწორედ ამ მომენტს უცდიდა იქვე ჩასაფრებული პერსევსი. გამოქვაბულში კი ეძინა სამ საშინელ დას, რომელთაგან მხოლოდ მედუზა იყო მოკვდავი.

ჰიგინუსი მოგვითხრობს ოვიდიუსის ვერსიას: აკრისიოსმა პერსევსის დაბრუნება რომ შეიტყო, შეშინებულმა თესალიისკენ გასწია და იქ თავი შეაფარა ციხე-ქალაქს, რომელსაც ლარისა ერქვა. პერსევსი პაპასთან შესარიგებლად გაემართა (ამ თემას ეძღვნებოდა სოფოკლეს ტრაგედია „ლარისელები"). გადაიხადეს შერიგების ზეიმი და აკრისიოსი უკვე ემზადებოდა არგოსში დასაბრუნებლად. მაგრამ დღესასწაულის დროს ლარისელი ჭაბუკები ერთმანეთს დისკოს ტყორცნაში გაეჯიბრნენ. პერსევსმაც გატყორ-

ცნა დისკო, რომელიც აკრისიოსს შემთხვევით ფეხში მოხვდა; ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და აკრისიოსი სიცოცხლეს გამოასალმა.

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც პერსევსმა დიონისე, ღვინის ღმერთი, მოკლა და მდინარე ლერნეში გადააგდო, რომელიც ქვესკნელის კარიბჭეს ქმნიდა („ილიადა“, XIV,სქოლიო 319); მაგრამ პლუტარქეს მიხედვით (ფრაგმენტი 364), მალე წყლის სიღრმიდან კვლავ გამოჩნდა ღვინის ღმერთი.

ერთი ძველი გადმოცემის თანახმად, პერსევსმა დიონისეს ცოლი არიადნე ქვად აქცია (ნონოსი, „დიონისიაკა“, 47,666).

პავსანიასი გადმოგვცემს, რომ პერსევსი არგოსში ჩასულ დიონისეს შეებრძოლა და რამდენიმე თანამგზავრი მოუკლა (II,20,4;II,22,1).

გადმოცემის თანახმად, პერსევსის საფლავი მიკენიდან არგოსისკენ მიმავალ გზაზეა (პავსანიასი, II,18,1).

ზოგი ვერსიის მიხედვით (პავსანიასი, II,23,7), პერსევსმა და დიონისემ ბოლოს მშვიდობა დაამყარეს. არგოსში აიგო კრეტელი დიონისეს ტაძარი, სადაც დაკრძალულია არიადნე.

ჰიგინუსის ვერსიის მიხედვით, არგოსში დაბრუნებული პერსევსი მეგაპენთესმა მოკლა, იგი იყო უზარმაზარი ქვებით ნაგები ქალაქის, ტირინსის მეფე. მან ბიძამისზე, აკრისიოსზე შურისძიების მიზნით ჩაიდინა ეს მკვლელობა.

არსებობს გადმოცემა (პავსანიასი, II,16,3) იმის შესახებ, თუ როგორ დააარსა პერსევსმა მიკენი. ერთხელ, როცა იგი საშინელმა წყურვილმა შეიპყრო, უეცრად ნახა, რომ მის თვალწინ სოკო (mykes) ამოიზარდა, საიდანაც წყალმა გადმოხეთქა. გმირმა დაიცხრო წყურვილი და მერე იმ ადგილას ქალაქი მიკენი ააშენა.

მითის სხვა ვერსიით („ილიადა“, XV,302-ე სქოლიო), ეს ამბავი ასე მოხდა: პერსევსმა შენიშნა, რომ მისი ხმლის ქარქაშს ბუნიკი დაჰკარგოდა (ბუნიკსაც ძვ. ბერძნულად mykes-ი ჰქვია) და იმ ადგილას, სადაც ეს ნახა, ქალაქი მიკენი დააარსა.

მითები *მელეაგროსის* შესახებ შემორჩენილია შემდეგ ანტიკურ წყაროებში: ჰომეროსი, „ილიადა“, IX,527; ელიანოსი, „ჭრელ-ჭრელი ამბები“, XIII,1; კალიმაქოსი, „ჰიმნი არტემისისადმი“, 215;220-224; აპოლოდოროსი, III,9,2;I,8,2-3; პავსანიასი, X,31,2; ანტონინუს ლიბერალუსი, 2; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, III,113; ჰიგინუსი, „მითები“, 70;99;270;171-174 და 273; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, X,565;VIII,270-545.

არსებობს კალიდონის ნადირობის შესახებ მითის აპოლოდოროსისეული ვერსია (აპოლოდოროსი, I,8,2), რომლის მიხედვითაც, როცა მელეაგროსს ბიძები დაუპირისპირდნენ და მოსთხოვეს, ატალანტესთვის წაერთმია ჯილდო და მათთვის გადაეცა, მონადირე ქალწულზე შეყვარებული მელეაგროსი განრისხდა და მრისხანების ჟამს ორი ბიძა შემოაკვდა. დანარჩენმა ბიძებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი და კალიდონს საბრძოლველად შემოადგნენ. მელეაგროსის მიერ დახოცილი ძმების გვამები რომ იხილა ალთეამ – მელეაგროსის დედამ – ხელები აღაპყრო და დაწყევლა საკუთარი ვაჟი. ქალმა შესთხოვა ქვესკნელის მბრძანებლებს, პერსეფონესა და ჰადესს, რომ ყურად ეღოთ მისი წყევლა. მელეაგროსი შინ ჩაიკეტა და ქალაქის დასაცავად არ გადიოდა, თუმცა ბიძები ქალაქს გარს შემორტყმოდნენ და მცხოვრებლებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ. ამაოდ ევედრებოდნენ კალიდონელი უხუცესები მელეაგროსს, გასულიყო და დაეცვა მშობლიური ქალაქი, ამაოდ ემუდარებოდა მოხუცი მამაც. იგი შინიდან არ გამოდიოდა და დღეებს თავის ცოლთან, მშვენიერ კლეოპატრასთან ალერსში ატარებდა. მაგრამ როცა ბიძების ლაშქარმა უკვე ქალაქშიც შემოაღწია და ლოდსატყორცნებიდან გამოტყორცნილი ქვები მისი სახლის სახურავს მოხვდა, ატირებული ცოლი ფეხებში ჩაუვარდა, გადამარჩინე სიკვდილს და მხევლად წაგვრასო; მაშინ კი აისხა გმირმა იარაღი, ეკვეთა მტერს და ქალაქიდან განდევნა. ამასობაში ერინიებმა შეისმინეს დედის წყევლა-მუდარა და აპოლონმა მელეაგროსს სასიკვდილო ისრები სტყორცნა. ღმერთის ნებამ იმძლავრა და გმირი მუგუზლის დაუწველად გამოესალმა სიცოცხლეს. თუმცა ითვლება, რომ დედის მიერ მუგუზლის დაწვის ამბავი, რასაც მითის ზოგიერთი ვარიანტი გვაუწყებს, უფრო ძველი უნდა იყოს. ამ ვერსიას ეყრდნობა ევრიპიდეც.

თუ გავყვებით მითის იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც მელეაგროსი აპოლონმა დაღუპა და არა საკუთარმა დედამ თავისი ხელით, შეიძლება ითქვას, რომ აქ ბუნებრივია სწორედ აპოლონის მონაწილეობა და არა რომელიმე სხვა ღმერთისა, რადგან არტემისი და აპოლონი და-ძმანი არიან და შეთანხმებით მოქმედებენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თავიდან სწორედ არტემისი გზავნის ეტოლიის გასაჩანაგებლად შემზარავ ტახს და შემდგომ ბიძა-კურეტების თხოვნით მელეაგროსს სწორედ არტემისის ძმა, დიადი აპოლონი უსწორდება.

მითის ერთ-ერთ ვერსიაში მოცემულია საინტერესო დეტალი: კალიდონელი ქალები იქამდე დასტიროდნენ თურმე მელეაგროსს,

ვიდრე მოყივარ ციცრებად არ გადაიქცნენ (ელიანოსი, „ცხოველთა ბუნებისათვის“, 4,42).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. აკრისიოსი და პროიტოსი – ტყუპი ძმები, რომლებიც დედის მუცელშივე ებრძვიან ერთმანეთს. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება პარალელი შესაქმის წიგნთან. აქ ნახსენებია ორი წყვილი ტყუპებისა: ფარესი და ზარა, ესავი და იაკობი. მათ დავა ჰქონდათ ერთმანეთში იმის თაობაზე, თუ რომელი მათგანი გაჩნდა პირველი, ისევე როგორც აკრისიოსსა და პროიტოსს.

გრეივსი ვარაუდობს, რომ ანდრომედეს მითის წარმოშობას, ალბათ, ხელი შეუწყო პალესტინურმა თუ სირიულმა გამოსახულებამ, რომელზედაც გამოხატულია მზის ღმერთი მარდუქი, ანდა მისი წინამორბედი ბელოსი. იგი ათვინიერებს თეთრ რაშს და კლავს ზღვის ურჩხულს თიამათს. ეს მითი შესულია აგრეთვე ძველებრაულ მითოლოგიაშიც: ესაია ამბობს, რომ იეღოვამ (მარდუქმა) გველეშაპი (რააბი) ნაჭერ-ნაჭერ მახვილით აკუწა, მაგრამ იობის წიგნის მიხედვით, რააბი ზღვაა. იმავე გამოსახულებაზე გამოხატულია ანდრომედე, რომელიც სრულიად შიშველი კლდეს არის მიჯაჭვული და ყელს კი ძვირფასი თვლები უმკობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ანდრომედე კი არა, აფროდიტეა (იგივე იშთარი), ანდა ზღვის ავხორცი ქალღმერთი, „მამრთა მბრძანებელი“ ასტარტე; მაგრამ იგი ხსნას არ ელის, რადგან თავად მარდუქმა მიაჯაჭვა კლდეს მას მერე, რაც მოკლა ზღვის გველი თიამათი (რომელიც ქალღმერთის ემანაციაა), რათა თავიდან აეცილებინა ასტარტეს ახალ-ახალი ოინები. ბაბილონურ კოსმოგონიურ მითში სწორედ იგი იწვევს წარღვნას. ასტარტეს, როგორც ზღვის ღვთაებას, ტაძრებს ალუმართავდნენ პალესტინის მთელ სანაპიროზე. ტროაში მას უწოდებდნენ ჰესიონეს – „აზიის დედოფალს“. ერთ-ერთ მითში ისიცაა ნათქვამი, რომ ჰერაკლემ დაიხსნა იგი ზღვის ურჩხულისგან.

მიკენელები დიდ თაყვანს სცემდნენ პერსევსს, ვითარცა მიკენის დამაარსებელს, თუმცა, ზოგი გადმოცემის თანახმად, მიკენი პერსევსმა კი არა, ინაქოსის ქალიშვილმა, გმირმა ქალმა მიკენემ დააარსა.

პერსევსს მეფეთა დიდი დინასტიის დაფუძნება მიეწერება. ანდრომედესგან მას ეყოლა ვაჟი პერსესი, რომელსაც სპარსი მეფეები თავიანთ წინაპრად ასახელებდნენ და არგოსს თავიანთ სამკვიდროდ აცხადებდნენ. პერსესის გარდა, პერსევსს კიდევ ჰყავდა ორი ვაჟი: ალკაიოსი და ელექტრიონი (ჰერაკლეს დიდი პაპა) და ქალიშვილი გორგოფონე (სპარტელი დიოსკურების დიდი ბებია) (ესქილე, „სპარსელები“, 79).

ძველ ბერძნულ ვაზაზე გამოსახულია შემდეგი სცენა: ორი გორგო ჰაერში მისდევს პერსევსს, ის კი პეგასოსზე ამხედრებულა, ფეხზე ფრთიანი ფეხსაცმელები აცვია, ხელთ მახვილი უპყრია, ზურგს კი მედუზას საზარელი თავი უფარავს; აბგა უკანა აქვს გადაგდებული, თავზე უჩინმაჩინის ქუდი ახურავს. ამ გამოსახულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრთოსანი პეგასოსის პირველი მხედარი პერსევსია და არა ბელეროფონი.

საინტერესოა იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ პროიტოსისა და აკრისიოსის ომში პირველად გამოუგონებიათ მრგვალი ფარები. ძმათა შორის ბრძოლის აღსანიშნავად არგოსიდან ეპიდავროსისაკენ მიმავალ გზაზე, როგორც პავსანიასი გვატყობინებს, იდგა ფარებით დამშვენებული პირამიდა (პავსანიასი, II,25,7).

ჩვენამდე არ მოუღწევია ესქილეს ერთ-ერთ ტრაგედიას „ფორკისის ასულები", რომელიც ამ მითის მიხედვითაა შექმნილი. ამ ნაწარმოებიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთადერთი სტრიქონი, მაგრამ ცნობილია, რომ ესქილე პერსევსის გრაიებთან მისვლის ამბავს არ ეხება; ნახსენები არიან მხოლოდ ნიმფები, რომლებიც ეხმარებიან გასაჭირში მყოფ გმირს და აძლევენ საჭირო ნივთებს (ფრთიან ფეხსაცმელებს, უჩინმაჩინის ქუდსა და აბგას), რომელთა დახმარებითაც პერსევსმა გორგო მედუზა უნდა დაამარცხოს. ესქილეს მიხედვით, ნიმფები ცხოვრობენ კუნძულ სერიფოსზე, ერთ პატარა მღვიმეში.

ინტერესს იწვევს ერთი ძველი გამოსახულება, რომელზედაც გორგო მედუზას ცხენის ტანი აქვს, მითის უძველესი მონათხრობების მიხედვითაც იგი ფაშატია. ეტყობა, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პერსევსი, როცა საქმე ცხენის ჩუქებაზე მიდგება, სწორედ მედუზას ასახელებს და მეფეს ამაყად განუცხადებს, რომ საჩუქრად მიუყვანს ყველაზე ძნელად მოსაპოვებელ ცხენს – გორგო მედუზას.

ვაზების მხატვრობაზე ხშირად გამოსახულია პერსევსი, რომელიც დიონისეს პროცესიას ებრძვის; მას ხელში მედუზას თავი უჭირავს და ამ იარაღით ცდილობს დაამარცხოს ღვინის ღმერთი.

პინდაროსის მიხედვით, ჰიპერბორეელთა ქვეყანა მდებარეობს სადღაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ანდა სამხრეთით. იგი აღნიშნავს, რომ გორგონები ცხოვრობდნენ ჰიპერბორეელთა ქვეყანაში, საითკენაც გაეშურა პერსევსი, რათა მოეკლა საშინელი გორგო მედუზა. საქმე ისაა, რომ ჰიპერბორეელთა ქვეყანა ჩრდილოეთით მოიაზრებოდა, ამიტომაც პინდაროსის ეს ვერსია თავიდანვე გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა. ეს წინააღმდეგობა შენიშნული ჰქონდა უკვე პინდაროსის სქოლიასტს, რომელიც ამის შესახებ

წერდა: „როგორ შეძლო პერსევსს ჰიპერბორეელთა ქვეყანაში მისვლა, თუკი იგი გორგო მედუზას მოსაკლავად მიემართებოდა? ჰიპერბორეელები ხომ ჩრდილოეთით ცხოვრობენ, გორგონები კი, როგორც ცნობილია, ბინადრობენ ეთიოპიის მხარეში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს". არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ გორგონები სახლობდნენ დასავლეთით მდებარე ლიბიის საზღვრებთან. ჰიპერბორეელთა შესახებ ვრცლად და ამომწურავად იხ. ჩვენი სერიის IV წიგნში.

გამოთქმულია შეხედულება, რომ ალთეა, მელეაგროსის დედა, თავის ვაჟს საკუთარი ხელით ღუპავს, რადგან მან მისი ძმები დახოცა, ე.ი. ალთეასთვის საგვარეულო, რომელსაც იგი ეკუთვნის, უფრო ახლობელია, ვიდრე შვილი, რომელიც მან სხვა საგვარეულოს წარმომადგენლისგან შვა. ლოსევის დასკვნით, როგორც ეტყობა, აქ მკაცრი მატრიარქატი არ უნდა იყოს, რომლის დროსაც ალთეა არ მოკლავდა თავის ვაჟს, რამეთუ ვაჟიც იმავე, დედის საგვარეულოს იქნებოდა მიკუთვნებული. მაგრამ, როგორც მითიდან ჩანს, მელეაგროსი მამის საგვარეულოს ეკუთვნის.

ძველ ბერძნულ წყაროებში კურეტების შესახებ სრულიად განსხვავებული შეხედულება არსებობდა. თავდაპირველად კურეტებად იწოდებოდნენ კრეტელი ზევსის აღმზრდელები. შემდგომში კურეტები კონტინენტური საბერძნეთის მიწაზე მცხოვრებ ცალკე ტომადაც კი მიაჩნდათ.

მელეაგროსის მითთან დაკავშირებით კერენი წერს, რომ მელეაგროსის ბიძები კურეტებად იწოდებოდნენ, როგორც საბერძნეთში კრეტული საბრძოლო ცეკვების პირველშემომტანნი. კურეტთა საბრძოლო ცეკვების შესახებ კი წყაროები გვამცნობენ, რომ ეს იყო ფარებითა და მახვილებით შესრულებული ხმაურიანი ცეკვები, რომელთა მიზანი იყო კრონოსისაგან გადამალული ჩვილი ზევსის ტირილის ხმა ფარების დარტყმებითა და ხმაურით დაეხშოთ, რათა მამა კრონოსის ყურს ბავშვის ტირილი არ მისწვდომოდა (კურეტების შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი სერიის წიგნი „ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი").

⑥

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. პირველი ატიკელი მეფეების შესახებ შემდეგ ანტიკურ წყაროებშია დაცული მითოლოგიური

ინფორმაცია: პავსანიასი, I,38,3;VII,1,2; ევრიპიდე, „ჰერაკლიდები", 771; „იონი", 277; სოფოკლე, „ოიდიპოსი კოლონოსში", 100. სქოლიოები; აპოლოდოროსი, III,14,3. 6;III,15,1. 4;IX,2,8; ლიკოფრონი, 722-ე სქოლიო; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VI,675;II,561; ჰიგინუსი, „მითები", 46;166;273; ფილოსტრატოსი, „აპოლონიუსის ცხოვრება", 7,24).

*ბორეასის* შესახებ ანტიკური წყაროები ძუნწად გვაწვდიან ცნობებს. ჰომეროსი, „ილიადა", XX,219;224; ჰომეროსის „ოდისეას" სქოლიოები, XIV,533; ჰეროდოტე, VII,189; კალიმაქოსი, „ჰიმნი არტემისისადმი", 114 და „ჰიმნი დელოსისადმი", 26 და 63-65; აპოლონიოს როდოსელი, I,212; აპოლოდოროსი, III,15,1-3. ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VI,677; პავსანიასი, V,19,1.

*იონის* შესახებ მითი სულ რამდენიმე ანტიკურმა წყარომ შემოგვინახა: ევრიპიდე, „იონი", სტრაბონი, VIII,7,1; პავსანიასი, VII,1,2; კონონოსი, „მონათხრობი", 27.

მითი *ფილომელას, პროკნესა* და *იტისის* შესახებ ძალზე პოპულარული იყო. მრავალმა ანტიკურმა წყარომ შემოგვინახა იგი: თუკიდიდე, II,29,3; სტრაბონი, IX,3,13; აპოლოდოროსი, III,14,8; პავსანიასი, I,41,8;I,5,4; და X,4,6; სოფოკლეს „ტერევსის" ფრაგმენტები, 523-538; ევსტათიოსი, „ჰომეროსის „ოდისეას" შესახებ", XIX,418; ნონოსი, „დიონისეს ქმედებანი", IV,320; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VI,426-474; ჰიგინუსი, „მითები", 45.

აპოლოდოროსის მიხედვით (IX,2,8), ათენელები თავს მიიჩნევდნენ კეკროფსის უახლოეს ნათესავებად, რადგან მის მსგავსად ისინიც არა მამრობითი საწყისიდან, არამედ ატიკის რბილი და მოწითალო მიწისგან იშვნენ, რომელიც უძველეს დროში ურჩხულებსა და უცნაურ ცხოველებს კი არა, ადამიანებს შობდა.

როგორც მითის ზოგიერთი ვერსიით აშკარავდება (პავსანიასი, V,3,2; ევრიპიდე, „ჰერაკლიდები", 771), ერიხთონიოსი ათენას ვაჟი უნდა ყოფილიყო, მის მამად კი ან ჰეფესტო და ან კეკროფსი სახელდება. ათენა თავიდანვე ქალწულ ღვთაებად როდი მოიაზრებოდა. როგორც ვარაუდობენ, მისი სიქალწულე მხოლოდ შემდგომ იქნა მოგონილი ათენელთა დიდი ძალისხმევით. ამაში ისინი თავიანთი ქალაქის შეუვალობის სიმბოლოს ხედავდნენ. კეკროფსის გულითადი ურთიერთობა ქალღმერთთან დიდხანს გრძელდებოდა და იგი საიდუმლოებით იყო მოცული. ამაზე მითი თითქმის არაფერს ამბობს. მაგრამ ცნობილია კეკროფსის ორმაგი კავშირი აგლავროსთან – როგორც ცოლთან და როგორც ასულთან. ეს კი

ათენას ერთ-ერთი სახელი იყო, რომლითაც იგი მრისხანე ქმედებათა დროს იხსენიებოდა და მისტერიებთან იყო დაკავშირებული.

მითის ზოგი ვარიანტი (ლიკოფრონი, 722, სქოლიო), კეკროფსის ვაჟიშვილად ასახელებს ერისიხთონს – „მიწის მცველს“. აქაც სახელის ფუძეში მისი ხთონური წარმომავლობაა გამჟღავნებული. მასზე სხვა არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ იგი უშვილოდ გადაეგო.

თუ როგორ გადაწყდა პოსეიდონისა და ათენას დავა, ამაზე რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი ვერსიით, კეკროფსის მეფობის დროს აკროპოლისზე ერთდროულად აღმოცენდა ზეთისხილი და ამოჩუხჩუხდა მლაშე წყარო. კეკროფსმა დელფოს ორაკულს ჰკითხა, თუ რისი მაუწყებელი იყო ეს და პასუხად მიიღო, რომ ზეთისხილი ათენამ აღმოაცენა, წყარომ კი პოსეიდონის ნებით ამოხეთქაო. მოქალაქეებს თავად უნდა გადაეწყვიტათ, რომელი მათგანის სახელი დაერქმიათ ქალაქისთვის. რადგანაც იმ დროს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ქალებსაც ჰქონდათ, ისინი კი უმრავლესობას წარმოადგენდნენ, უპირატესობა ქალღმერთ ათენას მიენიჭა. სხვა ვერსიის მიხედვით, როცა ღმერთების ხმები თანაბრად გაიყო, ზევსმა ეს დავა თავისი ასულის სასარგებლოდ გადაწყვიტა, კეკროფსი კი მხოლოდ მოწმე იყო ამ ქმედებისა, რაც ვაზებზე გამოსახული ნახატებითაც დასტურდება. ამ ვერსიის შექმნა, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ათენელებს მიაჩნდათ – მხოლოდ კეკროფსის მიერ გაკეთებული არჩევანი ამცრობდა ათენის დაარსებისა და სახელდების ღვთაებრივ აქტს; იგი თავად ზევსის მიერ უნდა ყოფილიყო ხელდასხმული. ამავე ვერსიას უჭერს მხარს პართენონის დასავლეთ ფრიზზე გამოსახული სცენაც.

ზოგიერთი ვერსიის თანახმად (აპოლოდოროსი, III,14,6), აგლავროსს – კეკროფსის უფროს ასულს, ყველაზე მეტად აინტერესებდა კალათაში ჩახედვა; სწორედ მან თავისი ხელით ახადა სარქველი ყუთს ან კალათას. ის, რაც დებმა დაინახეს, ეს საიდუმლოც მითის სხვადასხვა ვერსიებში სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული – ეს იყო გველი, ანდა ბავშვი, რომელსაც გველი დარაჯობდა, ან სულაც ორი გველი; დაბოლოს, კალათაში იწვა ბავშვი, რომელსაც ფეხების ნაცვლად გველები ესხა. ასულებმა რომ ეს საიდუმლო იხილეს, უმალ გონება აერიათ, გაგიჟდნენ და იმ კლდიდან გადაეშვნენ, სადაც ახლა აკროპოლისია აღმართული. ზოგი ვერსიის მიხედვით კი, კეკროფსის ასულებმა რომ კალათას სარქველი ახადეს, იქიდან გველები გადმოცოცდნენ და თავზარდაცემულ ქალებს დაერივნენ.

აპოლოდოროსის მიხედვით (აპოლოდოროსი, III,14,5), ჰეფესტო, რომელიც ავხორცი ღმერთი სულაც არ იყო, ერთხელ აჰყვა ცდუნებას და ათენასთან სარეცლის გაზიარება მოინდომა. როცა ქალწულის დაყოლიება ნებით ვერ შეძლო, გადაწყვიტა, ძალა ეხმარა. ათენა შუბით იცავდა თავს, ვნებით ანთებული ჰეფესტო ერთი კი მისწვდა ქალღმერთს და ხელი წაავლო, მაგრამ იგი ხელიდან დაუსხლტა და ჰეფესტოს თესლი მუხლზემოთ მიესხა, მან იგი მატყლით მოიწმინდა და იქვე მიაგდო. საინტერესოა, რომ მითის თითქმის ყველა ვერსიაში ნახსენებია მატყლი (erion) და ნათქვამია, რომ ქალღმერთმა ამით მოიწმინდა თესლი. ზოგიერთი მკვლევარი სიტყვა „მატყლსა" (erion) და ერიხთონიოსის სახელს შორის კავშირს ხედავს.

მითის სხვა ვერსიის მიხედვით (ჰიგინუსი, „მითები", 166), ჰეფესტოსა და ათენას შორის მოხდა განხეთქილება – "eris"-ი და ამიტომ დაერქვა ბავშვს Ἐριχθόνιος. ზოგი ვარაუდობს, რომ ქალღმერთმა გეამ, რომელსაც აგრეთვე „ხთონი" ერქვა, ამ თესლისგან შვა ერიხთონიოსი. ათენამ წამოიყვანა ჩვილი ერიხთონიოსი და უნდოდა, იგი საიდუმლოდ გაეზარდა, რათა სხვა ღმერთებს ამის შესახებ არაფერი სცოდნოდათ. მითში აღნიშნულია, რომ ათენამ ბავშვი მრგვალ კალათაში ჩააწვინა, იმის მსგავსში, მისტერიების დროს რომ ხმარობდნენ.

პავსანიასის მიხედვით (პავსანიასი, I,8,2), ათენამ ჩვილი სკივრში ჩააწვინა ისე, როგორც აფროდიტემ ადონისი.

ერთი ვერსიით (ფილოსტრატოსი, აპოლონიოსის ცხოვრება, 7,24), ათენამ შვა გველი.

ზოგი გადმოცემა გვაუწყებს, რომ ბორეასმა ორითიია წაიყვანა თრაკიაში, კიკონების ქალაქში, სადაც ისინი ერთმანეთს შეეუღლნენ და ერთად ცხოვრება იწყეს.

არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად ბორეასმა ორითიია ილისის ღელეში მოახლე გოგონებთან თამაშის დროს გაიტაცა.

ევრიპიდე ეყრდნობა იონის მითის იმ ვარიანტს, სადაც ნათქვამია, რომ დედისგან მიტოვებული ჩვილი იონი ჰერმესმა გადაარჩინა და დელფოში წაიყვანა.

პავსანიასის მიხედვით (პავსანიასი, VII,1,2), ქსუთოსმა თავად დაარქვა ბიჭს იონი, რადგანაც იგი პირველი შემოხვდა მას ტაძრის შესასვლელთან.

მითის ერთ-ერთი ვარიანტი მოგვითხრობს, რომ ყოველივე გაირკვა მხოლოდ ათენას ღვთაებრივი შემწეობით – დედა-შვილმა შეიცნო ერთმანეთი.

არსებობს ვერსია, რომლის თანახმად ათენში გამოქცეული ქსუთოსი აირჩიეს მომრიგებელ მოსამართლედ და მან თავისი დედინაცვლის შვილი – კეკროფს მეორე – ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ ქსუთოსის ამ ქმედებამ მოსახლეობაში მხარდაჭერა ვერ პოვა, პირიქით, მოქალაქენი აღშფოთდნენ და ქსუთოსი ქალაქიდან გააძევეს.

აპოლოდოროსი პროკნესა და ფილომელას მითს ცოტა სხვაგვარად მოგვითხრობს (III,14,8). ომის ღმერთის, არესის ვაჟი, ტერევსი ცხოვრობდა ატიკის ახლოს, დავლისში. მან ცოლად პანდიონის უფროსი ასული პროკნე შეირთო, თუმცა დანახვისთანავე შეუყვარდა მისი უმცროსი და ფილომელა და მისი ხელში ჩაგდება განიზრახა. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მან ცოლი სადღაც მიყრუებულ ქოხში გამოკეტა, მერე კი პანდიონთან გამოცხადდა და განუცხადა, რომ თითქოს პროკნე გარდაცვლილიყო (ოვიდიუსი, „ფასტები“, II,607). მამა სასტიკად დაამწუხრა ქალიშვილის სიკვდილის ამბავმა. დაქვრივებულ ქმარს თანაუგრძნო და ცოლად თავისი მეორე ქალიშვილი ფილომელა შესთავაზა. ტერევსმა ფილომელა შინ წაიყვანა და მასზე ძალა იხმარა. მალე პროკნემდე მიაღწია ამ ამბავმა, მაგრამ ტერევსმა სიფრთხილე გამოიჩინა და პროკნეს ენა ამოჰკვეთა, შემდეგ სახლის იმ ნაწილში ჩაკეტა, სადაც მონათა სადგომები იყო. ფილომელა კი თავისთან, სასახლეში ჰყავდა. ენაამოგლეჯილმა პროკნემ მაინც მოახერხა დასთან დაკავშირება. მან ფილომელას საქორწილო კაბაზე, რომელსაც მონები უკერავდნენ, რამდენიმე სიტყვა ამოქარგა: „პროკნე მონათა შორის“. სწორედ იმ დროს ტერევსი ორაკულმა გააფრთხილა, რომ მის ვაჟს, იტისს უახლოესი სისხლით ნათესავის ხელით დაღუპვა ეწერა. მან იფიქრა, რომ ეს უსათუოდ მისი ძმა დრიანტოსი იქნებოდა, რომელსაც სურდა, სამეფო ტახტი როგორმე ხელთ ჩაეგდო და სისხლიან შეთქმულებას აწყობდა. ამიტომ ტერევსმა დაასწრო ძმას, თავს დაესხა და ცულით თავი გაუპო. სწორედ იმ დღეს ფილომელამ ამოიკითხა პროკნეს მიერ კაბაზე ამოქარგული წერილი და სასწრაფოდ მონათა საცხოვრისში მივიდა. მან იქ ნახა, რომ ერთ-ერთი კარი საგულდაგულოდ იყო ჩაგმანული. შეამტვრია და დატყვევებული და გაათავისუფლა. ენაამოკვეთილი პროკნე უმწეოდ დარბოდა მის გარშემო და ცდილობდა, რაღაც ეთქვა. ფილომელა სათქმელს მიუხვდა: „ტერევსს სამაგიერო უნდა მიეზღოს ამ ბოროტებისთვის, შენ მკვდრად გამოგაცხადა და დაგამუნჯა, მე კი ძალით დამეუფ-

ლა!“ – შესძახა მან დას. უენო პროკნემ თავის დაქნევით ანიშნა, რომ სწორედ ამის თქმა სურდა. იგი გარეთ გავარდა, მიეჭრა თავის ვაჟს და მახვილით განგმირა. შემდეგ დებმა ბიჭუნას სხეული ასო-ასოდ აქნეს და ტერევსს მისგან შეჭამანდი მოუმზადეს. ტერევსი შინ რომ დაბრუნდა, ვახშამი უკვე მზად იყო. როცა იგი მიხვდა, ვის ხორცს ჭამდა, თავზარი დაეცა, ხელი იმ ცულს წამოავლო, რომლითაც ცოტა ხნის წინ ძმა აჩეხა და დებს მოსაკლავად დაედევნა. მაგრამ ღმერთებმა სამივენი ფრინველებად აქციეს: პროკნე – მერცხლად, ფილომელა – ბულბულად, ტერევსი კი – ოფოფად. მას შემდეგ უენოდ დარჩენილი მერცხალი ჭიკჭიკებს და კამარას უვლის ცაში, ხოლო ოფოფი, რომელიც მუდამ მას დაეძებს, ერთთავად „პოი, პოი“-ს („სად“, „სად“) გაიძახის. ბულბულად ქცეული ფილომელა კი დღემდე თავის ბიჭს, იტისს დასტირის, დასტირის მას, ვისი სიკვდილის უნებლიე მიზეზიც თავად შეიქმნა და მუდამ „იტი, იტი“-ს გალობს. ფოკისში ამბობდნენ, რომ დავლისს ტერევსის შიშით მერცხლები არ ეკარებიან და არც ბულბულები გალობენ ამ ადგილებშიო (ჰიგინუსი, „მითები“, 45).

პავსანიასი გადმოგვცემს, რომ ტერევსის საფლავი მეგარაში იყო (პავსანიასი, I,41,8).

თუკიდიდეს მიხედვით (II,29), არესის ძე ტერევსი თავდაპირველად თრაკიასთან დაკავშირებული არ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მითის გვიანდელი ვერსიები მოგვითხრობენ, რომ ტერევსი ათენში ხომალდით ჩადის პანდიონთან – თავის სასიმამროსთან (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, VI,444).

განმარტებები. სახელი კეკროფსი „კუდის მქონეს“ ნიშნავს. მითის თითქმის ყველა ვერსიის მიხედვით, მას გველის კუდი აქვს. იგი ხთონური წარმოშობისაა და არის "diphyes" – „ორბუნებოვანი“, წილნაყარი ადამიანურ ბუნებასთანაც და ხთონურ ქვეწარმავლურ საწყისთანაც. ეს ორბუნებოვნება, როგორც კერენი აღნიშნავს, ზოგიერთ ბერძენ ისტორიკოსს არასწორად ესმოდა და ისინი კეკროფსსაცა და ხთონური წარმომავლობის ზოგიერთ სხვა ღვთაებასაც ორსქესიანობას მიაწერდნენ, რასაც მითის მონაცემები არ ადასტურებს.

დიდი თავყრილობა, რომელიც კეკროფსმა მოაწყო, იწოდებოდა სინოიკისისად, რის ხსოვნასაც ათენელები მოგვიანებითაც აღნიშნავდნენ სინეკიას დღესასწაულით (პინდაროსი, „ოლიმპიური ოდები“, 193), როგორც ატიკელთა ერად ჩამოყალიბების პირველ

უდიდეს აქტს. თითოეულის მიერ მოტანილმა კენჭმა – „ლაასმა“ – ატიკის მკვიდრნი ხალხად „ლაოსად“ აქცია (პავსანიასი, V,13,2).

კეკროფსს მიეწერება კიდევ სხვა მრავალი ახალი წესის დამკვიდრება. ერთ-ერთი მათგანია მიცვალებულთა მიწაში დამარხვის წესი, რომელიც მანამდე ატიკაში წესად არ ჰქონიათ. აქაც ნათლად ჩანს გმირის ხთონური საწყისის პრიმატი – ადამიანი დიდი დედის საშოში ბრუნდება.

პოსეიდონი მარცხდება ათენასთან, ისევე როგორც ინაქოსის მითში არგოსის მხარისათვის ცილობის დროს – ქალღმერთ ჰერასთან.

კეკროფსი მეორდება ორი სახელით – როგორც ერისიხთონი და როგორც ერიხთონიოსი. ადგილი, რომელიც მის საფლავად მიაჩნდათ, იყო არა საფლავი, არამედ ნიშანი მისი და ათენას მჭიდრო ურთიერთობისა.

აპოლოდოროსის ცნობით (I,9,8), ერიხთონიოსს დაუწესებია პანათენეები და ათენელთა სხვა დიდი დღესასწაულები. მას აუშენებია აგრეთვე ათენა პოლიასის სამლოცველო (სოფოკლე, ფრაგ. 648), დაუდგამს ქალღმერთის ხის ქანდაკება და იქვე დაკრძალულა (დიოდოროს სიცილიელი, VI,6,5). როგორც ჩანს, მის სახელში აქცენტირებულია ხთონიოსი (ქვესკნელური არსება), რაც არ გულისხმობდა მბრძანებელსა და მეფეს აქ, ზემოთა ქვეყანაში, არამედ აღნიშნავდა საიდუმლოებით მოცულ ბავშვს, რომელსაც ზოგიერთ მისტერიაში სცემდნენ თაყვანს და თხრობით გადმოცემებში იშვიათად მოიხსენიებდნენ. უფრო ღიად გვიყვებიან ერეხთევსზე, გმირზე, რომელიც ჰომეროსთან ათენას აღზრდილად იწოდება, მის ტაძარში ამ გმირს ჰქონდა თავისი სალოცავი – ერეხთეიონი.

ერეხთევსის ქალწულთა კულტის ადგილი, ქალიშვილებისა, რომლებიც ამ ბრძოლას შეეწირნენ, არანაკლებ წმინდად ითვლებოდა, ვიდრე ერეხთეიონი (აპოლოდოროსი, I,9,7). მას ერქვა ლეოკორიონი (ან ლეოკორეიონი) – „ხალხის ქალიშვილების“ სამლოცველო (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, X,608), ანუ ხალხისთვის შეწირული ქალწულებისა. შემდგომში ცნება „ხალხის ქალიშვილები“, როგორც ჩანს, გაუგებარი გახდა და მას უფრო გასაგები ეტიმოლოგია გამოუძებნეს: ამტკიცებდნენ, რომ ვინმე ლეოსმა (სახელი ისევე ჟღერს, როგორც ატიკაში leos „ხალხი“) თავისი სამი ქალიშვილი ათენის გადარჩენას შესწირა (აპოლოდოროსი, I,9,9), მათი სახელები – პრაქსითეა, თეოპე და ევბულე, შესაძლოა, ქვესკნელის ქალღმერთის სახელები იყოს.

მითის მიხედვით, პირველნი, ვინც სამშობლოს შეეწირნენ, იყვნენ: აგლავროსი (საიდუმლო ცერემონიებში ათენას ორეული) და კეკროფსისა და ერეხთევსის ქალიშვილები, მათ შორის განსაკუთრებით მოიხსენიება ხთონია – „მიწისქვეშელი“ („ილიადა“, VI,156).

შეუძლებელია იმის თქმა, ათენელი ქალები ნამდვილად გმირულად დაიხოცნენ თუ არა სამშობლოსათვის. ამ ფაქტის დამადასტურებელი ისტორიული მასალა არ მოგვეპოვება.

ეს მითი გამოიყენა ევრიპიდემ თავის ტრაგედია „ერეხთევსში“, სადაც გადმოცემულია ევმოლპოსისა და ერეხთევსის ბრძოლა და ერეხთევსის სამი ასულის გმირული თავგანწირვა.

სახელი „ერეხთევსი“, ფორმით – ერიხთევსი, შეიცავს იმავე ელემენტებს, რასაც შედგენილი სიტყვა „ერიხთონიოსი“, ოღონდ „ერეხთევსს“ აქვს უფრო ძველი, პიროვნების აღმნიშვნელი დაბოლოება. გადმოცემა ბავშვზე, რომელიც მიწის ქალღმერთს ჰეფესტოსგან ჩაესახა, მასაც ისევე ეკუთვნის, როგორც ერიხთონიოსს და მისი კავშირიც ათენასთან მჭიდროა. ერიხთონიოსზეც ერთმნიშვნელოვნად არ არის ნათქვამი, ბავშვი თავად იყო გველფეხება, თუ მას გველები სდარაჯობდნენ. როდესაც შემდგომ იგი მეფეთა სიაში შეიტანეს, მას სრულიად ადამიანური იერსახე მიენიჭა, მასთან გველის სახე უკვე აღარ იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ ჰყვებიან ერეხთევსის ტრაგიკულ ბრძოლაზე პოსეიდონთან, სადაც იგი ბოლოს და ბოლოს დაიღუპა: პოსეიდონმა თავისი სამკბილას დაკვრით იგი მიწის სიღრმეში გააქრო. გადმოცემა გვიამბობს, რომ პოსეიდონმა ბოლოს მაინც შეაღწია თავისი ძმისწულის, ათენას საბრძანებელსა თუ საუფლოში. იქ მას პოსეიდონ-ერეხთევსის სახელით სცემდნენ თაყვანს. მან თანდათან გამოაძევა გმირი ერეხთევსი და ათენელებს შეექმნათ საშიშროება, რომ ზღვის მეუფე-ღმერთის გვერდით დასახლებული ძველი გმირი დავიწყებას მიეცემოდა. ისინი ორაკულმა გააფრთხილა, რომ პოსეიდონის სამსხვერპლოზე, ერეხთეიონში, მსხვერპლი ერეხთევსისთვისაც შეეწირათ. საერთო სახელი და კულტი იყო მათი შერიგების მაჩვენებელი, იმის მაუწყებელი, რომ ღმერთმა ეს გმირი ცნო და სამლოცველოში იგი თანასწორუფლებიანი წევრი იყო.

მითის მიხედვით, დიდხანს გაგრძელებულა ერეხთევსის ბრძოლა პოსეიდონის შვილებთან, რომლებიც ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და ათენელთა მეხსიერებაში დარჩნენ როგორც თრაკიელები. ერეხთევსს ტახტისთვის ეცილებოდა და ებრძოდა ელევსინის გმირი ევმოლპოსი, ან ევმოლპოსის ვაჟი იმარადოსი.

პართენონზე, ფიდიასის მიერ შესრულებულ ათენას ცნობილ ქანდაკზე, ქალღმერთის ფარს უკან მოჩანს გველი. ეს, რა თქმა უნდა, ის გველია, რომელიც მან საიდუმლოდ მოათავსა კალათაში ბავშვის სადარაჯოდ.

მიკენურ დროში ათენი საერთობერძნული მასშტაბითაც მნიშვნელოვანი, ძლიერი, გამაგრებული სატახტო ქალაქი იყო. ამგვარად გამაგრებული ადგილი არც ახლომახლო და არც მთელ ატიკაში არ მოიძებნებოდა. ასეთი ციხე-სიმაგრეები ჰქონდათ ჩრდილოეთში – ბეოტიაში (თებე და ორქომენოსი) და სამხრეთში – არგოლისში (მიკენი და ტირინსი). მიუხედავად იმისა, რომ ატიკა მიკენურ პერიოდში მჭიდროდ დასახლებული იყო (არქეოლოგიურად დაახლოებით ოცდაათიდან ორმოცამდე დასახლებაა დადასტურებული), მაშინაც მთელ ატიკაში არ არსებობდა ქალაქი, რომელსაც შეეძლო ათენისთვის მეტოქეობა გაეწია. თუმცა ათენისგან მოშორებით თითქმის სამეფო ციხე-სიმაგრეებია აღმოჩენილი მენდიში, თორიკისსა და მარათონში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ესენი დამოუკიდებელი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცენტრები არ უნდა ყოფილიყო, რადგან ახლომახლო ისეთი სასახლეები და ციხე-დარბაზები არ ჩანს, ათენს რომ შეედრებოდეს. ათენის მეფე მიკენურ პერიოდში ციხე-სიმაგრიდან, აკროპოლისიდან განაგებდა მთელ იმ მიწა-წყალს (ტერიტორიას), რომელიც შემდეგდროინდელ ისტორიულ ატიკას შეესატყვისება.

სატახტო ქალაქებისა და ციხე-ქალაქებისთვის დამახასიათებელი ნიშნები მიკენურ დროში ჩვენთვის სხვა ადგილების მიხედვით კარგად არის ცნობილი, სახელდობრ მიკენისა და ტირინსის მიხედვით: შეარჩევდნენ ბუნებრივად კარგად განლაგებულ ადგილს, რომელსაც მასიურ ციკლოპურ გალავანს შემოუშენებდნენ და კარგად დაცულ კარიბჭეს გაუკეთებდნენ. გალავანშემოვლებული ადგილის უდიდესი ნაწილი მეფის სასახლეს ეჭირა. სამოსახლოები გალავნის გარეთ უფრო დაბალ ადგილებზე იყო განლაგებული და გალავანში შესასვლელი კარი ჰქონდა. ციხე-დარბაზის ახლოს, უფრო ხშირად მეზობელი ბორცვის ფერდობზე, მდებარეობდა სამეფო ოჯახის ნეკროპოლისი. ასეთად უნდა წარმოვიდგინოთ მიკენურ ეპოქაში ათენიც. ციხე-სიმაგრის ძირითადი ნაწილი მეფის სასახლე იყო: სასახლე უთუოდ მდებარეობდა პლატოს ჩრდილოეთ ნაწილში, იმ ადგილას, სადაც შემდგომში ერეხთეიონი და ათენას ტაძარი იდგა. შემდეგდროინდელმა მშენებლობებმა მეფის საცხოვრებელი გააქრო. მაგრამ დარჩა ორი მიკენური სვეტის ფუძე, რომელიც მეფის სასახლის დასტური უნდა იყოს.

ციხე-ქალაქისა და მის მფლობელთა ოდინდელ ძლიერებაზე მეტყველებს ძალზე მაღალი ციკლოპური გალავანი.

ისეთი მონუმენტური ნეკროპოლისები და ისეთი განძი, შლიმანმა რომ მიკენში ნახა, ათენში არ აღმოჩენილა; მაინც ცალკეულ აკლდამებში, აგორასა და არეოპაგზე, მრავალი ნივთი აღმოჩნდა, რაც დიდი ალბათობით გვაფიქრებინებს, რომ აქ მეფე-მთავართა სამარხები უნდა ყოფილიყო. ხელოვნების ნიმუშთაგან მრავალი გამორჩეული ხარისხისაა, რაც ატიკელ ხელოსანთა მაღალი ოსტატობისა და აგრეთვე დიდი სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებელია. ნაპოვნი ნივთების არცთუ მცირე ნაწილი ატიკის სხვა ადგილებშია გაკეთებული.

მიკენური კულტურის აყვავების ხანა, საბერძნეთის ისტორიის პირველი აღმავლობა, ხანმოკლე იყო. მიკენური ეპოქა, მიუხედავად თავისი სიმაღლისა, მაინც მეორეული მოვლენა იყო, ძველი აღმოსავლური კულტურის ერთგვარ პერიფერიულ განმეორებას წარმოადგენდა. დიდმა კატასტროფამ ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ბოლოსთვის (რომელიც დიდ მიგრაციებს დაუკავშირდა) აღგავა ეს მიმზიდველი, ბრწყინვალე სამყარო, რომლის ხსოვნაც ბერძნულმა გადმოცემებმა, პირველ რიგში, ჰომეროსის ეპიკურმა პოემებმა შემოინახა.

ძვ.წ. 1200 მიკენურ სამყაროზე გადავლილმა კატასტროფებმა – ეგეოსურმა და უფრო მოგვიანებით დორიულმა მიგრაციებმა – დიდი ცვლილებები მოიტანეს. მაგრამ ათენი არ გამხდარა იმ თავდასხმათა მსხვერპლი, როგორც მიკენური ცენტრების დიდი ნაწილი შეიქმნა.

მიკენური პერიოდის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ათენმა იგრძნო საფრთხე და, ბევრი სხვა მიკენური ცენტრის მსგავსად, XIII საუკუნის მეორე ნახევარში ციხე-გალავანი გაამაგრა. მაშინ აშენდა აკროპოლისის ჩრდილოეთ მხარეს, ციცაბო ფერდობზე, წყაროსთან ჩამავალი საიდუმლო გვირაბი, რომელიც იმდროინდელ მაღალ ტექნიკურ შესაძლებლობებს ამჟღავნებს და ამავე დროს მაუწყებელიცაა, რომ ათენი ხშირად სახიფათო მდგომარეობაში იყო. არანაკლებ ნიშანდობლივია გალავანს გარეთ ორი სახლის ნაშთი შიგ ნაპოვნი თიხის ჭურჭლით: როგორც ჩანს, ქოხები სასწრაფოდ მიატოვეს პატრონებმა და აკროპოლისს შეეხიზნენ.

დასავლეთ ატიკის დასახლებები უმეტესწილად გაქრა. ათენი გადარჩა, მაგრამ იგი მუდმივად სახიფათო მდგომარეობაში იყო, განუწყვეტლივ საფრთხე ემუქრებოდა. სამაგიეროდ ამ დროს აყვავდნენ აღმოსავლეთ ატიკის ზოგიერთი დასახლებანი, მაგ. პერატი.

*ბორეასისა* და *ქარების* შესახებ განმარტებები მოცემულია ჩვენი სერიის წიგნში: „ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი“.

ატიკელებს სჯეროდათ, რომ მათი დედა-სამშობლო წინა აზია იყო. დორიელთა შემოსვლის შემდეგ მათი დიდი ნაწილი წინა აზიიდან აიყარა და იონიასა და ეგეოსის კუნძულებზე დასახლდა. სწორედ ეს რწმენაა გამოხატული იონის მითში, რომლის მიხედვითაც იონიელნი იონის შთამომავალნი არიან.

ლოსევის შეხედულებით, იონი აპოლონის ერთ-ერთი ჰიპოსტასური სახე უნდა ყოფილიყო.

მითის მიხედვით, ქსუთოსის შვილები არიან იონი და აქაიოსი. მათი დიდი წინაპარი არის დევკალიონი, ის პირველკაცი, რომელიც ერთადერთი გადარჩა ცოლთან ერთად ღმერთის ნებით, როცა ღმერთმა ამ ქვეყანას საშინელი წარღვნა მოუვლინა. დევკალიონს ჰყავდა ვაჟი ელინოსი, რომელმაც ცოლად შეირთო ორსეისი და თესალიაში დასახლდა. მას სამი შვილი ჰყავდა: ეოლოსი, დოროსი (იგი დასახლდა პარნასოსის მთასთან და პირველი დორიული თემი შექმნა) და ქსუთოსი, რომელიც ქურდობაში ამხილეს და ამიტომაც ათენში გაიქცა. იქ მან შეირთო ათენელი მეფის, ერეხთევსის ქალიშვილი კრეუსა, მისგან იშვნენ იონი და აქაიოსი. ასე რომ, მითის თანახმად, ოთხი ყველაზე ცნობილი ელინური ტომი ელინოსიდან მომდინარეობს. ესენი არიან: იონიელები, ეოლიელები, აქაველები და დორიელები.

გრეივსის აზრით, სახელი ელინოსი წარმოადგენს მთვარის ქალღმერთის სახელწოდების („ელეს“, ანდა „ელენეს“) მამრობითი სქესის ფორმას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს სახელი მარტივად ელინების ეპონიმს უნდა წარმოადგენდეს. გავიხსენოთ ჩვენი ქართლოსი, ეგროსი და ა. შ.

იონს მეორე თაობას მიაკუთვნებდნენ და ქსუთოსის შვილად თვლიდნენ, ევრიპიდემ კი, რომელიც ჭეშმარიტი იონიელი და ათენელი იყო, იონი წარმოადგინა დოროსისა და აქაიოსის უფროს ძმად და აპოლონის შვილადაც დასახა. ითვლებოდა, რომ აპოლონი განსაკუთრებით მფარველობდა იონიელებს.

ფილომელა ნიშნავს „ჯოგების მოყვარულს“; ეს არის სახელი, რომელიც მერცხალს უკავშირდება, რადგან მერცხლები ხშირად საქონლის სადგომებში იკეთებენ ბუდეს.

კერენის აზრით, სახელი – ფილომელა – აგრეთვე მიესადაგება ქვესკნელის ქალღმერთს, ჰეკატეს, და ფილომელას ამბავი უთუოდ ქვესკნელთან უნდა იყოს დაკავშირებული: ატრევსი დაეუფლა ფილომელას, ენა ამოჰკვეთა და პროკნეს კი მისი სიკვდილის ამბავი

მიუტანა. ასევე ფიქრობდნენ პერსეფონეზე ისინი, ვინც არ იცოდა, რომ იგი ქვესკნელის დედოფალი გახდა. მის შესახებაც, შესაძლოა, იგივე ითქვას, რაც ფილომელას შესახებ, რომელიც ტერევსმა მკვდარივით დაამუნჯა. ფილომელა ტერევსის მსხვერპლი შეიქმნა, მან იგი ტყეში, საქონლის სადგომ ფარეხში ჩაამწყვდია, პროკნეს კი ეგონა, რომ და მოუკვდა.

ჰიგინუსის ცნობით, ტერევსი გადაიქცა ჩხიკვად და არა ოფოფად. ჩხიკვი კი სამეფო ფრინველად ითვლებოდა ეგვიპტეში, თრაკიაში და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. დავლისი შემდგომ ფოკისად იწოდებოდა და როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ფრინველთა კულტის ცენტრი იყო.

⑦

წყაროები და ვარიანტები. ლაპითთა და კენტავრთა შესახებ მითები გადმოცემულია შემდეგი წყაროების მიხედვით: ევსტათიოსი, კომენტარები ჰომეროსისთვის, 101; ჰიგინუსი, „მითები", 33; სერვიუსი, ვერგილიუსის „ენეიდის" კომენტარები, VII,304; პინდაროსი, ფრაგმენტები, 166; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", XII,210; ჰომეროსი, „ოდისეა", XXI,295; პავსანიასი, V,10,2.

ამ მითის ყველაზე ადრეული ლიტერატურული ფიქსაცია ეკუთვნის პინდაროსს (პით. II,21-48).

მითის ევრიპიდესეული ვერსიით („ორესტე", 9), ცოდვილი იქსიონი იჯდა ღმერთების ნადიმზე და თუმცა კაცად იყო შერაცხული (იქვე, 8), მოკვდავი არ იყო, რაზეც მიგვითითებს მისი სასჯელის მარადიულობა. იგი ცად ავიდა ღმერთებთან სანადიმოდ (პლუტარქე, „მორალია", 607f) და მიიწვია ისინი თავის საყვარელ ქალაქ სიფილოსში (პინდაროსი, „ოლიმპია", I,38). მაგრამ ეს ნადიმი, რომელიც მან ღმერთებს გაუმართა, პოეტებს ზიზღს ჰგვრით და ამიტომაც არაფერს მოგვითხრობენ მის შესახებ, ანდა საერთოდ არც სჯერათ, რომ იქსიონმა იგი ოდესმე გამართა. ყოველ შემთხვევაში ასე არიან განწყობილი ბერძენი პოეტები (ევრიპიდე, „იფიგენია ტავრისში", 386), ხოლო რომაელებისაგან ვიგებთ, რომ მან ღმერთებს შეჰბედა შემზარავი რამ, ყრმა დიონისე ასო-ასოდ აქნა, მოხარშა და ასე მიართვა მათ სუფრაზე (სენეკა).

მითის ზოგი ვერსიის თანახმად (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე", 372), პირითოოსი ზევსის ერთ-ერთი შვილია; იგი უშვა მას დიამ, იქსიონის მეუღლემ (ესქილე, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ", 783),

ამიტომაც იგი შემდგომ კენტავრების ძმად ითვლებოდა. ულაყად ქცეულმა ზევსმა იგი ჩასახა (ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 61), როგორც კრონოსმა ქირონი. ეს იყო ძლიერი, თითქმის ტიტანური მოდგმა, რომლის მეფედ პირითოოსი ინოდება. ამავე შტოს ეკუთვნოდა კენევსი, ელატოსის ვაჟი (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“, 1429). მას „ფიჭვკაცას“ უწოდებდნენ, როგორც იმ კენტავრს, ჰერაკლემ რომ მოკლა. თავდაპირველად კენევსი, ელატოსის ძე კი არა, ასული იყო. იგი პოსეიდონმა შეიყვარა და პირობა მისცა, რომ ყოველგვარ თხოვნას აუსრულებდა. მან კი კაცად გადაქცევა ინატრა და ისიც დასძინა, რომ სურდა, უწყვლადი გამხდარიყო. პოსეიდონმა სიტყვა შეასრულა, კენევსს იარაღი ვერაფერს აკლებდა (ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 63). კენტავრებმა ბრძოლის დროს ძლიერი დარტყმებით სარივით ჩაასეს იგი მიწაში (ესქილე, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, 709,725;781), მას კი დარტყმებქვეშ მუხლი ერთხელაც არ მოუხრია (ათენეოს გრამატიკოსი, 465e), ჰადესში მას კვლავ პირვანდელი ქალური სახე მიეცა (ესქილე, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, 727;788;815; ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 66).

ერთი ძველი გადმოცემის თანახმად (ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 1693), კენტავრი ევრიტიონი (სხვაგვარად მას ევრიტოსსაც უწოდებენ) მარტო მივიდა პირითოოსის სასახლეში, სადაც ლაპითებს საქორწილო ნადიმი ჰქონდათ და ღვინისგან გონებაარეულმა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. მას ცხვირი და ყურები დააჭრეს და სასახლიდან გამოაგდეს. ამის გამო კენტავრებსა და ლაპითებს შორის დიდი ომი ატყდა. შემდგომი ვერსიები უფრო ვრცელია (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“, 426), მათში მოთხრობილია, თუ როგორ ეცნენ კენტავრები ქალებს და მოხდა დიდი სისხლისღვრა. გმირი თესევსიც სასიძოს მხარდამხარ იბრძოდა (ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 1705).

განმარტებები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ცეცხლოვანი ბორბალი, რომელზედაც მიბმულია იქსიონი, უკავშირდება წარმოდგენას მზის მბრუნავი დისკოს შესახებ.

ლაპითების ბელადი, პირითოოსი, როგორც ზევსისა და დიას შვილი, იქსიონთანაც იყო დაკავშირებული. თავად სახელი „პირითოოსი“ ნიშნავს „ძალიან ჩქარს“.

სრულიად დასაშვებია, რომ ლაპითები ჩრდილო თესალიის ძველი მოსახლენი ყოფილიყვნენ, კენტავრები კი მთიელი ველური ტომები, რომლებსაც მეზობლებმა ურჩხულებრივი სახება მიანიჭეს.

გრეივსის ვარაუდით, ლაპითებიცა და კენტავრებიც მთის პრიმიტიულ ველურ ტომებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ჩრდილოეთ საბერძნეთში მკვიდრობდნენ; მათი შინაომებით ისარგებლეს ბერძნებმა – ისინი ჯერ ლაპითებს ამოუდგნენ მხარში და მათთან ერთად იბრძოდნენ, ხოლო შემდეგ კენტავრებს დაუკავშირდნენ. როგორც ჩანს, ლაპითებთანაც და კენტავრებთანაც (ამ მთის ხალხებში) ჯგუფური ქორწინებები სრულიად მიღებული იყო. ბერძენთა თვალსაზრისით კი, რომლებიც მონოგამურ ქორწინებას აღიარებდნენ, ლაპითები და კენტავრები მეტად თავაშვებულად ცხოვრობდნენ. მითში ეს ყოველივე ამგვარად აისახა.

ჰომეროსი კენტავრებს ბანჯგვლიან ველურ მხეცებს უწოდებს. საინტერესოა ძველ ინგლისში გავრცელებული რწმენა იმის შესახებ, რომ თითქოსდა კენტის მცხოვრებლებს კუდები ჰქონდათ; ივარაუდება, რომ იქსიონი მათი მზის ღმერთი იყო.

კრონოსის შვილად მიჩნეული იყო კენტავრი ქირონი, რომელიც კრონოსს ოკეანიდ ფილირესაგან შეეძინა; ასე რომ, ქირონს უწოდებენ არა მარტო ფილირიდს, არამედ კრონიდსაც და აღნიშნავენ, რომ იგი ზევსზე უფროსი იყო.

## ⑧

წყაროები და ვარიანტები. ზევსისა და ალკმენეს ამბავი წარმოდგენილია აპოლოდოროსის (II,4,5-8), ჰესიოდეს („ჰერაკლეს ფარი", 11 და შმდ.), ჰიგინუსის („მითები", 29), პინდაროსის („ისთმიური ოდა", VII,5 და შმდ.), ლუკიანოსის („ღმერთთა საუბრები", X), ჰომეროსის („ილიადა" XIX,95 და შმდ.), პლავტუსის („ამფიტრიონი", 1096), დიოდოროს სიცილიელის (IV,10) და სხვა წყაროთა მიხედვით.

ზოგი გადმოცემით, ჰერაკლე იფიკლესზე ერთი ღამით ადრე ჩაისახა. სხვები გადმოგვცემენ, რომ ტყუპები ერთსა და იმავე ღამეს ჩაისახნენ, დაიბადნენ ერთდროულად და რომ მამა-ზევსმა სასწაულებრივი ნათელით გაასხივოსნა ჭერი, სადაც ისინი იშვნენ. თავდაპირველად ჰერაკლესათვის შეურქმევიათ ალკეოსი თუ პალემონი (ჰომეროსი, „ილიადა", XIX,95 და შმდ.; აპოლოდოროსი, II,4-5; პლავტუსი, „ამფიტრიონი", 1096; დიოდოროს სიცილიელი, IV,10).

მითოგრაფოსთა ერთი ნაწილი გადმოგვცემს, რომ ჰერამ თავად კი არ დააყოვნა ალკმენეს მშობიარობა, არამედ ამ საქმისთვის გაგზავნა ჯადოქრები, რომლებიც ტირესიასის ქალიშვილმა, ჰისტო-

რისმა, ოსტატურად აცდუნა. მშობიარობის დროს იგი ალკმენესთან იყო და მხიარული შეყვირებით ბავშვის დაბადება აუწყა იქ მყოფთ. მოტყუებულმა ჯადოქრებმა დატოვეს სახლი და ჯადოსგან გათავისუფლებულმა ალკმენემ იმწამსვე შვა ჰერაკლე. სხვა გადმოცემით, ჰერას ბრძანებით, მშობიარობას აყოვნებდა ილითიია, რომელიც ალკმენეს მეგობარმა ქალმა, გალანთიასმა მოატყუა: იგი გამოვიდა ოთახიდან და განაცხადა, რომ ალკმენემ უკვე იმშობიარა. განცვიფრებული ილითიია წამოხტა, გადაგრეხილი ხელები და ფეხები გაშალა, რითაც მოხსნა შობის აკრძალვა და უმალ ჰერაკლეც დაიბადა. გახარებულმა გალანთიასმა გაიცინა, ხოლო განრისხებულმა ილითიიამ მას თმებში ხელი ჩაავლო და სინდიოფალად გარდასახა (შდრ. პავსანიასი, IX,11,1-2; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, IX,285 და შმდ.; ელიანოსი, „ცხოველთა შესახებ“, XII,5; ანტონინუს ლიბერალუსი, „გარდასახვანი“, 29).

ჰერაკლეს ბავშვობის ხანა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეპიზოდად. ცის იკანკლედად ქცეული რძის ამბავი გვხვდება დიოდოროს სიცილიელთან (IV,9) და პავსანიასსთან (IX,25,2).

ჰერაკლეს მიერ გველების მოგუდვა წარმოდგენილია შემდეგ წყაროებში: აპოლოდოროსი, II,4,8; თეოკრიტოსი, „იდილიები“, XXIV; სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისათვის“, VIII,288; პინდაროსი, „ნემეური ოდები“, I,35 და შმდ.

ჰერაკლეს აღზრდას ეხებიან: თეოკრიტოსი („იდილიები“ XXIV); აპოლოდოროსი (II,4,9); დიოდოროს სიცილიელი (IV,14); პავსანიასი (IX,29,3;IX,10,4); სერვიუსი („კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისათვის“, I,745); პლუტარქე („თესევსი“, 11 და 29).

კითერონის ლომის ამბავი მოთხრობილია აპოლოდოროსის (II,4,7-10), პავსანიასის (IX,26,4; 27,1,5), დიოდოროს სიცილიელის (IV,11,29), თეოკრიტოსის „იდილიების“ (XXV) მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ჰერაკლეს ბავშვობას მრავალი ავტორი წარმოგვიდგენს. გვხვდება განსხვავებული ვერსიებიც. ზოგის მიხედვით, ჩვილი ჰერაკლე ოლიმპოსზე აიყვანა ჰერმესმა, ხოლო ზევსმა მძინარე ჰერას მიუწვინა. ბავშვმა ბევრი რძე გამოსწოვა ქალღმერთს, რომელმაც გამოღვიძებისთანავე მოიცილა იგი მკერდიდან. რძე პირიდან გადმოეღვარა ჰერაკლეს და ზეცის თაღზე გაიფანტა. ასე წარმოიშვა ირმის ნახტომად წოდებული ცის იკანკლედი, რომელსაც დასავლური სამყარო იცნობს, როგორც „რძოვან გზას“ (შდრ. ინგლ. Milky way რუს. Млечный путь და სხვა). ყველა ვერსიით ჰერა იყო ჰერაკლეს ძიძა, თუნდაც მცირე ხნით. ამიტომ თებელები მას ჰერას ძედ მიიჩნევენ და გადმოგვცემენ, რომ იგი,

ვიდრე ქალღმერთის რძეს იგემებდა, ალკეოსად იწოდებოდა (ერატოსთენესი, „ვარსკვლავებად გარდასახვა", 44; ჰიგინუსი, „პოეტური ასტრონომია", II,43; დიოდოროს სიცილიელი, 4,10).

გველებთან დაკავშირებით დაიძებნება ასეთი ვერსიაც: ამფიტრიონმა ჩაუწვინა ისინი ბავშვებს ლოგინში, რათა დარწმუნებულიყო თუ ტყუპთაგან რომელი იყო მისი ძე (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის", VIII,288; თეოკრიტოსი, „იდილიები", XXIV; პინდაროსი, „ნემეური ოდები", I,35; აპოლოდოროსი, II,4,8).

*ჰერაკლეს თებეში დაბრუნებასთან დაკავშირებული ამბები* მოთხრობილია აპოლოდოროსის (II,4,11), პავსანიასის (IX,37,1-2;IX,17,1;IX,38,5;IX,26,1), დიოდოროს სიცილიელის (IV,10;IV,18,7), ევრიპიდეს („ჰერაკლე", 220 და შმდ.), სტრაბონის (IX,11,40) მიხედვით.

ზოგი გადმოცემის თანახმად, ჰერაკლემ მოკლა მეფე ერგინოსი. სხვა გადმოცემით, ორქომენოსის მეფე არ დაღუპულა, მან არგონავტებთან ერთად იმგზავრა და კოლხეთიდან ოქროს საწმისი ჩამოიტანა. დაიბრუნა თავისი სიმდიდრე, შეირთო ახალგაზრდა ცოლი, რომელმაც გაუჩინა მას ლეგენდარული მშენებლები, აგამედესი და ტროფონიოსი. მათ მიეწერებათ აპოლონის (დელფოში) და პოსეიდონის ტაძრების აგება, საგანძურთსაცავების აშენება და სხვა (პავსანიასი, IX,37,2-3; აპოლოდოროსი, II,4,11).

რაც შეეხება ჰერაკლეს შვილებს, რომლებიც მას მეგარასთან შეეძინა, მათ ალკიდებს უწოდებენ მითთა მთხზველები. ზოგი თქმულების მიხედვით, ისინი ორნი არიან, ზოგის მიხედვით – სამნი, ოთხნი და მათი რიცხვი რვამდეც აღწევს.

*შეშლილი ჰერაკლეს ამბავი* მოთხრობილია დიოდოროს სიცილიელის (IV,11), აპოლოდოროსის (II,4,12), ევრიპიდეს („ჰერაკლე") მიხედვით. ზოგი გადმოცემით, ჰერაკლემ კი არ ამოხოცა თავისი შვილები, არამედ მისმა სტუმრებმა ჩაიდინეს ეს საზარელი დანაშაული (დიოდოროს სიცილიელი, IV,11; აპოლოდოროსი, II,4,12). ზოგიერთის თქმით, ჰერაკლემ გონება დაკარგა და მოკლა ცოლ-შვილი მას შემდეგ, რაც ჰადესიდან დაბრუნდა. მაშინ პითიამ მას ასე მიმართა: „შენ აღარ გერქმევა პალემონი! აპოლონ-ფოიბოსი ჰერაკლეს გიწოდებს, რამეთუ სწორედ ჰერასაგან მოგენიჭება კაცთა შორის უკვდავი დიდება!" ზოგი გადმოცემა ჰერაკლეს ევრისთევსის საყვარლობასაც მიაწერს (ისევე როგორც ჰილასის თუ იოლა-

ოსის). ეს ჰომოსექსუალური მოტივი თებელთა საბრძოლო წესის ანარეკლი უნდა იყოს.

ევრიპიდეს დრამაში „ჰერაკლე" გაშმაგებული გმირის დამამშვიდებლად წარმოდგენილია მეორე დიდი გმირი – თესევსი. მას თავის ლაშქარი წამოუყვანია ჰერაკლეს დასახმარებლად ლიკოსის წინააღმდეგ ბრძოლაში. თესევსმა სასოწარკვეთილი ჰერაკლე რომ ნახა, მშვიდად ესაუბრა, დაარწმუნა, რომ იგი ელადას სჭირდება, რომ თავის მოკვლა დიდი დანაშაულია. თესევსმა თავისი დიდი მეგობარი გონს მოსაგებად ათენში მიიწვია. ჰერაკლემ დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღო ეს მოწვევა.

განმარტებები. ანტიკურ სამყაროში ჰერაკლე ითვლებოდა ძალის, გამბედაობისა და სიმამაცის განმასახიერებელ ძლევამოსილ გმირად, რომელმაც გაათავისუფლა ადამიანები სატანჯველთაგან. მან აღადგინა კანონიერება და ცოდვათაგან განწმენდილი წარიმართა ოლიმპოსისკენ. ფილოსოფოსები მასში ჭვრეტდნენ პირველსახეს იმ ადამიანისა, რომელმაც სირთულეებით აღსავსე ცხოვრების გავლით, აღსრულებულ გმირობათა და გამარჯვებათა გამო უკვდავება დაიმსახურა.

სახელი „ჰერაკლე", საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, ნიშნავს „ჰერას წყალობით განდიდებულს". ეს ეტიმოლოგია ცნობილი იყო უკვე ძველი ავტორებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ როგორმე მოეხსნათ ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ამ სახელის მნიშვნელობასა და ჰერას ჰერაკლესადმი მტრულ დამოკიდებულებას შორის.

ჰერაკლე ძალიან ადრე მიიჩნიეს პანელინურ გმირად, ხოლო იმ ლეგენდათა დეტალები, რომლებიც თავდაპირველად მას რომელიმე განსაზღვრული გეოგრაფიული გარემოს ან ბერძნული ტომის წარმომადგენლად რაცხდნენ, გაქრა. უკვე უძველეს, ჩვენთვის ცნობილ ტრადიციაში, თვალსაჩინო ხდება მცდელობა, დაუკავშირონ იგი, ერთის მხრივ, თებეს (დაბადების ადგილი), ხოლო, მეორეს მხრივ, მიკენს, ტირინსსა თუ არგოსს (სამსახური ევრისთევსთან, აღსრულებულ გმირობათა ლოკალიზაცია და სხვა). როგორც ჩანს, ჰერაკლემ განვლო სამი საფეხური: იგი ჯერ უნდა ყოფილიყო არგოსელი გმირი, შემდეგ პანოპოლისელი და ბოლოს – ნაციონალური. მითები მას სავსებით ნათლად წარმოაჩენენ სამი კულტურულ-ისტორიული ტიპის ერთსახედ: იგი არის საკულტო გმირიც (ურჩხულთა დამმარცხებელი), ეპიკური გმირიც (სახელმწიფოთა დამპყრობი) და ღმერთებთან მებრძოლი გმირიც (ჰერა, არესი, ჰადესი).

ჰერაკლეს კულტი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ძველ ბერძნულ სამყაროში. მას მსხვერპლს სწირავდნენ როგორც ღმერთსაც და როგორც გმირსაც. ზოგიერთი ავტორის ცნობით (დიოდოროს სიცილიელი, IV,39), ჰერაკლე, როგორც ღვთაება, პირველად ათენში აღიარეს, სადაც მას თაყვანს სცემდნენ, როგორც კულტურის მატარებელ ღმერთს. იგი ითვლებოდა სიჯანსაღის, ათლეტიზმისა და სპორტულ სანახაობათა მფარველად, უბედურებათა ამრიდებლად, მკურნალად, მხსნელად. ხშირად მას ჰერმესთან ერთად თაყვანს სცემდნენ, როგორც ვაჭრობის შემწე ღვთაებას. ჰერაკლეს კულტი გავრცელდა იტალიაში, სადაც ელინ გმირს ჰერკულესი უწოდეს.

ჰერაკლეს თავგადასავალი, რომელიც მიკენის ეპოქიდან უნდა იღებდეს დასაბამს, ანტიკური ხანის მწერალთა საყვარელ თემად იქცა. მას კარგად იცნობდა ჰომეროსი, აგრეთვე „ჰერაკლეს ფარის" ავტორი (ჰესიოდეს წრე); ყურადღებას იპყრობს ძვ.წ. VI საუკუნის ეპიკური პოემა „ექალიის აღება" (ავტორი უცნობია) და პისანდროს როდოსელის „ჰერაკლეა". ჰერაკლეს მითებს ხშირად მიმართავდნენ ლირიკოსები (ბაკქილიდესი, პინდაროსი, თეოკრიტოსი), განსაკუთრებით კი ბერძნული ტრაგედიის წარმომადგენლები – სოფოკლე („ტრაქისელი ქალები") და ევრიპიდე („ჰერაკლე", „ალკესტისი"). კომედიოგრაფოსები (ეპიქარმოსი, რინტონი, სოფრონი, არისტოფანე) ჰერაკლეს წარმოადგენდნენ, როგორც კომიკურ პერსონაჟს, მსუნაგსა და უბრალოდ კუნთმაგარ მოჩხუბარს. სოფისტმა პროდიკოსმა (ძვ.წ. V ს.) თავის ალეგორიაში „ჰერაკლე გზაჯვარედინზე" ეს გმირი წარმოადგინა ჭაბუკად, რომელმაც განცხრომისა და ნეტარების მსუბუქ გზას არჩია ჯაფათა და გმირობათა ეკლიანი გზა, რითაც უკვდავება დაიმსახურა.

ანტიკურ წყაროებში ვხვდებით ჰერაკლეს თავგადასავალთან დაკავშირებულ ამბავთა განმარტებებსაც: ზევსის არჩევანი ალკმენესთან დაკავშირებით სავსებით მიზანდასახული ყოფილა, რადგანაც სწორედ ამ მოკვდავს უნდა შესძლებოდა ისეთი უძლიერესი გმირის დაბადება, რომელიც დაიცავდა ღმერთებსა და ადამიანებს მოსალოდნელ საფრთხეთაგან.

ალკმენე ყოფილა ნიობეს მოდგმის მეთექვსმეტე ჩამომავალი და უკანასკნელი ზევსის შეყვარებულ მოკვდავ ქალთა შორის. ზევსი იმდენად დიდ პატივს სცემდა ალკმენეს, რომ ძალით კი არ დაიმორჩილა, არამედ მის მეუღლედ გარდასახულმა ალერსითა და საგმირო თავგადასავლების მოყოლით მიიყვანა სასიყვარულო

სარეცლამდე (ჰესიოდე, „ჰერაკლეს ფარი", 4,26; ათენეოსი, XI,474e-475b;XI,99; პლავტუსი, „ამფიტრიონი", 256 და შმდ.).

ჰერაკლეს პატივსადებ ზეიმზე მოსული თებელები უწინარესად გალანთიასს სწირავდნენ მსხვერპლს. მათ სჯეროდათ, რომ იგი იყო ჰერაკლეს ძიძა და რომ სწორედ მისთვის ააგო დიდმა გმირმა საკურთხეველი (პავსანიასი, IX,11,1-2; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", IX,285 და შმდ.); ათენელებთან სხვაგვარად ყვებოდნენ გალანთიასის ამბავს: მათი წარმოდგენით, იგი ჰეტერა ყოფილა, რომელიც ჰეკატეს სინდიოფალად გარდაუსახავს მისი უსაქციელობის გამო. მაშინ, როდესაც ჰერა აყოვნებდა ჰერაკლეს დაბადებას, მას იქვე ჩაურბენია და ისე შეუშინებია ალკმენე, რომ საცოდავს მშობიარობა დასწყებია (ელიანოსი, „ცხოველთა შესახებ", XI,5; ანტონინუს ლიბერალუსი, „მეტამორფოზები", 29).

თეოკრიტოსის გადმოცემით („იდილიები", XXIV,11-12), ჰერაკლე ათი თვის იყო, როდესაც მზემ მიატოვა ზოდიაქოს მეთორმეტე თანავარსკვლავედი. მაშასადამე, იგი დაბადებულა გაზაფხულის ბუნიაობის დღეს, მაშინ, როდესაც ბაბილონელები და სხვა ხალხები ახალ წელს ზეიმობდნენ. შესაბამისად, გასაგები ხდება ის ნათქვამიც, რომ ზევსმა გაანათა ჭერი, სადაც იშვა ჰერაკლე, რომელსაც მიეძღვნა თვის მეოთხე დღე (ჰერაკლე, როგორც შემდგომ გამოჩნდება, დააწესებს ოლიმპიურ ასპარეზობებს, რომლებიც ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება და წელთაღრიცხვისთვისაც ამ თარიღს გამოიყენებენ ბერძნები).

დიოდოროს სიცილიელი (II,74) ჰერაკლეს სახელით სამ გმირს მოიხსენიებს: (ერთი – ვინმე ეგვიპტელი, მეორე – კრეტელი დაქტილოსი და მესამე – ალკმენეს ძე). ციცერონი („ღმერთთა ბუნების შესახებ", II,16) ასახელებს ექვს ჰერაკლეს, ვარონი (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის", VII,564) – ორმოცს. დიოდოროს სიცილიელის თანახმად, ეგვიპტელი ჰერაკლე (სომი ან ქონი) ცხოვრობდა ტროას ომის დაწყებამდე ათი ათასი წლით ადრე, ხოლო ბერძენი ჰერაკლეს სახე სწორედ მისი მიბაძვით შეიქმნა (I,17 და 24;II,74).

ძველი ბერძნული მითოსის გმირი ჰერაკლე თავდაპირველად უნდა ყოფილიყო უბრალო მეფე-მწყემსი, აღჭურვილი თავისი კეთილშობილური თვისებებით. მუსიკალური, ფილოსოფიური და ასტრონომიული განათლებით, ჩანს, იგი მომდევნო ეპოქებში შეამკეს და მის მიერ ლინოსის მოკვლა ტირანიისადმი პროტესტით ახსნეს. მიუხედავად ამისა, მითოლოგიაში იგი დარჩა ფიზიკური და არა სულიერი მშვენიერების განსახიერებად.

თებეში დაბრუნებულმა ჰერაკლემ მამა-ზევსს აღუმართა საკურთხეველი, სახელოვან არტემისს ქვის ლომის გამოსახულება უძღვნა, ხოლო ათენას – ქვის ორი ქანდაკება. რამდენადაც ღმერთებმა არ დასაჯეს ჰერაკლე იმ სიმკაცრისთვის, რაც მან ერგინოსის შიკრიკებისადმი გამოიჩინა, თებელებმა მასაც აღუმართეს ქანდაკება და უწოდეს „ცხვირთა მომკვეთი ჰერაკლე" (ევრიპიდე, „ჰერაკლე", 48-50; პავსანიასი, IX,17,1-2 და 25. 4).

გაშმაგებული ჰერაკლეს მიერ შვილების მოკვლისა და კოცონზე დაწვის ამბავი დაკავშირებული უნდა იყოს ღამის ცეცხლის ზეიმთან, რაც ძლიერი მამისა და სუსტი შვილების ურთიერთმიმართებასაც ასახავს. ერთი უკიდურესობა უნდა გადავიდეს საპირისპირო უკიდურესობაში: უძლურებისა და საკუთარი თავის განადგურებით შესაძლებელი ხდება საკუთარი თავის კვლავ დამკვიდრება.

ჰერაკლეს შვილთა გარდაცვალების თარიღს თებელები თურმე ყოველწლიურად აღნიშნავდნენ. პირველ დღეს სრულდებოდა მსხვერპლად შეწირვის წესისგება და მთელი ღამე ენთო კოცონი. მეორე დღეს ეწყობოდა დაკრძალვის ცერემონიალი და თამაშები, რომლებში გამარჯვებულსაც ამკობდნენ თეთრი მირტებისაგან დაწნული გვირგვინით. ზეიმის მონაწილენი გამოხატავდნენ თავიანთ წუხილს ჰერაკლეს შვილთა მომავლის გამო, რამეთუ მამას მათთვის ბრწყინვალე საქმეთა აღსრულება ჰქონია მინდობილი.

## ⑨

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ჰერაკლეს გმირობათა ამბები მრავალ ბერძენ ავტორთან არის წარმოდგენილი. მათ შორის შედარებით ვრცლად მოგვითხრობენ ევრიპიდე („ჰერაკლე"), ჰესიოდე, აპოლოდოროსი, დიოდოროს სიცილიელი, ელიანოსი, ლუკიანოსი, პავსანიასი, პლინიუსი, პლუტარქე, ოვიდიუსი, სერვიუსი, სტრაბონი, ჰეროდოტე, ჰიგინუსი. ჩვენ ვეყრდნობით მათ ზემოთ დასახელებულ თხზულებებს. აქ მივუთითებთ მხოლოდ განსხვავებულ ვარიანტებს.

ოლიმპოსის თორმეტმა ღვთაებამ შეამკო აღსაჭურველით გმირი ჰერაკლე, მაგრამ მას, როგორც გადმოგვცემენ, არც უხმარია ეს აბჯარი. თავისი პირველივე გმირობის შემდეგ იგი შუბსაც კი იშვიათად იჭერდა ხელში. სამაგიეროდ, მუდამ მომარჯვებული ჰქონდა კომბალი, მშვილდი და ისრები. როგორც ვნახეთ, პირველი

კომბალი მან ჰელიკონის მთაზე გამოთალა, მეორეს ნემეაში გამოთლის, ხოლო მესამეს – სარონიული ზღვის ნაპირზე. სწორედ ამ კომბალს მიაყუდებს გმირი ჰერმესის ქანდაკებას; იგი ღრმად ჩავა მიწაში, დაიფესვება, დაიტოტება და მშვენიერ ხედ გარდაიქმნება.

*ნემეას ლომი.* ზოგი გადმოცემის თანახმად, ნემეას ლომი შვა სელენემ აუტანელი სამშობიარო ტკივილებით და დაუვარდა ნემეის ახლოს, მთა ტრეტოსზე. ეს ლომი სელენემ საკუთარ ხალხს გამოუგზავნა, რადგანაც ისინი მსხვერპლს აღარ სწირავდნენ მას (ჰესიოდე, „თეოგონია", 327 და შმდ.; სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის", VII,295; ჰიგინუსი, „მითები", 30; თეოკრიტოსი, იდილია XXV,200 და შმდ.). სხვები გვამცნობენ, რომ ჰერას ბრძანებით, ეს ლომი სელენემ შექმნა ზღვის ქაფისაგან. შემდეგ ირისმა შებოჭა იგი თავის სარტყელით და ისე მიიყვანა ნემეის მთებში.

*ლერნეს ჰიდრა.* ზოგი მითის თანახმად, ლერნეს ჰიდრა ჰერას გამოზრდილი იყო, რათა ევნო ჰერაკლესათვის. ლერნეს ჰიდრას მოიხსენიებენ შემდეგი ავტორები: ევრიპიდე, „ჰერაკლე", 420; აპოლოდოროსი, I,5,2; დიოდოროს სიცილიელი, IV,11; ჰიგინუსი, „მითები", 30; ჰესიოდე, „თეოგონია", 313; ევრიპიდე „იონი", 192.

პავსანიასი ამტკიცებდა, რომ ლერნეს ჰიდრა, შესაძლებელია, ყოფილიყო დიდი, შხამიანი გველი. სერვიუსის თანახმად, ჰიდრა იყო სათავე იმ მიწისქვეშა მდინარეებისა, რომლებიც პერიოდულად ამოაღწევდნენ ხოლმე მიწის ზედაპირზე და ფარავდნენ მას. თუ ამოავსებდნენ წყლის ერთ გამოსავალს, იგი სხვაგან ამოხეთქავდა. ამიტომ ჰერაკლემ ჯერ ცეცხლით მოაშრო მიწა, შემდეგ კი ამოქოლა წყლის ყოველი ამოსავალი (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის", VII,564).

*ერიმანთოსის ტახი.* ამ მითის დასასრულის სხვა ვერსიაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ჰერაკლეს ტახი მიკენში არ მიუყვანია. გზად მიმავალს გაუგია, რომ არგონავტები ემზადებოდნენ კოლხეთში სალაშქროდ. მას ტახი მიწაზე დაუგდია, მიუტოვებია და ჰილოსთან ერთად არგონავტებს შეერთებია. უცნობია, თუ ვინ მოკლა ტახი, თუმცა მის ეშვებს ინახავდნენ აპოლონის ერთ-ერთ ტაძარში (აპოლოდოროსი, I,5,4; პავსანიასი, VII,24,2; დიოდოროს სიცილიელი, IV,12; აპოლონიოს როდოსელი, I,122 და შმდ.).

*კერინიის ირემი.* არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც პლეიადა ტაიგეტემ ეს ირემი უძღვნა არტემისს მადლიერების ნიშნად (შდრ. პინდაროსი, „ოლიმპიური III", 24 და შმდ; აპოლოდოროსი, II,10,1,3).

*სტიმფალიური ფრინველები.* ზოგი გადმოცემის მიხედვით, ეს ფრინველები იყვნენ ქალიშვილები სტიმფალოსისა და ორნიტასი, რომლებიც ჰერაკლემ დახოცა არასტუმართმოყვარეობის გამო. სტიმფალოსში, სტიმფალიელი არტემისის უძველეს ტაძარში, ჩამოკიდებული ყოფილა ამ ფრინველთა გამოსახულებები, ხოლო ტაძრის უკან მდგარა გოგონათა ქანდაკებები, რომელთაც ხელების მაგივრად კლანჭები ჰქონიათ. ამავე ადგილას აუგია ტემენოსს, პელასგოსის ძეს, სამი საკურთხეველი ჰერას სადიდებლად. პირველში მას თაყვანს სცემდნენ როგორც ბავშვს, მეორეში – როგორც პატარძალს, ხოლო მესამეში – როგორც ქვრივს, რადგანაც უარყო ზევსი და განმარტოვდა სტიმფალოსში (მნასეასი, ციტ. აპოლონიოს როდოსელის სქოლიონები, I,1054; პავსანიასი, VII,22,2 და 5).

*კრეტის ხარი.* ჰერაკლეს მიერ მიკენში ჩაყვანილი ხარი ევრისთევსმა ჰერას მიუძღვნა და თავისუფლად გაუშვა. ქალღმერთმა არ მიიღო ძღვენი და ხარს გეზი სპარტისკენ აალებინა, შემდეგ არკადიისკენ, ბოლოს მარათონის ველზე დატოვა. იქიდან კი იგი თესევსმა ათენში ჩაიყვანა, რათა ღვთაება ათენასათვის შეეწირა მსხვერპლად (დიოდოროს სიცილიელი IV,13; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის" VII,294; აპოლოდოროსი, I,5,7).

*დიომედესის ცხენები.* ზოგი მითის მიხედვით, ეს ცხენები ულაყები იყვნენ. გადმოგვცემენ მათ სახელებსაც: პოდარგოსი, ლამპონი, ქსანთოსი და დინოსი.

ადმეტოსთან სტუმრობის ამბავი მოთხრობილია ევრიპიდეს ტრაგედია „ალკესტისის" მიხედვით.

დიომედესისა და აბდეროსის დაღუპვის ეს ვერსია წარმოდგენილია აპოლოდოროსის (I,5,8), ევრიპიდეს („ალკესტისი", 483), ჰომეროსის („ილიადა" X,390 და შმდ.), ევრიპიდეს („ჰერაკლე", 380 და შმდ.) მიხედვით.

სხვა გადმოცემით, აბდეროსი წარმომავლობით ლოკრისელი, დიომედესის მსახური იყო. ზოგი მითოგრაფოსი მას ჰერმესის ძედ,

ზოგი კი – ჰერმესის მეგობრის, მენეტიოსის ძედ, ანუ პატროკლოსის (ტროას ომის გმირის) ძმად მოიხსენიებს.

*ჰიპოლიტეს სარტყელი.* ჰერაკლეს მოგზაურობა თემისკირიდან ტროამდე, მითოგრაფოსების გადმოცემით, მრავალ საბრძოლო თავგადასავალთან არის დაკავშირებული. კერძოდ, აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, თემისკირიდან მომავალი ჰერაკლე კვლავ ეწვია ბითვინიის მარიანდინებს, სადაც მეფობდა მეფე ლიკესი. აქ მან მონაწილეობა მიიღო სამგლოვიარო ასპარეზობებში, რომლებიც იმართებოდა მეფის მიზიელთაგან მოკლული ძმის პატივსაცემად. მუშტით კრივში ბრძოლისას მას შემთხვევით შემოაკვდა მარიანდინთა საუკეთესო მებრძოლი ტიტიოსი. შეწუხებულმა ჰერაკლემ, იმის დასამტკიცებლად, რომ ჭეშმარიტად ნანობს ჩადენილს, დაიმორჩილა მიზიელები და ფრიგიელები, აგრეთვე ბითვინიელები. პაფლაგონიელები საკუთარი ნებით დაექვემდებარნენ მას. მაგრამ დატოვა თუ არა ეს მხარე ჰერაკლემ, ბებრიკებმა კვლავ წაართვეს ლიკესს მიწები და გააფართოვეს თავისი სამეფო (აპოლონიოს როდოსელი, I,776 და შმდ.).

აპოლოდოროსის თანახმად, ტროადან მომავალმა ჰერაკლემ დაიმორჩილა თრაკიელები, რომლებიც თასოსზე სახლობდნენ, თავად კუნძული კი უანდერძა ანდროგეოსის ვაჟიშვილებს, რომლებიც პაროსიდან წამოიყვანა. ქალაქ ტორონეში ჰერაკლე საბრძოლველად გამოიწვიეს პროტევსის ვაჟებმა, რომლებიც ძლევამოსილმა გმირმა სიცოცხლეს გამოასალმა (I,5,9).

სტეფანოს ბიზანტიონელი გადმოგვცემს, რომ, თქმულების თანახმად, პაროსი ითვლებოდა კრეტის კოლონიად. ჰერაკლეს გამოჩენა ამ კუნძულზე მიუთითებს ელინთა მიერ მის დაპყრობაზე. მითში დადასტურებული ფაქტი, რომ ჰერაკლემ კუნძული თასოსი უანდერძა პაროსელებს, უნდა ნიშნავდეს პაროსელთაგან ამ კუნძულის დამორჩილებას, რაც აღნიშნულია კიდეც თუკიდიდეს „ისტორიაში“ (IV,104).

*გერიონის ძროხები.* მითის ერთ-ერთი ვერსიით, გერიონის ძროხები იბერიის შორეულ, ოკეანით გარშემორტყმულ ველებზე ძოვდნენ ბალახს. გერიონი მეტსახელი იყო ცნობილი მეფის, ქრისაორის, რომელსაც ჰყავდა სამი ძე. თითოეული სათავეში ედგა რჩეულ მებრძოლთა ტომებს. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჰერაკლემ დიდი ძალები შეკრიბა კრეტაზე, იქ, სადაც მისი მამა – ზევსი დაიბადა. კრეტელებს მისთვის დიდებული გაცილება მოუწყვიათ. თავ-

დაპირველად ჰერაკლემ გეზი აიღო ლიბიისაკენ, სადაც მოკლა ანტეოსი და გაანადგურა ველური ნადირები, რითაც ეს მხარე დოვლათიანი გახადა. შემდეგ მიადგა ეგვიპტეს, სადაც მოკლა ბუსირისი, გადაკვეთა ჩრდილოეთ აფრიკა, გზად გორგონები და ლიბიელი ამაძონები გაანადგურა, ნუმიდიის სამხრეთით დააარსა ქალაქი ჰეკატომპილოსი და ჰადესის მახლობლად მიადგა ოკეანეს. აქ სრუტის ორთავე მხარეს აღმართა სვეტები, თავისი ლაშქარი გადაიყვანა ესპანეთში და აღმოაჩინა, რომ ქრისაორის შვილები დიდი რაზმებით მის წინააღმდეგ მოემართებოდნენ. ჰერაკლემ დაამარცხა ისინი, მოიტაცა გერიონის ძროხები, ხოლო იბერიის სამეფო ცოცხლად დარჩენილთა შორის ყველაზე ღირსეულ მკვიდრს უბოძა (დიოდოროს სიცილიელი, II,55 და IV,17-19).

არ არის თანხმობა ე.წ. „ჰერაკლეს სვეტების" თაობაზეც. მითოგრაფოსთა დიდი ნაწილის თანახმად, ისინი დიდმა გმირმა აღმართა ევროპისა და აზიის გამყოფი სრუტის ორთავე მხარეს. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ოდესღაც ეს კონტინენტები შეერთებული იყო და რომ ჰერაკლემ ისინი არხით განაცალკევა, რათა იქ ეცურათ ზღვის გასაოცარ ბინადართ (აპოლოდოროსი, II,5,10; დიოდოროს სიცილიელი, IV,18; პომპონიუს მელა, I,5 და II,6).

ჰერაკლეს სვეტებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ ევროპაში კალპეს, ხოლო აფრიკაში აბილეს, ანუ აბილიქსის კონცხებს. სხვები მათ ათავსებენ გადესის მიდამოებში. გადმოცემათა თანახმად, ეს იყო თითქოსდა ბრინჯაოს სვეტები, რომელთა სიმაღლე რვა წყრთით იზომებოდა. ამოტვიფრული წარწერა გვამცნობდა, თუ რა დაჯდა მათი აღმართვა (სტრაბონი, III,1,7).

ზოგი უარყოფს, რომ ეს სვეტები ჰერაკლემ აღმართა და გვიმტკიცებს, რომ თავდაპირველად მათ კრონოსის სვეტები ეწოდებოდათ, შემდეგ ბრიარეოსისა. როდესაც ამ ბუმბერაზის სახელიც დავიწყებას მიეცა, სვეტებს ჰერაკლეს სახელი უწოდეს, შესაძლოა, იმიტომ, რომ მათგან მოშორებით მდებარე ქალაქი ტარტესა ჰერაკლემ დააარსა და მას ჰერაკლეა უწოდა (ევსტათიოსი, დიონისიოს პერიეგეტესის „დედამიწის აღწერილობის" კომენტარები, 64 და შმდ.; პინდაროსის „ნემეური III-ის" სქოლიონები; ელიანოსი, „ნაირნაირი ამბები", V,3; პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია", III,3 და შმდ.; ტიმოთეოსი სტრაბონთან, III,1,7). აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჰერაკლეს ხანდახან ბრიარეოსსაც უწოდებდნენ. ზოგი ავტორის გადმოცემით, ჰერაკლეს სვეტების რიცხვი იყო არა ორი, არამედ სამი ან ოთხი (ესქილე). იმასაც გადმოგვცემენ, რომ „ჰერაკლეს სვეტები" გერმანიაშიც ყოფილა, ევქსინის პონტოს

სანაპიროებზეც, ჩრდილოეთ გალიაშიც და ინდოეთშიც (ტაციტუსი, „გერმანია“, 34; სტრაბონი, III,5,6).

ჰერაკლეს მეათე გმირობა კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს ეხება. ზოგი გადმოცემით, ჰერაკლემ ასწავლა ევანდროსის ხალხს ანბანი, რის გამოც მას აღუმართეს საკურთხეველი (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, VIII,130 და 336; ჰიგინუსი, „მითები“, 277; პლუტარქე, „რომაული საკითხები“, 59). პლუტარქეს თანახმად, მეფე იუბა ამტკიცებდა, რომ ჰერაკლე სწორედ ამის გამო ითვლებოდა ჰადესის საპატიო მაგისტრატოსად.

*კერბეროსი.* ამ მითის დასასრულის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ჰერაკლე ჰადესის სამფლობელოდან მდინარე სტიქსის გადალახვის შემდეგ ტროიძენთან მდებარე ნაპრალიდან ამოვიდა დღის სინათლეზე (ჰომეროსი, „ილიადა“ VIII,369; აპოლოდოროსი, II,5,12; პავსანიასი II,31,12 და II,32,3). სხვა გადმოცემით, მან გამოიარა პონტოს მარიანდინებთან მდებარე აკონის მღვიმე; სხვა ვერსიით – ტენარონი, ან მთა ლაფისტოსი, სადაც დიდხანს იდგა მისი ქადნაკება სახელწოდებით „ჰერაკლე მბრწყინავი თვალებით“ (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, VII,409 და შმდ.; ჰერმანიკუსის კომენტარები ვერგილიუსის „გეორგიკებისათვის“ II,152; პავსანიასი, III,25,4 და IX,34,4).

როდესაც ჰერაკლემ კერბეროსი ჩამოიყვანა მიკენში, ევრისთევსი მსხვერპლშეწირვას აღასრულებდა. მან გმირს, ვითარცა მონას, მსხვერპლის უვარგისი ნაწილები მიუგდო, უკეთესი – თავისიანებს გაუნაწილა. სამართლიანად განრისხდა ჰერაკლე. მან, როგორც გადმოგვცემენ, ევრისთევსის სამი ძე – პერიმედოსი, ევრიბიოსი და ევრიპილოსი – განგმირა (ანტიკლიდესი, ციტ. ათენეოსის მიხ., IV,157).

გარდა აკონიტისა, ჰერაკლეს სხვა სამკურნალო ბალახთა აღმოჩენაც მიეწერება (იხ. პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია“ XXV,12;15;27;37). თავად აკონიტს ჰქონია დამბლადამცემი მოქმედების თვისება. მას იყენებდნენ თესალიელი ჯადოქრები „გასაფრენი“ მალამოს დასამზადებლად. მისგან ძალას კარგავდნენ კიდურები, რაც მიწიდან მოწყვეტის განცდას ქმნიდა. აკონიტს სიცხის დამგდებ საშუალებადაც იყენებდნენ.

განმარტებები. ტრადიციის თანახმად, ჰერაკლემ 12 საგმირო საქმე აღასრულა. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ არსებობდა ძველი ეპოსი, რომელშიც ეს ვერსია იყო წარმოდგენი-

ლი. სხვათა აზრით, ამ ვერსიას ჰომეროსის შემდგომ დაედო დასაბამი.

ჰერაკლეს 12 გმირობა, სერვიუსის თანახმად, ზოდიაქოს 12 ნიშანს ესადაგება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არც ჰომეროსთან და არც ჰესიოდესთან არ არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ ჰერაკლეს საგმირო საქმეთა რაოდენობა სწორედ 12 იყო. ეს გარემოება აიძულებს მკვლევართ დაფიქრდნენ იმაზე, თუ სად შეიძლება საუბარი მითზე და რა შეიძლება იყოს ისტორიული.

ჰერაკლეს გმირად ქცევის გზა გარკვეული საფეხურების გავლას გულისხმობდა. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ძალისხმევითა და საგმირო საქმეების აღსრულებით მას უნდა დაემსახურებინა ცად ამაღლება – უკვდავება; ამას ერწყმოდა უჩვეულო ფიზიკური მონაცემები და ხასიათის თავისებურებანი, რაც მას წარმოადგენდა ყველა ბრძოლაში გამარჯვებულად – „კალინიკოსად", დამხმარედ უბედურებათა ჟამს – „ალექსიკაკოსად" და მხსნელად – „სოტერად". ჰერაკლეს სახეში იკვეთება პოლარული ნიშნები, ერთის მხრივ დრამატული, ტრაგიზმით აღსავსე, მეორეს მხრივ, კომიკური, ისეთი, როგორიც ხალხურ წარმოდგენებში გვხვდება. ვითარცა ბუნების შვილი, ჰერაკლე იძენს გროტესკულ ნიშნებსაც – მას უყვარს კარგი ჭამა-სმა და, შეიძლება ითქვას, იგი „მსუნაგიც" არის. ამ ინტეპრეტაციას დაუპირისპირდა ძველი ბერძნული ფილოსოფია, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჰერაკლეს მითის ეთიკურ მხარეს და სწორედ ეს მიიჩნია უმთავრესად მის პიროვნებაში. (პროდიკოსი, „ჰერაკლე გზაჯვარედინზე").

ჰერაკლეს ცნობილ საგმირო საქმეებში ძირითადად ურჩხულები ფიგურირებენ. გმირი იმორჩილებს ან კლავს ყველაზე უფრო სახიფათო ცხოველებს. ამ შემთხვევაში საგრძნობია აღმოსავლური მოტივების გავლენა. განსაკუთრებით ეს ეხება ლომის თემას, რომელიც მიკენურ ეპოქაში მეტად პოპულარული იყო. შვიდთავიანი გველის მოკვლა საკმაოდ გავრცელებული იყო უგარიტულ ლიტერატურაში და, როგორც ჩანს, გვხვდება უფრო ადრე, შუმერულ ბეჭდებზე. არსებობს III ათასწლეულით დათარიღებული გამოსახულება გმირისა ლომის ტყავით, ისრითა და კომბლით, რომელიც მოვლენილ უბედურებებს (ლომებს, დრაკონებს, მტაცებელ ფრინველებს) ამარცხებს: მას აიგივებენ ნინურთასთან ან ნინგირსუსთან – ენლილის შვილებთან.

ჰერაკლეს კომპლექსის ძირი შეიძლება უფრო ადრეულიც იყოს. შესაჭმელად განკუთვნილ ცხოველთა თქმულებებში წარმოსახვა

მონადირეთა კულტის სათავეებამდე ადის. რაც შეეხება მიწისქვეშეთთან ურთიერთობას მზის ნახირის, წითელი კუნძულისა თუ ადამიანთა მჭამელი ცხოველების საშუალებით, აგრეთვე მიცვალებულთა სამყაროში ყოფნას, ყოველივე ეს უდაოდ შამანთა სფეროს უკავშირდება. მსგავსი გამოსახულებანი არსებობენ პალეოლითური ხანის მღვიმეებში. ჰერაკლეს ამოჰყავს ჰადესის ძაღლი მიწისქვეშეთიდან, მოაქვს უკიდურეს დასავლეთში მდებარე ღვთაებრივი ბაღებიდან ოქროს ვაშლები, რომლებიც უკვდავების ნაყოფებად მოიაზრებიან, ამას ემატება ზღაპრულ არსებებთან (კენტავრები, ამაძონები) ბრძოლები ადამიანური სამყაროს ზღურბლთან. აქ თავს იჩენს ერთი გარემოება: რაც უფრო მეტად რთავდა ხალხური ტრადიცია ჰერაკლეს საგმირო ეპოსის სფეროში, მით უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა მისი საგმირო საქმეები ისტორიულ სფეროში. მან დაიპყრო ტროა, ელისი, პილოსი, სპარტა, დაიმორჩილა ხალხები, დააარსა ქალაქები. დაახლოებით 700 წლისათვის (საიდანაც ვფლობთ პირველ დოკუმენტურ მასალას ჰერაკლეს გმირობათა შესახებ) ეს ამბები ცნობილი ყოფილა. „ილიადა“ იცნობს კენტავრებისა და ტროას ეპიზოდს; უძველეს თქმულებათა ფენას ეკუთვნის ლომების, ჰიდრების, კენტავრებისა თუ ამორძალების ეპიზოდები.

12 საგმირო ამბის ჩამოყალიბებას ტრადიცია მიაწერს პისანდროს როდოსელს, რომელიც VI საუკუნეში მოღვაწეობდა და რომელსაც შეუქმნია პოემა სახელწოდებით „ჰერაკლეა“.

სხვადასხვა მითოგრაფოსი სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოგვიდგენს ჰერაკლეს მიერ აღსრულებულ საგმირო საქმეთა ამბებს. დიოდოროს სიცილიელი და ჰიგინუსი აპოლოდოროსისაგან განსხვავებით მეოთხე გმირობას მესამეს წინ ათავსებენ, ხოლო მეექვსეს – მეხუთეს წინ. დიოდოროსი მეთორმეტეს მეთერთმეტეს წინ აღსრულებულად მიიჩნევს. თითქმის ყველა ავტორი ნემეას ლომის მოკვლას ჰერაკლეს პირველ გმირობად თვლის, ჰიგინუსთან კი მას წინ უსწრებდა გველის მოხუთვა. დიოდოროს სიცილიელი, ერთის მხრივ, ანტეოსისა და ბუსირისის ამბებს მეათე გმირობისას მოგვითხრობს (IV,17-18), მეორეს მხრივ, მეთერთმეტე გმირობისას (IV,27). ზოგი გადმოცემის მიხედვით, ჰერაკლე ახალგაზრდულ ასაკში გაემგზავრა არგონავტებთან ერთად კოლხეთში (სილიუს იტალიკუსი), ზოგის მიხედვით კი – მეოთხე გმირობის შემდეგ (აპოლონიოს როდოსელი), ან მერვეს შემდეგ (დიოდოროს სიცილიელი). არიან ავტორები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ მან ჯერ მეცხრე და მეთორმეტე გმირობები

აღასრულა და მერე ჩაერთო არგონავტთა მოგზაურობაში (მაგ. ვალერიუს ფლაკუსი, „არგონავტიკა“). ჰეროდოტეს აზრით კი ეს შეუძლებელი იყო იმ მიზეზით, რომ დიდი გმირი იმხანად ჯერ კიდევ დედოფალ ომფალეს ტყვეობაში იმყოფებოდა (ციტ. აპოლოდოროსის მიხ., I,9,19).

ლიკოფრონის სქოლიოების მიხედვით, ჰერაკლე ელევსინურ მისტერიებს ეზიარა მეცხრე გმირობის წინ. ფილოქოროსი კი ამტკიცებს, რომ თესევსი მას თავდებად დაუდგა სწორედ მეცხრე გმირობის აღსრულების ჟამს (და არა მანამდე, იხ. პლუტარქე, „თესევსი“, 26), ხოლო მისი ხსნა ჰადესიდან მოხდა მეთორმეტე გმირობის დროს (აპოლოდოროსი). პავსანიასის თანახმად, თესევსი შვიდი წლის ბავშვი იყო, როდესაც ლომის ტყავით შემოსილი ჰერაკლე მივიდა ტროიძენში, ხოლო ისთმოსი ყაჩაღთაგან გაათავისუფლა გზად ათენისკენ, მაშინ როდესაც ომფალეს ემსახურებოდა (აპოლოდოროსი). ევრიპიდე მიიჩნევდა, რომ ჰერაკლე არესის ძე კიკნოსს შეება მერვე გმირობის წინ („ალკესტისი“, 501); პროპერციუსი (IV,19,41) თვლიდა, რომ ჰერაკლემ კაკოსი მოკლა ჰადესიდან ამოსვლის შემდეგ. ოვიდიუსის („ფასტები“, V,388) აზრით, ქირონი შემთხვევით გარდაიცვალა არა მეოთხე გმირობის ჟამს, არამედ მას შემდეგ, რაც ჰერაკლემ აღასრულა ყველა გმირობა.

მე-IX საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი და მედიკოსი, შუა საუკუნეებში გავრცელებული მითოლოგიური ტრაქტატების („პოეტური ალეგორიები“ და „ღვთაებათა გამოსახულებების შესახებ“) ავტორი ალბრიკუსი გვთავაზობდა ჰერაკლეს მიერ აღსრულებულ გმირობათა ასეთ თანამიმდევრობას ალეგორიული განმარტებებით: კენტავრებზე გამარჯვება, ლომის მოკვლა, ალკესტისის ხსნა ჰადესიდან, ჰესპერიდებისგან ვაშლების წამოღება, ჰიდრას მოგუდვა, აქელოოსთან შებმა, კაკოსის განგმირვა, დიომედესის ცხენები, ანტეოსის დამარცხება, ტახის მოთვინიერება, გერიონის ძროხები და ზეცის თაღის მხრებზე შედგმა.

პავსანიასის თანახმად, ჰერაკლეს საქმენი გამოსახული იყო ამიკლეში, აპოლონის ტახტზე; აგრეთვე სპარტაში, ათენას საკურთხეველზე. თებეში, ჰერაკლეს ტაძრის ფრონტონზე, რომელიც ცნობილ მოქანდაკე პრაქსიტელესს შეუქმნია, გამოსახული ყოფილა გმირის მიერ აღსრულებული ყველა საქმე სტიმფალიური ფრინველების დამარცხების გარდა. ხოლო ავგიასის თავლების მაგივრად ანტეოსთან ბრძოლა იყო ჩართული. ჩანს, საბერძნეთის მრავალ ქალაქს სურდა მონაწილეობა მიეღო ჰერაკლეს საგმირო თავგადასავლებში.

ნემეური ასპარეზობანი, რომელთა დაწესებაც ჰერაკლეს მიეწერება, იმართებოდა ნემეას ველზე, ზევსის სამისნოსთან, ოლიმპიადის ყოველ მეორე და მეოთხე წელს (ელიანოსი, „ჭრელ-ჭრელი ამბები", IV,5; ვერგილიუსი, „გეორგიკები", III,9). ეს იყო სპორტული (ძირითადად ათლეტური და საცხენოსნო) თამაშობანი, რომელთაც მოგვიანებით დაემატა მუსიკალური აგონებიც. გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ ზეთისხილის რტოებით. მათ განადიდებდნენ პოეტები და თაყვანს სცემდნენ თანამოქალაქენი. ცნობილი ბერძენი პოეტის, პინდაროსის, შემოქმედების ერთი ნაწილი (ნემეური ოდები) სწორედ ნემეურ ასპარეზობათა გამარჯვებულებს ეძღვნება.

*ლერნეს ჰიდრა.* მითის უძველეს ვარიანტში ჰერაკლე, როგორც ტახტის მემკვიდრე, თანამიმდევრობით უნდა შებრძოლებოდა ხარს, ლომს, ტახს ან კიბორჩხალას, შემდეგ წყლის ურჩხულს (შდრ. მითი იასონზე). ასტროლოგებმა კიბორჩხალას ვარიანტი გამოიყენეს იმისთვის, რომ დაემყარებინათ თანაფარდობა ჰერაკლეს თორმეტ გმირობასა და ზოდიაქოს ნიშნებს შორის.

*ერიმანთოსის ტახი.* ტახები მთვარის ცხოველებად ითვლებოდნენ მათი ნახევარმთვარის მსგავსი ეშვების გამო. მთა ერიმანთოსი კი არტემისის წმინდა ადგილი უნდა ყოფილიყო.

*კერინიის ირემი.* ღვთაება არტემისს ბავშვობისას უხილავს ხუთი ირემი. მზის სხივი თამაშობდა თურმე მათ რქებზე. არტემისი დადევნებია მშვენიერ ნადირებს, ოთხი დაუჭერია და თავის ეტლში შეუბამს. მეხუთე გაქცეულა ჰერას ნებით და კერინიის მთის ტყით დაბურული ფერდობებისთვის შეუფარებია თავი. ქალღმერთს უკვე ჩაფიქრებული ჰქონია ჰერაკლეს დასჯა. მეცნიერები მითის ამ ვერსიას გამოჰყოფენ სხვათაგან და აღნიშნავენ, რომ მას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, იგი ადასტურებს, რომ აქაველებმა არტემის ელათიას (ირმის მსგავსი) ტაძარში შეაღწიეს. ეტლში შებმული ოთხი ირემი ოლიმპიადის ოთხ წელს ესადაგება, ხოლო ირმის დევნა სიმბოლოა სიბრძნის დევნისა. ჰერაკლე უფრთხილდებოდა ირემს, მთელი წელი დასდევდა მას და მიაღწია ჰიპერბორეელთა ქვეყანასაც კი, სადაც ასეთი მისტერიები იმართებოდა.

*ავგიასის თავლები.* ეს უცნაური მითი იმ უძველესი ლეგენდის ანარეკლი უნდა იყოს, სადაც ჰერაკლეს, იასონის მსგავსად, გამო-

საცდელი დავალება ერთ დღეში უნდა აღესრულებინა, რათა სამეფო ტახტზე ასულიყო. გამოცდა კი გულისხმობდა ორი ხარის დამორჩილებას, უღელში შებმას, ტყით დაფარული მინდვრის გაწმენდას, მოხვნას, დათესვას, მოსავლის აღებას. ამ შემთხვევაში ჰერაკლეს თავლები უნდა გაეწმინდა წლობით დაგროვილი ნეხვისაგან.

მეფე ავგიასი, ზოგი გადმოცემით, ელისის ძეა, ზოგის მიხედვით – პოსეიდონისა. მკვლევართა აზრით, მისი ჯოგი მთვარის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ხართა ფერები – წითელი, თეთრი და შავი. თეთრი ხარები მთვარის თორმეტ თვეს განასახიერებდნენ. მითოლოგიაში ხშირად გვხდება სიუჟეტები, სადაც ასეთ წმინდა ჯოგს იტაცებენ. ჩანს, ჰერაკლეს სურდა სწორედ ამ თორმეტი ხარის მითვისება.

ჰერაკლეს მიერ ელისის აღების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. განმარტებები თავისთვის „ელისის აღება"

*კრეტის ხარი.* არ არის ზუსტად გარკვეული ის, თუ კრეტის რომელ ხარზეა აქ საუბარი. არის ორი ვერსია: ა) ეს ის ხარია, რომელიც ზევსმა მოავლინა ევროპეს მოსატაცებლად (ფს. ერატოსთენესი, 14); ბ) ეს ის ხარია, რომელიც მინოსმა ვერ გაიმეტა შეეწირა ზღვათა ღვთაებისათვის და რომლისგანაც მისმა მეუღლემ, პასიფაემ, შვა მინოტავროსი (აპოლოდოროსი, III,1,2-4).

*დიომედესის ცხენები.* ქალაქ აბდერაში აბდეროსის პატივსაცემად ეწყობოდა ათლეტური ასპარეზობანი. ამ სანახაობის დროს იმართებოდა მისთვის ნიშანდობლივი ყველა შეჯიბრი ეტლით სრბოლის გარდა იმის ნათელსაყოფად, რომ აბდეროსი დაიღუპა სწორედ მაშინ, როდესაც ადამიანის ხორცის მჭამელმა ფაშატებმა გადააბრუნეს ეტლი. ეს ფაშატები კი ეტლში თავად აბდეროსმა შეაბა.

საგულისხმოა, რომ მსხვერპლშეწირვისთვის განკუთვნილ ველურ ცხენთა მოთვინიერება კორონაციის რიტუალის ნაწილი იყო ძველი საბერძნეთის ზოგიერთ რეგიონში. ერთ-ერთ შემდგომ სიუჟეტში („ელისის დაპყრობა") ჩვენ ვნახავთ, რომ ჰერაკლე მოათვინიერებს ცხენ არიონს (გავიხსენოთ ბელეროფონის მიერ პეგასოსის დამორჩილების მითი). ყოველივე ეს მიგვითითებს ჰერაკლეს მიერ გარკვეული ადათის შემოღებაზე აბდერაში. კერძოდ, მან შეცვალა ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ფაშატთა ნიღაბს ამოფარებული ექსტაზურ მდგომარეობაში მყოფი ქალები გლეჯდნენ და ჭამდნენ მეფე-ქურუმს მისი მმართველობის ბოლოს. ჰერაკლემ მეფე-ქურუმებს სხვაგვარი აღსასრული დაუწესა: ისინი უნდა დაღუპულიყვნენ

ეტლის გადაბრუნების დროს. წესისგების ამ ცვლილებაზე მიუთითებს სწორედ ის, რომ აბდერაში გამართულ ათლეტურ ასპარეზობებზე შეჯიბრი ეტლით სრბოლაში უგულებელყოფილი იყო.

არხების, გვირაბების და სხვა მიწისქვეშა გასასვლელების აგებას ხშირად ჰერაკლეს მიაწერენ.

*ჰიპოლიტეს სარტყელი.* ჰერაკლეს ლაშქრობა თერმოდონისკენ, ბრძოლები მიზიასა და ფრიგიაში არ უნდა იყოს მოკლებული ისტორიულ საფუძველს, ისევე როგორც არგონავტთა ლაშქრობა ან ტროას ომი. ეს ერთი შეხედვით მითიური ამბები მიგვითითებენ იმ სავაჭრო ურთიერთობებზე, რომლებსაც ამყარებდნენ ბერძნები ევქსინის პონტოს (ახლანდელი შავი ზღვის) რეგიონში ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში.

*გერიონის ძროხები.* მითოგრაფოსთა და ისტორიოგრაფოსთა თანახმად, ჰერაკლეს მეათე გმირობაც მრავალ ისტორიულ ამბავთან არის დაკავშირებული. ზოგი საკითხი ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მკვლევართა შორის იწვევდა კამათს. კერძოდ, დაუდგენელია ერითიას (ზოგი მას ერიტრეას ან ერიტრიას უწოდებს) ზუსტი ადგილმდებარეობა. მას ხან ოკეანის მიღმა მდებარე კუნძულად წარმოადგენენ, ხან კი ლუსიტიანის სანაპიროს მახლობლად მდებარე ზღვაში ათავსებენ (შდრ. ჰესიოდე). სხვა გადმოცემით, ერითია გაიგივებულია კუნძულ ლეონთან ან მის მახლობლად არსებულ რომელიღაც კუნძულთან, სადაც მდებარეობდა თავისი საძოვრებით განთქმული უძველესი ქალაქი კოტინუსა. ფინიკიელებს შემდგომ მისთვის უწოდებიათ გადირა, რაც „გამაგრებულ ქალაქს" ნიშნავს. ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა კრონოსის ტაძარი, აღმოსავლეთით – ჰერაკლესი. გერიონი დაკრძალული ყოფილა იმ ქალაქში, რომელსაც იცნობდნენ თავისი საკვირველი ხით: ეს ხე სხვადასხვა ფორმას იღებდა ხოლმე (სტრაბონი III,5,3-4 და 7; პავსანიასი, I,35,6).

თანამედროვე გაგებით, ჰერაკლეს სვეტებად, რომელთა მახლობელ მიდამოებშიც ბერძნული კოლონიები დაახლოებით ძვ.წ. XI საუკუნეში აღმოცენდა, იწოდებიან სეუტა და ჰიბრალტარი.

ზევსის ღვთაებრივი ძის მოგზაურობა იტალიასა და სიცილიაზე მოგონილია იმიტომ, რომ აიხსნას მის პატივსაცემად აგებულ ტაძართა და საკურთხეველთა სიმრავლე. მეფე ერიქსთან ხუთჭიდში („პენტათლონი") შებრძოლების ეპიზოდი საშუალებას იძლეოდა გაემართლებინათ ქალაქ ერიქსში ძვ.წ. VI საუკუნეში კოლონისტების ექსპედიცია, რომელსაც სათავეში ედგნენ ჰერაკლიდი პენტათლოსი კნიდოსიდან და სპარტელი დორიემოსი. ჰერაკლეს

თაყვანს სცემდნენ სიცილიის ქალაქ აგირიაში და სავარაუდოა, რომ სწორედ მან გაიყვანა ძვ.წ. XI საუკუნეში სიცილიელები იტალიაში (თუკიდიდე). არსებობს გადმოცემა, რომელიც ჰერაკლეს სკვითების წინაპრადაც მიიჩნევს. მისი საცოლე – გველის ბოლოიანი ქალი – იყო ღვთაებრივი არსება, სამი სკვითური ტომის დედა, რომელსაც მოიხსენიებს ჰეროდოტე.

ალკიონევსთან შებრძოლების ამბავი, შესაძლოა, გვიანი დროის ჩანართი იყოს. იგი, ალბათ, გიგანტომაქიის გავლენით შეერწყა ამ მითს, რამეთუ გიგანტებისა და ღმერთების ბრძოლაში სწორედ ჰერაკლეს დახმარებით გაიმარჯვეს ღმერთებმა (იხ. ჩვენი სერიის წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე"; კომენტარი მითისთვის „ბრძოლა გიგანტებთან".).

*ჰესპერიდების ვაშლები.* ჰესპერიდების ბაღის ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ამის მიზეზი იყო ალბათ ის, რომ დედამიწის უკიდურეს დასავლეთად სხვადასხვა ქვეყანას მიიჩნევდნენ მითოგრაფოსები. პლინიუსის თანახმად („ბუნებრივი ისტორია", V,5), ეს გმირობა ჰერაკლემ ჩაიდინა ბერენიკეში, რომელსაც ადრე თვლიდნენ ჰესპერიდების ქალაქად. იგი მდებარეობდა სირტეს ყურის დასავლეთ კონცხზე (სტრაბონი XVII,3,20), მას გარს ერტყა მდინარე ლათონი ან ლეთონი; ქალაქს ამშვენებდა წმინდა ჭალა, რომელსაც „ჰესპერიდების ბაღს" უწოდებდნენ. მდინარე ლათონი ჩაედინებოდა ჰესპერიდების ტბაში, ტრიტონისის ტბის მახლობლად. ამავე ტბაში შეინიშნებოდა პატარა კუნძული აფროდიტეს საკურთხევლით. ზოგი გადმოცემით, სწორედ აფროდიტეს ეკუთვნოდა ეს ოქროს ვაშლები (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის" IV,485). ჰეროდოტეც მოიხსენიებს ამ მხარეს, როგორც ყველაზე ნაყოფიერს ლიბიაში (IV,198). ზოგი გადმოგვცემს, რომ ჰესპერიდები ცხოვრობდნენ ატლასის მთებზე ჰიპერბორეელთა ქვეყანაში, ზოგი ამ მთებს აფრიკის მავრიტანიაში ათავსებს.

ძველი ავტორები ცდილობდნენ მოენახათ ამ მითის რაციონალური ახსნაც. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ჰერაკლემ ვაშლები კი არ მოიპოვა, არამედ ცხვრები (სიტყვა melon ერთდროულად აღნიშნავს „ვაშლსაც" და „ცხვარსაც"), რომელთაც მწყემსავდა მწყემსი დრაკონი და რომლისთვისაც საკვები ჰესპეროსის ქალიშვილებს, ჰესპერიდებს მიჰქონდათ (სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის", IV,485; დიოდოროს სიცილიელი IV,26). პალეფატოსი გადმოგვცემს, რომ ჰესპეროსი იყო კარიული მილეტოსის მკვიდრი, მისი სამშობლო კი განთქმული იყო ცხვრებით (19).

სხვა ვერსიით, ჰერაკლემ იხსნა ატლასის ქალიშვილები, რომლებიც ბაღიდან მოიტაცეს ეგვიპტელმა ქურუმებმა. ატლასმა მადლიერების ნიშნად არა მხოლოდ ვაშლები მისცა მას, არამედ შეასწავლა ასტრონომიაც. იგი ხომ თავად იყო პირველი უბადლო ასტრონომი, რამეთუ მთელი ზეცის თაღი ედგა მხრებზე. აი, რატომ გადმოგვცემენ, რომ ჰერაკლემაც შეძლო ზეცის თაღის საკუთარი მხრებით ზიდვა (დიოდოროს სიცილიელი, III,60 და IV,27).

ანტეოსისა და ჰერაკლეს ორთაბრძოლა, ზოგიერთების გადმოცემით, მოხდა ლიკესში, მავრუსიელთა ერთ პატარა ქალაქში, რომელიც ტანჟერიდან მცირეოდენი მანძილით იყო დაშორებული. იქვე მდებარეობდა ბორცვი, რომელიც ანტეოსის საფლავად იყო მიჩნეული. იმ ადგილთა მკვიდრნი ირწმუნებოდნენ, თუ ამ ბორცვიდან ვინმე მიწას აიღებდა, იწყებოდა წვიმა, რომელიც მანამ არ შეწყდებოდა, ვიდრე მიწას არ დააბრუნებდნენ თავის ადგილას. როდესაც სერტორიუსმა დაიპყრო ქალაქი ტანჟერი, გათხარა საფლავი, რათა დარწმუნებულიყო, რომ იქ დაკრძალული იყო ბუმბერაზი. მართლაც, იხილა რა უზარმაზარი სიდიდის ჩონჩხი, დიდი პატივით შეამკო მიცვალებული. ადგილობრივი მოსახლეები იმასაც გადმოგვცემდნენ, რომ ანტეოსის ქვრივს, თინგისს (ან ტინგისს) ჰერაკლესაგან შესძენია ვაჟი – სოფაქსი, რომელიც მართავდა თავის ქვეყანას და დედის პატივსაცემად ტანჟერისათვის უწოდებია თინგისი. სოფაქსის ძეს, დიოდოროსს, ბერძენთა ლაშქრის დახმარებით დაუპყრია აფრიკის მრავალი ხალხი. ეს ლაშქარი შედგებოდა იმ მიკენელი კოლონისტებისაგან, რომლებიც აქ ჰერაკლეს ჩამოუსახლებია (პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია", V,1; სტრაბონი, XVII,3,2; პომპონიუს მელა, III,X,6; პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები", სერტორიუსი, 9). აღმოსავლური წარმოშობის მავრუსიელები, ისევე როგორც სპარსეთის ფარუსიელები, თან ახლდნენ ჰერაკლეს აფრიკაში ლაშქრობის ჟამს (სტრაბონი, XVII,3,7,3,9; პლინიუსი, „ბუნებრივი ისტორია", V,8; პროკოპიუსი, „ვანდალებთან ბრძოლის შესახებ", II,10).

მითი პრომეთეზე თავის ინტერპრეტაციით იხ. ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები".

*კერბეროსი.* მითის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ჰერაკლეს განწმენდა. იგი ვერ ჩავიდოდა მიცვალებულთა სამეფოში ამ რიტუალის აღუსრულებლად: მას ხომ კენტავრთა სისხლში ჰქონდა უკვე ამ დროისათვის გასვრილი ხელები. გადმოცემათა თანახმად,

ჰერაკლეს განწმენდის წესისგება აღასრულა ორფევსის ძე მუსეოსმა. თავდებად ედგა დიადი გმირი თესევსი (ჰეროდოტე, VIII,65; აპოლოდოროსი, II,5,12; პლუტარქე, „თესევსი“, 30 და 33; დიოდოროს სიცილიელი, IV,25).

ელევსინური მისტერიების შესახებ იხ. ჩვენი სერიის წიგნი „დიდი ზეციური ღმერთები“, თავი „დემეტრე“.

არსებობს გამოსახულება, რომელზეც წარმოდგენილია ჰერაკლე ჰადესში, სადაც მას ესალმება მიცვალებულთა ღვთაება ჰეკატე სამთავიანი ურჩხულის სახით: კერბეროსი მიაცილებს გმირს მიცვალებულთა სამეფოში. მითის ცნობილი ვარიანტი აუცილებელი იყო ჰერაკლეს გასალმერთებლად; გმირი უნდა დარჩენილიყო მიწისქვეშეთში, მაშინ როდესაც ღმერთს შეეძლო გარიდებოდა ამ ხვედრს.

## ⑩

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ევრიტოსთან დაკავშირებული ამბები გვხვდება შემდეგ წყაროებში: პლუტარქე, „სიყვარულზე“, 9; აპოლოდოროსი, II,6,1; პავსანიასი, X,29,3;IV,33,5; დიოდოროს სიცილიელი, IV,31; სოფოკლე, „ტრაქისელი ქალები“, 260 და შმდ.; ჰიგინუსი, „მითები“, 14.

*იფიტოსის მითი* გვხვდება შემდეგ წყაროებში: სოფოკლე, „ტრაქისელი ქალები“, 266 (სქოლიონები); ჰომეროსი, „ოდისეა“, XXI,15 და შმდ.; დიოდოროს სიცილიელი, IV,31; აპოლოდოროსი, II,6,2;

*აპოლონთან შებმის ამბავი* მოთხრობილია აპოლოდოროსის (II,6,2), პავსანიასის (X,13,4;II,21,3), ჰიგინუსის („მითები“, 14), სოფოკლეს („ტრაქისელი ქალები“, 248 და შმდ.), სერვიუსის (კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, VIII,300) მიხედვით.

ამ ამბებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი გადმოცემა, მათგან განსხვავებული. მის თანახმად, ევბეელმა ლიკოსმა, პოსეიდონის ძემ, მოკლა თებეს მეფე კრეონი და ხელში ჩაიგდო სამეფო ტახტი. მან დაუჯერა რა კოპრევსს, რომელმაც ამცნო, რომ ჰერაკლე გარდაიცვალა, მეგარას ცდუნება მოინადინა. როდესაც ქალმა უარით უპასუხა, მოკვლა დაუპირა. ლიკოსს ჰერაკლეს შვილთა დაღუპვაც ჰქონდა განზრახული. მაგრამ უეცრად ჰადესიდან დაბრუნდა ზევსის ღვთაებრივი ძე. ჰერამ, რომელიც სწყალობდა ლიკოსს, ჰერაკ-

ლეს გონება დაუბინდა და ნაცვლად შურისძიებისა, მან თავის ცოლ-შვილი ამოხოცა (ჰიგინუსი, „მითები“, 32; ევრიპიდე, „ჰერაკლე“, 26 და შმდ.; და 533; სერვიუსი, კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდისთვის“, VIII,300; სოფოკლეს „ტრაქისელი ქალების“ სქოლიონები, 335). გადმოგვცემენ იმასაც, თითქოს ჰერაკლე შემართული იყო თავისი მამობილის, ამფიტრიონის მოსაკლავადაც, მაგრამ ათენამ მას ქვა ესროლა და უსულოდ დასცა მიწაზე. ამ ქვას „გონსმოსვლის ქვას“ უწოდებენ. სინამდვილეში ამფიტრიონი ამ შემთხვევამდე დიდი ხნით ადრე გარდაიცვალა. ჰადესიდან გათავისუფლებული თესევსი მადლიერების ნიშნად ლაშქართან ერთად ჩამოსულა თებეში ჰერაკლეს დასახმარებლად. იგი შეძრწუნებულა ჰერაკლეს მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. მას მეგობარი ათენში ჩამოუყვანია, სადაც მედეას განუკურნავს სიგიჟისაგან თავისი ჯადოწამლებით, ხოლო სიკალოსს ერთხელ კიდევ აღუსრულებია მისი განწმენდის წესისგება (ევრიპიდე, „ჰერაკლე“, 26 და შმდ.; 1163 და შმდ.; 1322; პავსანიასი, IX,11,2; დიოდოროს სიცილიელი, IV,55; პინდაროსის „ისთმიური IV“ ოდის სქოლიონები, 104 და შმდ.).

შეჯიბრი მშვილდოსნობაში საცოლის ხელის მოსაპოვებლად საერთო ინდოევროპული წესია (შდრ. „მაჰაბჰარატა“, „რამაიანა“ და სხვა).

*ჰერაკლეს თავგადასავალი ომფალეს კარზე* მოთხრობილია ძირითადად შემდეგი წყაროების მიხედვით: აპოლოდოროსი (II,6,3); დიოდოროს სიცილიელი (IV,31); სვიდა („კერკოპები“); ჰიგინუსი („პოეტური ასტრონომია“, II,14); პავსანიასი (II,21,3); ლუკიანოსი („ღმერთების საუბრები“, 13); ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, XIV,91; „ჰეროიდები“, IX,54; „ფასტები“, II,305).

*ტროას აღების ამბები* ძირითადად წარმოდგენილია აპოლოდოროსის (II,6,4;I,8,2;III,12,7), დიოდოროს სიცილიელის (IV,32), ჰიგინუსის („მითები“, 89) მიხედვით. ეს სიუჟეტი გვხვდება აგრეთვე პინდაროსის სქოლიონებში („ნემეური III“, 61; „ისთმიური I“, 21-23), ჰომეროსთან („ოდისეა“, XV,243; „ილიადის“ სქოლიონებში: XXIII,821. აგრეთვე „ილიადა“, V,638;VIII,283), პლუტარქესთან („ბერძნული საკითხები“, 41), სერვიუსის კომენტარებში (III,3).

ზოგი ვერსიით, ტროას ასაღებად თვრამეტი ხომალდი გაემართა, სხვა გადმოცემით, მათი რიცხვი ექვსი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მეომართა რიცხვიც იკლებდა. მიუხედავად ამისა, ჰერაკლეს თანამებრძოლთა შორის ასახელებენ იოლაოსს, პელევსს,

არგოსელ ოიკლესს, ბეოტიელ დიმაქოსს და ეაკოსის ძე ტელამონს. ეს უკანასკნელი იმ ეაკოსის ძეა, რომელიც მონაწილეობდა ტროას დასავლეთი კედლის აგებაში. ამიტომ, როდესაც იგი პირველი შეიჭრა ქალაქში, სწორედ დასავლეთ კედელს ეკვეთა, რადგანაც ჩათვალა, რომ ყველაზე სუსტი ადგილი ეს იქნებოდა (სქოლიონები პინდაროსის „ნემეური ოდებისათვის", III,61; „ისთმიური ოდა", I,21-23; ჰომეროსი „ოდისეა" XV; პლუტარქე „ბერძნული საკითხები" 41; აპოლოდოროსი II,6,4 და I,8,2).

კუნძულ კოსთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს: აპოლოდოროსის თანახმად, კუნძულ კოსის მკვიდრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ჰერაკლეს, მიიჩნიეს რა მისი თანამგზავრები მეკობრეებად. გმირმა მაინც შეძლო კუნძულზე გადასვლა, ქალაქის აღება და მეფის მოკვლა. ამ ბრძოლების ჟამს იგი დაჭრა ქალკოდონმა, მაგრამ ზევსმა გადაარჩინა (II,7,1). სხვა გადმოცემით, ჰერაკლე თავს დაესხა კოსელებს იმიტომ, რომ შეუყვარდა მეფე ევრიპილოსის ქალიშვილი ქალკიოპე (პინდაროსის „IV ნემეური" ოდის სქოლიონები, 40).

არსებობს ასეთი ვერსიაც: ჰერაკლეს ექვსი ხომალდიდან ხუთი ქარიშხალმა ზღვაში ჩაძირა. დარჩენილი ხომალდი გაირიყა კუნძულ კოსთან. მეხომალდეებმა მხოლოდ იარაღის გადარჩენა შეძლეს. ხმელეთზე გადასულებმა დაინახეს მწყემსი ანტაგორა და სთხოვეს ცხვარი. ეს მწყემსი ახოვანებითა და სიძლიერით გამოირჩეოდა, ამიტომ მან ბრძოლაში გამოიწვია ჰერაკლე და ცხვარი ჯილდოდ შესთავაზა გამარჯვების შემთხვევაში. ჰერაკლემ მიიღო ეს გამოწვევა და როდესაც მებრძოლები შეებნენ ერთმანეთს, ანტაგორას დასახმარებლად ისწრაფა მისმა მეგობარმა, ხოლო ჰერაკლეს თავისი ამალა შემოეხვია. ატყდა გნიასი, ტალღებთან ბრძოლისა და შიმშილისაგან ძალაგამოცლილმა ზევსის ძემ მიატოვა ბრძოლის ველი, ვიღაც თრაკიელი ბრგე ქალის სახლში შევარდა, მისი სამოსი გადაიცვა და თავი ასე გადაირჩინა.

იმავე დღეს კარგად გამოკვებილმა და გამოძინებულმა ჰერაკლემ აღიდგინა თავისი ძალა და კოსელებს შეება, დაამარცხა ისინი და უკუაქცია. შემდეგ განწმენდის წესისგება აღასრულა და ისევ ისე, ქალის სამოსით იქორწინა ქალკიოპეზე, რომელმაც მას უშვა ცნობილი თესალოსი (აპოლოდოროსი, II,7,8; ჰომეროსი, „ილიადა", II,678-679). ასე ამბობენ, ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში კოსელი სასიძოები ქალის სამოსით თხოულობდნენ ცოლებს, ასევე ეცვა ჰერაკლეს ქურუმს ამ კუნძულზე, როდესაც იგი წესისგებას აღასრულებდა (პლუტარქე, „ბერძნული საკითხები", 41).

*ლაშქრობა ელისში* წარმოდგენილია აპოლოდოროსის (II,7,2;II,5, 5;II,7,5;II,7,2), პავსანიასის (V,1,8;V,2,2;V,3,8;V,2,1;VIII,14,6; VII,25,5-6;VIII,14,1-3;II,15,1;VIII,25,5;V,3,1), ჰიგინუსის („მითები", 33), დიოდოროს სიცილიელის (IV,33) მიხედვით.

ოლიმპიურ დღესასწაულთა დაწესების თაობაზე იხ.: პინდაროსი, „ოლიმპიური" III და X; ცეცეს „ლიკოფრონის სქოლიონები", 41; ჰიგინუსი, „მითები", 273; აპოლოდოროსი, II,7,2; პავსანიასი, V,13,1 და 14,2-3; დიოდოროს სიცილიელი, IV,14; პავსანიასი V,15,3;V,8,1.

*ლაშქრობა პილოსში* მოთხრობილია პავსანიასის (II,2,2;III,26,6; V,3,1;VI,25,3), აპოლოდოროსის (II,7,3), დიოდოროს სიცილიელის (IV,68), აპოლონიოს როდოსელის (I,156-160) მიხედვით. ამ ამბებზე მინიშნებებს ვხვდებით, აგრეთვე, შემდეგ წყაროებში: ჰესიოდე, „ჰერაკლეს ფარი", 359; პინდაროსი, „ოლიმპიური" X,30-31; ჰომეროსი, „ილიადა", V,392 და შმდ.

*ლაშქრობას სპარტაში* მოგითხრობთ აპოლოდოროსის (II,7,3;III,10,5), პავსანიასის (III,15,3;III,19,7;III,20,5;VIII,53,3;VIII,47,4), დიოდოროს სიცილიელის (IV,33) მიხედვით.

*ჰერაკლესა და დეიანირას ამბავი* წარმოდგენილია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (IX,1-134), დიოდოროს სიცილიელის (IV,34), ანტონინუს ლიბერალუსის „გარდასახვანის" (2), აპოლოდოროსის (I,18,1;II,7,6), პავსანიასის (I,32,5;X,38,1), სოფოკლეს „ტრაქისელი ქალების" (1-40) მიხედვით.

წყაროთა უმრავლესობის თანახმად, დეიანირა იყო ოინევსის ასული. სხვა გადმოცემით, იგი ღვთაება დიონისეს და ალთეას ქალიშვილია, ხოლო ალთეა ოინევსის მეუღლეა. ეს ამბავი განცხადდა მაშინ, როდესაც დეიანირას ძმა მელეაგროსი გარდაიცვალა. იმხანად მისი დადარდიანებული დები არტემისმა ციცრებად გარდასახა. სწორედ დიონისეს თხოვნით დაუბრუნა მათ ღმერთქალმა ადამიანის სახე (დიოდოროს სიცილიელი; აპოლოდოროსი; ბაკქილიდესი; ანტონინუს ლიბერალუსი).

არ ეთანხმებიან მითოგრაფოსები ერთმანეთს ჰერაკლესა და აქელოოსის ბრძოლის დათარიღების საკითხშიც. ზოგის აზრით, მათი შერკინება მოხდა იფიტოსის გარდაცვალებამდე (სოფოკლე; პავსანიასი).

ნესოსის ეპიზოდის სხვა ვერსია გვამცნობს, რომ სიკვდილის წინ ამ კენტავრმა დეიანირას მისცა თავისი სისხლით გაჟღენთილი ბეწვი და ურჩია, ჩაექსოვა იგი ჰერაკლეს სამოსში.

მესამე ვარიანტი ასეთია: ნესოსმა დეიანირას მისცა თავის სისხლში მოთხვრილი ტანსაცმელი, როგორც სასიყვარულო ამულეტი, თავად კი ლოკრების სამოსახლოში გაიქცა, სადაც გარდაიცვალა კიდეც იარისაგან. მისი გვამი კი, დაუკრძალავი რომ დარჩა ტაფიასის მთის ძირას, საშინლად ყარდა. თურმე ამიტომ უწოდებდნენ ლოკრებს „მყრალებს" (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", IX,101 და შმდ.; პავსანიასი, X,38,1; სტრაბონი, IX,4,8).

*ჰერაკლე ტრაქისში.* მოგითხრობთ შემდეგი წყაროების მიხედვით: დიოდოროს სიცილიელი, IV,36,37; აპოლოდოროსი, II,7,7;III,13,8; აპოლონიოს როდოსელი, I,1212; ჰიგინუსი, „მითები", 14;31; პავსანიასი, I,5,2;I,27,7; ჰეროდოტე, VIII,43,46 და 73; სტრაბონი, VIII,6,13;IX,5,18; ევრიპიდე, „ჰერაკლე", 383-393; ჰესიოდე, „ჰერაკლეს ფარი", 57-138;320-480; პინდაროსი, „ოლიმპიური ოდები" VII,23 და შმდ. სქოლიონებითურთ.

*იოლეს მითი* გვხვდება ათენეოსთან (XI,461), აპოლოდოროსთან (II,7,7), ჰიგინუსთან („მითები" 35), სტრაბონთან (IX,5,17;X,1,10;X,1,18), პავსანიასთან (IV,2,2,3,6,33,5-6 და 27,4), აგრეთვე სოფოკლესთან („ტრაქისელი ქალები" 283 და შმდ.), ჰომეროსთან („ილიადა" II,596 და 730; „ოდისეა" XXI,13-14).

განმარტებები. ჰერაკლეს თავგადასავალი საგმირო საქმეთა აღსრულების შემდეგ მრავალ უჩვეულო ამბავთან არის დაკავშირებული. მათ შორის მნიშვნელოვანია აპოლონთან შებმის მითი, რაც ჰერაკლეს ღმერთებთან მებრძოლ გმირადაც წარმოადგენს. ჰერაკლეს მიერ დელფოდან სამფეხის მოტაცება უნდა მიგვანიშნებდეს დორიელთა მიერ ამ წმინდა ადგილის გაძარცვაზე. საყოველთაოდ ცნობილია ის, რომ დორიელი სპარტელები კლასიკის ხანაში აკონტროლებდნენ დელფოს სამისნოს. ევრიპიდე თავის ტრაგედია „ჰერაკლეში" არ მოიხსენიებს ამ ფაქტს, რამდენადაც იმხანად ათენელებმა ვერ შეძლეს ფოკისის ძალაუფლების გავრცელება დელფოზე. ძვ.წ. IV საუკუნის შუა წლებისთვის ფოკისელებმა ხელში ჩაიგდეს დელფო და მისი საგანძურის ნაწილი. მათ სცადეს გაეძლიერებინათ თავისი სახელმწიფო, მაგრამ ამაოდ. სამფეხის მოტაცება ერთგვარი სიმბოლური ასახვაა იმისა, თუ როგორ იბრძოდა ორი კულტი დელფოში დამკვიდრებისთვის. ცნობილია, რომ აპოლონის ქურუმები აღიარებდნენ დელფოში ჰერაკლეს კულტის არსებობას. მკვლევართა აზრით, ჰერაკლეს კულტი ჩართული უნდა ყოფილიყო აპოლონის ღვთისმსახურებაში.

*ჰერაკლესა და ომფალეს ამბავს*, ისევე როგორც სხვა გადმოცემებს, ისტორიულ სინამდვილედ მიიჩნევენ მითოგრაფოსები. მათი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ომფალე ყოფილიყო პითია, დელფოს ომფალოსის (ჭიპი, საფუძველი, ცენტრი) განმგებელი, რომელმაც გმირი შეისყიდა და ტაძრის მსახურად აქცია. კლასიკური ხანის მწერლები ჰერაკლეს სამსახურს ომფალეს კარზე მიიჩნევენ იმის ალეგორიად, თუ როგორ შეიძლება უძლიერესი კაცი მოიმსახუროს ჭკვიანმა და პატივმოყვარე ქალმა. ჭიპი ქალურ ვნებათა თავშესაყარი იყო ძველების რწმენით. ამდენად, სახელი ომფალე სექსუალურ ნიუანსსაც შეიცავს. ეს სიუჟეტი იმ პერიოდის ამბებს უნდა ასახავდეს, როდესაც ხდებოდა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლა. მეფეს შეეძლო შეეცვალა დედოფალი რიტუალთა აღსრულების ჟამს, ოღონდ საკუთარი სამოსის ნაცვლად უნდა ჩაეცვა მისი სამოსი. გამოკვლეულია, რომ ამგვარი სისტემა არსებობდა შუმერულ ეპოქაში, ძველი ლაგაშის მიდამოებში. უფრო მეტიც, კრეტული ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშებზე წარმოდგენილნი არიან მამაკაცები ქალთა სამოსით მსხვერპლშეწირვის დროს (ჰაგია ტრიადა, კნოსოსის სასახლის ფრესკები). ჰერაკლეს მონობა აიხსნება საკუთრივ მატრიარქალური წესებით, რომლებიც არსებობდა ჩრდილოეთ აფრიკაში (ლოანგო, დაურე, აბრონე). აქ, გამოკვლევათა თანახმად, მეფე მონათა წრიდან იყო და არ ფლობდა ძალაუფლებას. სხვა ადგილებში იყო მხოლოდ დედოფალი, რომელიც არ ქორწინდებოდა და ირჩევდა საყვარელს მონათა შორის. ანალოგიური სისტემა არსებობდა თითქმის კლასიკურ ხანებამდე ლოკრ წარჩინებულთა შორისაც. ისინი ირჩევდნენ ტროელი ათენას მსახურ ქურუმ ქალებს. ეს ლოკრები, რომლებიც არ იყვნენ ელინური მოდგმისა, ქორწინებამდელ კავშირებს ქველმოქმედებად მიიჩნევდნენ და მატრილინეალური მემკვიდრეობით ამაყობდნენ (დიონისიოს პერიეგეტესი, „დედამიწის აღწერილობა", 365-367; პოლიბიოსი, XII,6b). მსგავსი ადათი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ელინამდელი საბერძნეთისა და იტალიისთვის.

*ტროას აღებისა და გიგანტომაქიის ამბები* უნდა მიგვანიშნებდეს მეხუთე, ანუ ელინამდელი ტროას განადგურებაზე, შესაძლოა, მიკენელთა მიერ. ესენი უნდა ყოფილიყვნენ ეოლიელი ბერძნები, რომელთაც ეხმარებოდნენ ლელეგები. ამ უკანასკნელთა წინაპრები კი მონაწილეობას იღებდნენ ტროას კედლების აშენებაში. არგონავტების ლაშქრობის ლეგენდა გვამცნობს, რომ ლაომედონი ხელს

უშლიდა ლელეგთა და მინიელთა ვაჭრობას ევქსინის პონტოში. აუცილებელი იყო მისი ჩამოცილება, რამეთუ ტროას ეჭირა ცენტრალური ადგილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში. ჰერაკლეს მეცხრე გმირობაც მსგავს დაპყრობებზე მიგვანიშნებს.

*ჰერაკლეს მიერ ჰესიონეს ხსნის სიუჟეტს* მრავალი პარალელი დაეძებნება როგორც ბერძნულ, ასევე აღმოსავლურ მითოლოგიაში (შდრ. პერსევსის მიერ ანდრომედეს გათავისუფლება). სავარაუდოა, რომ ისინი შეიქმნენ სირიასა და მცირე აზიაში ფართოდ გავრცელებული იმ გამოსახულების გავლენით, სადაც წარმოდგენილია მარდუქი, რომელიც ზღვის ურჩხულს, თიამათს ატყვევებს. თიამათი კი ერთ-ერთი ემანაციაა ქალღმერთ იშთარისა, რომელსაც მარდუქი კლდეს აკრავს, რითაც ართმევს ძალაუფლებას.

*ჰერაკლეს ბრძოლა კოსელებთან,* მკვლევართა აზრით, მიგვითითებს ელინთა მიერ ამ კუნძულის დაპყრობაზე. რაც შეეხება სასიძოთა ქალის სამოსში გამოწყობას, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ იქ კარგა ხანს მძლავრობდა მატრიარქალური ადათ-წესები.

ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლაზე იხ. ჩვენი სერიის წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე".

*ელისის დარბევის მითში* უნდა ასახულიყო აქაველთა წარუმატებელი ლაშქრობა ჩრდილოეთ პელოპონესოსში, რომელსაც ძვ.წ. XIII საუკუნით ათარიღებენ. ისტორიულად ცნობილია, რომ შემდეგი ლაშქრობა განახორციელეს დორიელებმა ძვ.წ. XI საუკუნეში. აქ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ჰერაკლე ერთდროულად დორიელი გმირიც იყო.

რაც შეეხება ოლიმპიურ ასპარეზობებს, მათ შესახებ არსებობს სხვა ლეგენდაც, უფრო ძველი, რომლის თანახმადაც ეს სპორტული დღესასწაული დააწესა სულ სხვა ჰერაკლემ – დაქტილოსმა. სწორედ მან მოიტანა ველური ზეთისხილი ჰიპერბორეელთა ქვეყნიდან (პავსანიასი, V,7,4 და V,13,5; დიოდოროს სიცილიელი V,64).

*პილოსის დაპყრობა* კვლავ აქაველთა ლაშქრობას უნდა წარმოსახავდეს პელოპონესოსზე ძვ.წ. XIII საუკუნეში. ძველი ღმერთები – ჰერა, პოსეიდონი, ჰადესი და არესი – მფარველობდნენ ადგი-

ლობრივ მოსახლეობას. ახალი თაობის ღმერთები – ათენა და ჰერაკლე, ზევსის ძე – მათ ებრძოდნენ.

ჰერაკლეს მიერ ჰერას დაჭრა „სამწვერა“ ისრით, ალბათ, დორიელთა ჩრდილოეთ პელოპონესოსში შეჭრის ალეგორია უნდა იყოს, როდესაც „ჰერაკლეს შვილებად“ წოდებულმა სამმა ტომმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.

სპარტაში ლაშქრობის მითი მთავრდება ჰერაკლეს მისვლით ასკლეპიოსთან (იხ. აპოლოდოროსი, პავსანიასი). მითოგრაფოსების აზრით, დანარჩენი ფსევდომითია, რომელიც გარკვეული მოვლენების ასახსნელად იყო ჩართული. კერძოდ, სპარტის ჰერას ტაძარს, რომელსაც ეწოდებოდა „თხის მჭამელი“, თურმე იმიტომ უწოდეს ასე, რომ აქ ჰერაკლემ თხა შესწირა. ტეგეაში აღმართული იყო თეძოში დაჭრილი ჰერაკლეს ქანდაკება, რომელსაც ოიონოსის მითით ასაბუთებდნენ და სხვა.

*ჰერაკლეს ბრძოლები ტრაქისში* მკვლევართა აზრით, ძვ.წ. XII საუკუნემდე უნდა მომხდარიყო. არ არის ზუსტად გარკვეული, თუ რომელი ექალია (მესენიური, თესალიური, ევბეური, ტრაქისული თუ ეტოლიური) დაიპყრო ამჯერად გმირმა.

⑪

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ჰერაკლეს ადამიანური ცხოვრების დასასრულის ეს ამაღელვებელი ამბავი წარმოდგენილია სოფოკლეს „ტრაქისელი ქალებისა“ და ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ მიხედვით.

არსებობს ამ მითის გაგრძელების ასეთი ვერსიაც: ზევსმა ჰერაკლეს ოლიმპოსის თორმეტ ღმერთთა შორის გაუმზადა ადგილი, თუმცა ვერ გაბედა ამ დასიდან ვინმეს გაძევება. ამიტომ ჰერა დაარწმუნა, ეშვილებინა იგი და აღესრულებინა მისი ხელმეორედ დაბადების რიტუალი. ჰერა დასთანხმდა; ჩაწვა საწოლში, ისე მოიქცა, თითქოს სამშობიარო ტკივილები დაეწყო, შემდეგ კაბის კალთიდან გამოაძვრინა ჰერაკლე და ღმერთებს თავის შვილად წარუდგინა (შვილად მიღების მსგავსი რიტუალი აღწერილია სხვადასხვა ბარბაროსულ ტომებში). ასე ამბობენ, ჰერას ზევსზე ნაკლებად არ უყვარდაო თავისი ნაშვილები ძე. ქალღმერთი მუდამ ემადლიერებოდა ჰერაკლეს იმის გამო, რომ გიგანტების წინააღმდეგ ბრძოლაში მან განგმირა პორფირიონი, რომელიც მის გაუპა-

ტიურებას აპირებდა (დიოდოროს სიცილიელი, IV,39; პინდაროსი, „ისთმიური ოდა“ IV,59; „ნემეური ოდა“, X,18; აპოლოდოროსი, II,7,7).

ოლიმპოსზე ჰერაკლე ზეციური მეკარის მოვალეობას ალასრულებდა. იგი მოუთმენლად ელოდა არტემისის დაბრუნებას ნადირობიდან, სიხარულით ესალმებოდა და ეტლიდან ნადავლი ამოჰქონდა. ბრაზობდა, როცა ნანადირევში მხოლოდ უწყინარ თხას და კურდღელს წააწყდებოდა, წარბს შეიკრავდა და თითის ქნევით მონადირე ქალღმერთს ასე მოძღვრავდა: „ველურ ტახებზე ინადირე, ისინი ადამიანებს ემტერებიან! თხები და კურდღლები ხომ მათ ზიანს არ აყენებენ!“ შემდეგ ჯდებოდა და ხარბად შეექცეოდა მისთვის განკუთვნილ საკვებს (კალიმაქოსი, ჰიმნი არტემისისადმი, 145 და შმდ.). როდესაც უკვდავი ჰერაკლე ღმერთების დასში ილხენდა, მისი აჩრდილი, მოზიდული მშვილდით ხელში, ჰადესის მრუმე სამეფოში მიმოდიოდა (ჰომეროსი, „ოდისეა“, X,601 და შმდ.).

განმარტებები. ჰერაკლეს ადამიანური ცხოვრების დასრულებით ჩაესვენა ამ გმირის დიდებაც. მან დედამიწაზე მრავალი კეთილი საქმე ალასრულა: გაანადგურა ურჩხულები, გაათავისუფლა ადამიანები, ალავსო ისინი მომავლის რწმენით, ააგო ტაძრები, სტადიონები, დააწესა სპორტული ასპარეზობანი, დააარსა ქალაქები. ყოველივე ეს ჰერაკლემ შეძლო თავისი უჩვეულო ძალმოსილებით, რითაც ალემატებოდა ადამიანებს. უკვდავთა შორის კი მისი ძალა ალარვის აოცებდა. დედამიწაზე ჰერაკლეს ჰქონდა ფუნქცია, იგი საჭირო იყო ადამიანებისთვის, ოლიმპოსზე კი მან ეს ფუნქცია დაკარგა და ამიტომაც მისი სახელი თანდათან დავიწყებას მიეცა. ჰერაკლემ, დიონისესგან განსხვავებით, ვერც ოლიმპოსის თორმეტი ღმერთის დასში დაიმკვიდრა ადგილი. ზოგი მეცნიერის ვარაუდით, ამაში დიდ გმირს ჰომეროსის ავტორიტეტმა შეუშალა ხელი, რამეთუ პოეტმა თავის „ოდისეაში“ (XI,601 და შმდ.) მისი სული ჰადესის ბინადართა შორის დაავანა. მაგრამ უკვე პინდაროსსთან ჰერაკლე ერთდროულად არის გმირიც და ღმერთიც (IV ნემ.). დღესასწაულზე მას პატივს მიაგებენ ჯერ როგორც გმირს და შემდეგ – როგორც ღმერთს (ჰეროდოტე). ალსანიშნავია, რომ სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში რჩეული გმირები ალწევენ როგორც ჰეროიკულ-ხთონურ, ასევე ზეციურ სამყოფელს და ამით იძენენ შთამბეჭდავ დინამიურობას. მათ არ შეუძლიათ სიკვდილის თავიდან აცილება, მაგრამ ერთდროულად ეზიარებიან უკვდავებასაც. ასეთ გმირთა შორის არის ჰერაკლეც. იგი ითვლება ნაციო-

ნალურ გმირად, თუმცა მისი სახე არატიპიურია. არ არის ცნობილი მისი საფლავი, თუმცა მისი თავგადასავლები საყოველთაო აღიარებით სარგებლობს; მისი კულტი გავრცელებული იყო არა მარტო ბერძნულ სამყაროში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მითი, რომელიც ჰერაკლეს აღსასრულს ეტას მთას უკავშირებს, მიგვითითებს რეალურ საკულტო ადგილზე. იქ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ცეცხლის ზეიმი ხარის მსხვერპლშეწირვით და აგონები. ცეცხლის ალით ჰერაკლე ეზიარა ღვთაებრიობას. ჩვენამდე მოღწეული გამოსახულებანი ნათლად წარმოგვიდგენენ მისი ცად აღზევების სურათებს. ცეცხლით სიკვდილი და გაღმერთება იწვევს აღმოსავლური მითოლოგიური ტრადიციის რემინისცენციებს. არსებობს ცნობები, რომ ტაროსში, კილიკიაში (მცირე აზია) ერთ-ერთ ღმერთს ყოველ წელს უნთებდნენ კოცონს, რომელსაც ბერძნულად „ჰერაკლე", ადგილობრივთა ენაზე კი „სანდონი" უნდა რქმეოდა. ეს კი დაკავშირებულია ძველ აღმოსავლურ ტრადიციასთან. ასევე ცნობილია, რომ ხეთების მეფეები ცეცხლში დაფერფვლისას ღვთაებრიობას ეზიარებოდნენ. ჰეროდოტეს დროიდან სავსებით დასაშვებია ჰერაკლეს დაკავშირება ფინიკიურ მელკართთან, რის გამოც მელკართის სვეტები ჰერაკლეს სვეტებად იწოდებიან.

მუდამ ძლიერი, დაუმარცხებელი, დიდი სექსუალური პოტენციის მქონე გმირის სახე ზღაპრულ პერსონაჟთა ასოციაციასაც იწვევს. მაგრამ ეს უძლეველი გმირი შეიძლება იქცეს მსახურად, მონად, ქალად და შლეგადაც კი. ზევსის ძე სულაც არ არის საკადრისი პატივით მოსილი მეფე. იგი თავდაპირველად მსახურია მიკენის მეფის, ევრისთევსისა, რომლის მიღმაც არგოლისის მფარველი ღვთაება ჰერა მოიაზრება.

ჰერაკლე თითქოს ატარებს ჰერას სახელს საკუთარ სახელში, თუმცა ბოლომდე მის დევნას განიცდის. ესეც მისი სახის ერთ-ერთი პარადოქსია. ეს წინააღმდეგობებით აღსავსე გმირი კიდევ ერთი თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას: იგი პროტოტიპია, ერთის მხრივ, იმ მმართველისა, რომლის ძალასაც ღვთაებრივი ნება ადამიანთათვის სიკეთის მისანიჭებლად წარმართავს (ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მისი სახე თავის მონეტებზე ამოტვიფრა), მეორეს მხრივ, იმ ჩვეულებრივი ადამიანისა, რომელსაც შეუძლია იოცნებოს, იშრომოს, იტანჯოს და ამ გზით უკვდავებას ეზიაროს. ჰერაკლემ დაძლია სიკვდილის შიში. იმას, რომ მას ელევსინის მისტერიებთან ზიარებამ შეაძლებინა, ჩასულიყო მიწისქვეშა სამეფოში, უკვე ძვ.წ. V საუკუნეში აღნიშნავდნენ. მაგრამ მისი სახის დინამიურობა მხოლოდ ამ ჩარჩოთი ვერ განისაზღვრება. ჰერაკ-

ლეს ადამიანურ სახესთან დაახლოებული ღვთაებრიობა იძლეოდა იმის პოტენციას, რომ მას გადაელახა ბერძნული რელიგიის საზღვრები.

ჰერაკლეს სახე თავდაპირველად გამოკვეთა მითმა, რომელიც ხალხურ თქმულებათა კონგლომერატს წარმოადგენდა. მაღალმა პოეზიამ მას საკმაოდ მოგვიანებით მიაქცია ყურადღება. პოეტები დაინტერესდნენ ჰერაკლეს ფენომენით, რასაც შედეგად მოჰყვა მითის ჰეროიკულ-ტრაგიკულ-ჰუმანურ სფეროში გადანაცვლება. დროთა განმავლობაში კი ამ სახემ გაითავისა ანტიკური საბერძნეთისთვის ესოდენ ძირეული ჰუმანისტური შინაარსი.

⑫

წყაროები და ვარიანტები. ჰერაკლიდების ამბები ძირითადად სოფოკლეს „ტრაქისელი ქალებისა" და ევრიპიდეს „ჰერაკლიდების" მიხედვით არის წარმოდგენილი. თუმცა არსებობს განსხვავებული ვერსიებიც. ევრისთევსზე შურისძიების ასეთი მითიც დაიძებნება: მას სკირონის კლდესთან წამოეწია ჰილოსი და მოჰკვეთა თავი, საიდანაც ალკმენემ შემდეგ ამოთხარა თვალები (ლისიასი, II,11-16; ისოკრატესი, „პანეგირიკი" 15-16; აპოლოდოროსი, II,8,1; დიოდოროს სიცილიელი, IV,57; პავსანიასი, I,44,14).

არის ვერსია, რომლის მიხედვითაც ევრისთევსს ათენელები ეხმარებოდნენ ჰერაკლიდების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო იოლაოსმა მას თავი მოჰკვეთა მაკარიას წყაროს მახლობლად (ევრიპიდე, „ჰერაკლიდები", 843 და შმდ.; 928 და შმდ.; სტრაბონი, VIII,6,19).

ალკმენეს შესახებ გადმოგვცემენ, რომ იგი უკვე ღრმად მოხუცებული დაბრუნდა თებეში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ჰერმესმა მისი სხეული ნეტართა კუნძულზე წაიღო. აქ ალკმენე აღდგა, გაახალგაზრდავდა და ცოლად გაჰყვა რადამანთისს. უნდა აღინიშნოს, რომ ალკმენეს დაკრძალვის ამბავს მრავალი მითი მოგვითხრობს (დიოდოროს სიცილიელი, IV,58; აპოლოდოროსი, II,4,11 და III,1,2; პავსანიასი, I,41,1; პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები", ლისანდროსი, 28).

ჰერაკლესა და ასტიოქეს ვაჟი ტლეპოლემოსი, იმის გამო, რომ შემთხვევით შემოაკვდა ბიძამისი ლიკიმნიოსი, აპოლონის რჩევით, კუნძულ როდოსზე გაიქცა (ჰომეროსი, „ილიადა", II,653-670; აპოლოდოროსი, II,8,2; პინდაროსი, „ოლიმპიური ოდა" VII,27). მან იქ, ტრიოფსის თანხმობით, კუნძული სამ ნაწილად დაყო და დააარსა

ქალაქები: ლინდოსი, იალისოსი და კამიროსი. მოგვიანებით იგი ტროასკენ გაემართა როდოსის ფლოტით (დიოდოროს სიცილიელი, IV,58; ჰომეროსი, „ილიადა", II,653 და შმდ., აპოლოდოროსი, „ეპიტომა", III,13). სხვა წყაროებით, ეს ქალაქები დააარსეს ან ტელქინებმა, ან დანაოსმა.

განმარტებები. ჰერაკლიდების მითში, როგორც ჩანს, აისახა რეალური ისტორიული მოვლენების – დორიელთა საბერძნეთში შეჭრის – ზეპირი ტრადიციების კვალი. მიკენურ პელოპონესოსზე თავდასხმები ცენტრალურ საბერძნეთში მოსახლე ტომებმა დაიწყეს დაახლოებით ძვ.წ. XI საუკუნეში (პავსანიასი IV,3,3, თუკიდიდე, I,13,3). მათ დორიელებს უწოდებდნენ იმიტომ, რომ დორისში მოსახლეობდნენ. დაიპყრეს რა სამხრეთ თესალია, დორიელებმა დაამყარეს კავშირი ათენელებთან უფრო ადრე, ვიდრე თავს დაესხმოდნენ პელოპონესოსს. პირველი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა, თუმცა, როგორც ცნობილია, მიკენი ძვ.წ. XI საუკუნეში უკვე გადამწვარი ჩანს. საუკუნით გვიან მათ მორჩილებდნენ სამხრეთი და აღმოსავლეთ რეგიონები. არგოლისის ძველი კულტურა საბოლოოდ გაქრა. თავდასხმები, რომელთაც შედეგად მოჰყვა არგოლისიდან როდოსზე, ატიკიდან მცირე აზიაში და თებედან სარდინიაში გადასახლებანი, ძველი საბერძნეთისთვის „ბნელი წლების" დასაწყისს მოასწავებდა.

წყაროები და ვარიანტები. თესევსის თავგადასავლის ძირითადი წყაროა პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში" წარმოდგენილი თხზულება, სახელწოდებით „თესევსი". ამ გმირის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ აგრეთვე ძველი ავტორები: აპოლოდოროსი, დიოდოროს სიცილიელი, ოვიდიუსი, პავსანიასი, სტრაბონი, ჰიგინუსი და სხვები. წყაროებს ზუსტად მივუთითებთ შესაბამის ამბავთა წარმოდგენისას.

თესევსის დაბადების ამბავი მოთხრობილია პლუტარქეს („თესევსი"), აგრეთვე აპოლოდოროსისა (III,15,6;III,15,7) და პავსანიასის (I,14,6;II,31,3-4 და 8-9;II,31,12 და 33,1;II,32,7-8;V,27,8) მიხედვით. შევსებულია შემდეგი წყაროებით: ევრიპიდე, „მედეა" (660) და სქოლიონები (668); ჰიგინუსი, „მითები" (37); ჰომეროსი, „ილიადა" (II,542).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ათენის ლეგენდარული მეფის ეგევსისა და ეთრას ძე თესევსი ატიკის უდიდეს გმირად არის მიჩნეული.თუმცა თავისი დიდებით მან ვერ შეძლო ჰერაკლესთან გატოლება. მითოგრაფოსები მის სახელს პელაზგური წარმომავლობისად მიიჩნევენ (tēu > thēso) და „ძალას" უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი დასტურდება მიკენურ დოკუმენტებშიც. მიუხედავად ამისა, მკვლევართა აზრით, მისი ეტიმოლოგია დაუზუსტებელია.

თესევსს ანტიკური ხანის მწერლები მითიურობასთან ერთად ისტორიულობასაც მიაწერენ. გადმოცემათა თანახმად, იგი მიეკუთვნებოდა გმირთა იმ თაობას, რომელიც ტროას ომამდე მოღვაწეობდა. ჰომეროსის „ილიადაში" მოხუცი ნესტორი აღნიშნავდა, რომ „უკვდავთა მსგავსი" თესევსი ტროელ გმირებს ბევრად აღემატებოდა სიმედგრითა და ძალმოსილებით (I,260-274). თესევსის სახელს დაუკავშირდა აგრეთვე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობაც. მან ათენის წყობა შეცვალა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ამ ქალაქის დემოკრატიულობისაკენ სწრაფვას. ასე იქცა მითოლოგიური გმირი თესევსი ლეგენდარულ-ისტორიულ პიროვნებად. ანტიკურმა ტრადიციამ კი მისი მოღვაწეობის ხანა ძვ.წ. XIII საუკუნით დაათარიღა.

თესევსის დაბადება, უფრო სწორად, ჩასახვა უჩვეულო და საინტერესოა, თუმცა მას აკლია ის გრანდიოზულობა, რაც ნიშანდობლივი იყო ჰერაკლეს მითისთვის. თესევსი ერთდროულად ღმერთის ძეც არის და მოკვდავისაც. სავარაუდოა, რომ მითის თავდაპირველ ვერსიაში მას ჰყავდა ტყუპისცალი ძმა, ისევე როგორც იდასს ლინკევსი, კასტორს პოლიდევკესი, ან ჰერაკლეს იფიკლესი. ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ თესევსი ათენელთა მთავარ ეროვნულ გმირად იქცა. მისთვის აუცილებელი გახდა, ჰყოლოდა ათენელი მამა. ამის შესაძლებლობას იძლეოდა ის, რომ დედამისი იყო ტროიძენიდან, იმ ქალაქიდან, რომელსაც ათენელები წყალობდნენ. მითოგრაფოსებმა თესევსი ათენელ გმირად აქციეს, ეგევსის ძედ, თუმცა, მას შეეძლო ემტკიცებინა ისიც, რომ მისი მამა იყო პოსეიდონი. მიწიერი მამის მხრიდან თესევსის წინაპართა შორის ასახელებენ ავტოხთონური მოდგმის ერიხთონიოსს, რომელიც ჰეფესტოს თესლიდან შვა დედამიწამ, აგრეთვე კრანაოსსა და ატიკის პირველ მეფეს, კეკროფსს. ისინი მიქსანთროპული არსებები იყვნენ, ბრძენი გველკაცები. დედის მხრიდან კი თესევსის გენეალოგია თავად ზევსამდე ადის (პიტთევსი ← პელოფსი ← ტანტალოსი ← ზევსი). თესევსი, ისევე როგორც ჰერაკლე, მოსასხამად ატარებდა ლომის ტყავს და გმირობათა აღსასრულებლად ისწრაფოდა. ყოვე-

ლივე ეს მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი იყო ცდა, ამ ატიკელი გმირის გალმერთებისა, რაც ვერ შეძლეს ათენელებმა.

მკვლევართა აზრით, დაიძებნება სამი მითოლოგიური გმირი მაინც თესევსის სახელით: ერთი უნდა იყოს თესევსთა მოდგმის, მეორე – ატიკის მარათონიდან, ხოლო მესამე – ლაპითთა ქვეყნიდან. მათი შერწყმა და ერთ გმირად სრულქმნა ძვ.წ. VI საუკუნისთვის უნდა მომხდარიყო. ამ პერიოდში ათენის არისტოკრატული ელიტის სათავეში მოექცა ლაპით ბუტოსთა მოდგმა, რომელმაც მოახერხა შეევიწროვებინა ადგილობრივი ქურუმებიც კი, პელასგური წარმომავლობის ერეხთიდები (შდრ. პავსანიასი, I,26.6). საჭირო გახდა საკუთარი დიადი გმირის მითის შეთხზვა. ასეთად გამოდგებოდა სწორედ თესევსი. მის მიერ განხორციელებულ საქმეთა შორის ასახელებენ ათენის სახელმწიფოს შექმნას, ატიკის გაერთიანებას, პანათენურ დღესასწაულთა დაწესებას. ათენელებმა სცადეს აღემაღლებინათ იგი და ჰერაკლესთვის დაეპირისპირებინათ. ამიტომ თესევსის მრავალი გმირობა ჰერაკლეს გმირობათა ანალოგიურია. და მაინც, თესევსი ვერ იქცა საბერძნეთის საერთო ნაციონალურ გმირად. მისი სახელი მხოლოდ ატიკას დაუკავშირდა.

დედის მიერ უცნობ მამასთან შვილის გაგზავნა გავრცელებული ფოლკლორული სიუჟეტია (შდრ. პენელოპეს მიერ ტელემაქოსის გაგზავნა ოდისევსის საძებრად), ხოლო სანდლები და მახვილი სამეფო ძალაუფლების უძველესი სიმბოლოებია. როგორც ვარაუდობენ, ეს ნივთები კორონაციის წესისგების აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქაში.

⑭

წყაროები და ვარიანტები. თესევსის გმირობათა ამბები მოთხრობილია შემდეგი წყაროების მიხედვით: პლუტარქე, „თესევსი"; ჰიგინუსი, „მითები"; 38; დიოდოროს სიცილიელი, IV,59; აპოლოდოროსი, III,16,1;III,6,2; „ეპიტომა", I,1-3; პავსანიასი, I,38,5;I,39,3;I,44,10-12;II,1,4; ოვიდიუსი, „იბისი" 407 და შმდ.; „მეტამორფოზები", 433 და შმდ.

ზოგი გადმოცემით, თესევსმა სინისი მოკლა მოგვიანებით, ხოლო მის პატივსადებად ისთმიური ასპარეზობანი დააწესა.

რაც შეეხება პროკრუსტეს საწოლს: ზოგი გადმოცემით, ამ ავაზაკს ორი საწოლი ჰქონდა: მოკლე და გრძელი. დაბალ მგზავრს

გრძელ საწოლზე აწვენდა, ხოლო მაღალს – მოკლეზე. ტანჯვა ასე უფრო ხანგრძლივი იყო. დამასტესი გვხვდება აგრეთვე პოლიპემონის სახელითაც.

განმარტებები. *გზა ათენისაკენ.* თესევსს, ჰერაკლეს მსგავსად, ხელთ ეპყრა კომბალი, რომელიც ალბათ უფრო მძიმეც იყო (რკინისა) და დიდიც.

ზოგი მითოგრაფოსი გაოცებული იყო იმ ფაქტით, რომ თესევსმა გზა გაიმრუდა კრომიონელი ღორის გამო. ჰიგინუსთან და ოვიდიუსთან იგი ტახად მოიხსენიება; პლუტარქე მას მიიჩნევს ავაზაკ ქალად, რომელსაც ალვირახსნილი საქციელისთვის „ღორი" უწოდეს. ცნობილი არის მისი სახელიც – ფეა. მკვლევართა აზრით, თეთრი ღორი სხვა ხალხთა მითებშიც ფიგურირებს.

სინისის მოკვლით თესევსმა ისთმოსზე გამავალი გზა გაათავისუფლა. მოგვიანებით იქ, სადაც დაამარცხა ეს ავაზაკი, მან ისთმიური ასპარეზობანი დააწესა. თავისი მნიშვნელობით ეს იყო ოლიმპიურ ასპარეზობათა შემდეგ მეორე საერთობერძნული დღესასწაული, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ისთმოსელი პოსეიდონის პატივსადებად. მითის სხვა ვერსიით, ეს თამაშობანი ინოს ძის, მელიკერტესის პატივსადებად დამკვიდრდა.

წყაროები და ვარიანტები. თესევსის ათენში ყოფნის ამბები გადმოცემულია შემდეგი წყაროებით: პლუტარქე, „თესევსი", 12; პავსანიასი, I,37,3;II,3,7; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", VII,420 და შმდ.; აპოლოდოროსი, I,9.28; „ეპიტომა", I,5; დიოდოროს სიცილიელი, IV,55,6.

მედეა ეგევსის მეოთხე ცოლი უნდა ყოფილიყო. პირველი ცოლი იყო მელისა, ჰოპლესის ასული; მეორე – ქალკიოპე, რექსენორის ასული. მათგან ეგევსს არ ჰყავდა შვილი. მეფემ ჩათვალა, რომ აფროდიტეს ბოროტი ნების გამო შეემთხვა მას ეს უბედობა და ამიტომ, ღვთაების გულის მოსაგებად ათენში მისი კულტი დააწესა. მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურა იგი დელფოს სამისნოსკენ, სადაც პითიამ ბუნდოვანი პასუხი გასცა. შინ მომავალმა ეგევსმა კორინთოში შეიარა. აქ მედეამ საზეიმო ფიცი დაადებინა, რომ მისი მფარველი იქნებოდა. სამაგიეროდ შეჰპირდა, რომ არ და-

ტოვებდა მემკვიდრის გარეშე (ევრიპიდე, „მედეა", 660). ამის შემდეგ ეწვია იგი ტროიძენს, სადაც შეეულლა პიტთევსის ასულ ეთრას, რომელმაც შვა თესევსი; ტროიძენშივე დატოვა მან ეთრა და სამშობლოში დაბრუნდა. ვიდრე თესევსი იზრდებოდა, ეგევსმა კოლხ მედეას პირობა შეუსრულა და თავშესაფარი უბოძა, შემდეგ ცოლადაც მოიყვანა. ეს ის მედეაა, არგონავტებს რომ ოქროს საწმისი მოაპოვებინა. იგი ცნობილი იყო თავისი ჯადო-წამლებით. როდესაც მან თესევსის მოწამვლა განიზრახა, ღვინით სავსე თასში ჩაასხა აკონიტი, შხამი იმ მცენარისა, რომელიც კერბეროსის დუჟით განოყიერებული მიწიდან ამოიზარდა (იხ. ჰერაკლეს მეთორმეტე გმირობა). მიწათმოქმედნი ამ მცენარეს თურმე იმიტომ უწოდებდნენ აკონიტს, რომ იგი უკაცრიელ კლდეებზე იზრდებოდა (შდრ. პლუტარქე, „თესევსი", 12; აპოლოდოროსი, „ეპიტომა", I,6; ოვიდიუსი, „მეტამორფოზები" VII,402 და შმდ.).

როგორც გადმოგვცემენ, პალანტიდებს არასოდეს დავიწყებიათ ლეოსის ვერაგობა. ამ მარცხის შემდეგ აღარავინ ქორწინდებოდა მისი მოდგმიდან, ხოლო ამბავთა მაცნეს არ ჰქონდა უფლება წარმოეთქვა სიტყვები: "Akouete leoi" („ისმინეთ ხალხნო"), რადგან "leoi" მოისმოდა როგორც „ლეოსი" (პლუტარქე, „თესევსი", 13).

განმარტებები. თესევსის ათენში ყოფნასთან დაკავშირებული ამბები (მედეას მზაკვრობა, პალანტიდები, მარათონის ხარი) მკვლევართა აზრით, გვიანი ხანის თხზულებებია. მათი მიზანი თესევსის ჰერაკლესთან გატოლება უნდა ყოფილიყო.

ის, რომ პალანტიდები ეგევსსა და თესევსს არ თვლიდნენ ჭეშმარიტ ერეხთიდებად, უნდა მიუთითებდეს იმ პროტესტზე, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნეში გაუჩნდათ ათენელებს, მათ სახელმწიფოში ლაპით ბუტადების მოდგმის გაძლიერების გამო (იხ. ზემოთ).

წყაროები და ვარიანტები. თესევსის თავგადასავალი კრეტაზე მოთხრობილია შემდეგი წყაროებით: პლუტარქე, „თესევსი", 17;18;22;23;29; აპოლოდოროსი, „ეპიტომა" I,7;I,8;I,10; დიოდოროს სიცილიელი IV,61; პავსანიასი I,17.3;I,22.4-5;I,42.1;II,31.1; ჰიგინუსი, „პოეტური ასტრონომია" II,5; „მითები" 43; კატულუსი XIV,50;

არსებობს მითის ამ ნაწილის მრავალი ვერსია. კერძოდ: როგორც აღინიშნა, ათენში მინოსმა გამოგზავნა თავისი მოციქულები. სხვა ვერსიით, მინოსი თავად ჩამოვიდა ათენში მსხვერპლის შესარჩევად. როდესაც თესევსის თავგანწირვის ამბავი გაიგო, გულაჩუყებულს ცრემლიც კი მოერია. მან პირობა მისცა ახალგაზრდა გმირს: თუ იგი შიშველი ხელებით სძლევდა მინოტავროსს, ათენი ხარკს აღარ გადაიხდიდა (პლუტარქე, „თესევსი“, 17; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“, I,7; სქოლიონები ჰომეროსის „ილიადისთვის“ XVIII,590; დიოდოროს სიცილიელი IV,61).

ზოგი ვერსიით, ეგევსის მიერ გატანებული აფრის ფერი იყ[illegible] წითელი (პლუტარქე, „თესევსი“, 17).

ათენელთა ხომალდის მესაჭე იყო ფეაკ[illegible] [illegible]ვარი, რადგანაც ათენელთაგან არავინ იცოდა ზღვით მოგზაურ[illegible]ბის საიდუმლოებანი. სხვანი გადმოგვცემენ, რომ მესაჭე იყო ნავსითოოსი. იმასაც ამბობენ, რომ თესევსმა დაბრუნებისთანავე მათ აღუმართა ქანდაკებები ფალეროსში – იმ ქალაქში, საიდანაც გაემგზავრნენ და დაუწესა მესაჭეთა ზეიმი (იხ. პლუტარქე, „თესევსი“, 17; ფილოქოროსი, სიმონიდე; პავსანიასი, 172).

მითოგრაფოსები ვერ შეთანხმებულან იმაზე, თუ როგორ მოკლა თესევსმა მინოტავროსი – მახვილით, შიშველი ხელებით თუ თავისი ცნობილი კომბლით. ამიკლეს სკულპტურულ ფრიზზე გამოსახული ყოფილა მინოტავროსი, რომელსაც ხელით მიათრევს გახარებული თესევსი (შდრ. ჰომეროსი, „ილიადა“, XVIII,590; ევსტათიოსის „ოდისეას“ კომენტარები, XI,320; აპოლოდოროსი, „ეპიტომა“ I,9; ოვიდიუსი, „ჰეროიდები“ IV,115; პავსანიასი III,18,7).

თესევსის მიერ მძინარე არიადნეს დატოვების რამდენიმე ვერსია არსებობს: ზოგი გადმოგვცემს, რომ ჭაბუკმა ახალი საყვარელი გაიჩინა, სახელად ეგლე, პანოპევსის ასული; სხვების აზრით, თესევსს მიაჩნდა, რომ ათენში არიადნეს ცუდად შეხვდებოდნენ; უფრო მეტად გავრცელებული ვერსიით, იგი დიონისემ, გამოეცხადა რა სიზმარში, არა მარტო დააშინა, არამედ აიძულა დაევიწყებინა კიდეც არიადნე, რომელთან შეუღლებაც თავად სურდა (თეოკრიტოსის „იდილიების“ სქოლიონები, II,45; დიოდოროს სიცილიელი, IV,61,5;V,51,4; კატულუსი, LXIV,50 და შმდ.; პლუტარქე, „თესევსი“, 29; ჰიგინუსი, „მითები“, 43; პავსანიასი X,29.2). მითი ასე გრძელდება: როდესაც არიადნემ აღმოაჩინა, რომ მარტოდმარტო დარჩა კუნძულზე, დაიწყო საბრალობელი მოთქმა. გაახსენდა, როგორი გრძნობით ელოდა თესევსს, როდესაც გაისტუმრა მისი ნახევარძმის მოსაკლავად, როგორ ევედრებოდა ღმერთებს, გამარჯვებული

დაებრუნებინათ იგი, როგორ მიატოვა დიდებული მშობლები და სამშობლო მასზე უსაზღვროდ შეყვარებულმა. ახლა არიადნე ოლიმპოსის ყველა ღმერთს შესთხოვდა, შური ეძიათ თესევსზე. მამა ზევსმა შეისმინა მისი მუდარა: მაშინ არიადნეს მხსნელად ნაზი და მოალერსე დიონისე გამოეცხადა თავისი მხიარული დასის თანხლებით. მან დაუყოვნებლივ იქორწინა მიწიერ ქალზე და თავს დაარქვა თეტისის ბრწყინვალე დიადემა. მათ მრავალი შვილი გაუჩნდათ, რომელთაგან მხოლოდ თოასს ან ენოპიონს თუ ასახელებენ თესევსის შვილებად (პავსანიასი, I,20,2; კატულუსი LXIV,5 და შმდ; ჰიგინუსი, „პოეტური ასტრონომია", II,5).

პლუტარქე თავის თხზულებაში გადმოგვცემს თესევსისა და არიადნეს შეუღლების სულ სხვა ვერსიას, რომელსაც ძვ.წ. V-IV საუკუნეების ცნობილ ატიდოგრაფოსს, კლიდემოსს მიაკუთვნებს: მინოსი და თესევსი შეთანხმდნენ, რომ საბერძნეთის წყლებში ვერ გაივლიდა ხომალდი, რომელზეც ხუთ მეზღვაურზე მეტი აღმოჩნდებოდა. ეს არ ეხებოდა მხოლოდ „არგოს", რომელსაც მეთაურობდა იასონი. მას მეკობრეთაგან უნდა გაეწმინდა იმხანად ზღვა. როდესაც დედალოსი კრეტიდან ათენში გაიქცა, მინოსმა დაარღვია ეს პირობა, დაედევნა რა ლტოლვილს დიდი ხომალდებით. ამან კი პოსეიდონის რისხვა გამოიწვია, რადგანაც იგი მომსწრე იყო ამ შეთანხმების. მან აღელვა ზღვა, მინოსის ხომალდი განდევნა სიცილიისკენ, სადაც დაიღუპა კიდეც მეფე. მინოსის ძემ, დევკალიონმა, შეუთვალა ათენელებს, რომ დასჯიდა მძევლებს, რომლებიც ზავის დადებისას დატოვა თესევსმა, თუკი ისინი არ გადასცემდნენ მას დედალოსს. თესევსმა, ვიდრე მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ააგო დიდი ხომალდები, დედალოსი იხმო მესაჭედ და კრეტისაკენ გაემართა. კუნძულელებმა მოახლოვებული ხომალდები მინოსის ფლოტის გზააბნეულ ნაწილად მიიჩნიეს და საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ამიტომ თესევსმა იოლად ჩაიგდო ხელში ის საპორტო ქალაქი, სადაც შენავდნენ, კნოსოსისკენ გაემართა და სასახლეშივე მოუსწრაფა სიცოცხლე დევკალიონს. ამის შემდეგ გამეფდა არიადნე. მას თესევსი დიდსულოვნად მოელაპარაკა მძევლების ბედზე: არიადნემ გაათავისუფლა ისინი. ათენელთა და კრეტელთა შორის დამყარდა მეგობრული კავშირი, დაიდო პირობა, რომ არასოდეს წამოიწყებდნენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ. სინამდვილეში, როგორც ამბობენ, არიადნე უბრალოდ შეეუღლა თესევსს („თესევსი", 19).

ხანგრძლივი ზეიმების შემდეგ თესევსი და არიადნე ათენისაკენ გაემართნენ. გზად ქარიშხალი ამოვარდა და ხომალდები კვიპრო-

სისაკენ გაიტაცა. არიადნე ფეხმძიმედ იყო. მან, იმის შიშით, რომ მუცელი არ მოშლოდა, ითხოვა ქალაქ ამათუსის ნაპირზე გადასვლა, რაც აღუსრულეს კიდეც. თესევსი ხომალდზე დაბრუნდა. ამ დროს გრიგალმა კვლავ გაიტაცა მისი ფლოტი გაშლილ ზღვაში. ამათუსელმა ქალებმა გულთბილად მიიღეს არიადნე და დაამშვიდეს ვითომდა თესევსის მიერ მოწერილი წერილებით. ისინი არწმუნებდნენ ფეხმძიმე ქალს, რომ მისი ქმარი მეზობელ კუნძულზე იყო და დაზიანებული ხომალდის შეკეთებაზე ზრუნავდა. მიუხედავად ამისა, არიადნე მშობიარობას გადაჰყვა. იგი მდიდრულად დაკრძალეს ამათუსელებმა. როდესაც თესევსი ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა კრეტაზე, გულით შეწუხდა და კუნძულელებს დიდძალი ფული დაუტოვა, რათა მსხვერპლი არ მოეკლოთ არიადნესთვის. კვიპროსზე დიდხანს სცემდნენ თაყვანს არიადნეს და აღნიშნავდნენ, რომ დიონისე არასოდეს დაქორწინებულა მასზე. პირიქით, ღმერთი განრისხებულიც იყო ამ წყვილზე იმის გამო, რომ მათ შებღალეს ნაქსოსის მღვიმე. კვიპროსელები იმასაც ამბობდნენ, დიონისემ არიადნეს დასჯაც კი სთხოვაო არტემისს, რომელმაც მშობიარე ქალი უმოწყალო ისრებით გამოასალმა სიცოცხლეს. ზოგი ამტკიცებდა, რომ არიადნემ არტემისის შიშით თავად ჩამოიხრჩო თავი (ჰესიქიოსი „Aridela“; პლუტარქე, „თესევსი“, 21).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ანდროგეოსი იყო მინოსისა და პასიფაეს ძე, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ ათენში პანათენურ დღესასწაულზე უდიადესი გამარჯვება მოიპოვა. შურით აღივსო ათენის მეფე ეგევსი და ახალგაზრდა ჭაბუკის დაღუპვა განიზრახა. ასეც მოიქცა –გაგზავნა მარათონის ხარზე სანადიროდ. სწორედ ამ ხარმა მოუსწრაფა გამარჯვებით გასხივოსნებულ ანდროგეოსს სიცოცხლე. სხვა ვარიანტით, ლაიოსის პატივსადებად გამართულ ასპარეზობებზე გამარჯვება ვერ აპატიეს მას თებელებმა და მოკლეს (აპოლოდოროსი, III,15,7).

მინოტავროსის (ხარის თავიანი კაცის; ხარკაცის) მეორე სახელი იყო ასტერიოსი („ვარსკვლავეთისა“). იგი შვა კრეტის მეფე მინოსის მეუღლემ, ჰელიოსის ასულმა პასიფაემ ან პოსეიდონის მიერ გამოგზავნილი ხარისაგან, ან თავად პოსეიდონისაგან. ეს ურჩხული მოათავსეს მიწისქვეშა ლაბირინთში, რომელიც ცნობილმა ხელოვანმა, დედალოსმა ააგო. ლეგენდის თანახმად, მას ყოველწლიურად (ზოგი ვარიანტით სამ წელიწადში ერთხელ, ან ცხრა წელიწადში ერთხელ) შესაჭმელად უგზავნიდნენ შვიდ ქალიშვილსა და შვიდ ჭაბუკს. მათ გარდა იგი ჭამდა ყველა ცოცხალ არსებას, რომელიც

